

**ადამიანის უფლებათა ევროპული
სასამართლოს განჩინებითა კრებული
საქართველოს საქმეებზე**

**საქართველოს უზენაესი სასამართლო
ადამიანის უფლებათა ცენტრი**

თბილისი
2010

EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS

JUDGMENTS v. GEORGIA

**The Supreme Court of Georgia
Human Rights Centre**

**Tbilisi
2010**



კრებული შეადგინა და დაამუშავა

თინათინ ბეჟაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს
ადამიანის უფლებათა ცენტრი

სტილისტი

თინათინ ქოქრაშვილი

დიზაინი

მარიკა მაღალაშვილი



The Collection was compiled and elaborated in the
Human Rights Centre of the Supreme Court of Georgia by

Tinatin Bezhashvili

Style Editor

Tinatin Kokrashvili

Designed by

Marika Maghalashvili

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა	11
PREFACE.....	12
ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია.....	13
შპს „ამატ-ჯი“ და მებაღიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (№2507/03; 27/09/2005) CASE of “AMAT-G” and MEBAGHISHVILI v. GEORGIA	49
შპს „იზა“ და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ (№28537/02; 27/09/2005) CASE of “IZA” Ltd and MAKRAKHIDZE v. GEORGIA.....	56
დონაძე საქართველოს წინააღმდეგ (№74644/01; 07/03/2006) CASE of DONADZE v. GEORGIA.....	59
დავითანი საქართველოს წინააღმდეგ (№73241/01; 27/07/2006) CASE of DAVTYAN v. GEORGIA.....	61
დანელია საქართველოს წინააღმდეგ (№68622/01; 17/10/2006) CASE of DANELIA v. GEORGIA.....	65
გურგენიძე საქართველოს წინააღმდეგ (№71678/01; 17/10/2006) CASE of GURGENIDZE v. GEORGIA.....	71
აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ (№40765/02; 28/11/2006) CASE of APOSTOL v. GEORGIA.....	77
იელოვას მოწმეთა გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და სხვა ოთხი პირი საქართველოს წინააღმდეგ (№71156/01; 03/05/2007) CASE of THE GLDANI CONGREGATION of JEHOVAH’S WITNESSES and 4 OTHERS v. GEORGIA.....	80
გორელიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (№12979/04; 05/06/2007) CASE of GORELISHVILI v. GEORGIA	84
მგელაძე საქართველოს წინააღმდეგ (№74909/01; 03/07/2007) CASE of MGELADZE v. GEORGIA.....	87
ს/კ „მრეტები“ საქართველოს წინააღმდეგ (№38736/04; 31/07/2007) CASE of FC MRETEBI v. GEORGIA.....	90
რიჟამაძე საქართველოს წინააღმდეგ (№2745/03; 31/07/2007) CASE of RIZHAMADZE v. GEORGIA.....	97
ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ (№30779/04; 06/11/2007) CASE of PATSURIA v. GEORGIA.....	102
ოგანოვა საქართველოს წინააღმდეგ (№25717/03; 13/11/2007) CASE of OGANOVA v. GEORGIA.....	109
გოგოლაძე საქართველოს წინააღმდეგ (№4683/03; 11/12/2007) CASE of GOGOLADZE v. GEORGIA.....	113

მუმლაძე საქართველოს წინააღმდეგ (№30097/03; 08/01/2008) CASE of MUMLADZE v. GEORGIA.....	116
ქიძინიძე საქართველოს წინააღმდეგ (№69852/01; 29/01/2008) CASE of KIDZINIDZE v. GEORGIA	120
გიგოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (№18145/05; 08/07/2008) CASE of GIGOLASHVILI v. GEORGIA	124
გალუაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (№40008/04; 17/07/2008) CASE of GALUASHVILI v. GEORGIA.....	128
ღარიბაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (№11830/03; 29/07/2008) CASE of GHARIBASHVILI v. GEORGIA	132
ალიევი საქართველოს წინააღმდეგ (№522/04; 13/01/2009) CASE of ALIEV v. GEORGIA	137
ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (№37048/04; 13/01/2009) CASE of NIKOLAISHVILI v. GEORGIA	142
რამიშვილი და კოხრეიძე საქართველოს წინააღმდეგ (№1704/06; 27/01/2009) CASE of RAMISHVILI and KOKHREIDZE v. GEORGIA	148
ხარიტონაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (№41957/04; 10/02/2009) CASE of KHARITONASHVILI v. GEORGIA	153
ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ (№7932/03; 02/24/2009) CASE of JGARKAVA v. GEORGIA	157
პოლოსიანი საქართველოს წინააღმდეგ (№9870/07; 24/02/2009) CASE of POGHOSIAN v. GEORGIA	164
ღავთაძე საქართველოს წინააღმდეგ (№23204/07; 03/03/2009) CASE of GHAVTADZE v. GEORGIA	167
კობელიანი საქართველოს წინააღმდეგ (№40022/05; 16/07/2009) CASE of KOBELIANI v. GEORGIA	172
კვიციანი საქართველოს წინააღმდეგ (№16277/07; 21/07/2009) CASE of KVITSIANI v. GEORGIA	175
გორგილაძე საქართველოს წინააღმდეგ (№4313/04; 20/10/2009) CASE of GOURGILADZE v. GEORGIA	179
ფანჯიკიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (№30323/02; 27/10/2009) CASE of PANJIKIDZE and Others v. GEORGIA	187

წინასიტყვაობა

ევროპის საბჭოს ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად მიჩნეულია 1950 წლის 4 ნოემბერს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მიღება. 1999 წლიდან საქართველო ამ უპრეცედენტო საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე გახდა. აღნიშნული კონვენცია საქართველოსთვის სავალდებულოა შესასრულებლად როგორც საერთაშორისო, ასევე – ეროვნულ დონეზე. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეროვნული სასამართლოებისათვის, ხოლო ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს დიდი ზეგავლენა აქვს ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, რადგან ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ახდენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დებულებათა ავტორიტეტულ განმარტებასა და ინტერპრეტაციას. კონვენციის დარღვევის ფაქტის დადგენისას სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მის გამოსწორებასა და იმაზეც, რომ მსგავსი ტიპის გადაცდომები აღარ განმეორდეს.

იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებით დაირღვა კონვენცია, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება მას არ აუქმებს. ეს შესაძლებელია მხოლოდ საქმის ხელახალი განხილვის პროცედურით, თუკი ასეთი რამ გათვალისწინებულია შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობით. კონვენცია არ ავალდებულებს ხელშემკვრელ სახელმწიფოს საქმის ხელახალ გადასინჯვას. იმ შემთხვევაში, თუ ეროვნულ სასამართლოს შეუძლია საქმეზე მიიღოს ხელახალი გადაწყვეტილება, მაშინ მან უნდა გაითვალისწინოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება და იხელმძღვანელოს კონვენციით ისევე, როგორც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის სხვა ნორმებით.

მას შემდეგ, რაც ევროპული სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას, განმცხადებელს არ ეკისრება რაიმე სახის ზომების მიღება გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით. კონვენციის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ავტომატურად გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს, რომელიც პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების ზედამხედველობაზე. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტი ანერსივებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებათა საერთაშორისო სამართლებრივი სავალდებულობის საკითხს. გადაწყვეტილების სავალდებულობა განსაზღვრულია კონვენციის 44-ე მუხლით.

წინამდებარე გამოცემა მიზნად ისახავს, ყველა დაინტერესებულ პირს მიეცეს საქართველოსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გაცნობის საშუალება.¹ კრებულში წარმოდგენილია 31 განჩინება, რომელთაგან 6 საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით გარანტირებული უფლებები, ხოლო 25 საქმეზე მიიჩნია, რომ დარღვეულია აღნიშნული კონვენციის გარკვეული მუხლები.

ყველა ის გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია საქართველოსთან მიმართებით, უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნისათვის და საჭიროა თითოეულ მათგანზე ჯეროვანი ყურადღების გამახვილება, რადგან ეროვნული სასამართლოებისათვის არა მხოლოდ მიზანშეწონილი, არამედ აუცილებელიცაა, კონვენციასთან ერთად, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება.

¹ კრებულში არ შევიდა გადაწყვეტილებები საქმეზე *ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ* და *შამაგვი და 12 სხვა პირი საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ*, რადგან ორივე მათგანი უკვე მრავალჯერაა გამოქვეყნებული სხვადასხვა კრებულში.

P R E F A C E

The most significant achievement of the European Council is the European Convention of Human Rights, an international treaty of unprecedented scope which was adopted in 1950 and came into force in 1953. Since 1999, the European Convention of Human Rights has been part of Georgian Legislation. Georgia within its jurisdiction is under an obligation to guarantee to everyone the rights and freedoms provided by Convention.

That means that this document must be directly applied by national institutions, including the courts. Georgian Courts should apply not only the text of the European Convention, but also the case-law of the European Court of Human Rights established on the basis of the rights and freedoms of the Convention.

Monitoring the Court's judgments in which a violation is found is the task of the committee of ministers, which ensure that states take any general measures needed to prevent further violations (changing legislation, case-law, rules or practice). It also makes sure that just satisfaction awarded by the Court is paid to the applicant and, in certain cases, that other concrete measures are taken to make sure full compensation is granted (such as reopening procedures, lifting a banning or confiscation order, striking off a police record or granting a residence permit).

Application of the European Convention and its protocols greatly depends on an effective information policy on the Convention human rights standards. The representatives of legal professions should be provided with regular information on important cases determined by the European Court. Certain positive steps are already taken in publishing either full texts of important judgments of the European Court or summaries of them.

The Supreme Court of Georgia also works in this direction. Many interesting publications concerning the case-law are prepared, translated and published by the Human Rights Centre of the Supreme Court. Among of them is this book, which is the first collection of the judgments concerning Georgia. 31 judgments are presented in the given collection, out of which in 6 cases the European Court of Human Rights discovered no violation of rights and fundamental freedoms guaranteed by the Convention. Regarding the rest of the 25 cases, the Court established violation of certain Articles of the European Convention of Human Rights.¹

These judgments are of utmost important for our court system. Georgia should pay great attention towards them and have to consider all the recommendations.

¹ Judgments *Asanidze v. Georgia* (№71503/01) and *Shamayev and others v. Georgia and Russia* (№36378/02) were published earlier and are not presented in this book.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია

რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი

ქვემოთ ხელმომწერი მთავრობები, არიან რა ევროპის საბჭოს წევრები,

ითვალისწინებენ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, გამოცხადებულს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს;

მხედველობაში იღებენ, რომ ეს დეკლარაცია მიზნად ისახავს მასში გაცხადებულ უფლებათა საყოველთაო და ეფექტიანი აღიარებისა და დაცვის უზრუნველყოფას;

მიიჩნევენ, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მის წევრებს შორის უფრო მეტი ერთიანობის მიღწევა, რისთვისაც ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და მათი შემდგომი ხორცშესხმა;

კვლავაც ადასტურებენ თავიანთ ერთგულებას იმ ძირითადი თავისუფლებებისადმი, რომელთაც ეფუძნება საყოველთაო სამართლიანობა და მშვიდობა და, რომელთა საუკეთესო დაცვა ხორციელდება, ერთი მხრივ, ქმედითი პოლიტიკური დემოკრატიითა და, მეორე მხრივ, ადამიანის უფლებათა საერთო გაგებითა და უზრუნველყოფით, რასაც ისინი ემყარებიან;

როგორც მთავრობები იმ თანამოაზრე ევროპულ ქვეყნებისა, რომელთაც აქვთ პოლიტიკური ტრადიციების, იდეალების, თავისუფლებისა და სამართლის უზენაესობის საერთო მემკვიდრეობა, მზად არიან გადადგან პირველი ნაბიჯები საყოველთაო დეკლარაციით გაცხადებულ გარკვეულ უფლებათა ერთობლივი აღსრულებისათვის,

და, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1 - ადამიანის უფლებათა დაცულობის ვალდებულება

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ყველასათვის თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყოფენ ამ კონვენციის I კარში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს.

პარი I - უფლებანი და თავისუფლებანი

მუხლი 2 - სიცოცხლის უფლება

1. ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული. არ შეიძლება ვინმეს განზრახ მოკვდინება, თუ არა სიკვდილის სასჯელის აღსრულების შედეგად, რომელიც სასამართლოს განაჩენით შეეფარდა მოცემულ პირს ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს ამ სასჯელს.

2. მოკვდინება არ განიხილება ამ მუხლის დარღვევად, თუ ის შედეგად მოჰყვება ძალის გამოყენებას, რომელიც აბსოლუტურ აუცილებლობას წარმოადგენდა:

- a) ნებისმიერი პირის დასაცავად არამართლზომიერი ძალადობისაგან;
- b) კანონიერი დაკავებისათვის, ანდა კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევის აღსაკვეთად;
- c) კანონიერ ღონისძიებათა განხორციელებისათვის აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად.

მუხლი 3 - წამების აკრძალვა

ადამიანის წამება, არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა ან მასთან ასეთი მოპყრობა დაუშვებელია.

მუხლი 4 - მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა

1. არავინ შეიძლება იმყოფებოდეს მონობაში ან ყმობაში.
2. არავის შეიძლება დაეკისროს იძულებითი ან სავალდებულო სამუშაოს შესრულება.
3. ამ მუხლის აზრით, „იძულებით ან სავალდებულო შრომად“ არ განიხილება:
 - a) ნებისმიერი სამუშაო, რომლის შესრულებაც ჩვეულებრივ, სავალდებულოა პატიმრობისას, რაც შეფარდებულია ამ კონვენციის მე-5 მუხლის დებულებების შესაბამისად, ან ასეთი პატიმრობიდან პირობითი თავისუფლების განმავლობაში;
 - b) სამხედრო ხასიათის ნებისმიერი სამსახური, ან სავალდებულო სამხედრო სამსახურის ნაცვლად დაკისრებული სამსახური იმ ქვეყნებში, სადაც შინაგანი მრწამსის გამო სამხედრო სამსახურზე უარის თქმა მართლზომიერადაა მიჩნეული;
 - c) ნებისმიერი სამსახური, დაკისრებული საგანგებო მდგომარეობის ან საერთო უბედურების ჟამს, რაც საფრთხეს უქმნის ხალხის სიცოცხლესა და კეთილდღეობას;
 - d) ნებისმიერი სამუშაო თუ სამსახური, რომელიც ჩვეულებრივ მოქალაქეობრივ ვალდებულებებს განეკუთვნება.

მუხლი 5 - თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება

1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, თუ არა კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად და გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

a) კანონიერი დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირისა;

b) კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება კანონის შესაბამისად გაცემული სასამართლოს ბრძანების შეუსრულებლობისათვის, ანდა კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად;

c) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება, უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს ამ პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი, ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა.

d) არასრულწლოვანის დაპატიმრება კანონიერი ბრძანების საფუძველზე მასზე აღმზრდელობითი ზედამხედველობისათვის ან უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე მის წარსადგენად;

e) პირის კანონიერი დაპატიმრება გადამდებ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად, ან სულით ავადმყოფის, ალკოჰოლიკის, ნარკომანისა და მანანნალის კანონიერი დაპატიმრება;

f) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება, ქვეყანაში მისი უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად, აგრეთვე იმისა, ვის მიმართაც ხორციელდება ღონისძიებანი მისი გაძევების (დეპორტაცია) ან გადაცემისათვის (ექსტრადიცია).

2. დაკავებულ პირს მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მისი დაკავების მიზეზები და მისთვის წაყენებული ყველა ბრალდება.

3. ამ მუხლის 1 „ც“ პუნქტით გათვალისწინებულ დებულებათა შესაბამისად დაკავებული თუ დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლივ წარედგინება მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განსახორციელებლად კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს და იგი აღჭურვილია უფლებით, მისი საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში, ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში. ასეთი გათავისუფლება შეიძლება პირობადებული იყოს სასამართლოში მისი გამოცხადების რაიმე გარანტიით.

4. ყველას, ვისაც დაკავებით ან დაპატიმრებით აღეკვეთა თავისუფლება, აქვს უფლება, მიმართოს სასამართლოს, რომელიც დაუყოვნებლივ განიხილავს მისი დაპატიმრების საკითხს და ბრძანებს მის გათავისუფლებას, თუ ეს დაპატიმრება უკანონოა.

5. ყველა მსხვერპლს, ვინც ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევით დააკავეს ან დააპატიმრეს, აქვს რეპარაციის ქმედითი უფლება.

მუხლი 6 - საქმის სამართლიანი განხილვის უფლება

1. ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების, ან მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. სასამართლო გადანყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ, თუმცა მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე პრესა და საზოგადოება შეიძლება არ იქნეს დაშვებული დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებისათვის, აგრეთვე, როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვანის ინტერესები, ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ანდა, რამდენადაც, სასამართლოს აზრით, ეს მკაცრად აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობის გამო, ვინაიდან საქვეყნობა დააზარალებდა მართლმსაჯულების ინტერესს.

2. ყოველი ბრალდებული უდანაშაულოდ მიიჩნევა, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.

3. ყოველ ბრალდებულს აქვს სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

a) მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ და დანვრილებით გააცნონ წარდგენილი ბრალდების არსი და საფუძველი;

b) ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალებანი საკუთარი დაცვის მოსამზადებლად;

c) დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით ან, თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით ხაზინის ხარჯზე, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები;

d) თვითონ დაკითხოს ან დააკითხვინოს მისი ბრალდების მოწმეები, და, გამოაძახებინოს და დააკითხვინოს მისი დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეების თანაბარ პირობებში;

e) ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოს სასამართლოში გამოყენებული ენა ან ილაპარაკოს ამ ენაზე.

მუხლი 7 - არავითარი სასჯელი კანონის გარეშე

1. არავინ შეიძლება ბრალეულად იქნეს მიჩნეული რაიმე დანაშაულში ისეთი მოქმედების ან უმოქმედობის გამო, რომელიც არ წარმოადგენდა დანაშაულს ეროვნული ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით იმ დროს, როდესაც იგი ჩაიდინეს. არც იმაზე უფრო მკაცრი სასჯელი შეიძლება შეეფარდოს ვინმეს, ვიდრე სასჯელი, რომელიც გამოიყენებოდა დანაშაულის ჩადენის დროს.

2. ეს მუხლი არ ვრცელდება იმ პირის გასამართლებასა და დასჯაზე მოქმედებისა თუ უმოქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროისათვის დანაშაულს წარმოადგენდა ცივილიზებული სახელმწიფოების მიერ აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპების თანახმად.

მუხლი 8 - პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება

1. ყველას აქვს უფლება, რომ დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრისი და მიმონერა.

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უნესრიგობისა თუ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობისა ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

მუხლი 9 - აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება

1. ყველას აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას, აგრეთვე, თავისუფლებას იმისა, რომ ცალკე ან სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით, გაამჟღავნოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, ქადაგებით, წესებისა და რიტუალების აღსრულებით.

2. რელიგიის ან რწმენის გამჟღავნების თავისუფლება მხოლოდ იმ პირობით შეიზღუდება, თუ ასეთი შეზღუდვა გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობისა ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

მუხლი 10 - აზრის გამოხატვის თავისუფლება.

1. ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ვერ დააბრკოლებს სახელმწიფოს, მოახდინოს რადიომაუწყებლობის, ტელევიზიისა და კინემატოგრაფიულ სანარმოთა ლიცენზირება.

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ისინი განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს კანონით დადგენილ ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობისა ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი უნესრიგობის თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა უფლებების ან ღირსების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებულ ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, ანდა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 11 - შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება

1. ყველას აქვს მშვიდობიანი შეკრებისა და სხვებთან გაერთიანების თავისუფლება, მათ შორის, პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება საკუთარი ინტერესების დასაცავად.

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელების შეზღუდვა გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უნესრიგობის ან დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობისა თუ მორალის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ეს მუხლი ვერ დააბრკოლებს სახელმწიფოს, ამ უფლების განხორციელებაზე დაანესოს კანონიერი შეზღუდვები შეიარაღებული ძალების, პოლიციის ან სახელმწიფო ადმინისტრაციის წარმომადგენლის მიმართ.

მუხლი 12 - ქორწინების უფლება

საქორწინო ასაკის მამაკაცსა და ქალს აქვთ ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლება ეროვნული კანონების შესაბამისად, რომლებიც აწესრიგებენ ამ უფლების განხორციელებას.

მუხლი 13 - ქმედითი სამართლებრივი მისაგებლის უფლება

ყველას, ვისაც ამ კონვენციით გაცხადებული უფლება ან თავისუფლება დაერღვა, უნდა ჰქონდეს ქმედითი სამართლებრივი მისაგებელი ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც ოფიციალურ უფლებამოსილებას ახორციელებდა.

მუხლი 14 - დისკრიმინაციის აკრძალვა

ამ კონვენციით გაცხადებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა სტატუსის განურჩევლად.

მუხლი 15 - კონვენციიდან უკან დახევა საგანგებო მდგომარეობის დროს

1. ომის ან ერის არსებობისათვის საშიში სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს, ნებისმიერ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია გაატაროს ღონისძიებები კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან უკან დახევის მიზნით მხოლოდ იმ ზომით, რამდენადაც ამას მკაცრად მოითხოვს მდგომარეობის სიმწვავე და იმ პირობით, რომ ეს ღონისძიებები არ ეწინააღმდეგება მის სხვა საერთაშორისო-სამართლებრივ ვალდებულებებს.

2. დაუშვებელია წინარე პუნქტის საფუძველზე კონვენციის მე-2 მუხლიდან უკან დახევა, გარდა მართლზომიერი საომარი მოქმედებით გამოწვეული ადამიანთა დაღუპვის შემთხვევისა, აგრეთვე, უკანდახევა მე-3, მე-4 (პუნქტი 1) და მე-7 მუხლებიდან.

3. ყოველი მაღალი ხელშემკვრელი მხარე, რომელიც იყენებს უკან დახევის უფლებას, ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს აწვდის ამომწურავ ინფორმაციას გატარებული ღონისძიებებისა და მათი მიზეზების შესახებ. იგი აგრეთვე ატყობინებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ასეთ ღონისძიებათა შეწყვეტისა და კონვენციის დებულებათა სრულად ამოქმედების თარიღს.

მუხლი 16 - უცხოელთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა

მე-10, მე-11 და მე-14 მუხლები არ გულისხმობს დაბრკოლებას მაღალი ხელშემკვრელი მხარეებისათვის, დაანესონ შეზღუდვები უცხოელთა პოლიტიკურ საქმიანობაზე.

მუხლი 17 - უფლებათა ბოროტად გამოყენების აკრძალვა

ამ კონვენციის არც ერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ იგი გულისხმობდეს რომელიმე სახელმწიფოს, ადამიანთა ჯგუფის ან ცალკეული პირის უფლებას, ეწეოდეს საქმიანობას, ან ასრულებდეს მოქმედებას, რომელიც გამიზნულია, არარად აქციოს ამ კონვენციით გაცხადებული რომელიმე უფლება ან თავისუფლება, ანდა შეზღუდოს იგი იმაზე მეტად, ვიდრე ეს საკუთრივ კონვენციით არის გათვალისწინებული.

მუხლი 18 - უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები

დაუშვებელია ხსენებულ უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციით ნებადართული შეზღუდვების გამოყენება არა იმ მიზნით, რისთვისაც ისინია გათვალისწინებული.

პარი II - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მუხლი 19 - სასამართლოს დაარსება

მაღალი ხელშემკვრელი მხარეების მიერ კონვენციითა და მისი ოქმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად არსდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომელიც ამიერიდან მოიხსენიება როგორც „სასამართლო“. ის მუდმივმოქმედი ორგანოა.

მუხლი 20 - მოსამართლეთა ოდენობა

სასამართლოს შემადგენლობაში იმდენი მოსამართლეა, რამდენიც არის მაღალი ხელშემკვრელი მხარე.

მუხლი 21 - სამოსამართლო კრიტერიუმები

1. მოსამართლეს უნდა ახასიათებდეს მაღალი მორალური თვისებები და, ან უნდა აკმაყოფილებდეს მაღალი სამოსამართლო თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ პირობებს, ან წარმოადგენდეს აღიარებულ კომპეტენტურ სამართალმცოდნეს.

2. სამოსამართლო საქმიანობას მოსამართლე ახორციელებს თავისი ინდივიდუალური უფლებამოსილებით.

3. თავისი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში მოსამართლე არ უნდა ეწეოდეს ისეთ საქმიანობას, რომელიც შეუთავსებელია მის დამოუკიდებლობასთან, მიუკერძოებლობასთან ან სრულგანაკვეთიანი სამსახურის მოთხოვნებთან. ამ პუნქტის გამოყენებასთან დაკავშირებით წამოჭრილ ყველა საკითხს სასამართლო გადაწყვეტს.

მუხლი 22 - მოსამართლის არჩევა

1. თითოეული მაღალი ხელშემკვრელი მხარისაგან მოსამართლეს ირჩევს საპარლამენტო ასამბლეა მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ წარდგენილი სამი კანდიდატისაგან შემდგარი სიიდან, მიცემულ ხმათა უმრავლესობით.

2. ამავე პროცედურით ხორციელდება სასამართლოს შემადგენლობის შევსება ახალი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შემოერთების, ან შესაძლო ვაკანსიის გაჩენისას.

მუხლი 23 - უფლებამოსილების ვადა

1. მოსამართლეს ირჩევენ ექვსი წლის ვადით. მისი ხელახალი არჩევა შესაძლებელია. თუმცა, პირველ არჩევნებზე არჩეულ მოსამართლეთა ნახევარს უფლებამოსილება ამოენურება სამი წლის შემდეგ.

2. იმ მოსამართლეებს, რომელთაც უფლებამოსილების ვადა თავდაპირველი სამი წლის შემდეგ ამოენურებათ, წლის ყრის მეშვეობით განსაზღვრავს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი მათი არჩევისთანავე.

3. იმისათვის, რომ შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფილ იქნეს ყოველ სამ წელიწადში მოსამართლეთა შემადგენლობის ნახევრის განახლება, საპარლამენტო ასამბლეას, ყოველი მომდევნო საარჩევნო პროცედურის დაწყებამდე, შეუძლია გადაწყვიტოს, რომ ერთი ან მეტი ასარჩევი მოსამართლის უფლებამოსილების ხანგრძლივობა ექვსი წლით კი არ განისაზღვროს, არამედ სხვა ვადით, მაგრამ, არაუმეტეს ცხრა, და არანაკლებ სამი წლისა.

4. იმ შემთხვევაში, როცა საკითხი შეეხება ერთზე მეტ უფლებამოსილებას და საპარლამენტო ასამბლეა იყენებს წინა პუნქტის დებულებას, თითოეული უფლებამოსილების ვადის ხანგრძლივობას წილის ყრით განსაზღვრავს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი არჩევნების დამთავრებისთანავე.

5. იმ მოსამართლის ნაცვლად არჩეული მოსამართლე, რომლის უფლებამოსილების ვადა ამონურული არ არის, თანამდებობას იკავებს მისი წინამორბედის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

6. მოსამართლის უფლებამოსილების ვადა იწურება 70 წლის ასაკის მიღწევისთანავე.

7. თანამდებობაზე მოსამართლე რჩება მის შეცვლამდე. თუმცა, ის განაგრძობს მასზე გაპროგნოზებულ საქმეთა განხილვას.

მუხლი 24 - თანამდებობიდან გათავისუფლება

არ შეიძლება მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება, თუ სხვა მოსამართლეების უმრავლესობა ხმათა ორი მესამედით არ გადაწყვეტს, რომ იგი ველარ აკმაყოფილებს ნაყენებულ მოთხოვნებს.

მუხლი 25 - სამდივნო და იურისტი რეფერენტები

სასამართლოს აქვს სამდივნო, რომლის ფუნქციები და ორგანიზაცია განისაზღვრება სასამართლოს რეგლამენტით. სასამართლოს თანამდებობას უწევს იურისტი რეფერენტები.

მუხლი 26 - სასამართლოს პლენუმი

სასამართლოს პლენუმი:

a) ირჩევს სასამართლოს თავმჯდომარეს და თავმჯდომარის ერთ ან ორ მოადგილეს სამი წლით. მათი ხელახალი არჩევა შესაძლებელია;

b) ქმნის პალატებს განსაზღვრული ვადით;

c) ირჩევს სასამართლოს პალატების თავმჯდომარეებს. მათი ხელახალი არჩევა შესაძლებელია;

d) იღებს სასამართლოს რეგლამენტს, და

e) ირჩევს სასამართლოს გამწესრიგებელსა და მის ერთ ან მეტ მოადგილეს.

მუხლი 27 - კომიტეტები, პალატები და დიდი პალატა

1. სასამართლოში შემოსულ საქმეებს განიხილავენ კომიტეტები სამი მოსამართლის შემადგენლობით, პალატები შვიდი მოსამართლის შემადგენლობით და დიდი პალატა ჩვიდმეტი მოსამართლის შემადგენლობით. კომიტეტებს სასამართლოს პალატები ქმნიან განსაზღვრული ვადით.

2. მოსამართლე, არჩეული იმ სახელმწიფოსაგან, რომელიც განსახილველ საქმეზე მხარეს წარმოადგენს, არის პალატის ან დიდი პალატის *ex officio* წევრი. თუ ასეთი მოსამართლე არ არის, ან თუ მოსამართლეს არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მოცემული საქმის განხილვაში, მის უფლება-მოსილებას ახორციელებს ამ სახელმწიფოს მიერ შერჩეული პირი.

3. დიდ პალატას აგრეთვე შეადგენენ სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, პალატის თავმჯდომარეები და სასამართლოს რეგლამენტის შესაბამისად შერჩეული სხვა მოსამართლეები. როცა საქმე განსახილველად გადაეცემა დიდ პალატას 43-ე მუხლის საფუძველზე, დიდი პალატის სხდომაში მონაწილეობას ვერ მიიღებს განჩინების გამომტანი პალატის ვერც ერთი მოსამართლე, გარდა პალატის თავმჯდომარისა და მოსამართლისა იმ სახელმწიფოდან, რომელიც მხარეა მოცემულ საქმეში.

მუხლი 28 - საჩივრის მიუღებლად ცნობა კომიტეტის მიერ

კომიტეტს შეუძლია ერთხმად გადაწყვეტილებით მიუღებლად ცნოს ან ამორიცხოს განსახილველ საქმეთა ნუსხიდან 34-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილი ინდივიდუალური საჩივარი, თუ გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია საჩივრის შემდგომი შესწავლის გარეშე. ასეთი გადაწყვეტილება საბოლოოა.

მუხლი 29 - პალატის გადაწყვეტილება საჩივრის მისაღებობისა და საქმის არსებითი მხარის შესახებ

1. თუ 28-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული, პალატა გამოიტანს გადაწყვეტილებას 34-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილი ინდივიდუალური საჩივრის მისაღებობისა და საქმის არსებითი მხარის შესახებ.

2. პალატა იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფოს მიერ 33-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილი საჩივრის მისაღებობისა და საქმის არსებითი მხარის შესახებ.

3. საჩივრის მისაღებობის გადაწყვეტილება გამოიტანება ცალკე, თუ, გამონაკლის შემთხვევაში, სასამართლომ სხვა რამ არ გადაწყვიტა.

მუხლი 30 - დიდი პალატისათვის იურისდიქციის გადაბარება

თუ პალატაში განსახილველი საქმე წამოჭრის კონვენციის ან მისი ოქმების განმარტებისათვის სერიოზულ საკითხს, ან თუ პალატის მიერ საკითხის გადაწყვეტას შეიძლება მოჰყვეს სასამართლოს უწინდელ განჩინებასთან შეუთავსებელი შედეგი, განჩინების გამოტანამდე პალატას შეუძლია თავისი იურისდიქცია გადააბაროს დიდ პალატას, თუ არც ერთი მხარე ამის წინააღმდეგი არ არის.

მუხლი 31 - დიდი პალატის უფლებამოსილება

დიდი პალატა:

a) განიხილავს 33-ე და 34-ე მუხლების შესაბამისად წარდგენილ საჩივრებს, როდესაც მას თავისი იურისდიქცია გადააბარა პალატამ 30-ე მუხლის მიხედვით, ან როდესაც მას საქმე გადაეცა 43-ე მუხლის საფუძველზე;

b) განიხილავს 47-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილ მოთხოვნებს საკონსულტაციო დასკვნის მიცემის თაობაზე.

მუხლი 32 - სასამართლოს იურისდიქცია

1. სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება კონვენციისა და მისი ოქმების განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, რომელიც მას გადაეცემა 33-ე, 34-ე და 47-ე მუხლების შესაბამისად.

2. სასამართლოს იურისდიქციასთან დაკავშირებულ ყოველგვარ სადავო საკითხს თავად სასამართლო გადაწყვეტს.

მუხლი 33 - სახელმწიფოთშორისი საქმეები

ყოველ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია სასამართლოში აღძრას საკითხი სხვა მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ კონვენციისა და მისი ოქმების ნაგულები დარღვევის შესახებ.

მუხლი 34 - ინდივიდუალური საჩივარი

საჩივრით სასამართლოს შეიძლება მიმართოს ნებიმიერმა ფიზიკურმა პირმა, არასამთავრობო ორგანიზაციამ ან ცალკეულ პირთა ჯგუფმა, რომელსაც მიაჩნია, რომ მსხვერპლია რომელიმე მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ კონვენციითა ან მისი ოქმებით გათვალისწინებულ უფლებათა დარღვევისა. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, არაფრით დააბრკოლონ ამ უფლების სრულად განხორციელება.

მუხლი 35 - მისაღებობის წინაპირობები

1. სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მაშინ მიიღოს საქმე განსახილველად, თუ ამონაწერი ყველა შიდა სამართლებრივი მისაგებელი (გასაჩივრების საშუალება) საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების გაგებით და არ არის გასული ექვს თვეზე მეტი საქმეზე შიდა საბოლოო გადანყვეტილების გამოტანის თარიღიდან.

2. სასამართლო მიუღებლად ცნობს 34-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილ საჩივარს, თუ ის:

a) ანონიმურია, ან

b) არსებითად იგივეა, რაც სასამართლოს მიერ უკვე განხილული საჩივარი, ან უკვე გადაეცა მოკვლევის ან მოგვარების სხვა საერთაშორისო-სამართლებრივ ინსტანციას და არ შეიცავს ახალ შესატყვის ფაქტობრივ გარემოებებს.

3. სასამართლო მიუღებლად ცნობს 34-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილ ინდივიდუალურ საჩივარს, თუ მიიჩნევს, რომ იგი შეუთავსებადია კონვენციისა და მისი ოქმების დებულებებთან, აშკარად უსაფუძვლოა, ან წარმოადგენს საჩივრის უფლების ბოროტად გამოყენებას.

4. სასამართლო უარს ეტყვის ყველა საჩივარს, რომელსაც მიუღებლად ცნობს ამ მუხლის საფუძველზე. ამის უფლება მას აქვს პროცესის ნებისმიერ სტადიაზე.

მუხლი 36 - მესამე მხარის ჩართვა

1. პალატის ან დიდი პალატის მიერ განსახილველ ყველა საქმეზე, მაღალ ხელშემკვრელ მხარეს, რომლის მოქალაქეც არის მომჩივანი, უფლება აქვს წარუდგინოს სასამართლოს წერილობითი განმარტება და მონაწილეობა მიიღოს საქმის მოსმენაში.

2. მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების მიზნით, წერილობითი განმარტების წარსადგენად ან საქმის მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად, სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია მოიწვიოს მაღალი ხელშემკვრელი მხარე, რომელიც არ წარმოადგენს პროცესის მხარეს მოცემულ საქმეში, ან სხვა დაინტერესებული პირი, რომელიც არ არის მომჩივანი ამ საქმეზე.

მუხლი 37 - საჩივრის ამორიცხვა განსახილველ საქმეთა ნუსხიდან

1. პროცესის ნებისმიერ სტადიაზე სასამართლოს შეუძლია განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხოს საჩივარი, თუ გარემოებათა ძალით ის დაასკვნის, რომ:

a) მომჩივანს აღარ აქვს განზრახული ბოლომდე მისდოს თავის საჩივარს;

b) დავა გადაწყდა;

c) სასამართლოს მიერ დადგენილი რაიმე სხვა მიზეზით, საჩივრის შემდგომი შესწავლა აღარ არის გამართლებული.

თუმცა, სასამართლო მაინც განაგრძობს საჩივრის შესწავლას, თუ კონვენციითა და მისი ოქმებით განსაზღვრულ უფლებათა დაცულობა ამას მოითხოვს.

2. სასამართლოს შეუძლია, აღადგინოს საჩივარი განსახილველ საქმეთა ნუსხაში, თუ გარემოებათა ძალით ამას გამართლებულად მიიჩნევს.

მუხლი 38 - საქმის განხილვა და მორიგების პროცედურა

1. თუ საჩივარი სასამართლომ მისაღებად ცნო, იგი:

a) განაგრძობს მის განხილვას მხარეთა წარმომადგენლებთან ერთად და, საჭიროების შემთხვევაში, შეუდგება საქმის გარემოებათა გამოძიებას, რომლის ქმედითი წარმართვისათვის შესაბამისი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ მას ყველა აუცილებელი საშუალებით;

ბ) სთავაზობს დაინტერესებულ მხარეებს თავის სამსახურს საქმეზე მორიგების მისაღწევად კონვენციითა და მისი ოქმებით განსაზღვრული ადამიანის უფლებების დაცვის სულისკვეთებით.

2. 1(b) პუნქტის შესაბამისად წარმართული პროცედურა კონფიდენციალურია.

მუხლი 39 - მორიგების მიღწევა

თუ მორიგება მიღწეულია, სასამართლო საჩივარს ამორიცხავს განსახილველ საქმეთა ნუსხიდან შესაბამისი გადაწყვეტილებით, რომელიც ფაქტებისა და მიღწეული შეთანხმების არსის მოკლე გადმოცემით შემოიფარგლება.

მუხლი 40 - ღია სასამართლო მოსმენა და დოკუმენტების ხელმისაწვდომობა

1. საქმის სასამართლო მოსმენა ღიაა, თუ გამონაკლის შემთხვევაში სასამართლომ სხვა რამ არ გადანყვიტა.

2. სასამართლოს გამწესრიგებელთან შენახული დოკუმენტები ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის, თუ სასამართლოს თავმჯდომარემ სხვა რამ არ გადანყვიტა.

მუხლი 41 - სამართლიანი დაკმაყოფილება

თუ სასამართლო დაასკვნის, რომ დაირღვა კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლება, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდა სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.

მუხლი 42 - პალატის განჩინება

პალატის განჩინება საბოლოოა 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულებით გათვალისწინებული პირობების არსებობისას.

მუხლი 43 - დიდი პალატისათვის საქმის გადაცემა

1. პალატის განჩინების თარიღიდან სამი თვის განმავლობაში, საქმის მონაწილე ნებისმიერ მხარეს, გამონაკლის შემთხვევაში, შეუძლია მოითხოვოს საქმის დიდი პალატისათვის გადაცემა.

2. დიდი პალატის კოლეგია ხუთი მოსამართლის შემადგენლობით დაეთანხმება ამ მოთხოვნას, თუ საქმე წამოჭრის კონვენციის ან მისი ოქმების განმარტების ან გამოყენებისათვის სერიოზულ საკითხს, ან – საერთო მნიშვნელობის სხვა სერიოზულ საკითხს.

3. თუ კოლეგია დაეთანხმება მოთხოვნას, დიდი პალატა საქმეს გადაწყვეტს განჩინების გამოტანით.

მუხლი 44 - საბოლოო განჩინება

1. დიდი პალატის განჩინება საბოლოოა.
2. პალატის განჩინება საბოლოოა, როდესაც:
 - a) მხარეები განაცხადებენ, რომ ისინი არ ითხოვენ საქმის დიდი პალატისათვის გადაცემას, ან
 - b) პალატის განჩინების თარიღიდან სამი თვის განმავლობაში მათ არ მოუთხოვიათ საქმის დიდი პალატისათვის გადაცემა, ან
 - c) დიდი პალატის კოლეგია უარყოფს 43-ე მუხლის საფუძველზე საქმის დიდი პალატისათვის გადაცემის მოთხოვნას.
3. საბოლოო განჩინება ქვეყნდება.

მუხლი 45 - განჩინებისა და გადაწყვეტილების დასაბუთება

1. სასამართლოს განჩინება და გადაწყვეტილება, რომელიც საჩივარს მისაღებად ან მიუღებლად ცნობს, უნდა დასაბუთდეს.
2. თუ განჩინება მთლიანად ან ნაწილობრივ არ გამოხატავს მოსამართლეთა ერთხმივ აზრს, ნებისმიერი მოსამართლე უფლებამოსილია, მას დაურთოს ცალკე აზრი.

მუხლი 46 - განჩინების სავალდებულო ძალა და აღსრულება

1. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ, დაემორჩილონ სასამართლოს საბოლოო განჩინებებს საქმეებზე, რომლებშიც ისინი მხარეს წარმოადგენენ.
2. სასამართლოს საბოლოო განჩინება ეგზავნება მინისტრთა კომიტეტს, რომელიც ზედამხედველობს მის აღსრულებას.

მუხლი 47 - საკონსულტაციო დასკვნები

1. მინისტრთა კომიტეტის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია გასცეს საკონსულტაციო დასკვნა კონვენციისა და მისი ოქმების განმარტების სამართლებრივ საკითხებზე.
2. ამგვარი დასკვნა არ უნდა ვრცელდებოდეს ისეთ საკითხებზე, რომლებიც შეეხება კონვენციის I კართა და ოქმებით განსაზღვრულ უფლებათა და თავისუფლებათა შინაარსსა და მათ ფარგლებს, და არც ისეთ საკითხებზე, რომელთა განხილვა სასამართლოს ან მინისტრთა კომიტეტს შესაძლოა მოუწიოს კონვენციის შესაბამისად აღძრული პროცედურის შედეგად.
3. მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილება სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნის გამოთხოვის შესახებ მიიღება კომიტეტზე დასწრების უფლების მქონე წარმომადგენელთა ხმების უმრავლესობით.

მუხლი 48 - სასამართლოს საკონსულტაციო იურისდიქცია

სასამართლოს გადასაწყვეტია, განეკუთვნება თუ არა მინისტრთა კომიტეტის მიერ წარდგენილი მოთხოვნა საკონსულტაციო დასკვნის შესახებ სასამართლოს იურისდიქციას 47-ე მუხლის გაგებით.

მუხლი 49 - საკონსულტაციო დასკვნის დასაბუთება

1. სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნა უნდა დასაბუთდეს.
2. თუ საკონსულტაციო დასკვნა მთლიანად ან ნაწილობრივ არ გამოხატავს მოსამართლეთა ერთხმივ აზრს, ნებისმიერი მოსამართლე უფლებამოსილია, მას დაურთოს ცალკე აზრი.
3. სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნა ეგზავნება მინისტრთა კომიტეტს.

მუხლი 50 - სასამართლოს შენახვის ხარჯები

სასამართლოს შენახვის ხარჯებს გაიღებს ევროპის საბჭო.

მუხლი 51 - მოსამართლის პრივილეგიები და იმუნიტეტი

თავისი უფლებამოსილების განხორციელების განმავლობაში მოსამართლე სარგებლობს პრივილეგიებითა და იმუნიტეტით, რომლებიც განსაზღვრულია ევროპის საბჭოს წესდების მე-40 მუხლითა და მის საფუძველზე დადებული შეთანხმებებით.

პარი III — სხვადასხვა დებულებები

მუხლი 52 - გენერალური მდივნის მოთხოვნა

ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის შესაბამისი მოთხოვნით, ყოველი მაღალი ხელშემკვრელი მხარე წარმოადგენს განმარტებას, თუ რა გზით უზრუნველყოფს მისი შიდა სამართალი კონვენციის დებულებათა სრულად განხორციელებას.

მუხლი 53 - აღიარებულ უფლებათა უზრუნველყოფა

ამ კონვენციის არც ერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ მან შეზღუდოს ან ხელყოს ადამიანის უფლებანი და ძირითადი თავისუფლებანი, რომლებიც აღიარებულია მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდა სამართლით ან მისი მონაწილეობით დადებული ნებისმიერი შეთანხმებით.

მუხლი 54 - მინისტრთა კომიტეტის უფლებამოსილება

ამ კონვენციის ვერც ერთი დებულება ვერ ხელყოფს მინისტრთა კომიტეტის უფლებამოსილებას, რომლითაც ის აღჭურვილია ევროპის საბჭოს წესდების საფუძველზე.

მუხლი 55 - დავის მოგვარების სხვა საშუალებათა უარყოფა

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თანხმდებიან, რომ, საგანგებო შეთანხმების გარეშე, არ მიმართავენ მათ შორის მოქმედ ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს ან დეკლარაციებს, რათა ამ კონვენციის განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული დავა, საჩივრის წარდგენის გზით, განსახილველად დაუქვემდებარონ მოგვარების სხვა პროცედურას, გარდა ამ კონვენციით გათვალისწინებულისა.

მუხლი 56 - კონვენციის მოქმედება სივრცეში

1. კონვენციის რატიფიკაციისას ან შემდგომში, ნებისმიერ დროს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისადმი შეტყობინების მეშვეობით, ყოველ სახელმწიფოს შეუძლია განაცხადოს, რომ წინამდებარე კონვენცია, ამ მუხლის მე-4 პუნქტის გათვალისწინებით, ვრცელდება ყველა ან რომელიმე ტერიტორიაზე, რომლის საგარეო ურთიერთობებზეც ის არის პასუხისმგებელი.

2. შეტყობინებაში მითითებულ ტერიტორიაზე ან ტერიტორიებზე კონვენცია გავრცელდება ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ ამ შეტყობინების მიღების შემდეგ ოცდამეათე დღიდან.

3. თუმცა, ასეთ ტერიტორიებზე კონვენციის დებულებათა გამოყენება მოხდება ადგილობრივი მოთხოვნების სათანადოდ გათვალისწინებით.

4. ყოველ სახელმწიფოს, რომელმაც განცხადება გააკეთა ამ მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, შემდგომში, ნებისმიერ დროს, განცხადებაში მითითებული ერთი ან რამდენიმე ტერიტორიის მიმართ შეუძლია განაცხადოს, რომ აღიარებს სასამართლოს უფლებამოსილებას, მიიღოს ფიზიკური პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ ცალკეულ პირთა ჯგუფის საჩივრები კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე.

მუხლი 57 - დათქმები

1. ამ კონვენციის ხელმოწერის ან რატიფიკაციის შესაბამისი სიგელების დეპონირებისას, კონვენციის რომელიმე კონკრეტული დებულების მიმართ ყოველ სახელმწიფოს შეუძლია გააკეთოს დათქმა, თუ მის ტერიტორიაზე ამ დროს მოქმედი რომელიმე კანონი ამ დებულებას არ შეესაბამება. საერთო ხასიათის დათქმები ამ მუხლით დაუშვებელია.

2. ამ მუხლის საფუძველზე გაკეთებული ნებისმიერი დათქმა უნდა შეიცავდეს შესაბამისი კანონის არსის მოკლე გადმოცემას.

მუხლი 58 - დენონსაცია

1. მაღალ ხელშემკვრელ მხარეს წინამდებარე კონვენციის დენონსაცია შეუძლია მის მიმართ კონვენციის ძალაში შესვლის თარიღიდან ხუთი წლის შემდეგ და ექვსი თვით ადრე ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის შესაბამისი შეტყობინების მეშვეობით. გენერალური მდივანი ამის შესახებ აცნობებს სხვა მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს.

2. დენონსაცია არ ათავისუფლებს მაღალ ხელშემკვრელ მხარეს წინამდებარე კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებისაგან ისეთი ქმედებისათვის, რომელიც წარმოადგენს ამ ვალდებულებათა შესაძლო დარღვევას და ჩადენილია დენონსაციის ძალაში შესვლამდე.

3. ამავე პირობის თანახმად, ყოველი მაღალი ხელშემკვრელი მხარე, რომელიც შეწყვეტს ევროპის საბჭოს წევრობას, ვერ იქნება ვერც კონვენციის მონაწილე მხარე.

4. კონვენციის დენონსაცია ამ მუხლის წინარე პუნქტების შესაბამისად, შესაძლებელია ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ, რომელზედაც მისი გავრცელება გამოცხადდა 56-ე მუხლის საფუძველზე.

მუხლი 59 - ხელმოწერა და რატიფიკაცია

1. ეს კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრებისათვის. ის ექვემდებარება რატიფიკაციას. რატიფიკაციის სიგელების დეპონირება ხდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

2. წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის რატიფიკაციის ათი სიგელის დეპონირების შემდეგ.

3. იმ ხელმომწერის მიმართ, რომელიც შემდგომში მოახდენს რატიფიკაციას, კონვენცია ძალაში შედის შესაბამისი რატიფიკაციის სიგელის დეპონირებისთანავე.

4. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ევროპის საბჭოს ყველა წევრს ატყობინებს კონვენციის ძალაში შესვლის, რატიფიკაციის მომხდენ მაღალ

ხელშემკვრელ მხარეთა ვინაობისა და ყოველი შემდგომში დეპონირებული რატიფიკაციის სიგელების შესახებ.

* * *

შესრულებულია რომში, 1950 წლის 4 ნოემბერს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, თანაბრად ავთენტიკურ ტექსტებად, ერთადერთ ცალად, რომელიც დაცული იქნება ევროპის საბჭოს არქივში. დამონმებულ ასლებს გენერალური მდივანი უგზავნის კონვენციის ყველა ხელმომწერს.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის

დ ა მ ა ტ ე ბ ი თ ი ო ქ მ ი

პარიზი, 1952 წლის 20 მარტი

ქვემოთ ხელმომწერმა მთავრობებმა, არიან რა ევროპის საბჭოს წევრები,

გადანყვიტეს გადადგან ნაბიჯები იმ უფლებათა და თავისუფლებათა ერთობლივი დაცვის უზრუნველყოფისათვის, რომლებსაც არ მოიცავს 1950 წლის 4 ნოემბერს რომში ხელმონერილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (ამიერიდან მოიხსენიება, როგორც „კონვენცია“) 1-ლი კარი,

და თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1 - საკუთრების დაცვა

ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას საკუთრება ვინმეს კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.

ამასთან, წინარე დებულებანი ვერ ხელყოფს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონი, რომელსაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად, საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის, ან გადასახადებისა თუ სხვა მოსაკრებლის ანდა ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 2 - განათლების უფლება

არავის შეიძლება აღეკვეთოს განათლების უფლება. განათლებასა და სწავლებასთან დაკავშირებული მასზე დაკისრებული ფუნქციების განხორციელებისას, სახელმწიფო პატივს სცემს მშობლების უფლებას, უზრუნველყონ თავიანთი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისი განათლება და სწავლება.

მუხლი 3 - თავისუფალი არჩევნების უფლება

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ, გონივრული ხანგამოშვებით ჩაატარონ თავისუფალი არჩევნები ფარული კენჭისყრით ისეთ პირობებში, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოს არჩევისას უზრუნველყოფს ხალხის ნება-სურვილის თავისუფალ გამოხატვას.

მუხლი 4 - ოქმის მოქმედება სივრცეში

ოქმის ხელმოწერის ან რატიფიკაციისას ან, შემდგომში, ნებისმიერ დროს, ყოველ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია განცხადება გაუგზავნოს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს იმის შესახებ, თუ რა ფარგლებში კისრულობს ის წინამდებარე ოქმის დებულებების გავრცელებას განცხადებაში მითითებულ იმ ტერიტორიებზე, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზეც ის არის პასუხისმგებელი.

ყოველ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს, რომელმაც განცხადება წარადგინა წინა პუნქტის შესაბამისად, შეუძლია დროგამოშვებით გააგზავნოს შემდგომი განცხადებანი, რომელიმე წინა განცხადებაში მითითებული პირობების შეცვლის ან რომელიმე ტერიტორიაზე ამ ოქმის დებულებათა გავრცელების შეწყვეტის შესახებ.

ამ მუხლის შესაბამისი განცხადება განიხილება, როგორც კონვენციის 56-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად წარდგენილი განცხადება.

მუხლი 5 - კონვენციასთან მიმართება

ამ ოქმის 1-ლ, მე-2, მე-3 და მე-4 მუხლებს მაღალი ხელშემკვრელი მხარეები განიხილავენ როგორც კონვენციის დამატებით მუხლებს და, მათთან მიმართებაში, კონვენციის ყველა დებულება გამოიყენება შესაბამისად.

მუხლი 6 - ხელმოწერა და რატიფიკაცია

ეს ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი, კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოებისათვის. მისი რატიფიკაცია მოხდება კონვენციის რატიფიკაციასთან ერთად ან მის შემდეგ. იგი ძალაში შედის რატიფიკაციის ათი სიგელის დეპონირების შემდეგ. იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც შემდგომ მოახდენს მის რატიფიკაციას, ოქმი ძალაში შედის რატიფიკაციის სიგელის დეპონირებისთანავე.

რატიფიკაციის სიგელის დეპონირება ხდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან, რომელიც ყველა წევრ სახელმწიფოს ატყობინებს, თუ ვინ მოახდინა ოქმის რატიფიკაცია.

შესრულებულია პარიზში, 1952 წლის 20 მარტს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე თანაბრად ავთენტიკურ ტექსტებად, ერთადერთ ცალად, რომელიც დაცული იქნება ევროპის საბჭოს არქივში. დამონმეხულ ასლებს გენერალური მდივანი უგზავნის ოქმის ხელმომწერ თითოეულ მთავრობას.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის

ოქმი №4

იმ უფლებათა და თავისუფლებათა უზრუნველყოფის შესახებ,
რომლებსაც არ მოიცავს კონვენცია და მისი პირველი ოქმი

სტრასბურგი, 1963 წლის 16 სექტემბერი

ქვემოთ ხელმომწერმა მთავრობებმა, არიან რა ევროპის საბჭოს წევრები,

გადანყვიტეს გადადგან ნაბიჯები გარკვეულ უფლებათა და თავისუფლებათა ერთობლივი უზრუნველყოფისათვის, რომელთაც არ მოიცავს 1950 წლის 4 ნოემბერს რომში ხელმონერილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (ამიერიდან მოიხსენიება, როგორც „კონვენცია“) I კარი, 1952 წლის 20 მარტს პარიზში ხელმონერილი მისი პირველი ოქმის 1–3 მუხლები

და თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1 - ვალაუვალობის გამო თავისუფლების აღკვეთის აკრძალვა

არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება მხოლოდ იმის გამო, რომ არ შესწევს უნარი შეასრულოს სახელმეკრულებო ვალდებულება.

მუხლი 2 - მიმოსვლის თავისუფლება

1. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება სახელმწიფოს ტერიტორიაზე, აქვს ამ ტერიტორიაზე მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლება.

2. ყველა თავისუფალია, დატოვოს ნებისმიერი, მათ შორის, საკუთარი ქვეყანა.

3. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაზე შეზღუდვის დანესება, გარდა იმისა, რომელიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნების, დანაშაულის თავიდან აცილების, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის ინტერესებისათვის ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

4. ზოგიერთ სივრცეში 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული უფლება ასევე შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვებს, რომლებიც შემოღებულია კანონის შესაბამისად და გამართლებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი ინტერესებით.

მუხლი 3 - მოქალაქეთა გაძევების აკრძალვა

1. არავინ შეიძლება გაძევებულ იქნეს ინდივიდუალური ან კოლექტიური ღონისძიებით იმ ქვეყნის ტერიტორიიდან, რომლის მოქალაქეც ის არის.
2. არავის შეიძლება აღეკვეთოს იმ ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლის უფლება, რომლის მოქალაქეც ის არის.

მუხლი 4 - უცხოელთა კოლექტიური გაძევების აკრძალვა

უცხოელთა კოლექტიური გაძევება აკრძალულია.

მუხლი 5 - ოქმის მოქმედება სივრცეში

1. ოქმის ხელმოწერის ან რატიფიკაციისას ან, შემდგომში, ნებისმიერ დროს, ყოველ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია განცხადება გაუგზავნოს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს იმის შესახებ, თუ რა ფარგლებში კისრულობს ის წინამდებარე ოქმის დებულებების გავრცელებას განცხადებაში მითითებულ იმ ტერიტორიებზე, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზეც ის არის პასუხისმგებელი.

2. ყოველ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს, რომელმაც წარადგინა განცხადება წინა პუნქტის შესაბამისად, შეუძლია დროგამოშვებით გააგზავნოს შემდგომი განცხადებანი, რომელიმე წინა განცხადებაში მითითებული პირობების შეცვლის ან რომელიმე ტერიტორიაზე ამ ოქმის დებულებათა გავრცელების შეწყვეტის შესახებ.

3. ამ მუხლის შესაბამისი განცხადება განიხილება, როგორც კონვენციის 56-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად წარდგენილი განცხადება.

4. ყოველი სახელმწიფოს ტერიტორია, რომელზეც ეს ოქმი ვრცელდება სახელმწიფოს მიერ მისი რატიფიკაციის ან მიღების საფუძველზე, და თითოეული ტერიტორია, რომელზეც ის ვრცელდება სახელმწიფოს მიერ ამ მუხლის შესაბამისად წარდგენილი განცხადების საფუძველზე, განიხილება სხვადასხვა ტერიტორიებად მე-2 და მე-3 მუხლებში მოხსენიებული სახელმწიფოს ტერიტორიის განმარტებისათვის.

5. ყოველ სახელმწიფოს, რომელმაც წარადგინა განცხადება ამ მუხლის 1-ლი ან მე-2 პუნქტის შესაბამისად, შემდგომში, ნებისმიერ დროს შეუძლია განცხადებაში მითითებული ერთი ან რამდენიმე ტერიტორიის მიმართ განაცხადოს, რომ აღიარებს სასამართლოს უფლებამოსილებას, კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირების, არასამთავრობო ორგანიზაციების ან ცალკეულ პირთა ჯგუფის საჩივრები ამ ოქმის ყველა ან 1-4 მუხლებთან დაკავშირებით.

მუხლი 6 - კონვენციასთან მიმართება

ამ ოქმის 1-ლ, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 მუხლებს მაღალი ხელშემკვრელი მხარეები განიხილავენ როგორც კონვენციის დამატებით მუხლებს და, მათთან მიმართებაში, კონვენციის ყველა დებულება გამოიყენება შესაბამისად.

მუხლი 7 - ხელმოწერა და რატიფიკაცია

1. ეს ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი, კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოებისათვის. მისი რატიფიკაცია მოხდება კონვენციის რატიფიკაციასთან ერთად, ან მის შემდეგ. იგი ძალაში შედის რატიფიკაციის ხუთი სიგელის დეპონირების შემდეგ. იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც შემდგომ მოახდენს მის რატიფიკაციას, ოქმი ძალაში შედის რატიფიკაციის სიგელის დეპონირებისთანავე.

2. რატიფიკაციის სიგელის დეპონირება ხდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან, რომელიც ყველა წევრ სახელმწიფოს აცყობინებს, თუ ვინ მოახდინა ოქმის რატიფიკაცია.

ამის დასტურად, ქვემოთ ხელმომწერებმა, რომლებიც აღჭურვილნი არიან სათანადო უფლებამოსილებით, ხელი მოაწერეს წინამდებარე ოქმს.

შესრულებულია სტრასბურგში, 1963 წლის 16 სექტემბერს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, თანაბრად ავთენტიკურ ტექსტებად, ერთადერთ ცალად, რომელიც დაცული იქნება ევროპის საბჭოს არქივში. დამონმებულ ასლებს გენერალური მდივანი უგზავნის ოქმის ხელმომწერ თითოეულ მთავრობას.

**ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა
დაცვის კონვენციის**

ო ქ მ ი №6

სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ

სტრასბურგი, 1983 წლის 28 აპრილი

ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები, რომლებმაც ხელი მოაწერეს 1950 წლის 4 ნოემბერს რომში ხელმოწერილ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (ამიერიდან მოიხსენიება, როგორც „კონვენცია“) ამ ოქმს, მიიჩნევენ, რომ ევროპის საბჭოს რამდენიმე წევრ სახელმწიფოში განხორციელებული წინსვლა, გამოხატავს სიკვდილით დასჯის გაუქმების საერთო ტენდენციას

და, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1 - სიკვდილით დასჯის გაუქმება

სიკვდილით დასჯა გაუქმებულია. არ შეიძლება ვინმესთვის სიკვდილის მისჯა ან მისჯილი სიკვდილის აღსრულება.

მუხლი 2 - სიკვდილით დასჯა ომიანობის დროს

სახელმწიფოს შეუძლია თავის კანონმდებლობაში გაითვალისწინოს სიკვდილით დასჯა ომის ან ომის გარდაუვალი საფრთხის დროს ჩადენილი ქმედებისათვის; ამგვარი სასჯელის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ამ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და მისი დებულებების შესაბამისად. სახელმწიფო აცნობებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ამ კანონმდებლობის შესაბამისი დებულებების შესახებ.

მუხლი 3 - უკან დახვევის აკრძალვა

დაუშვებელია ამ ოქმის დებულებებიდან კონვენციის მე-15 მუხლის საფუძველზე უკან დახვევა.

მუხლი 4 - დათქმების აკრძალვა

დაუშვებელია ამ ოქმის დებულებათა მიმართ კონვენციის 57-ე მუხლით გათვალისწინებული დათქმების გაკეთება.

მუხლი 5 - ოქმის მოქმედება სივრცეში

1. ოქმის ხელმოწერის, მისი რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების სიგელების დეპონირების დროს, ყოველ სახელმწიფოს შეუძლია განსაზღვროს ტერიტორია ან ტერიტორიები, რომელზეც გავრცელდება ეს ოქმი.

2. ყოველ სახელმწიფოს, შემდგომში, ნებისმიერ დროს, შეუძლია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის წარდგენილი განცხადებით, განავრცოს ამ ოქმის მოქმედება განცხადებაში მითითებულ ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე. ასეთი ტერიტორიის მიმართ ოქმი ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ განცხადების მიღების თარიღიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

3. ამ მუხლის წინა ორი პუნქტის შესაბამისად წარდგენილი ყოველი განცხადება, მასში მითითებული ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ, შეიძლება უკან იქნეს გატანილი გენერალური მდივნისათვის შეტყობინების მეშვეობით. განცხადების უკან გატანა ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

მუხლი 6 - კონვენციასთან მიმართება

ამ ოქმის 1–5 მუხლებს ხელშემკვრელი სახელმწიფოები განიხილავენ როგორც კონვენციის დამატებით მუხლებს და მათთან მიმართებაში კონვენციის ყველა დებულება გამოიყენება შესაბამისად.

მუხლი 7 - ხელმოწერა და რატიფიკაცია

ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი, კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოებისათვის. ის ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია ამ ოქმის რატიფიკაცია, მიღება ან დამტკიცება კონვენციის იმავდროული ან წინასწარი რატიფიკაციის გარეშე. რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების სიგელების დეპონირება ხდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

მუხლი 8 - ძალაში შესვლა

1. ეს ოქმი ძალაში შედის მის სავალდებულოდ აღიარებაზე ევროპის საბჭოს ხუთი წევრის მიერ მე-7 მუხლის შესაბამისად თანხმობის გამოხატვიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

2. იმ წევრი სახელმწიფოების მიმართ, რომლებმაც შემდგომ გამოხატეს თანხმობა ამ ოქმის სავალდებულოდ აღიარებაზე, ოქმი ძალაში შედის რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების სიგელის დეპონირების თარიღიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

მუხლი 9 - დეპოზიტარის ფუნქციები

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ევროპის საბჭოს წევრებს აცნობებს:

- a) ყოველი ხელმოწერის;
- b) რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების ყოველი სიგელის დეპონირების;
- c) მე-5 და მე-8 მუხლების შესაბამისად ამ ოქმის ძალაში შესვლის თარიღის;
- d) ამ ოქმთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა აქტის, შეტყობინებისა თუ მიმოწერის შესახებ.

ამის დასტურად, ქვემოთ ხელმოწერებმა, რომლებიც აღჭურვილნი არიან სათანადო უფლებამოსილებით, ხელი მოაწერეს წინამდებარე ოქმს.

შესრულებულია სტრასბურგში, 1983 წლის 28 აპრილს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, თანაბრად ავთენტიკურ ტექსტებად, ერთადერთ ცალად, რომელიც დაცული იქნება ევროპის საბჭოს არქივში. დამოწმებულ ასლებს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი უგზავნის ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს.

**ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა
დაცვის კონვენციის**

ო ქ მ ი №7

სტრასბურგი, 1984 წლის 22 ნოემბერი

ევროპის საბჭოს ნევრმა ქვემოთ ხელმომწერმა სახელმწიფოებმა,

გადაწყვიტეს გადადგან შემდგომი ნაბიჯები გარკვეულ უფლებათა და თავისუფლებათა ერთობლივი დაცვის უზრუნველყოფისათვის 1950 წლის 4 ნოემბერს რომში ხელმონერილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (ამიერიდან მოიხსენიება, როგორც „კონვენცია“) მეშვეობით

და თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1 - უცხოელთა გაძევებასთან დაკავშირებული პროცედურული გარანტიები

1. დაუშვებელია სახელმწიფოს ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრები უცხოელის გაძევება ამ სახელმწიფოდან სხვაგვარად, თუ არა კანონის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე და, ისე, რომ მას შეეძლოს:

- a) წარადგინოს მისი გაძევების საწინააღმდეგო არგუმენტები;
- b) გადაასინჯინოს მისი საქმე და
- c) ამ უფლებათა განხორციელებლად წარდგენილ იქნეს ხელისუფლების სათანადოდ უფლებამოსილი ორგანოს, ან მის მიერ დანიშნული ერთი ან რამდენიმე პირის წინაშე.

2. უცხოელი შეიძლება გაძევებულ იქნეს მის მიერ ამ მუხლის 1-ლი a, b და c პუნქტებით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებამდე, თუ ასეთი გაძევება აუცილებელია საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებისათვის, ან განპირობებულია ეროვნული უშიშროების მოსაზრებებით.

მუხლი 2 - სისხლის სამართლის საქმის გასაჩივრების უფლება

1. ყველას, ვინც სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის, აქვს უფლება, მისი მსჯავრდება ან მისთვის დანიშნული სასჯელი გადაასინჯინოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. ამ უფლების განხორციელება, იმ საფუძველების ჩათვლით, რომლებზე დაყრდნობითაც ის შეიძლება განხორციელდეს, მონესრიგებულია კანონით.

2. ამ წესიდან გამონაკლისი დასაშვებია მცირე მნიშვნელობის დანაშაულის მიმართ, როგორც იგი კანონით არის განსაზღვრული, ან როდესაც შესაბამისი პირი პირველი ინსტანციის წესით გასამართლებულია უმაღლესი

ინსტანციის სასამართლოს მიერ, ანდა მას ხელახლა დაედო მსჯავრი მის მიმართ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენის გადასინჯვის შედეგად.

მუხლი 3 - კომპენსაცია უსწორო მსჯავრდებისათვის

თუ საბოლოო გადაწყვეტილებით პირი მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულისათვის და შემდგომში მისი ეს მსჯავრდება გაუქმდა, ან სასჯელის მოხდისაგან ის გათავისუფლდა იმის გამო, რომ ახალმა ან ახლად გამოვლენილმა გარემოებებმა ცხადყო, რომ მის მიმართ მართლმსაჯულება გამრუდდა, ამგვარი მსჯავრდების გამო სასჯელისათვის მას მიეკუთვნება კომპენსაცია შესაბამის სახელმწიფოში მოქმედი კანონის ან დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, თუკი არ დამტკიცდება, რომ მანამდე უცნობი გარემოებების დროულად აღმოჩენის ან გამოვლენის შეფერხება მთლიანად ან ნაწილობრივ ამავე პირის მიზეზით მოხდა.

მუხლი 4 - ხელმეორედ გასამართლების ან დასჯის აკრძალვა

1. დაუშვებელია სისხლის სამართლის წესით პირის ხელმეორედ გასამართლება ან დასჯა ერთი და იმავე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში იმ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც ის ერთხელ უკვე იქნა საბოლოოდ გამართლებული ან მსჯავრდებული ამ სახელმწიფოს კანონისა და სისხლის სამართლის პროცედურის შესაბამისად.

2. წინა პუნქტის დებულებები ვერ დააბრკოლებს საქმის წარმოების განახლებას მოცემული სახელმწიფოს კანონისა და სისხლის სამართლის პროცედურის შესაბამისად, თუკი არსებობს ახალი ან ახლად გამოვლენილი გარემოებების მტკიცებულება, ან თუ საქმის წინარე განხილვა მოხდა არსებითი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა საქმის შედეგზე.

3. დაუშვებელია ამ მუხლიდან კონვენციის მე-15 მუხლით გათვალისწინებული უკან დახევა.

მუხლი 5 - მეუღლეთა თანასწორობა

მეუღლეები სარგებლობენ კერძო-სამართლებრივი ხასიათის თანაბარი უფლებებითა და მოვალეობებით ერთმანეთს შორის და შვილებთან ურთიერთობაში, როგორც დაქორწინების დროს, ისე ქორწინების განმავლობაში და მისი შეწყვეტის შემთხვევაში. ეს მუხლი ვერ დააბრკოლებს სახელმწიფოს, განახორციელოს ბავშვების ინტერესებისათვის აუცილებელი ღონისძიებანი.

მუხლი 6 - ოქმის მოქმედება სივრცეში

1. ოქმის ხელმოწერის, ანდა მისი რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების სივრცის დეკონირების დროს, ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია განსაზღვროს ტერიტორია ან ტერიტორიები, რომლებზეც გავრცელდება ოქმის მოქმედება და განაცხადოს, თუ რა ფარგლებში კისრულობს იგი ოქმის დებულებების გავრცელებას შესაბამის ტერიტორიასა თუ ტერიტორიებზე.

2. ყოველ სახელმწიფოს, შემდგომში, ნებისმიერ დროს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე წარდგენილი განცხადებით, შეუძლია განაგრძოს ამ ოქმის მოქმედება განცხადებაში მითითებულ ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე. ასეთი ტერიტორიის მიმართ ოქმი ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ განცხადების მიღების შემდეგ ორთვიანი ვადის ამონურვის თარიღიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

3. წინა ორი პუნქტის შესაბამისად წარდგენილი ნებისმიერი განცხადება, მასში მითითებული ყოველი ტერიტორიის მიმართ, შეიძლება უკან იქნას გატანილი ან შეცვლილი გენერალური მდივნისათვის შეტყობინების მეშვეობით. განცხადების უკან გატანა ან შეცვლა ამოქმედდება გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების შემდეგ ორთვიანი ვადის ამონურვის თარიღიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

4. ამ მუხლის შესაბამისი განცხადება განიხილება, როგორც კონვენციის 56-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული განცხადება.

5. ყოველი სახელმწიფოს ტერიტორია, რომელზეც ეს ოქმი ვრცელდება ამ სახელმწიფოს მიერ მისი რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების შედეგად, და თითოეული ტერიტორია, რომელზეც ის ვრცელდება სახელმწიფოს მიერ ამ მუხლის შესაბამისად წარდგენილი განცხადების საფუძველზე, განიხილება სხვადასხვა ტერიტორიებად 1-ლ მუხლში მოხსენიებული სახელმწიფოს ტერიტორიის განმარტებისათვის.

6. ყოველ სახელმწიფოს, რომელმაც გააკეთა განცხადება ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, შემდგომში, ნებისმიერ დროს, განცხადებაში მითითებული ერთი ან რამდენიმე ტერიტორიის მიმართ შეუძლია განაცხადოს, რომ აღიარებს სასამართლოს უფლებამოსილებას კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად მიიღოს ფიზიკური პირების, არასამთავრობო ორგანიზაციების ან ცალკეულ პირთა ჯგუფისაგან საჩივრები ამ ოქმის 1-5 მუხლებთან დაკავშირებით.

მუხლი 7 - კონვენციასთან მიმართება

ამ ოქმის 1-6 მუხლებს კონვენციის მხარე სახელმწიფოები განიხილავენ, როგორც კონვენციის დამატებით მუხლებს და, მათ მიმართ, კონვენციის ყველა დებულება გამოიყენება შესაბამისად.

მუხლი 8 - ხელმოწერა და რატიფიკაცია

ეს ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი, კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოებისათვის. ის ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია ამ ოქმის რატიფიკაცია, მიღება ან დამტკიცება კონვენციის იმავდროული ან წინასწარი რატიფიკაციის გარეშე. რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების სიგელების დეპონირება ხდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

მუხლი 9 - ძალაში შესვლა

1. ეს ოქმი ძალაში შედის მის სავალდებულოდ აღიარებაზე ევროპის საბჭოს შვიდი წევრი სახელმწიფოს მიერ მე-8 მუხლის შესაბამისად თანხმობის გამოხატვის შემდეგ ორთვიანი ვადის ამონაწერის თარიღიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

2. იმ წევრი სახელმწიფოს მიმართ, რომელმაც შემდეგ გამოხატა ოქმის სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობა, ოქმი ძალაში შედის რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების სიგელის დეპონირების შემდეგ ორთვიანი ვადის ამონაწერის თარიღიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

მუხლი 10 - დეპოზიტარის ფუნქციები

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ევროპის საბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოს აცნობებს:

- a) ყოველი ხელმოწერის;
- b) რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების ყოველი სიგელის დეპონირების;
- c) მე-6 და მე-9 მუხლების შესაბამისად ოქმის ძალაში შესვლის ყოველი თარიღის;
- d) ოქმთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა აქტის, შეტყობინებისა თუ მიმოწერის შესახებ.

ამის დასტურად, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთ ხელმომწერებმა, ხელი მოაწერეს წინამდებარე ოქმს.

შესრულებულია სტრასბურგში, 1984 წლის 22 ნოემბერს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, თანაბრად ავთენტიკურ ტექსტებად, ერთადერთ ცალად, რომელიც დაცული იქნება ევროპის საბჭოს არქივში. დამოწმებულ ასლებს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი უგზავნის ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის

ოქმი №12

რომი, 2000 წლის 4 ნოემბერი

ევროპის საბჭოს წევრი ქვემოთ ხელმომწერი სახელმწიფოები

ითვალისწინებენ ფუძემდებლურ პრინციპს, რომლის თანახმად, ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და სარგებლობს კანონით თანაბარი დაცულობის უფლებით;

მზად არიან გადადგან შემდგომი ნაბიჯები ადამიანთა თანასწორობის ხელშესაწყობად დისკრიმინაციის საერთო აკრძალვის ერთობლივი უზრუნველყოფის და 1950 წლის 4 ნოემბერს რომში ხელმოწერილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (ამიერიდან მოიხსენიება, როგორც „კონვენცია“) საფუძველზე;

კვლავ ადასტურებენ, რომ დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპი ვერ დააბრკოლებს მონაწილე სახელმწიფოებს, გაატარონ ღონისძიებები სრული და ეფექტიანი თანასწორობის ხელშესაწყობად, თუკი ამის ობიექტური და გონივრული გამართლება მოეპოვებათ.

და, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1 - დისკრიმინაციის საერთო აკრძალვა

1. კანონით დადგენილი ნებისმიერი უფლებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა სტატუსის განურჩევლად.

2. დაუშვებელია საჯარო ხელისუფლების მხრიდან ვინმეს დისკრიმინაცია 1-ლ პუნქტში აღნიშნული რომელიმე საფუძველით.

მუხლი 2 - ოქმის მოქმედება სივცეში

1. ოქმზე ხელმოწერის, მისი რატიფიკაციის, დამტკიცების ან მიღების სიგელის დეპონირების დროს, ყოველ სახელმწიფოს შეუძლია განსაზღვროს ტერიტორია ან ტერიტორიები, რომელზეც გავრცელდება ეს ოქმი.

2. ყოველ სახელმწიფოს, შემდგომში, ნებისმიერ დროს, შეუძლია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე წარდგენილი განცხადებით, განავრცოს ამ ოქმის მოქმედება განცხადებაში მითითებულ ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე. ასეთი ტერიტორიის მიმართ ეს ოქმი ძალაში შედის გენე-

რალური მდივნის მიერ განცხადების მიღების შემდეგ სამთვიანი ვადის ამონურვიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

3. წინა ორი პუნქტის შესაბამისად წარდგენილი ნებისმიერი განცხადება, მასში მითითებული ყოველი ტერიტორიის მიმართ შეიძლება უკან იქნეს გატანილი ან შეცვლილი გენერალური მდივნისათვის შეტყობინების მეშვეობით. განცხადების უკან გატანა ან შეცვლა ამოქმედდება გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების შემდეგ სამთვიანი ვადის ამონურვიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

4. ამ მუხლის შესაბამისი განცხადება განიხილება როგორც კონვენციის 56-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული განცხადება.

5. ყოველ სახელმწიფოს, რომელმაც გააკეთა განცხადება ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, შემდგომში, ნებისმიერ დროს, განცხადებაში მითითებული ერთი ან რამდენიმე ტერიტორიის მიმართ შეუძლია განაცხადოს, რომ აღიარებს სასამართლოს უფლებამოსილებას, კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად მიიღოს ფიზიკური პირების, არასამთავრობო ორგანიზაციების ან ცალკეულ პირთა ჯგუფისაგან საჩივრები ამ ოქმის 1-ლ მუხლთან დაკავშირებით.

მუხლი 3 - კონვენციასთან მიმართება

ამ ოქმის 1-ლ და მე-2 მუხლებს ხელშემკვრელი სახელმწიფოები განიხილავენ როგორც კონვენციის დამატებით მუხლებს და კონვენციის ყველა დებულებას მათთან მიმართებაში გამოიყენება შესაბამისად.

მუხლი 4 - ხელმოწერა და რატიფიკაცია

ეს ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი, კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოებისათვის. ის ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია ამ ოქმის რატიფიკაცია, მიღება ან დამტკიცება კონვენციის იმავდროული ან წინასწარი რატიფიკაციის გარეშე. რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების სიგელების დეპონირება ხდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

მუხლი 5 - ძალაში შესვლა

1. ეს ოქმი ძალაში შედის მის სავალდებულოდ აღიარებაზე ევროპის საბჭოს ათი წევრი სახელმწიფოს მიერ მე-4 მუხლის შესაბამისად თანხმობის გამოხატვის შემდეგ სამთვიანი ვადის ამონურვიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

2. იმ წევრი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც შემდგომში გამოხატავს ამ ოქმის სავალდებულოდ აღიარებაზე თავის თანხმობას, ოქმი ძალაში შედის რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების სიგელის დეპონირების შემდეგ სამთვიანი ვადის ამონურვიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

მუხლი 6 - დეპოზიტარის ფუნქციები

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ევროპის საბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოს აცნობებს:

- a) ყოველი ხელმოწერის;
- b) რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების ყოველი სიგელის დეპონირების;
- c) მე-2 და მე-5 მუხლების შესაბამისად, ამ ოქმის ძალაში შესვლის ყოველი თარიღის;
- d) ამ ოქმთან დაკავშირებულ ნებისმიერი სხვა აქტის, შეტყობინებისა თუ მიმოწერის შესახებ.

ამის დასტურად, ქვემოთ ხელმოწერებმა, რომლებიც აღჭურვილნი არიან სათანადო უფლებამოსილებით, ხელი მოაწერეს წინამდებარე ოქმს.

შესრულებულია რომში, 2000 წლის 4 ნოემბერს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, თანაბრად ავთენტიკურ ტექსტებად, ერთადერთ ცალად, რომელიც დაცული იქნება ევროპის საბჭოს არქივში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი დამოწმებულ ასლებს უგზავნის ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს.

**ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა
დაცვის კონვენციის**

ოქმი №13

სიკვდილით დასჯის ყველა ვითარებაში გაუქმების შესახებ

ვილნიუსი, 2002 წლის 3 მაისი

ევროპის საბჭოს წევრი, ქვემოთ ხელმომწერი სახელმწიფოები,

დარწმუნებულნი, რომ ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება ძირითადი ღირებულებაა დემოკრატიულ საზოგადოებაში, და რომ სიკვდილით დასჯის გაუქმება არსებითია ამ უფლების დაცვისა და ყველა ადამიანის თანაარსი ღირსების სრული აღიარებისათვის;

მოსურნენი, რომ გააძლიერონ სიცოცხლის უფლების დაცვა, რომელიც უზრუნველყოფილია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის 4 ნოემბერს რომში ხელმოწერილი კონვენციით (ამიერიდან მოიხსენიება როგორც „კონვენცია“);

აღნიშნავენ, რომ კონვენციის მე-6 ოქმი, რომელიც სიკვდილით დასჯის გაუქმებას შეეხება და ხელმოწერილია სტრასბურგში 1983 წლის 28 აპრილს, არ მოიცავს სიკვდილით დასჯის გაუქმებას ომის ან ომის გარდაუვალი საფრთხის დროს ჩადენილი ქმედებისათვის;

მტკიცე გადამწყვეტილებას იღებენ, ბოლო ნაბიჯი გადადგან სიკვდილით დასჯის ყველა ვითარებაში გასაუქმებლად,

და, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1 - სიკვდილით დასჯის გაუქმება

სიკვდილით დასჯა გაუქმებულია. არ შეიძლება ვინმესთვის სიკვდილის მისჯა ან მისჯილი სიკვდილის აღსრულება.

მუხლი 2 - უკან დახვევის აკრძალვა

დაუშვებელია ამ ოქმის დებულებებიდან კონვენციის მე-15 მუხლის საფუძველზე უკან დახვევა.

მუხლი 3 - დათქმების აკრძალვა

დაუშვებელია ამ ოქმის დებულებათა მიმართ კონვენციის 57-ე მუხლით გათვალისწინებული დათქმების გაკეთება.

მუხლი 4 - ოქმის მოქმედება სივრცეში

1. ოქმის ხელმოწერის, მისი რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების სიგელების დეპონირების დროს, ყოველ სახელმწიფოს შეუძლია განსაზღვროს ტერიტორია ან ტერიტორიები, რომელზეც გავრცელდება ეს ოქმი.

2. ყოველ სახელმწიფოს, შემდგომში, ნებისმიერ დროს შეუძლია, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის წარდგენილი განცხადებით, განავრცოს ამ ოქმის მოქმედება განცხადებაში მითითებულ ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე. ასეთი ტერიტორიის მიმართ ოქმი ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ ამ განცხადების მიღების თარიღიდან სამი თვის გასვლის შემდეგ, მომდევნო თვის პირველ დღეს.

3. ამ მუხლის წინა ორი პუნქტის შესაბამისად წარდგენილი ყოველი განცხადება, მასში მითითებული ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ შეიძლება უკან იქნეს გატანილი ან შეცვლილი გენერალური მდივნისათვის შეტყობინების მეშვეობით. განცხადების უკან გატანა ან შეცვლა ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ ამ შეტყობინების მიღების თარიღიდან სამი თვის გასვლის შემდეგ, მომდევნო თვის პირველ დღეს.

მუხლი 5 - კონვენციასთან მიმართება

ამ ოქმის 1–4 მუხლებს ხელშემკვრელი სახელმწიფოები განიხილავენ როგორც კონვენციის დამატებით მუხლებს და მათთან მიმართებაში კონვენციის ყველა დებულება გამოიყენება შესაბამისად.

მუხლი 6 - ხელმოწერა და რატიფიკაცია

ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი, კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოებისათვის. ის ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია ამ ოქმის რატიფიკაცია, მიღება ან დამტკიცება კონვენციის იმავდროული ან წინასწარი რატიფიკაციის გარეშე. რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების სიგელების დეპონირება ხდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

მუხლი 7 - ძალაში შესვლა

1. ეს ოქმი ძალაში შედის ევროპის საბჭოს ათი წევრი სახელმწიფოს მიერ მე-6 მუხლის შესაბამისად მის სავალდებულოდ აღარებაზე თანხმობის გამოხატვის თარიღიდან სამი თვის გასვლის შემდეგ, მომდევნო თვის პირველ დღეს.

2. იმ წევრი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც შემდგომ გამოხატავს თანხმობას ამ ოქმის სავალდებულოდ აღარებაზე, ოქმი ძალაში შედის რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების სიგელის დეპონირების თარიღიდან სამი თვის გასვლის შემდეგ, მომდევნო თვის პირველ დღეს.

მუხლი 6 - დეპოზიტარის ფუნქციები

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ევროპის საბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოს აცნობებს:

- a) ყოველი ხელმოწერის;
- b) რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების ყოველი სიგელის დეპონირების;
- c) მე-4 და მე-7 მუხლების შესაბამისად ამ ოქმის ძალაში შესვლის ყოველი თარიღის;
- დ) ამ ოქმთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა აქტის, შეტყობინებისა თუ მიმოწერის შესახებ.

ამის დასტურად ქვემოთ ხელმოწერებმა, რომლებიც აღჭურვილნი არიან სათანადო უფლებამოსილებით, ხელი მოაწერეს წინამდებარე ოქმს. შესრულებულია ვილნიუსში, 2002 წლის 3 მაისს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, თანაბრად ავთენტიკურ ტექსტებად, ერთადერთ ცალად, რომელიც დაცული იქნება ევროპის საბჭოს არქივში. დამოწმებულ ასლებს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი უგზავნის ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს.

შპს „ამატ-ჯი“ და მეზაღიშვილი საქართველოს წინააღმდეგ

CASE of “AMAT-G” and MEBAGHISHVILI v. GEORGIA (№2507/03)

2002 წლის 10 დეკემბერს შპს „ამატ-ჯი“ (განმცხადებელმა კომპანიამ) და საქართველოს მოქალაქე ვაჟა მეზაღიშვილმა (მეორე განმცხადებელმა) განაცხადით მიმართეს სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2005 წლის 27 სექტემბერს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№28537/02) და დაადგინა, რომ დარღვეულია კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და პირველი ოქმის I მუხლი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

1995 წელს “Amat Shipping Company Limited-მა” და მეორე განმცხადებელმა საქართველოში დააარსეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ამატ-ჯი.“ მეორე განმცხადებელი დაინიშნა აღნიშნული კომპანიის დირექტორად. „ამატ-ჯი“ აფრიკის ქვეყნებიდან საქართველოში თევზის პროდუქტის იმპორტს ეწეოდა. 1996-1998 წლებში კომპანიამ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების სახით გადაიხადა 1 000 000 აშშ დოლარზე მეტი (დაახლოებით 851861 ევრო), რის გამოც სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტმა იგი „მსხვილ გადამხდელად“ მიიჩნია. 1998-99 წლებში „ამატ-ჯი“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სხვადასხვა ფასად სხვადასხვა სახეობის თევზეულით ამარაგებდა. თავდაცვის სამინისტრომ „ამატ-ჯის“ თავისი დავალიანების მხოლოდ ნაწილი გადაუხადა. 1999 წლის 29 ოქტომბერს განმცხადებლებმა კონტრაქტის პირობების დარღვევისა და ამის შედეგად 662526 ლარის (296771 ევროს) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ სამოქალაქო სარჩელი აღძრეს თბილისის საოლქო სასამართლოში.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამენარმეო საქმეთა პალატამ 1999 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დააკმაყოფილა განმცხადებელი კომპანიის სარჩელი და თავდაცვის სამინისტროს კომპანიისათვის 254188 ლარის (113860 ევროს) ოდენობის კომპენსაციის გადახდა დაავალა. გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და 2000 წლის 6 იანვარს ძალაში შევიდა, როგორც სავალდებულო.

2000 წლის 22 მარტს განმცხადებლებმა იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო ბიუროს მიმართეს განცხადებით, რომლითაც ითხოვდნენ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას. 2000 წლის 23 მარტს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებელმა თავდაცვის სამინისტროს მოსთხოვა, ერთი თვის ვადაში ნებაყოფლობით დაეფარა განმცხადებელი კომპანიის მიმართ არსებული დავალიანება. ამ პერიოდის გასვლისთანავე სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ მიმართა იძულებითი აღსრულების ზომებს. მან იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ცენტრს გაუგზავნა იმ არასამხედრო ნაგებობათა სია, რომელთა გაყიდვაც ვალის დაფარვის მიზნით, სატენდერო წესით იყო შესაძლებელი. ეს იყო ერთადერთი მიღებული ზომა. 1999 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება ისევ აღსრულებელი დარჩა.

2000 წლის 10 ივლისს თავდაცვის სამინისტრომ განცხადებით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს, რომლითაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის თანახმად, 1999 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილების აღსრულების გადავადებას ითხოვდა, მაგრამ 2000 წლის 3 აგვისტოს საოლქო სასამართლომ თავდაცვის სამინისტროს თხოვნა არ დააკმაყოფილა და დაასკვნა, რომ „გადაწყვეტილების აღსრულების გადადება ზიანს მოუტანდა განმცხადებელი კომპანიის ინტერესებს და დაარღვევდა სამართლიანი, მიუკერძოებელი სასამართლოს პრინციპს“. სამინისტრომ ვალის გადახდა ვერც ამის შემდეგ შეძლო.

2001 წლის სექტემბერში კომპანია „ამატ-ჯიმ“, 1999 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილების აღსრულებლობით მიყენებული ზიანის გამო, სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე თავდაცვის, იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროების წინააღმდეგ მათი კოლექტიური პასუხისმგებლობის აღიარების მოთხოვნით სარჩელი შეიტანა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო პალატაში. კომპანიამ 1855621 აშშ დოლარისა (2036673 ევროს) და 41213 ლარის (18460 ევროს) ოდენობის ზიანის ანაზღაურება მოითხოვა.

საოლქო სასამართლომ 2002 წლის 20 თებერვალს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მოთხოვნის საფუძველზე სარჩელი არ დააკმაყოფილა. 2002 წლის 10 ივლისს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმცხადებელ კომპანიას უარი უთხრა საოლქო სასამართლოს 2002 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილების აპელაციაზე. 1999 წლის 6 დეკემბრის აღიარებული დავალიანება ჯერაც, ხუთნახევარი წლის შემდეგაც, გადაუხდელია.

სასამართლოს შეფასება

კონვენციის მე-6 მუხლის I პუნქტის სავარაუდო დარღვევა გადაწყვეტილების აღსრულებლობასთან დაკავშირებით

სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას, რომელიც არარეალური იქნებოდა, თუ ხელშემკვრელი სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა, რომ ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმედითად დარჩენილიყო. ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება, მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს.¹

სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ მიუღებელია, სასამართლო გადაწყვეტილებით აღიარებული დავალიანების გადაუხდელობის საბაზად სახელმწიფო ორგანო ფონდების უკმარისობას იმიზეზებდეს.² სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება დასაშვებია განსაკუთრებული გარემოებების შემთხვევაში, თუმცა ასეთმა შეჩერებამ არ უნდა შელახოს მე-6 მუხლის I პუნქტით მინიჭებული უფლება.³

¹ ჰორნსბი საბერძნეთის წინააღმდეგ, 19/031997, 1997-II, გვ.510, §40

² პოპოვი მოლდოვას წინააღმდეგ, №74153/01, §54, 18/01/2005; შმალკო უკრაინის წინააღმდეგ, №60750/00, §§44, 20.07.2004

³ პროდანი მოლდოვას წინააღმდეგ, №49806/99, §53, ECHR 2004

სასამართლო ასკვნის, რომ ასეთი სახელმწიფო დავალიანებების გადახდასთან დაკავშირებით მთავრობის №62 განკარგულება არ შეიძლება იყოს მიჩნეული განსაკუთრებულ გარემოებად, რის საფუძველზეც გამართლებული იქნებოდა ვალის დაუფარაობა ხუთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, რაც უკვე მოხდა აღნიშნულ შემთხვევაში.¹ შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ, სახელმწიფოს ფინანსური სირთულეების გამო, განმცხადებელ კომპანიას ხელი არ უნდა შეშლოდა, რათა ემოქმედა თავის სასარგებლოდ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებით, რასაც მისი ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

ვინაიდან საქართველოს ოფიციალურმა ორგანოებმა ხუთი წლისა და რვა თვის განმავლობაში ვერ უზრუნველყვეს 1999 წლის 6 დეკემბრის ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, კონვენციის მე-6 მუხლის 1 პუნქტში ჩამოყალიბებული დებულებები უშედეგო გახდა. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1 პუნქტი.

კონვენციის მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევა

სასამართლო, თავის მხრივ, მიუთითებს მის მიერ ზემოთ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე. ამ ფაქტების საფუძველზე სასამართლო ასკვნის, რომ კონვენციის მე-13 მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, განმცხადებელ კომპანიას არ ჰქონია შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალება იმ ზიანის ასანაზღაურებლად, რომელიც მას სასამართლო წარმოების შეფერხების გამო მიადგა.² შესაბამისად, დარღვეულია აღნიშნული მოთხოვნა.

პირველი ოქმის 1 მუხლის სავარაუდო დარღვევა

სასამართლო მიუთითებს, რომ პირველი ოქმის 1 მუხლის მთავარი მიზანია ადამიანის დაცვა სახელმწიფოს მხრიდან გაუმართლებელი ჩარევისაგან იმ უფლებაში, რომ მან მშვიდობიანად ისარგებლოს თავისი საკუთრებით.³ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, განმცხადებლის მიმართ მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობა წარმოადგენს საკუთრების მშვიდობიანი მიზნებით გამოყენების უფლებაში ჩარევას, როგორც ეს პირველი ოქმის 1 მუხლის პირველ წინადადებაშია გაცხადებული.⁴ მოცემულ შემთხვევაში მთავრობა სადავოდ არ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს 1999 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა განმცხადებლის განხორციელებადი მოთხოვნა, რაც პირველი ოქმის 1 მუხლის თანახმად, წარმოადგენს „საკუთრებას“.⁵ მთავრობამ ასევე აღიარა, რომ ჩაერია განმცხადებელი კომპანიის საკუთრების უფლებებში. უფლებებში ასეთი ჩარევა არც ექსპროპრიაციის ტოლფასია და არც –

¹ *Immobiliare Saffi v. Italy*, №22774/93, §§69-74, ECHR 1999-V

² ვოიტენკო უკრაინის წინააღმდეგ, №18966/02, §§46-48, 29/06/2004

³ ბრონიოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ, №31443/96, §143, ECHR 2004

⁴ ბაკალოვი უკრაინის წინააღმდეგ, №14201/02, §39, 30/11/2004

⁵ დიმიტრიოს გეორგიადის საბერძნეთის წინააღმდეგ, №41209/98, §31, 28/03/2000; ბურდოვი რუსეთის წინააღმდეგ, №59498/00, §40, ECHR 2002

საკუთრების გამოყენებაზე კონტროლი, არამედ შეესაბამება I მუხლის I პუნქტის პირველი წინადადების მოთხოვნას.¹

საკუთრებით მშვიდობიანად სარგებლობის უფლებაში სახელმწიფო ორგანოს ნებისმიერი ჩარევა კანონიერი უნდა იყოს. ეს პირველი ოქმის I მუხლის პირველი და უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა. პირველი პუნქტის მეორე წინადადება დასაშვებად მიიჩნევს ქონების ჩამორთმევას „კანონით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე“.² აქედან გამომდინარე, იმ საკითხის რელევანტურობის დასაბუთება – მიიღწევა თუ არა სამართლიანი თანაფარდობა საზოგადოების საყოველთაო ინტერესსა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის მოთხოვნებს შორის – შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც დადგინდება, რომ ეს ჩარევა კანონიერების მოთხოვნას აკმაყოფილებს და არ არის თვითნებური. ამ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოები ვალდებული იყვნენ, ჯერ კიდევ 2004 წლის 2 ივლისამდე, ანუ მთავრობის №62 განკარგულების მიღების დღემდე, აღესრულებინათ 1999 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომელიც ძალაში შევიდა 2000 წლის 6 იანვარს. განმცხადებელი კომპანიისათვის მის სასარგებლოდ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობა წარმოადგენდა თავისი საკუთრებით მშვიდობიანად სარგებლობის უფლებაში ჩარევას, რაზეც მიუთითებს პირველი ოქმის I მუხლის პირველი პუნქტი. მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე სარწმუნო არგუმენტი ამ ჩარევის გასამართლებლად. სასამართლო მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების აღუსრულებლობა საბიუჯეტო სახსრების უკმარისობის მოტივით გაუმართლებელია.

სასამართლო ყოველთვის ხაზს უსვამს, რომ კონვენციაში ცნებები – „კანონი“ და „კანონიერი“ – „უბრალოდ შიდასახელმწიფოებრივ კანონზე კი არ მიუთითებს, არამედ კანონის კრიტერიუმებსაც ეხება და მოითხოვს, რომ კანონი შეესაბამებოდეს კანონის უზენაესობის პრინციპს“.³ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მთავრობის განკარგულება ნორმატიული სამართლებრივი აქტების კატეგორიას (როგორებიცაა კონსტიტუცია, კანონები, დადგენილებები და ბრძანებულებები) არ განეკუთვნება; ის წარმოადგენს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს. ასეთი აქტი კანონიერია მხოლოდ ერთჯერადად და მისი დანიშნულება არ არის ზოგადი სახელმძღვანელო წესის განსაზღვრა მრავალჯერადი გამოყენებისათვის. ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი არც კანონმდებლობის ნაწილია. იგი შედგება საკანონმდებლო ან ქვე-საკანონმდებლო შინაარსის ნორმატიული აქტებისაგან. ინდივიდუალური აქტი ნორმატიულ აქტებს უნდა შეესაბამებოდეს, მისი გამოცემა შეიძლება მხოლოდ ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ საფუძველზე და ამ უკანასკნელით დადგენილ ვადებში. ამ შემთხვევაში სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავრობის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ შეიცავს რაიმე მინიშნებას იმაზე, რომ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გადადება და მთავრობის განკარგულებით სხვადასხვა აღიარებული დავალიანების გადახდის გადადება შეესაბამებოდა ან განისაზღვრებოდა მოცემულ პერიოდში მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ნორმატიული აქტით.

ნებისმიერ შემთხვევაში საჭიროა იმის მითითება, რომ დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი – კანონის უზენაესობა –

¹ დიმიტრიოს გეორგიადისის საქმე, №32

² იატრიდისი საბერძნეთის წინააღმდეგ, №31107/96, §58, ECHR 1999

³ ჯეიმსი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 21/02/1986, §67

კონვენციის ყველა დებულებაშია ასახული, როგორც განუყოფელი პირობა¹ და გულისხმობს სახელმწიფოს მოვალეობას, შეასრულოს მის წინააღმდეგ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებები თუ ბრძანებულებები.²

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე სასამართლო მიიჩნევს, რომ ჩარევა განმცხადებელი კომპანიის უფლებაში, მშვიდობიანად ისარგებლოს საკუთრებით, არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთ სამართლებრივ ზომად, რომელიც შეესაბამება კონვენციაში ჩამოყალიბებული კანონიერების მოთხოვნებს. ასეთ ვითარებაში სასამართლოს არ მოეთხოვება, დაადგინოს, შეესაბამებოდა თუ არა განმცხადებელი კომპანიის საკუთრებით მშვიდობიანად სარგებლობის უფლებაში ჩარევა კანონიერ მიზანს, ხოლო თუ შეესაბამებოდა, მიიღწეოდა თუ არა სამართლიანი თანაფარდობა მთავრობის მიერ შეთავაზებულ, საზოგადოების საყოველთაო ინტერესის საჭიროებებსა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის მოთხოვნებს შორის. შესაბამისად, სასამართლო ასკვნის, რომ დარღვეულია პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი.

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლო შემადგენლობამ ერთხმად დაადგინა, რომ დარღვეულია კონვენციის მე-6 მუხლის I პუნქტი, კონვენციის მე-13 მუხლი და პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი.

სახელმწიფოს დაეკისრა 200 000 ევროს გადახდა განმცხადებლის სასარგებლოდ.

¹ ზვოლსკი და ზვოლსკა ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, №46129/99, §65, ECHR 2002-IX

² ანტონეტო იტალიის წინააღმდეგ, №15918/89, §35, 20/07/2000

**მოსამართლე გულარონის თანმხვედრი აზრი
საქმეზე შპს „ამატ-ჯი“ და მებაღიშვილი საქართველოს
წინააღმდეგ¹**

ვეთანხმები უმრავლესობის დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I პუნქტი და პირველი ოქმის I მუხლი. მიუხედავად ამისა, მსურს მოგახსენოთ შემდეგი:

მთავრობის მტკიცების საწინააღმდეგოდ, ნათელია, რომ მთავრობის აქტი საკანონმდებლო ღონისძიებას არ წარმოადგენს. ასევე, ნათელია ისიც, რომ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მთავრობის განკარგულება ნორმატიულ-სამართლებრივ აქტთა კატეგორიას არ განეკუთვნება და წარმოადგენს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს, რომელიც მხოლოდ ერთჯერადად არის კანონიერი და მისი დანიშნულება არ არის ზოგადი სახელმძღვანელო წესის განსაზღვრა მრავალჯერადი გამოყენებისათვის.

აღნიშნული გარემოება საკმარის საფუძველს მაძლევს დავასკვნა, რომ 2004 წლის 2 ივლისიდან მოყოლებული განმცხადებელი კომპანიის უფლებაში ჩარევა, საკუთრების მშვიდობიან გამოყენებასთან დაკავშირებით, პირველი ოქმის I მუხლის მოთხოვნებით არ იყო კანონიერი. ამის მიუხედავად, გარკვეულწილად მიჭირს, დავეთანხმო უმრავლესობას იმ საკითხში, რომ სახელისუფლო ორგანოების მხრიდან განმცხადებელი კომპანიის უფლებაში ჩარევის მეორე მცდელობას, მშვიდობიანად გამოყენებინა თავისი საკუთრება, მოჰყვა კამათის საგნად ქცეული მთავრობის განკარგულება.

ჩემი რწმენით, ეს საქმე უნდა განვასხვაოთ იმ სასამართლო გადაწყვეტილებებისაგან, რომლებიც გამოტანილია საქმეებზე: *Stran Greek Refineries* და *სტრატის ანდრეადისი საბერძნეთის წინააღმდეგ²* და *ანტონაკოპოლოსი, ვორცელა და ანტონაკოპულუ საბერძნეთის წინააღმდეგ³*, ორი მნიშვნელოვანი გარემოების გამო: ჯერ ერთი, ამ საქმეებისაგან განსხვავებით, განაცხადის თანახმად, მოპასუხე მთავრობას არასოდეს უარუყვია განმცხადებელი კომპანიისათვის გადასახდელი დავალიანების არსებობა.

მეორეც, სახელმწიფო დონეზე არ არსებობდა რაიმე მცდელობა, რომ კანონმდებლობის გზით გაეუქმებინათ სახელმწიფო სასამართლოების მიერ აღიარებული საკუთრების უფლება. იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ, სახსრების სიმწირის გამო, ყველა აღიარებული ვალის ერთდროულად გადახდა არარეალური იყო, საქართველოს მთავრობამ დანერგა გადაუხდელი ვალების თანდათანობითი დაფარვის მექანიზმი – სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე დაანესა რიგითობა. მიმაჩნია, რომ, თუ ღრმა ეკონომიკური კრიზისის გამო, ქვეყანა რთულ ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფება და არ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები აღიარებული ვალების ერთდროულად დაფარვის უზრუნველსაყოფად, მოპასუხე მხარის მიერ კანონიერი დროებითი ღონისძიების გატარება, რომლის მიზანი ყველა გადასახდელი ვალის თანდათანობითი დაფარვაა,

¹ კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თუ განჩინება მთლიანად, ან ნაწილობრივ არ გამოხატავს მოსამართლეთა ერთმხრივ აზრს, ნებისმიერი მოსამართლე უფლებამოსილია, მას დაურთოს ცალკე აზრი. ევროპული სასამართლოს რეგლამენტის 74-ე წესის მე-2 პუნქტის თანახმად, ნებისმიერი მოსამართლე, რომელმაც მონაწილეობა მიიღო საქმის განხილვაში, უფლებამოსილია, დაურთოს განაჩენს როგორც თავისი განცალკევებული მოსაზრება, რომელიც თანმხვედრი ან განსხვავებულია განაჩენისაგან, ასევე – მხოლოდ განცხადება, რომ იგი არ ეთანხმება განაჩენს.

² განაცხადი №301-B, 09.12.1994

³ განაცხადი №37098/97, 14.12.1999

უბრალოდ, უგულვებელყოფილი არ უნდა იქნეს, როგორც არაგონივრული ან „უკანონო“ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ის ადამიანის საკუთრების ფლობის უფლებაში ჩარევის მიუღებელ მცდელობად ჩაითვლება. ვიზიარებ იმ აზრს, რომ ასეთ ვითარებაში აღიარებული ვალების დაფარვისას რიგითობის შემოღება მოპასუხე მხარის გონივრულ გადაწყვეტილებად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან მას, პრინციპში, საერთაშორისო სასამართლოზე უკეთ ძალუძს შეაფასოს, მოსახლეობის რომელი ნაწილი დაზიანდება უფრო მეტად გადასახადის დაგვიანების გამო. სრულიად თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მსგავსი ჩარევა, შესაძლებელია, კანონიერ მიზანს ემსახურებოდეს. დასადგენია ის საკითხი, მიიღწევა თუ არა სამართლიანი თანაფარდობა საზოგადოების საყოველთაო ინტერესსა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის მოთხოვნებს შორის.

ასევე მიჭირს, დავეთანხმო უმრავლესობის კიდევ ერთ მოტივს პირველი ოქმის I მუხლის დარღვევის აღიარების საფუძვლად კამათის საგნად ქცეული განკარგულების „უკანონოდ“ მიჩნევასთან დაკავშირებით, კერძოდ, იმ ნაწილში, რომ ის განმცხადებელ კომპანიას არ აძლევდა საშუალებას, განეჭვრიტა, ზუსტად როდის იქნებოდა გადახდილი მისი ვალი. უნდა შევნიშნო, რომ რამდენიმე სახელმწიფოში არსებული ვალაუვალობის კანონი (რომლებიც, როგორც ასეთი, გარკვეულ ქვეყნებში მხოლოდ კერძო კომპანიებს არ ეხება) ძნელად თუ დააკმაყოფილებდა სიზუსტისა და განჭვრეტადობის მოთხოვნებს, კრედიტორთა გადასახადების დაფარვის ზუსტი დროის დადგენის თვალსაზრისით.

ყოველივე ამის შემდეგ, თუმცა ვიცი, რომ ეს სასამართლო, ჩვეულებრივ, როდესაც თვლის, რომ ჩარევა „უკანონიერი“ არ არის, არ ახდენს საქმის შემდგომ გადახედვას იმის დასადგენად, იქნა თუ არა მიღწეული სამართლიანი თანაფარდობა საზოგადოების საყოველთაო ინტერესსა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის მოთხოვნებს შორის, მაინც ვისურვებდი ამ საკითხზე კიდევ ერთი მოსაზრების გამოთქმას.

ამ სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ნათლად მიუთითებს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებით აღიარებული დავალიანების გადაუხდელობის საბაზად ფონდების უკმარისობის მომიზეზება სახელმწიფო ორგანოს მხრიდან მიუღებელია. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დასაშვებია სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების დაგვიანება განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუმცა ასეთმა დაგვიანებამ არ უნდა ავნოს მე-6 მუხლის I ნაწილით მინიჭებული უფლების მოთხოვნას.¹ იგივე პრინციპი უდევს საფუძვლად პირველი დამატებითი ოქმის I მუხლს: დაგვიანებამ არ უნდა ავნოს ამ დებულებით მინიჭებული უფლების მოთხოვნას.

შესაბამისად, ჩემი დასკვნა ასეთია: 2004 წლის 2 ივლისიდან მოყოლებული განმცხადებელი კომპანიის უფლებაში ჩარევა საკუთრებით მშვიდობიანად სარგებლობასთან დაკავშირებით, ამ საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, უკანონო იყო, თუმცა, დავძენ, რომ, ძალაში შესული გადაწყვეტილების ხუთ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში აღუსრულებლობის გამო, სამართლიანი თანაფარდობა საზოგადოების საყოველთაო ინტერესის მოთხოვნებსა და განმცხადებელი კომპანიის საკუთრების ფლობის უფლების დაცვის მოთხოვნას შორის არ იქნა მიღწეული.

¹ ბურდოვი რუსეთის წინააღმდეგ, №59498/00, §35, CEDH-2002-III, §48

შპს „იზა“ და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ
CASE of “IZA” Ltd and MAKRAKHIDZE v. GEORGIA (№28537/02)

2002 წლის 30 მაისს შპს „იზამ“ (განმცხადებელმა კომპანიამ) და საქართველოს მოქალაქე ნოდარ მაკრახიძემ (მეორე განმცხადებელმა) განაცხადით მიმართეს სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2005 წლის 27 სექტემბერს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№28537/02) და ერთსულოვნად დაადგინა, რომ დარღვეულია კონვენციის მე-6 მუხლის 1 ნაწილი, მე-13 მუხლი და პირველი ოქმის 1 მუხლი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებელი კომპანია კასპის რაიონული სასამართლოს 1995 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე დარეგისტრირებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად. მეორე განმცხადებელი დაიბადა 1956 წელს და ცხოვრობს თბილისში.

1998 წლის 23 ივლისს მეორე განმცხადებელმა – სამშენებლო კომპანია შპს „იზას“ დამფუძნებელმა და დირექტორმა სახელმწიფო სკოლასთან ხელი მოაწერა კონტრაქტს რემონტის ჩატარების თაობაზე. კონტრაქტი უზრუნველყოფდა განათლების სამინისტროს ბიუჯეტიდან 117514 ლარის (53892,50 ევროს) გადარიცხვას განმცხადებელი კომპანიის ანგარიშზე. სანაცვლოდ, განმცხადებელმა კომპანიამ ივალდებულა სკოლის რემონტის ჩატარება. იმის მიუხედავად, რომ 1998 წლის აგვისტოსათვის განმცხადებელ კომპანიას უკვე ჰქონდა შესრულებული 13000 ლარის (5965 ევროს) შესაბამისი სარემონტო სამუშაოები, განათლების სამინისტრომ კომპანიის ანგარიშზე მხოლოდ 5800 ლარი (2661 ევრო) გადარიცხა. საგადასახადო სამსახურმა განმცხადებელი კომპანიისა და პირადად მეორე განმცხადებლის წინააღმდეგ აღძრა საქმე 30735 ლარის (14104 ევროს) გადახდის მოთხოვნით. განმცხადებელთა მტკიცებით, გადახდის მოთხოვნა ეფუძნებოდა გადასახადის საერთო ოდენობას, რომელიც მათთვის უნდა გადაეხადათ 1998 წლის 23 ივლისის კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოსათვის, სინამდვილეში განმცხადებელმა კომპანიამ მხოლოდ ნაწილობრივი დაფინანსება მიიღო.

კასპის რაიონულმა სასამართლომ 2001 წლის 23 იანვარს ნაწილობრივ დააკმაყოფილა საგადასახადო ორგანოების მოთხოვნა. რაიონულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოთხოვნა განმცხადებელი კომპანიისათვის 26388 ლარის (12106 ევროს) ოდენობის გადასახადის დაკისრებაზე, ვინაიდან ჩათვალა ის დაუსაბუთებლად და იმავდროულად, მეორე განმცხადებლის მიერ ჯერ კიდევ 1998 წლის 22 აპრილისათვის (განათლების სამინისტროსთან კონტრაქტის გაფორმებამდე დიდი ხნით ადრე) სახელმწიფო ბიუჯეტისადმი არსებული დავალიანების აღიარების გათვალისწინებით, პირადად მეორე განმცხადებელს დაავალა, გადაეხადა დამატებითი ღირებულების გადასახადის დავალიანება 4347 ლარის (1994 ევროს) ოდენობით.

განმცხადებელმა კომპანიამ, რომელსაც წარმოადგენდა მეორე განმცხადებელი, სარჩელი შეიტანა განათლების სამინისტროს წინააღმდეგ შესრულებული სამუშაოსათვის დარჩენილი თანხის – 7200 ლარისა (3304 ევროს) და პირადად მეორე განმცხადებლისთვის დაკისრებული საგადასახადო დავალიანების – 4347 ლარის (1994 ევროს) გადახდის მოთხოვნით, რადგან

სამინისტრომ ვერ შეძლო კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ 2001 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით სრულად დააკმაყოფილა განმცხადებელი კომპანიის მოთხოვნები.

2001 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და, შესაბამისად, 2001 წლის 14 ივნისს ის ძალაში შევიდა, როგორც სავალდებულო. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე 2001 წლის 2 ივლისს რაიონულმა სასამართლომ გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც, განათლების სამინისტრო ვალდებული იყო, განმცხადებელი კომპანიისათვის გადაეხადა 11628 ლარი (5332 ევრო), მაგრამ ბრძანება არ აღსრულებულა. 2002 წლის 19 აპრილს მეორე განმცხადებელმა, განმცხადებელი კომპანიის სახელით, მიმართა იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო ბიუროს და მისგან სასამართლოს 2001 წლის 14 მაისის გადაწყვეტილების აღსრულება ითხოვა. პასუხად 2002 წლის 13 მაისს სააღსრულებო ბიუროს უფროსმა მას აუხსნა, რომ სახელმწიფო საბიუჯეტო დანესებულებათა წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებათა აღსრულება სააღსრულებო ორგანოებისათვის კვლავაც ერთ-ერთ ურთულეს საკითხად რჩებოდა. მას განმცხადებლისათვის არ მიუწოდებია რაიმე ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ კონკრეტულად როდის იქნებოდა მოსალოდნელი გადაწყვეტილების აღსრულება. მეორე განმცხადებელმა 2002 წლის 29 ოქტომბერს კვლავ მიმართა იუსტიციის სამინისტროს, ამჯერად – პირადად იუსტიციის მინისტრს და გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება მოითხოვა. ეს მოთხოვნაც უპასუხოდ დარჩა. იმავე დღეს, 2002 წლის 29 ოქტომბერს, მეორე განმცხადებელმა სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლის თანახმად, გენერალურ პროკურატურას მიმართა ძალაში შესული გადაწყვეტილების აღუსრულებლობის გამო სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნით, მაგრამ 2002 წლის 27 დეკემბერს განმცხადებელს უარი ეთქვა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

2002 წლის 10 ნოემბერს კასპის რაიონულმა საგადასახადო სამსახურმა №35 შეტყობინების საფუძველზე განმცხადებელ კომპანიას დააკისრა ჯარიმა 74500 ლარის (34174 ევროს) ოდენობით, მეორე განმცხადებლის მიერ 4347 ლარის (1994 ევროს) ოდენობის დაუფარავი საგადასახადო დავალიანების გამო დაგროვილი გადასახადის სახით, მაგრამ, განმცხადებელი კომპანიის სასამართლო დავის გამო, კასპის რაიონულმა სასამართლომ შეტყობინება ბათილად ცნო. თბილისის საოლქო სასამართლომ 2003 წლის 5 მაისს ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. შეტყობინების ბათილად ცნობასთან ერთად სასამართლომ საგადასახადო სამსახურს დაავალა, ფაქტების საფუძველიანი გადახედვისა და ხელახლა შეფასების შემდეგ მიეღო ახალი ადმინისტრაციული აქტი.

სასამართლოს შეფასება

კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის სავარაუდო დარღვევა გადაწყვეტილების აღუსრულებლობასთან დაკავშირებით

სასამართლო კვლავ აღნიშნავს, რომ სამართლიანი განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას, რომელიც არარეალური იქნებოდა, თუ კონტრაქტორი სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა, ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ მიჩნეულიყო არაქმედითად. ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვე-

ტილების აღსრულება, კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს.¹ მიუხედავად ამისა, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება გარკვეული ვადით, საზოგადოებრივ წესრიგთან დაკავშირებული სირთულეების მოგვარების აუცილებლობიდან გამომდინარე, შესაძლებელია, გამართლებული იყოს განსაკუთრებულ შემთხვევაში.² სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებელ კომპანიას ხელი არ უნდა შეშლოდა, გამოეყენებინა მის სასარგებლოდ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება, რასაც სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა მისი ფუნქციონირებისათვის.

საქართველოს ოფიციალური ორგანოების მიზეზით, კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის მოთხოვნები სრულიად უშედეგო გახდა, რადგან მათ ოთხ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ვერ უზრუნველყვეს ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. შესაბამისად, ამით დაირღვა მე-6 მუხლის I ნაწილი.

კონვენციის მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევა

სასამართლო მიუთითებს, რომ მის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებები ამონურულია. იმავე საფუძველზე სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებელ კომპანიას არ ჰქონია შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალება, როგორც ამას კონვენციის მე-13 მუხლი ითხოვს, იმ ზიანის ასანაზღაურებლად, რომელიც მას სასამართლო წარმოების შეფერხების გამო მიაღდა. შესაბამისად, ამით დარღვეულია აღნიშნული პირობა.

პირველი დამატებითი ოქმის I მუხლის სავარაუდო დარღვევა

სასამართლო პრეცედენტულ სამართალზე მითითებით აღნიშნავს, რომ განმცხადებლის მიმართ მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღუსრულებლობა წარმოადგენს საკუთრებით მშვიდობიანად სარგებლობის უფლებაში ჩარევას, როგორც ეს პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის I ნაწილშია ჩამოყალიბებული.³

სასამართლო ასკვნის, რომ მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი კომპანიისათვის 2002 წლის 7 ივნისიდან დღემდე მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღუსრულებლობა წარმოადგენდა საკუთრების მშვიდობიანი სარგებლობის უფლებაში ჩარევას, რაზეც მიუთითებს პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის პირველი აბზაცი. მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე არგუმენტი ამ ჩარევის გასამართლებლად. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ ასევე დარღვეულია პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლო შემადგენლობამ ერთხმად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი, მე-13 მუხლი და პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი.

სახელმწიფოს დაეკისრა 10 000 ევროს გადახდა განმცხადებლის სასარგებლოდ.

¹ ბურდოვი რუსეთის წინააღმდეგ, №59498/00, §34, ECHR 2002-III; ჰორნსბი საბერძნეთის წინააღმდეგ, 19/03/1997, 1997-II, გვ.510, §40

² პროდანი მოლდოვას წინააღმდეგ, №49806/99, §53, ECHR 2004

³ ბურდოვის საქმე, §40; ბაკალოვი უკრაინის წინააღმდეგ, № 14201/02, §39, 30/11/2004

დონაძე საქართველოს წინააღმდეგ
CASE of DONADZE v. GEORGIA (№74644/01)

2000 წლის 12 ოქტომბერს გივი დონაძემ განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2006 წლის 7 მარტს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№74644/01) და ერთხმად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებელი გივი დონაძე საქართველოს მოქალაქეა. ის გამოჩენილი ინჟინერია და მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტში. ხელმძღვანელობასთან გართულებული ურთიერთობის გამო მან ითხოვა რობოტექნიკის დეპარტამენტში გადასვლა. მისი გადაყვანა გადაწყდა 1991 წელს, მაგრამ განმცხადებელი ვერ უზრუნველყვეს შესაბამისი კაბინეტითა და ლაბორატორიით.

1999 წლის ოქტომბერში განმცხადებელმა სარჩელი აღძრა ინსტიტუტის დირექტორის წინააღმდეგ. ის ჩიოდა, რომ 1991–დან 1998 წლამდე მას არ ჰქონდა საშუალება, ინსტიტუტის ახალ შენობაში ესარგებლა თავისი კაბინეტით, ხოლო მას შემდეგ, რაც გადაეცა სამუშაო კაბინეტი, ორი წლის მანძილზე ვერ შეძლო ლაბორატორიის დამონტაჟება. 1999 წელს, ომის ვეტერანთა შესახებ აქტის მე-19 მუხლის უხეში დარღვევით, შტატების შემცირების საფუძველზე ის გაათავისუფლეს სამსახურიდან, რის შედეგადაც მან დაკარგა ხელფასი, რომელიც 1997 წლიდან უნდა აეღო.

პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა, რაც გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლომ უარი თქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ სარჩელი არ იყო დასაბუთებული. 2000 წლის 26 ივლისს უზენაესმა სასამართლომ უარი თქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. განმცხადებელი ჩივის, რომ მის მიმართ დარღვეულია კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

სასამართლოს მტკიცებულებები

საქმის კონკრეტული გარემოებების განხილვის შემდეგ სასამართლო ასკვნის, რომ საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოების გადაწყვეტილებები მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სიტყვასიტყვით იმეორებს მონინააღმდეგე მხარის ნათქვამს და არ ჩანს, რომ განმცხადებლის მოთხოვნები გულდასმით იქნა განხილული. ზოგიერთი თარიღისა და ფაქტების ერთმანეთში არევიტ, სასამართლოები განმცხადებელს მიაწერენ მისი მოთხოვნების საპირისპირო მტკიცებას.

სასამართლო აღნიშნავს, რომ არც ერთმა შიდა ინსტანციის სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო შემდეგი გარემოება: განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ 1991-1998 წლებში ინსტიტუტის ახალ შენობაში სამუშაო ადგილი არ ჰქონდა, მისი მიღების შემდეგ კი ორი წლის განმავლობაში ძველი ლაბორატორია ახალ კაბინეტში ვერ დაამონტაჟა, ხოლო „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა შესახებ“ კანონის მე-19 მუხლის დარღვევით

შემცირების გამო, დამქირავეებელმა გასათავისუფლებელ პირთა სიაში ჩანერა, რასაც შედეგად მოჰყვა ხელფასის დანამატების გაუქმება, რომლითაც იგი სარგებლობდა 1997 წლიდან. შიდა ინსტანციის სასამართლოებმა დაასკვნეს, რომ განმცხადებელი 1997 წლიდან სარგებლობდა ხელფასის დანამატით, ხოლო 1998 წლიდან მას ჰქონდა სამუშაო კაბინეტი ინსტიტუტის ახალ შენობაში, მაშინ, როდესაც განმცხადებლის მიერ სადავოდ გამხდარი საკითხები არასდროს ეხებოდა ამ ფაქტებს.

ზემოხსენებულის გარდა, სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ უარი განაცხადა განმცხადებლის დამატებითი მოთხოვნის მიღებაზე, რაც ახსნა განმცხადებლის მიერ ზოგიერთ არგუმენტზე სათანადო მტკიცებულებების წარმოუდგენლობით. იმ მტკიცებულებებს, რომლებიც თან ერთვის სადავოდ გამხდარ დამატებით მოთხოვნას, უზენაესმა სასამართლომ საკასაციო წესით განხილვისას პასუხი არ გასცა.

ზემოაღნიშნულის მხედველობაში მიღებით სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლო გადანყვეტილების დასკვნები არ ადასტურებს შიდა ინსტანციების მიერ განმცხადებლის არგუმენტების სიღრმისეულ და სერიოზულ განხილვას; სასამართლოები დაეყრდნენ განმცხადებლის მტკიცებულებებს, რომლებიც მან წარმოადგინა მოწინააღმდეგე მხარის მიმართ და ამით დაასაბუთეს განმცხადებლის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, თუმცა მაშინაც, როცა სასამართლოები არ არიან ვალდებული, მიუთითონ მხარის თითოეული არგუმენტის რეაგირების გარეშე დატოვების მოტივებზე,¹ ისინი ვალდებული არიან, ჯეროვნად განიხილონ და უპასუხონ დაინტერესებული მხარის მთავარ არგუმენტებს.

ამ ნაკლოვანებებმა და ასევე სააპელაციო სასამართლოს მიერ დამატებითი მოთხოვნის განხილვაზე უარის თქმამ, განმცხადებელი ჩააყენა აშკარად არახელსაყრელ და არათანაბარ მდგომარეობაში მოწინააღმდეგე მხარესთან. მთავრობის შეხედულებები, რომლებსაც თან არ ახლავს დოკუმენტური მტკიცებულებები, არ იძლევა განსხვავებული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, ამასთან, სიტყვა-სიტყვით იმეორებს სადავო გადანყვეტილებებს და ვერ არწმუნებს სასამართლოს. აქედან გამომდინარე, სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებლის არგუმენტები შიდა სასამართლოებმა ეფექტურად არ მოისმინეს, მათ არ უზრუნველყვეს მისთვის სამართლიანი სასამართლოს უფლება, კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის თანახმად. შესაბამისად, ეს მუხლი დარღვეულია. განმცხადებელი თავს შეურაცხყოფილად მიიჩნევს მოსამართლეთა დაუდევარი და უპატივცემულო მოპყრობის გამო, რამაც მასში გამოიწვია უნდობლობა და გაღიზიანება. ის სასამართლოს ყურადღებას ამახვილებს მოსამართლე ნ. დ-ს ქცევაზე, რომელმაც საქმე განიხილა პირველ ინსტანციაში.

წარმოდგენილი გარემოებების მხედველობაში მიღებით სასამართლო არ უარყოფს, რომ მოსამართლეთა დაუდევარ მოპყრობას, ასევე ქ-ნ ნ. დ-ს შემამფოთებელ მოურიდებლობას შეეძლო, დაენგრია განმცხადებლის ნდობა სამართლიან სასამართლოზე. ამასთან, ზემოთ მითითებული დარღვევის მხედველობაში მიღებით, სასამართლოს ზედმეტად მიაჩნია, დაადგინოს, დაირღვა თუ არა ამ მხრივ მე-6 მუხლის პირველი ნაწილი.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო შემადგენლობამ ერთხმად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I პუნქტი.

სახელმწიფოს დაეკისრა 3 500 ევროს გადახდა განმცხადებლის სასარგებლოდ.

¹ *Kaufman c. Belgique (dec)*, 09/12/1994, §29

**დავითიანი საქართველოს წინააღმდეგ
CASE of DAVTYAN v. GEORGIA (№73241/01)**

2001 წლის 24 მაისს კარენ დავითიანმა განაცხადით მიმართა სტრას-ბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2006 წლის 27 ივლისს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№73241/01) და ერთსულოვნად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი არასრულყოფილი და არაეფექტური გამოძიების გამო.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებელი კარენ დავითიანი საქართველოს მოქალაქეა. იგი 2005 წლის 9 სექტემბრამდე სასჯელს იხდიდა საქართველოში, ქალაქ რუსთავში. 1999 წლის 10 მარტს ხელისუფლების შესაბამის ორგანოთა მიერ ყაჩაღობის ბრალდებით (სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული) აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. განმცხადებელი ბრალდებულად ცნეს, მაგრამ მისი დაკავება ვერ მოხერხდა. 1999 წლის 28 აპრილს ისანი-სამგორის რაიონულმა სასამართლომ წინასწარი პატიმრობის სახით აღმკვეთი ღონისძიება შეუფარდა განმცხადებელს, „რომელიც ემალებოდა გამოძიებას“. იმავე დღეს საგამოძიებო ორგანოებმა გასცეს ბრძანება განმცხადებლის ძებნის შესახებ.

1999 წლის 14 ივნისს განმცხადებელი იმყოფებოდა თბილისის ერთ-ერთი ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე. იგი ამოიცნო იმ ორმა მოვაჭრემ, რომლებიც ზემოხსენებულ სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულად იყვნენ ცნობილი. აღნიშნულის შესახებ მათ პოლიციას აცნობეს. განმცხადებელი დაუყოვნებლივ დააკავეს და მოათავსეს სამგორის რაიონის პოლიციის წინასწარი პატიმრობის იზოლატორში.

1999 წლის 9 ნოემბერს ბრალდებულმა კ. დავითიანმა განცხადებით მიმართა რაიონის პროკურორს და აღნიშნა, რომ 1999 წლის 17-18 ივნისის დამეს პოლიციის თანამშრომელი შევიდა მასთან საკანში დასაკითხად. ვინაიდან პოლიციის თანამშრომელმა მისგან აღიარებითი ჩვენება ვერ მიიღო, იგი რამდენჯერმე ელექტროშოკით აწამა. შედეგად განმცხადებელმა გონება დაკარგა. აღნიშნული არაადამიანური მოპყრობის შემდეგ დაპატიმრებულმა დაკითხვის ოქმს ხელი მოაწერა. მეორე დღეს იგი მოინახულა ადვოკატმა, რომელსაც განმცხადებელმა, ფიზიკური ანგარიშსწორების შიშით, არ გაუჩილა მომხდარის შესახებ. მის მიმართ განხორციელებული წამების ფაქტთან დაკავშირებით იგი მხოლოდ ბეზიას გამოუტყდა. აღნიშნულის თაობაზე განმცხადებელი ითხოვდა, თავად დაკითხულიყო და ასევე დაეკითხათ მისი ბებია. ამასთან, ბრალდებული ირწმუნებოდა, რომ მას შეეძლო, ამოეცნო პოლიციის ის თანამშრომელი, რომელმაც, მისი თქმით, იგი აწამა.

2000 წლის 12 ივლისს იგი დამნაშავედ ცნეს მის მიმართ წაყენებულ ბრალდებებში და ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით სასჯელის სახით შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრეს მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით. აღნიშნული განაჩენი 2000 წლის 26 ივლისს უცვლელად დატოვა ჯერ სააპელაციო, ხოლო 2001 წლის 13 მარტს კი – საკასაციო სასამართლომ.

2003 წლის 26 თებერვალს განმცხადებლის დედამ განცხადებით მიმართა იუსტიციის სამინისტროს და აღნიშნა, რომ მისი შვილი, რომელიც სასჯელს ქ. თბილისის №1 საპყრობილეში, „სპეც-კორპუსის“ (საკარანტინო კორპუსი) №10, ე.წ. „ნნების“ საკანში იხდიდა, მასთან ერთად მყოფმა პატიმრებმა აწამეს, რის შედეგად მსჯავრდებულს თავის არეში, ათ ადგილას, დაზიანებები, ხოლო სხეულზე კი ჭრილობები აღენიშნებოდა. ვინაიდან განმცხადებელმა ვერ მოახერხა, მიეწვინა ხმა ციხის ადმინისტრაციისათვის, პროტესტის ნიშნად პირი ამოიკერა.

მოკვლევის ჯგუფმა, „მათი მხრიდან ყველა საგამოძიებო მოქმედებათა წარმოების მიუხედავად“, კ. დავთიანის სხეულის განზრახ დაზიანების მიყენების შესაძლო ფაქტი და მიმყენებელ პირთა ვინაობა ვერ დაადგინა. უფრო მეტიც, განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ „მას ეგონა, ბ-ნი ზ. უ. მას ფულს სძალავდა“. ვერ მოიპოვა რა ის უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა ძალადობის აღნიშნულ ფაქტს, მოკვლევის ჯგუფმა 2003 წლის 2 აპრილს მიიღო დადგენილება სისხლის სამართლის საქმის არაღძვრის შესახებ, რაც 2003 წლის 9 აპრილს დაადასტურა გენერალურმა პროკურატურამ. 2005 წლის 9 სექტემბერს განმცხადებელი პირობით ვადამდე გათავისუფლდა.

სასამართლოს შეფასება

სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-3 მუხლით დაცული უფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ ღირებულებას.¹ აღნიშნული კი ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, უზრუნველყონ ყველა პატიმრისათვის ადამიანური ღირსების პატივისცემის შესაფერისი პირობები, რათა შეფარდებული სასჯელის ზომამ არ ჩააგდოს იგი იმაზე მეტ განსაცდელში და არ დათრგუნოს იმ ინტენსივობით, რომელიც აღემატება პატიმრობისათვის დამახასიათებელი შინაგანი ტანჯვის ჩვეულ დონეს. პრაქტიკაში არსებულ პატიმრობის პირობებისათვის აუცილებელ მოთხოვნათა შესაბამისად, დაპატიმრებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა და მისი კეთილდღეობა ადეკვატურად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი.²

ამასთან, მითითებული, სავარაუდო, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტი ევროპული სასამართლოს წინაშე შესაბამისი მტკიცებულებებით უნდა იყოს დასაბუთებული.³ იმისათვის, რომ დაადგინოს მითითებული ფაქტები, სასამართლო იყენებს მტკიცებულებათა შეფასების ისეთ კრიტერიუმს, რომელიც „სცილდება ყოველგვარ გონივრულ ეჭვს“.⁴ „გონივრული ეჭვი“ არის ეჭვი, რომლის მიზეზები შესაძლოა, მითითებული ფაქტებიდან გამომდინარეობდეს, ხოლო არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომელიც ასეთ ეჭვს სცილდება, უნდა წარმოადგენდეს იმ ფაქტობრივი მონაცემების ან დადასტურებული ვარაუდების ერთობლიობას, რაც უტყუარი, ზუსტი და დასაბუთებულია.⁵

¹ *Chahal v. United Kingdom*; 15/11/1996, 1996-V, §96

² *Kalashnikov v. Russia*; № 47095/99, §95, 2002-VI

³ *Berktaş v. Turkey*; №22493/93, §165, 01/03/2001

⁴ *Farbtuhs v. Lithuania*; №4672/02, §54, 02/12/2004

⁵ *Anguelova v. Bulgaria*; №38361/97, §111, 2002-IV; *Shamayev and others v. Georgia and Russia*; №36378/02, §338, 2005

მოცემულ შემთხვევაში სასამართლოსათვის შეუძლებელია ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან განმცხადებლის მიმართ განხორციელებული არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტის დადგენა მხოლოდ და მხოლოდ მის მიერ ეროვნული ხელისუფლებისა და ევროპული სასამართლოსადმი წარდგენილ სხვადასხვა საჩივარში ჩამოყალიბებულ პრეტენზიებზე დაყრდნობით, იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს საკმარისი, უტყუარი და ზუსტი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა, ერთი მხრივ, ხელისუფლების შესაბამის ორგანოთა წარმომადგენლების მიერ დაკისრებულ მოვალეობათა შეუსრულებლობას, ხოლო, მეორე მხრივ, განმცხადებლის არათანმიმდევრულობას და გამოძიების ჩასატარებლად ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან თანამშრომლობაზე უარს. საქმის მასალები არ შეიცავს ისეთ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გასცდებოდა „ყოველგვარ გონივრულ ეჭვს“ და გახდებოდა ამგვარი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.¹

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო ადგენს, რომ პატიმრობის პერიოდში განმცხადებლის მიმართ არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი, მაგრამ, სასამართლოს აზრით, როდესაც განმცხადებელი ირწმუნება, რომ პოლიციის თანამშრომელთა, ან სხვა სახელმწიფო ორგანოთა წარმომადგენლების მხრიდან მის მიმართ განხორციელდა მნიშვნელოვნად უკანონო და კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო ქმედებები, ხსენებული დებულება, ამავე კონვენციის პირველი მუხლიდან გამომდინარე, წევრ სახელმწიფოებს აკისრებს თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში კონვენციის I თავში განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის ვალდებულებას, რაც ასეთ შემთხვევაში ოფიციალური და ეფექტური გამოძიების ჩატარებას მოითხოვს.² აღნიშნულმა გამოძიებამ უნდა უზრუნველყოს პასუხისმგებელ პირთა გამოვლენა და დასჯა. წინააღმდეგ შემთხვევაში, წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის კანონიერი აკრძალვა იქნება პრაქტიკულად უშედეგო და მიუხედავად მისი ფუნდამენტური ღირებულებისა, ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებლობას მისცემს სახელმწიფო მოხელეებს, სრულიად დაუსჯელად ფეხქვეშ გათელონ მათ კონტროლს დაქვემდებარებულ პირთა უფლებები.³

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებლის 1999 წლის 9 ნოემბრის საჩივართან დაკავშირებით წარმოებული მოკვლევებიდან გამომდინარე, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი. სასამართლო ასევე ადგენს, რომ განმცხადებლის მიმართ სავარაუდოდ განხორციელებული არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის შესახებ 2003 წლის თებერვალსა და მარტში წარდგენილი საჩივრების საფუძველზე ჩატარებული მოკვლევების მიხედვით არ ყოფილა დარღვეული კონვენციის მე-3 მუხლი.

რაც შეეხება კონვენციის 34-ე მუხლის სავარაუდო დარღვევას, სასამართლომ აღნიშნა, რომ 34-ე მუხლით დადგენილი ინდივიდუალური სარჩელის წარდგენის მექანიზმის ეფექტურობის მიზნით, უმნიშვნელოვანესია, რომ განმცხადებელი სასამართლოში საქმის წარმოებისას თავისუფალი იყოს, რათა რაიმე ფორმით არ აღმოჩნდეს ხელისუფლების წინების ქვეშ, რაც მას აიძულებს განაცხადის უკან გამოტანას ან მასში პრეტენ-

¹ *Labita v. Italy [GC]*, №26772/95, §129, 2000-IV; *Poltoratskiy v. Ukraine*; №38812/97, §§122-124, 2003-V

² *Assenov and others v. Bulgaria*; 28/10/1998, 1998-VIII, p.3290, §§102-103; *Martinez Sala and others v. Spain*; №58438/00, §156, 02/11/2004

³ *Khachiev v. Russia and Akayeva v. Russia*; №7942/00 and №57945/00, §177, 24/02/2005

ზიების შეცვლას. სიტყვა – „წნეხი“ – არ შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც მხოლოდ პირდაპირი ძალდატანება ან აშკარა დაშინება, განხორციელებული რეალური თუ პოტენციური განმცხადებლის, მისი ოჯახის ან სასამართლოში მისი წარმომადგენლის მიმართ. ასეთ ზეწოლაში მოიაზრება ასევე ის არაპირდაპირი და არაკეთილსინდისიერი მოქმედებები თუ ურთიერთობები, რაც მიმართული იქნება იმისკენ, რომ მან (განმცხადებელმა) გადაიფიქროს ან სურვილი დაკარგოს, ისარგებლოს კონვენციით მინიჭებული გასაჩივრების აღნიშნული საშუალებით.¹

მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი ჩივის იმ პირდაპირი და არაპირდაპირი მცდელობების შესახებ, რომელსაც №1 საპრობილის ადმინისტრაცია მიმართავდა იმ მიზნით, რომ მსჯავრდებულს უარი ეთქვა ევროპულ სასამართლოში შეტანილ განაცხადზე.

ევროპული სასამართლოსათვის განმცხადებელს არ წარუდგენია მტკიცებულებათა რაიმე საწყისი ნაწილიც კი, რის საფუძველზე იგი დაასაბუთებდა, რომ ციხის ადმინისტრაცია მის განაცხადთან დაკავშირებით ინფორმირებული იყო მთავრობის წარმომადგენლის იმ წერილის მიღებამდე, რომელიც, კონვენციის 34-ე მუხლიდან გამომდინარე, მსჯავრდებულის პრეტენზიებს ეხებოდა. შედეგად, შესაძლებელი გახდებოდა იმის მტკიცება, რომ განმცხადებლისგან ციხის ადმინისტრაცია მართლაც მოითხოვდა განაცხადის გამოტანას. მოცემულ შემთხვევაში სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის ეს პრეტენზია მოკლებულია ფაქტობრივ საფუძველს.

სასამართლო შემადგენლობამ ერთხმად დაადგინა, რომ:

- ა) პატიმრობის პერიოდში განმცხადებლის მიმართ არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი;**
- ბ) დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი განმცხადებლის 1999 წლის 9 ნოემბრის საჩივართან დაკავშირებით სრულყოფილი და ეფექტური გამოძიების არარსებობის გამო;**
- გ) განმცხადებლის სხვა საჩივრებთან მიმართებით არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი; არ დარღვეულა კონვენციის 34-ე მუხლი;**
- დ) სახელმწიფოს დაეკისრა 3000 ევროს გადახდა განმცხადებლის სასარგებლოდ.**

¹ *Kurt v. Turkey*; 25/05/1998, 1998-III, p.1192, §159; *Sarli v. Turkey*, №24490/94, §§85-86, 22/05/2001

დანელია საქართველოს წინააღმდეგ

CASE of DANELIA v. GEORGIA (№68622/01)

2001 წლის 28 მარტს დავით დანელიამ განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2006 წლის 17 ოქტომბერს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№68622/01) და ერთსულოვნად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი პროცედურულ ნაწილთან მიმართებით და ასევე - მე-13 მუხლი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებელი 1999 წლის აპრილიდან 2000 წლის ოქტომბრამდე მუშაობდა დაკავებულთა და მსჯავრდებულთა ზედამხედველად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის სამედიცინო დანესებულებაში (ციხის ცენტრალური საავადმყოფო). 2000 წლის 1-ლი ოქტომბრის ღამეს, განმცხადებლის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, თორმეტმა მსჯავრდებულმა, რომელთა შორის ეკონომიკისა და ფინანსთა ყოფილი მინისტრი ბ-ნი აბსანძეც იყო,¹ ერთ-ერთი მათგანის საკანში გათხრილი გვირაბის საშუალებით ორგანიზებული გაქცევა მოახდინა.

2000 წლის პირველ ოქტომბერს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. იმავე დღეს განმცხადებელი მოწმის სახით დაიკითხა. შუალამისას იგი დააკავეს როგორც ეჭვმიტანილი და მოათავსეს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი დაკავების იზოლატორში. 2000 წლის 3 ოქტომბერს მას ბრალი დაედო სამსახურებრივ გულგრილობაში, რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი.

ადვოკატთან შეხვედრისას დავით დანელიამ აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ბრალის აღიარების მიზნით მის მიმართ განახორციელეს ძალადობა. ბ-ნმა დანელიამ განაცხადა, რომ ელექტროშოკით წამებისას პოლიციელები მისგან პატიმრების გაქცევაში მონაწილეობის აღიარებას მოითხოვდნენ. დანელიას უნდა ეთქვა, რომ იგი დაეხმარა მსჯავრდებულებს ციხის ტერიტორიის დატოვებაში, სანაცვლოდ კი მნიშვნელოვანი თანხა აიღო. განმცხადებელმა ადვოკატს სთხოვა, არ გაეგრძელებინა ეს ინფორმაცია, ვიდრე არ გადაწყდებოდა წინასწარი პატიმრობის საკითხი და მას არ გადაეყვანდნენ იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ წინასწარი გამოძიების საკანში. განმცხადებელი განმარტავდა, რომ აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნების შემთხვევაში იგი უფრო მძიმე ძალადობისაგან თავის დაღწევას ვეღარ მოახერხებდა. ასეთ ზეწოლას კი უკვე ვეღარ გაუძლებდა.

რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი წინასწარი პატიმრობის სამთვიანი ვადა სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა. მიუხედავად ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლატორიდან იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დანესებულების ნაცვლად განმცხადებელი განუსაზღვრელი ვადით გადაიყვანეს უშიშროების

¹ იხ. განჩინება განსახილველ საქმეთა სიიდან ამოღების შესახებ, საქმეზე - აბსანძე საქართველოს წინააღმდეგ, №57861/00, 20/07/2004

სამინისტროს დროებითი დაკავების იზოლატორში. იქ ყოფნისას დანელია გასინჯა იზოლატორის ექიმმა, მაგრამ დაზიანება ვერ აღმოაჩინა. ამის შემდეგ განმცხადებელმა ნება დართო ადვოკატს კომპეტენტური ინსტანციისათვის ემცნო, რომ მისი კლიენტი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისაგან განიცდიდა ძალადობას.

2000 წლის 10 ოქტომბერს, წინასწარი გამოძიების სტადიაზე, ადვოკატმა განცხადებით მიმართა საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილეს და აცნობა თავისი კლიენტის ელექტროშოკით ნამების ფაქტის შესახებ. ადვოკატმა მოითხოვა პატიმრის საკანში დამოუკიდებელი ექსპერტების შემოწება, რაც გენერალური პროკურატურის გამომძიებელმა ნაწილობრივ დააკმაყოფილა. გამომძიებელმა უარყო დამოუკიდებელი ექსპერტების მოწვევის მოთხოვნა იმ მოტივით, რომ მათ არ გააჩნდათ შესაბამისი ლიცენზია, სამაგიეროდ, მან დანიშნა სახელმწიფო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცა ადვოკატის მიერ დასმულ შეკითხვებზე. ექსპერტიზის ჩატარება დაევალა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სასამართლო-სამედიცინო კვლევის ცენტრს.

განმცხადებლის ნამებას გამოხმაურება მოჰყვა ტელევიზიასა და პრესაში. მასალების გამოქვეყნების შემდეგ იგი მოინახულეს ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ და სახალხო დამცველის წარმომადგენელმა. მათ დაადასტურეს, რომ ბრალდებულის ხელის მტევნებსა და თითებზე მართლაც შეიმჩნეოდა ნაჩვენებების კვალი და მუქი ყავისფერი ლაქები. მოგვიანებით, საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე საგაზეთო ინტერვიუში ამტკიცებდა, რომ „დავით დანელია დანაშაულის აღიარების მიზნით მართლაც ანამეს.“

მამის გარდაცვალების გამო, განმცხადებლის ადვოკატმა შუამდგომლობით მიმართა მთანმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოს და განმცხადებლისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული წინასწარი პატიმრობის სხვა უფრო მსუბუქი ღონისძიებით შეცვლა მოითხოვა. 2000 წლის 15 დეკემბერს თბილისის საოლქო სასამართლომ დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა მისთვის აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ და უფრო მსუბუქ ღონისძიებად შინაპატიმრობა შეუფარდა. 2001 წლის 13 ოქტომბერს თბილისის საოლქო სასამართლომ განმცხადებელი დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახით განუსაზღვრა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოხდით, რაც შეუცვალა პირობითი მსჯავრით და გამოსაცდელ ვადად სამი წელი დაუდგინა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2001 წლის 13 დეკემბრის განჩინებით აღნიშნული განაჩენი უცვლელად დატოვა.

სასამართლოს შეფასება

კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

განმცხადებელი ჩივის, რომ ის წინასწარი დაკავების დროს ნამების მსხვერპლი გახდა, თუმცა, ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების წარმომადგენლებმა მას დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარების ნება არ დართეს.

ა) წამებასთან დაკავშირებით

სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში მითითებული, სავარაუდო არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტი ევროპული სასამართლოს წინაშე შესაბამისი მტკიცებულებებით უნდა იყოს დასაბუთებული.¹ მითითებული ფაქტების დასადგენად სასამართლო იყენებს მტკიცებულებათა შეფასების ისეთ კრიტერიუმს, რომელიც „სცილდება ყოველგვარ გონივრულ ეჭვს“.² „გონივრული ეჭვი“ არის ეჭვი, რომლის მიზეზები შესაძლოა, მითითებული ფაქტებიდან გამომდინარეობდეს, ხოლო არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომელიც ასეთ ეჭვს სცილდება, უნდა წარმოადგენდეს იმ ფაქტობრივი მონაცემების ან დადასტურებული ვარაუდების ერთობლიობას, რაც უტყუარი, ზუსტი და დასაბუთებულია.³

განმცხადებელი ირწმუნება, რომ მას შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლატორში არაერთგზის სცემეს კონდახით, რომელსაც ფეხის ტერფებზე ურტყამდნენ. იგი ასევე აწამეს ელექტროშოკით. ამ მხრივ, ყველა შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციისა და სხვა უტყუარი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში, რაც შედეგად მოჰყვა ხელისუფლების მხრიდან განხორციელებულ არათანმიმდევრულ ქმედებებს, მხოლოდ ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის პირადი შეხედულებებისა და სახალხო დამცველის წარმომადგენლის მტკიცებების გათვალისწინებით, ევროპული სასამართლოს აზრით, შეუძლებელი იყო ხელისუფლების მხრიდან ხელკეტისა და ელექტროშოკის გამოყენებით განმცხადებლის წამების ფაქტების დადგენა. საქმის მასალები არ შეიცავს ისეთ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გასცდებოდა ყოველგვარ გონივრულ ეჭვს და გახდებოდა ამგვარი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.⁴

შესაბამისად, ამ შემთხვევაში სასამართლოს არ შეუძლია დაასკვნას, დაირღვა თუ არა მე-3 მუხლი დაკავებისას არასათანადო მოპყრობის გამო.

მაგრამ, სასამართლოს აზრით, როდესაც განმცხადებელი ირწმუნება, რომ პოლიციის ან სხვა სახელმწიფო ორგანოთა წარმომადგენლებმა მის მიმართ განახორციელეს კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო ქმედებები, ასეთ შემთხვევაში კონვენციის პირველი მუხლის შესაბამისად, სახელმწიფოს ეკისრება ოფიციალური და ეფექტური გამოძიების წარმოება კონვენციის I თავში განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად.⁵ გამოძიებამ უნდა უზრუნველყოს პასუხისმგებელ პირთა გამოვლენა და დასჯა. წინააღმდეგ შემთხვევაში წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის კანონიერი აკრძალვა იქნება პრაქტიკულად უშედეგო და მიუხედავად მისი ფუნდამენტური ღირებულებისა, ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებლობას მისცემს სახელმწიფო მოხელეებს, სრულიად დაუსჯელად ფეხქვეშ გათელონ იმ პირთა უფლებები, რომლებიც მათ კონტროლს ექვემდებარებიან.⁶

¹ *Berktaş v. Turkey*; №22493/93, §165, 01/03/2001

² *Farbtuhs v. Lithuania*; №4672/02, §54, 02/12/2004

³ *Anguelova v. Bulgaria*; №38361/97, §111, 2002-IV; *Shamayev and others v. Georgia and Russia*; №36378/02, §338, 2005

⁴ *Labita v. Italy*; №26772/95, §129, 2000-IV; *Poltoratskiy v. Ukraine*; №38812/97, §§122-124, 2003

⁵ *Assenov and others v. Bulgaria*; 28/10/1998, 1998-VIII, p.3290, §§102-103; *Martinez Sala and others v. Spain*; №58438/00, §156, 02/11/2004

⁶ *Khachiev v. Russia and Akayeva v. Russia*; 57942/00 and 57945/00, §177, 24/02/2005

კონვენციის მე-3 მუხლის ეს პროცედურული მხარე თავს იჩენს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სასამართლო მოკლებულია რაიმე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, ხელისუფლების მიერ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით განმცხადებლის საჩივრებზე დროული და ეფექტური რეაგირების არარსებობისას.¹

მოცემულ შემთხვევაში განმცხადებლის მიერ წარდგენილი, ზედმინევით ზუსტი ინფორმაციის გათვალისწინებით, რომელიც შეეხებოდა მის მიმართ განხორციელებული ნამების სახეს, ადგილსა და დროს, ასევე დაკავებულის ადვოკატის 2000 წლის 10 ოქტომბრის განცხადებაში მითითებული დეტალების მხედველობაში მიღებით, ამასთან, მშობლებისადმი მიწერილი იმ წერილის მიხედვით, რომელიც საჯაროდ გამოქვეყნდა 2000 წლის 13 ოქტომბერს, ევროპულ სასამართლოს შესაძლებლობა მიეცა, ევარაუდა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები განმცხადებელს პატიმრობის პერიოდში შესაძლოა, მართლაც ეპყრობოდნენ კონვენციის მე-3 მუხლის სანინაალმდეგოდ.²

ბ) განმცხადებლის საჩივრებთან დაკავშირებით წარმოებული მოკვლევის შესახებ

სასამართლო აღნიშნავს, რომ საგამოძიებო ორგანოებისადმი 2000 წლის 10 ოქტომბერს გაკეთებულ განცხადებაში განმცხადებლის ადვოკატი მიუთითებდა დაკავებისას მისი კლიენტის ნამების ფაქტზე. მან ამგვარად შეატყობინა სახელმწიფო ორგანოებს დანაშაულის შემადგენელი ფაქტების შესახებ და აცნობა, რომ მიყენებული დაზიანებების დასადგენად ალტერნატიული ექსპერტიზა უნდა ჩატარებინა. გამომძიებელმა ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილება გამოიტანა 2000 წლის 11 ოქტომბერს, მაგრამ მიიჩნია რა, რომ დამოუკიდებელ ექსპერტებს არ ჰქონდათ შესაბამისი ლიცენზია, მისი ჩატარება დაავალა სახელმწიფო ექსპერტს, რომელსაც განმცხადებელი არ ენდობოდა. ამ უნდობლობის გამო, რომელიც გაძლიერდა ადვოკატის გარეშე ექსპერტიზის ჩატარების მცდელობით, განმცხადებელმა უარი განაცხადა გამოკვლევაზე.

თუმცა, სასამართლო აღნიშნავს, რომ შიდა სამართალი ფიზიკურ პირს შესაძლებლობას აძლევს, განაცხადოს ექსპერტის აცილების შესახებ. განმცხადებლის მიერ ამ უფლებით სარგებლობის ფაქტი, სასამართლოს აზრით, მას საბოლოოდ არ უნდა ართმევდეს მისი საჩივრების სრულყოფილი და ეფექტური გამოძიების უპირობო შესაძლებლობას.

ამ ვითარებაში ევროპული სასამართლო ვერ გაიზიარებს მთავრობის არგუმენტს იმის შესახებ, რომ ფიზიკური ზიანის მიმყენებელ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენა გამონვეული იყო განმცხადებლის უარით მისთვის სახელმწიფო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებაზე, რაშიც ხელისუფლება განმცხადებელს ადანაშაულებს.

საქმის მასალებიდან არ ჩანს, გაარკვია თუ არა გამომძიებელმა 2000 წლის 11 ოქტომბრის დადგენილების მიღებისას დამოუკიდებელი ექსპერტების სპეციალური სამედიცინო ცოდნის საკითხი, რომელიც ზემოხსენებული დებულებების საერთო მიმოხილვის შედეგად წარმოადგენდა პრაქტიკულად ერთადერთ, კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნას, რასაც

¹ *Ilhan v. Turkey*; №22277/93, §§89-93, 2000-VII

² საქმე „*Poltoratskiy*“ §§60-70 and 126.

უნდა დაპირისპირებოდა პროცესის მწარმოებელი. თავის მხრივ, ევროპული სასამართლო აღნიშნავს მხოლოდ იმას, რომ დასახელებული პირები მუშაობდნენ სპეციალიზებულ სამედიცინო-კვლევით ინსტიტუტში და რომ ქ-ნმა მ. ნ-მ 2004 წლის 9 ივლისს წარმოადგინა პროფესიული საქმიანობის დამადასტურებელი ცნობა, რომლის მიხედვითაც, იგი 18 წლის განმავლობაში ასრულებდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის ფუნქციებს.

ზემოთ მოყვანილ მსჯელობათა გათვალისწინებით, ევროპული სასამართლო თვლის, რომ 2000 წლის 11 ოქტომბრის დადგენილება არ წარმოადგენდა მთავრობის ადეკვატურ რეაგირებას განმცხადებლის მოთხოვნებთან დაკავშირებით.

ამასთან, ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან განმცხადებლის მიმართ მიყენებული არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის შესახებ გაცხადებული პრეტენზიის მიუხედავად, შესაბამისმა ორგანოებმა არ შეასრულეს რაიმე სხვა საპროცესო მოქმედება (წინასწარი დაკავების იზოლაციის პასუხისმგებელ პირთა დაკითხვა, განმცხადებლის დაკითხვა, დაპირისპირება და სხვა) წარდგენილი საჩივრის პასუხად გამოძიების ჩატარების შესახებ.

საგამოძიებო მოქმედებათა არარსებობის პირობებში ევროპული სასამართლო ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი პროცედურულ ნაწილთან მიმართებით.

კონვენციის მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევა

სასამართლო შეგვახსენებს, რომ მე-13 მუხლი წარმოადგენს შიდა სამართლებრივი მიმართვის ისეთი საშუალებების არსებობის გარანტს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. ამდენად, აღნიშნული დებულება მიზნად ისახავს სამართლებრივი დაცვის ისეთი საშუალებების მოთხოვნას, რომელიც კომპეტენტურ შიდა ინსტანციებს მიანიჭებს უფლებამოსილებას, აღიარონ კონვენციის საფუძველზე წარდგენილი საჩივრის შინაარსი და მოახდინონ სათანადო რეაგირება იმ გარკვეული შეფასების ზღვარის მიუხედავად, რომელიც ხელშემკვრელ სახელმწიფოებს გააჩნიათ ამ დებულებით ნაკისრ ვალდებულებებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. კონვენციის მე-13 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულებების ფარგლები იცვლება იმ პრეტენზიების შესაბამისად, რომლებსაც დაინტერესებული მხარე კონვენციის დებულებების მიხედვით აყენებს. თუმცა მე-13 მუხლით მოთხოვნილი სამართლებრივი მიმართვის საშუალება უნდა იყოს ეფექტური, როგორც პრაქტიკული, ისე - სამართლებრივი გაგებით. როდესაც ინდივიდი მე-3 მუხლიდან გამომდინარე წარადგენს პრეტენზიებს არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის შესახებ, ეფექტური გასაჩივრების ცნება მოიცავს იმ სრულყოფილ და შედეგიან გამოძიებას, რომელსაც ასევე ითვალისწინებს მე-3 მუხლი. ეფექტური გამოძიების ხელმისაწვდომობა, რომელმაც უნდა განაპირობოს დანაშაულის ჩამდენ ხელისუფლების წარმომადგენელთა გამოვლენა და მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენა, მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს ამ დებულების ძირითად მიზანს.

ამ შემთხვევაში განმცხადებელმა ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების წინაშე წარადგინა მე-3 მუხლიდან გამომდინარე საჩივარი. თუმცა, ზემოთ მოყვანილ გარემოებათა გათვალისწინებით, საიდანაც მკაფიოდ ჩანდა, რომ განმცხადებელს უარი უთხრეს დამოუკიდებელი სასამართლო-სამე-

დიცინო ექსპერტიზის ჩატარებაზე და იმის გათვალისწინებით, რომ ხელი-სუფლებამ არ განახორციელა რაიმე სახის საგამოძიებო მოქმედება, რათა დაედგინა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა, მითითებული არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის გამო, სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ ვერ შეძლო ევროპული კონვენციის მე-13 მუხლით ნაკისრი ვალდებუ-ლებების შესრულება. ამდენად, დაირღვა აღნიშნული მუხლი.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო შემადგენლობამ ერთხმად დაადგინა, რომ:

- ა) განმცხადებლის მიმართ არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი მატერიალურ ნაწილთან მიმართებით;**
- ბ) დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, აღნიშნული დებულების პროცედურულ ნაწილთან მიმართებით;**
- გ) დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი.**

სახელმწიფოს დაეკისრა 3000 ევროს გადახდა განმცხადებლის სასარგებლოდ.

გურგენიძე საქართველოს წინააღმდეგ
CASE of GURGENIDZE v. GEORGIA (№71678/01)

2001 წლის 18 მაისს დავით გურგენიძემ განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2006 წლის 17 ოქტომბერს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№71678/01) და დაადგინა, რომ დარღვეულია კონვენციის მე-8 მუხლი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

აპლიკანტი დავით გურგენიძე ცხოვრობს თბილისში. 1999 წელს მან გასაყიდად გამოიტანა ცნობილი ქართველი მწერლის – კონსტანტინე გამსახურდიას ხელნაწერი. ქალბატონი მანანა არჩვაძე-გამსახურდია (მწერლის რძალი და საქართველოს ან გარდაცვლილი ექს-პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას მეუღლე) აპლიკანტს შეუთანხმდა შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდნენ გაზეთ „ახალი თაობის“ ჟურნალისტები. შეხვედრას წინ უძღოდა სტატიებისა და ინტერვიუების სერია აპლიკანტის ფოტოებთან ერთად, სადაც მანანა არჩვაძე-გამსახურდია მას აბრალებდა საექვო ვითარებაში ხელნაწერის მოპარვას.

აპლიკანტი ჩივის, რომ გაზეთ „ახალი თაობის“ მეშვეობით ამ ინფორმაციისა და მისი ფოტოების, ასევე სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნებამ გამოიწვია მისი პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების დარღვევა. აპლიკანტს მიაჩნია, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი და ასევე მე-13 მუხლი.

სასამართლოს შეფასება

სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელი ჩივის არა სახელმწიფოს უშუალო ჩარევაზე, არამედ – სახელმწიფოს მიერ მისი პირადი ცხოვრების დაცვის არასაკმარისობაზე.¹ თუ მე-8 მუხლი ძირითად მიზნად ისახავს, დაიცვას პირი სახელმწიფოს უკანონო ჩარევისაგან, იგი არ კმაყოფილდება სახელმწიფოსათვის ამგვარი ჩაურევლობის ვალდებულების დაკისრებით. ამგვარ ნეგატიურ ვალდებულებებს შეიძლება დაემატოს პირადი და საოჯახო ცხოვრების ეფექტური დაცვისათვის დამახასიათებელი პოზიტიური ვალდებულებები. შეიძლება აუცილებელი გახდეს პირადი ცხოვრების უფლების დასაცავად გარკვეული ზომების მიღება მაშინაც კი, როცა ურთიერთობა ეხება კერძო პირებს,² პიროვნების პატივისცემის უფლების შელახვის ჩათვლით.

თუ სახელმწიფოსათვის მე-8 მუხლით დაკისრებულ პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს შორის საზღვრის დადგენა შეუძლებელია, მაშინ გამოიყენება მსგავსი პრინციპები. კერძოდ, ორივე შემთხვევაში მხედველო-

¹ *Von Hannover c. Allemagne*, №59320/00, §56

² *X et Y c. Pays-Bas*, 26/03/1985, *serie A* №91, p.11, §23; *Stubbings et autres c. Royaume-Uni*, 22/10/1996, *decisions* 1996-IV, §62; *Stjerna c. Finlande*, 25/11/1994, *serie A* №299-B, p.61, §38

ბაში უნდა იქნეს მიღებული ზუსტი წონასწორობის შენარჩუნება საზოგადოებრივ ინტერესსა და პირის ინტერესებს შორის. ყველა შემთხვევაში სახელმწიფო სარგებლობს შეფასების ფართო შესაძლებლობით. პირადი ცხოვრების ამგვარი დაცვა უნდა გავათანაბროთ მე-10 მუხლით გარანტირებულ გამოხატვის თავისუფლებასთან.¹

ამასთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ, ვინაიდან განმცხადებელი არ იყო საზოგადოებისათვის ცნობილი პიროვნება, გამოხატვის თავისუფლება არ მოითხოვდა ფართოდ განმარტებას.² დასაშვები კრიტიკის ფარგლები მის მიმართ არ შეიძლება ყოფილიყო ისეთივე ფართო, როგორც – საჯარო პირის მიმართ, რომლის ქმედებები უდავოდ და შეგნებულად არის განსაკუთრებული კონტროლის ქვეშ და რომელმაც უნდა გამოავლინოს მნიშვნელოვანი მოთმინება.³

გაზეთ „ახალ თაობაში“ გამოქვეყნებული სტატიების შინაარსის მხედველობაში მიღებით სასამართლოს მიაჩნია, რომ მას უარყოფითი გავლენა უნდა მოეხდინა განმცხადებლის პიროვნებაზე, მეგობრებსა და ოჯახთან მის ურთიერთობაზე, ასევე წლების განმავლობაში კოლეგებსა და სტუდენტებთან დამყარებულ კავშირზე. მართალია, კონვენცია არ იცავს პატივისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლებას,⁴ მაგრამ ის ნებას არ რთავს, ზიანი მიადგეს პირის „ინტიმურ“ სფეროს, სადაც მან თავისუფლად უნდა შეძლოს პიროვნული განვითარება და საკუთარი თავის რეალიზაცია,⁵ ასევე მან უნდა შეძლოს, ჩარევის გარეშე დაამყაროს კავშირი გარე სამყაროსთან და განავითაროს ურთიერთობები თავისი წრის ადამიანებთან, პროფესიული თუ კომერციული ურთიერთობების ჩათვლით.⁶

სასამართლო იმეორებს, რომ გამოკითხვებზე დაფუძნებული აქტუალური საკითხების ქრონიკა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას, რომელთა გარეშეც პრესა ვერ შეასრულებდა მეტად საჭირო „მოდარაჯე ძაღლის“ როლს.⁷ ჟურნალისტის დასჯა იმისათვის, რომ იგი დაეხმარა მესამე პირებს მათთან საუბრებისას გამოთქმული განაცხადების გამოქვეყნებაში, მნიშვნელოვნად შეუშლიდა ხელს პრესის მონაწილეობას საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხების გაშუქებაში და დასაშვები არ იქნებოდა, გარდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას.⁸ ამასთან, პრესამ არ უნდა გადალახოს გარკვეული საზღვრები, რომლებიც აუცილებელია, მაგალითად, სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დასაცავად.

რაც შეეხება სადავო რეპორტაჟებში გამოქვეყნებულ განმცხადებლის სურათებს, სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, სურათების გამოქვეყნება წარმოადგენს პირადი ცხოვრების შემადგენელ ნაწილს,⁹ თუმცა, საჭიროა შეფასდეს, წარმოადგენდა თუ არა აღნიშნული ფოტოსურათების გამოქვეყნება განმცხადებლის პირად ცხოვრებაში ჩარევას, იგი მიეკუთვნებოდა საჯარო თუ კერძო სფეროს, განკუთვნილი იყო შეზღუდული გამოყენებისათვის თუ არსებობდა საზოგადოებისათვის ფართო ხელმისაწვდომობის რისკი.

¹ *Minelli c. Suisse*, №14991/02, 14/06/2005; *Schessel c. Autriche*, №42409/98, 2/02/2002;

² *Von Hannover*, §66; *Krone Verlag GmbH & Co. KG c. Autriche*, №34315/96, §§35-37, 26/02/2002

³ *Lingens c. Autriche*, 08/07/1986, *serie A* №103, §42

⁴ *Saltuk c. Turquie*, №31135/96, 24/10/1999

⁵ *Deklerck c. Belgique*, 11/07/1980, №8307/78, p.116

⁶ *Niemietz c. Allemagne*, 16/12/1992, №251 B, p.33, §29; *C. c. Belgique*, 07/10/1996, *Recueil 1996 III*

⁷ *Observer et Guardian c. Royaume-Uni*, 26/11/1991, *serie A* №216, pp.29-30, §59

⁸ *Jersild c. Danemark*, 23/09/1994, *serie A* №298, §35

⁹ *Sciacca c. Italie*, №50774/99, §29, *CEDH 2005*

სასამართლომ უკვე განიხილა საკითხი ცნობილი თუ პოლიტიკური პირების სურათების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. მაშინ სასამართლომ განიხილა სახელმწიფოს მიერ იმ პოზიტიური ვალდებულებების პატივისცემის საკითხი, რომელიც მას ეკისრებოდა იმ შემთხვევაში, როცა გამოქვეყნება არ იყო დაკავშირებული უშუალოდ მის ქმედებასთან, ან სახელმწიფო ორგანოების მონაწილეობასთან. სასამართლომ იგივე საკითხი განიხილა განსხვავებულ საქმეში, სადაც განმცხადებელი იყო არა საჯარო სფეროში მოღვაწე პირი, არამედ - პირი, რომლის წინააღმდეგაც მიმდინარეობდა სისხლის სამართლის საქმის გამოძიება.¹ სასამართლომ დაასკვნა: ის ფაქტი, რომ განმცხადებლის წინააღმდეგ მიმდინარეობდა გამოძიება, არ ზღუდავდა იმ ფართო დაცვას, რომლითაც სარგებლობენ „ჩვეულებრივი, რიგითი პირები.“

ამ შემთხვევაში, მითითებული საქმეებისაგან განსხვავებით, განმცხადებელი არ იყო არც საჯარო პირი და არც საქმე იყო აღძრული მის მიმართ. ახსნა-განმარტების ჩამოსართმევად პოლიციის განყოფილებაში იგი გააჩერეს ორი საათის განმავლობაში. მწერლის რძალმა, რომელსაც თან ახლდა ჟურნალისტი, წარადგინა საჩივარი განმცხადებლის წინააღმდეგ. პოლიციამ ჩაატარა მოკვლევა საქმის აღძვრის საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც შემდეგში უმოძრაოდ იქნა დატოვებული, ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

სასამართლო შეგვახსენებს, რომ პირადი ცხოვრების უფლებასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის წონასწორობის დამყარებისას მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმას, თუ რა წვლილი შეიტანა სურათის გამოქვეყნებამ საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე კამათში.² ამ შემთხვევაში სურათზე ჩანდა განმცხადებლის სახე, რომელიც გამოქვეყნებული იყო ქ-ნ გ. ბალაძის ერთ-ერთ სადავო ინტერვიუსთან ერთად. ნახსენები იყო განმცხადებლის სახელი და გვარი, ამიტომ ახლობლები, კოლეგები და სტუდენტები მას იცნობდნენ. სასამართლოს აზრით, არ შეიძლება იმ კონტექსტის გაუთვალისწინებლობა, სადაც სურათები გამოქვეყნდა – ეს იყო ინტერვიუების მთელი სერია, რომელიც შეიცავდა განმცხადებლის შეურაცხმყოფელ სიტყვებს და ქმნიდა განგრძობად, გამაღიზიანებელ ფონს. კერძოდ, ინტერვიუში აღნიშნულია, რომ განმცხადებელი არის „საშინელი ათეისტი,“ „მისთვის ქურდობა, ძარცვა არაფერს ნიშნავს,“ რომ იცოდნენ, რომელი ორგანიზაციის წევრიც იყო მისი მამა და რომ იგი „აგრძელებდა მის საქმიანობას,“ რომ „ამგვარი პიროვნება უნდა განკიცხულიყო,“ რომ „მან ჩაიდინა დანაშაული ერის წინაშე“ და რომ ის „იპარავდა არქივებს სახლებიდან.“

სასამართლო ვერც სტატიასა და ვერც მხარეთა შეხედულებებში ვერ ხედავს ვერანაირ ელემენტს, რომელსაც შეუძლია, ახსნას ის საზოგადოებრივი ინტერესი, რისთვისაც გაზეთმა გადაწყვიტა სურათების გამოქვეყნება. არაფერი ტოვებს საფუძველს ვარაუდისთვის, რომ სურათს ჰქონდა ინფორმაციის მნიშვნელობა.³ პირიქით, ჩანს, რომ სურათის დაბეჭდვა განკუთვნილი იყო მხოლოდ იმ მიზნისათვის, რათა ეჩვენებინათ პირი, რომელზეც იყო საუბარი.

ამ პირობებში განმცხადებლის სურათის გამოქვეყნება ვერ მიიჩნევა საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხების განხილვაში წვლილის შემ-

¹ *Sciacca c. Italie*, 50774/99, §28, CEDH 2005

² *Von Hannover*, §76; *Tammer c. Estonie*, 41205/98, §68, CEDH 2001 I ; *Jaime Campmany y Diez de Revenga et Juan Luus Lopez-Galiacho Perona c. Espagne*, 54224/00, 12/12/2000; *Editions Plon c. France*, 58148/00, §43, CEDH 2004

³ *Sabou et Pircalab c. Roumanie*, 46572/99, §§39-41, 28/09/2004

ტანად, მიუხედავად ინტერესის იმ ხარისხისა, რომელიც არსებობდა მწერლის სახლის გადანვასთან დაკავშირებით.¹

ამას გარდა, არც ერთმა შიდა სასამართლომ არ იმსჯელა განმცხადებლის სურათების გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ მოთხოვნაზე. შესაბამისად, არ ყოფილა დაცული წონასწორობა, რაც უნდა არსებულიყო განმცხადებლის უფლებასა და საზოგადოების ინტერესს შორის. ინტერესთა ეს შეუფარდებლობა არ შეესაბამება კონვენციის მე-8 მუხლით დაკისრებულ პოზიტიურ ვალდებულებებს.

ზემოაღნიშნულის მხედველობაში მიღებითა და იმ ფართო შეფასების მიუხედავად, რითაც სახელმწიფო სარგებლობს, სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო ინფორმაციისა და სურათის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით საქართველოს სასამართლოებმა არ დაიცვეს ბალანსი სადავო ინტერესებს შორის. საქმის განხილვის ფორმამ ვერ უზრუნველყო განმცხადებლის პირადი ცხოვრების ეფექტური და საკმარისი დაცვა.

აქედან გამომდინარე, სასამართლო შემადგენლობამ ერთხმად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

სახელმწიფოს დაეკისრა 4 000 ევროს გადახდა განმცხადებლის სასარგებლოდ და 2 116 ევრო - სასამართლო ხარჯების დასაფარად.

¹ *Julio Bou Gibert et El Hogar Y La Moda J.A. c. Espagne, 14929/02, 13/05/ 2003; Societe Prisma Presse c. France, 66910/01, 01/07/2003; Von Hannover, §76*

**მოსამართლე ბ-ნ ჟ.-პ. კოსტას ნაწილობრივ
თანმხვედრი აზრი საქმეზე გურგენიძე საქართველოს
წინააღმდეგ¹**

დიდი ყოყმანის შემდეგ ხმა მაინც მივეცი გადაწყვეტილებას საქართველოს მიერ მე-8 მუხლის დარღვევის დადგენის ფაქტის სასარგებლოდ, ალბათ – სწორედ იმავე მიზეზით, რითაც ჩემი კოლეგები ორჭოფობდნენ. აქვე მოგახსენებთ ჩემი ყოყმანის მიზეზებზეც.

ეს საქმე, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ერთდროულად ორიგინალური, ბუნდოვანი, სიბრაღურის აღმძვრელია და კვლავ აყენებს პირადი ცხოვრების დაცვისა და პრესის თავისუფლების წინააღმდეგობის საკითხს. განმცხადებელს ქალბატონმა მისი ოჯახისათვის ღირებული ხელნაწერის მოპარვა დააბრალა. ჟურნალისტმა, რომელიც ზუსტად იმ დროს ესწრებოდა ამ ორ პირს შორის დისკუსიას, რამაც გარკვეულწილად განმცხადებელი ხაფანგში გააბა, გაავრცელა ეს ბრალდებები, მისი გაზეთის რედაქციამ გამოაქვეყნა, როგორც ბრალმდებლის ინტერვიუ, ისე - ბრალდებულის ფოტოსურათი.

იმთავითვე ვეთანხმები წინამდებარე განჩინებას ფოტოსურათის გამოქვეყნების ნაწილში. აღნიშნული მართლაც ხელყოფს გამოსახულებასთან დაკავშირებულ უფლებას, რომელიც მე-8 მუხლით დაცული უფლებების შემადგენელი ნაწილია.² გამოქვეყნებულმა ფოტოსურათმა განმცხადებელს სირცხვილის გრძნობა აღუძრა, ვინაიდან იგი მკითხველისა და ფართო საზოგადოების განსჯის საგანი გახდა. აღნიშნული კი რაიმე საჭიროებას არ წარმოადგენდა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის კუთხითაც.

მაგრამ ძალიან დიდი ეჭვი გამიჩნდა თავად სტატიასთან დაკავშირებით, გამომდინარე პრესის მნიშვნელობიდან და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ, სავარაუდოდ, მოპარული ხელნაწერი, როგორც ჩანს, საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს ეკუთვნოდა. ასევე, ეჭვს იწვევს ის გარემოებაც, რომ განმცხადებელი თითქოს თამაშობდა მსხვერპლის როლს, როცა უარყოფდა ან აპროტესტებდა თავისი უფლების გამოყენების შესაძლებლობასა თუ ფარგლებს, რათა პასუხი გაეცა ასეთი ცილისწამებისათვის. მოკლედ, თუკი ხმის მიცემის დროს განასხვავებდნენ მე-8 მუხლიდან გამომდინარე ორ ქვეპრეტენზიას, მე დავაკმაყოფილებდი პირველს და დიდი ალბათობით უარყოფდი მეორეს, მაგრამ, ვინაიდან წინამდებარე განჩინების ფარგლებში ეს ორი ასპექტი ერთი მუხლის მთლიან დისპოზიციამი განიხილება (რაც ამ განჩინების ხარვეზს არ წარმოადგენს), მე უფრო გადავიხარე დარღვევის დადგენის ფაქტისაკენ, რადგანაც ამ გადაწყვეტილების ორმაგი ლოგიკა ხმის მიცემის შესაძლებლობას ნაწილობრივ მიზღუდავს.

იმავე მიზეზით სადავოდ მივიჩნევ წინამდებარე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტს, ვინაიდან ეს დებულება განმცხადებელს მორალური ზიანის ანაზღაურების სანაცვლოდ გადაჭარბებულ თანხას

¹ კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თუ განჩინება მთლიანად, ან ნაწილობრივ არ გამოხატავს მოსამართლეთა ერთმხრივ აზრს, ნებისმიერი მოსამართლე უფლებამოსილია, მას დაურთოს ცალკე აზრი. ევროპული სასამართლოს რეგლამენტის 74-ე წესის მე-2 პუნქტის თანახმად, ნებისმიერი მოსამართლე, რომელმაც მონაწილეობა მიიღო საქმის განხილვაში, უფლებამოსილია, დაურთოს განაჩენს როგორც თავისი განცალკევებული მოსაზრება, რომელიც თანმხვედრი ან განსხვავებულია განაჩენისაგან, ასევე - მხოლოდ განცხადება, რომ იგი არ ეთანხმება განაჩენს.

² კერძოდ, იხ. არაერთგვაროვნად ცნობილი საქმეები: *Von Hannover v. Germany*, 59320/00, CEDH 2004-VI, and *Sciaccia v. Italy*, 50774/99, CEDH 2005

აკუთვნებს. აღნიშნული მოსაზრება ეყრდნობა იმ სამართლებრივ შედეგებს, რომლებზეც ზემოთ უკვე მოგახსენეთ – განმცხადებლის მოქმედებას, რომელიც არ იყო საკმაოდ მკაფიო და რეალურად მიყენებულ ზიანს, რომელიც მას სინამდვილეში მიადგა. სწორედ ამ მიზეზთა გამო, წინამდებარე განჩინება მაკმაყოფილებს მხოლოდ ნაწილობრივ.

აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ
CASE of APOSTOL v. GEORGIA (№40765/02)

2002 წლის 25 ოქტომბერს ლეონიდ აპოსტოლმა განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2006 წლის 28 ნოემბერს სასამართლომ განიხილა ლეონიდ აპოსტოლის განაცხადი (№40765/02) და ერთხმად დაადგინა, რომ დარღვეულია კონვენციის მე-6 მუხლის 1 ნაწილი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებელი საქართველოს მოქალაქეა და ცხოვრობს ბათუმში. მან სამოქალაქო სარჩელით მიმართა სასამართლოს კერძო პირის წინააღმდეგ. 2001 წლის 21 ნოემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი და მოვალეს დააკისრა დავალიანების – 2 000 აშშ დოლარის (1595 ევროს) და სასამართლო ხარჯების - 100 ლარის (43,75 ევროს) გადახდა. გადანყვეტილება არ გასაჩივრებულა და შევიდა კანონიერ ძალაში.

მოვალემ კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილების აღსრულებაზე უარი განაცხადა. განმცხადებელმა სააღსრულებო წარმოების დაწყების მოთხოვნით მიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის (შემდგომში „აჭარის ა/რ“) იუსტიციის სამინისტროს.

2002 წლის 27 ნოემბრის წერილით იუსტიციის სამინისტრომ განმცხადებელს აცნობა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის თანახმად, ეკისრებოდა აღსრულების საშუალებებთან დაკავშირებული წინასწარი ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება, თუმცა წერილში დაკონკრეტებული არ იყო აღსრულების საშუალებათა სახეები და გასანევი ხარჯების ოდენობა. განმცხადებელს სააღსრულებო წარმოების ხარჯების განევა არ შეეძლო, ვინაიდან მის შემოსავალს მხოლოდ პენსია – 45 ლარი (19 ევრო) შეადგენდა. მან მიმართა აჭარის ა/რ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურას მოვალის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა (სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლი) და გადანყვეტილების აღსრულების მოთხოვნით, მაგრამ – უშედეგოდ. აღნიშნულმა ორგანოებმა უპასუხეს, რომ ისინი ვერ ჩაერეოდნენ სამართალწარმოების პროცესში.

წინამდებარე საქმეში განმცხადებლის საჩივარი შეეხება კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილების აღსრულების მოთხოვნის უფლებას, რომელიც კონვენციაში ცალკე დებულების სახით არ არის გათვალისწინებული, გამომდინარეობს კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილიდან და კონვენციის ორგანოები მას აღიქვამენ როგორც სამართალწარმოების შემადგენელ ნაწილს.¹

¹ *Hornsby v. Greece, 19/05/1997, 1997-II, p.510, §40*

სასამართლოს შეფასება

სასამართლო აღნიშნავს, რომ არც კონსტიტუციის 42-ე მუხლის I ნაწილი და არც სხვა კონსტიტუციური დებულება არ შეიცავს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების აღსრულებლობის წინააღმდეგ რაიმე გარანტიებს, რაც არ შეესაბამება სასამართლოს პრეცედენტული სამართლის პრაქტიკას. კონსტიტუციური დებულების დაკვირვებით ნაკითხვა ნათელს ხდის, რომ იგი რეალურად უზრუნველყოფს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას. თუმცა, მთავრობამ ვერ დაასახელა საკონსტიტუციო სასამართლოს ვერც ერთი გადაწყვეტილება, რომელიც, მსგავსად პრეცედენტული სამართლისა, განმარტავდა კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ ნაწილს, როგორც უფლებას გადაწყვეტილების აღსრულების მოთხოვნაზე.

სასამართლო კვლავ აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი იცავს ყველა პირის სამართლიანი სასამართლოს უფლებას თავისი სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების განსაზღვრისას.¹ მოდავე მხარეთა ეფექტური დაცვა და სამართლიანობის აღდგენა გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოების ვალდებულებას, დაემორჩილონ საბოლოო გადაწყვეტილებას.²

სასამართლო მიიჩნევს, რომ საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე, კონვენციის მე-6 მუხლის პირველ ნაწილთან მიმართებით მნიშვნელობა არა აქვს, გადაწყვეტილების აღსრულების შემდეგ აუნაზღაურდებოდა თუ არა განმცხადებელს წინასწარ გადახდილი აღსრულების ხარჯები. მთავარია, რომ, აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯების წინასწარ გადაუხდელობის გამო, მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილება ვერ აღსრულდა.

ვინაიდან აღსრულების პროცესი სამართალწარმოების შემადგენელი ნაწილია,³ სასამართლოს მიაჩნია, რომ უფლება სასამართლოზე თანაბრად უზრუნველყოფს როგორც პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოს,⁴ ისე აღსრულების ეტაპის ხელმისაწვდომობასაც სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრის დროს და გულისხმობს აღსრულების პროცესის ინიცირების უფლებას.⁵

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება არ არის აბსოლუტური და ის შეიძლება შეიზღუდოს კიდევ, ვინაიდან ეს უფლება თავისი ბუნებით ისეთია, რომ მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან მონესრიგებას. თუმცა, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ გამოყენებული შეზღუდვები არ იქნება იმდაგვარი, რომ ინდივიდისათვის მინიჭებული უფლება შეიზღუდოს ან შემცირდეს ისეთი ზომით, ან იმ სახით, რომ დაკნინდეს უფლების მთლიანი არსი. მეტიც, შეზღუდვა არ იქნება მე-6 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისი, თუ ის არ ემსახურება კანონიერ მიზანს და არ არსებობს თანაფარდობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და მისაღწევ მიზანს შორის.⁶

სასამართლოს აზრით, კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, უფლებების ეფექტური დაცვის ვალდებულება არ გულისხმობს მხოლოდ ჩაურევლობას, არამედ მოიცავს სახელმწიფოსათვის სხვადასხვა პოზიტიური ქმედების განხორციელების დავალებასაც. სასამართლო ასკვ-

¹ *Golder v. United Kingdom*, 21/02/1975, Series A, №18, p.13-18, §§28-36

² იხ. *ჰორნსბის საქმე (Hornsby)*, §§40

³ *Burdov v. Russia*, №59498/00, §34, ECHR 2002-III

⁴ *Kreuz v. Poland*, №28249/95, §§53-54, ECHR 2001-VI

⁵ *Manoilescu and Dobrescu v. Romania*, №60861/00, ECHR 2005

⁶ *Waite and Kennedy v. Germany*, №26083/94, §59, ECHR 1999-I

ნის, რომ აღსრულების პროცესის ორგანიზებისათვის, ფინანსური უზრუნველყოფის განმცხადებელზე დაკისრებით, სახელმწიფო შეეცადა, თავი დაეღწია პოზიტიური ვალდებულებისგან, რაც გულისხმობს გადაწყვეტილებათა აღსრულების ისეთი სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც ეფექტური იქნება როგორც კანონის დონეზე, ასევე – პრაქტიკაში.¹

ზემოაღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით, მთავრობის პოზიცია, დაავალდებულოს განმცხადებელი, წინასწარ გადაიხადოს ხარჯები, რათა მოხდეს აღსრულების პროცესის ინიცირება და ამასთან, არ გაითვალისწინოს განმცხადებლის მატერიალური მდგომარეობა, წარმოადგენს გადამეტებულ ტვირთს, რითაც იზღუდება განმცხადებლის სასამართლოსადმი მიმართვის უფლება.

აღნიშნულ მიზეზთა გამო, სასამართლო შემადგენლობამ ერთხმად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი. ასევე დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს ევალება, განჩინების ძალაში შესვლიდან სამი თვის ვადაში (კონვენციის 44-ე მუხლის II პუნქტი) სათანადო საშუალებებით უზრუნველყოს 2001 წლის 21 ნოემბრის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

¹ *Fuklev v. Ukraine*, №71186/01, §84, 07/06/2005

**იელოვას მოწმეთა გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და ოთხი
სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ**

**CASE of THE GLDANI CONGREGATION of JEHOVAH'S WITNESSES and 4
OTHERS v. GEORGIA (№71156/01)**

2001 წლის 29 ივნისს იელოვას მოწმეთა გლდანის კონგრეგაციის წევრებმა განაცხადით მიმართეს სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2007 წლის 3 მაისს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№71156/01) და ერთხმად დაადგინა, რომ:

- დარღვეულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) 42 განმცხადებლისა და აპელანტების 6 ბავშვთან მიმართებით.
- არ დარღვეულა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-3 მუხლი 59 განმცხადებელთან მიმართებით.
- დარღვეულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-3 მუხლი 42 განმცხადებელთან მიმართებით, რაც გამოიხატა ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან მოპყრობაში.
- დარღვეულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-9 მუხლი (აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება) 96 განმცხადებელთან მიმართებით.
- დარღვეულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა) კონვენციის მე-3 და მე-9 მუხლებთან მიმართებით.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

აპლიკანტია იელოვას მოწმეთა გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი, ვლადიმერ ქოქოსაძე (კონგრეგაციის სპიკერი), ნინო ლელაშვილი, ალექსი ხითარიშვილი და ლეილა ძირყურაშვილი, რომლებიც ასევე არიან ამავე კონგრეგაციის წევრები.

საქმე ეხება 1999 წლის ოქტომბერში კონგრეგაციის წევრებსა და მართლმადიდებელ მორწმუნეთა ჯგუფს შორის მომხდარ შეტაკებას, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბასილ მკალავიშვილი, ცნობილი როგორც მამა ბასილი. მამა ბასილი იყო საქართველოს ავტოკეფალიური მართლმადიდებლური ეკლესიიდან განკვეთილი სასულიერო პირი. მას ბრალად ედებოდა მართლმადიდებლური ეკლესიის წევრებზე განხორციელებული ფიზიკური აგრესია და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის შეურაცხყოფა. ასევე, იგი ქართული მედიის საშუალებით თავს იწონებდა იელოვას მოწმეებზე განხორციელებული თავდასხმებით.

1999 წლის 17 ოქტომბრის ნაშუადღევს მამა ბასილის მხარდამჭერთა ჯგუფმა ალყაში მოაქცია თეატრის შენობა, სადაც იელოვას მოწმეთა კონგრეგაციის 120 წევრი იყო შეკრებილი. ისინი შეიჭრნენ თეატრის შენობაში და თავს დაესხნენ იქ მყოფ იელოვას მოწმეებს. მათი ქმედება დაფიქსირდა მამა ბასილის მომხრეთა მიერ გადაღებულ ვიდეოფირზე.

რამდენიმე პირმა, რომლებმაც თავი დააღწიეს თავდასხმას, მიმართეს პოლიციას. მიუხედავად იმისა, რომ გლდანის მე-3 მიკრორაიონის პოლიციის განყოფილებას მიმართა რამდენიმე განმცხადებელმა, ოფიცრებმა დაარეგისტრირეს მხოლოდ ერთი განცხადება, მაგრამ გადანყვიტეს, არ ჩარეულიყვნენ ამ კონფლიქტში. ერთ-ერთ განმცხადებელს პოლიციის განყოფილების უფროსმა განუცხადა: თავდამსხმელთა ადგილას მე რომ ვყოფილიყავი, იელოვას მონმეებს უარეს დღეს დავაყრიდიო. საბოლოო ჯამში, პოლიცია თავდამსხმელთა მხარეს გადავიდა. შეტაკების დასრულების შემდეგ 16 ადამიანი მოათავსეს საავადმყოფოში. დანარჩენმა 44 დაზარალებულმა გააკეთა განაცხადი, რომ მათზე განხორციელდა თავდასხმა.

შეტაკების მომდევნო დღეს ორმოცდაორმა განმცხადებელმა საჩივარი შეიტანა პოლიციაში. სისხლისსამართლებრივი გამოძიება დაიწყო, მაგრამ მხოლოდ 11 განმცხადებელი ცნეს სამოქალაქო მოსარჩელედ. დანარჩენმა 31-მა განმცხადებელმა საჩივარზე პასუხი ვერ მიიღო, 11 განცხადება კი განიხილებოდა პროკურატურისა და პოლიციის სხვადასხვა დეპარტამენტსა და განყოფილებაში. ძიების პროცესი ჭიანურდებოდა იმ მოტივით, რომ ვერ ხერხდებოდა დამნაშავეთა ამოცნობა.

ამ საქმის გამოძიებაზე პასუხისმგებელმა პოლიციელმა განაცხადა, რომ, რადგან ის იყო მართლმადიდებელი, საქმის გამოძიებისას ვერ იქნებოდა მიუკერძოებელი. გამოძიების პროცესში ერთ-ერთმა მომჩივანმა ამოიცნო ბ-ნი ნიკოლოზიშვილი და მეორე პირიც, რომელიც მას თავს დაესხა. პოლიციის ოფიცრმა გადანყვიტა, დაეკითხა დაზარალებული, მაგრამ მის მიერ ამოცნობის ფაქტს არ მოჰყოლია არანაირი რეაგირება. აღნიშნული საქმე იელოველთა ლიტერატურის დანვაში მონაწილე მამა ბასილის ორი მომხრის შესახებ განსახილველად გადაეცა სასამართლოს. საქმე კვლავ დამატებით ძიებაში დაბრუნდა, რომელიც აღარ დამთავრდა. აპლიკანტს საბოლოოდ უარი ეთქვა საჩივარზე.

1999 წლის ოქტომბრიდან 2002 წლის ნოემბრამდე 138 თავდასხმა განხორციელდა იელოვას მონმეებზე და 784 საჩივარი იქნა შეტანილი. ამ საჩივრების ირგვლივ არც ერთი სერიოზული და დანვრილებითი გამოძიება არ ჩატარებულა.

2000-2002 წლებში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ, გაერთიანებული ერების კომიტეტმა წამების წინააღმდეგ და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციამ დაგმეს საქართველოში რელიგიური უმცირესობის წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობრივი თავდასხმები, განსაკუთრებით – იელოვას მონმეთა მიმართ.

სასამართლოს შეფასება

მე-3 მუხლთან მიმართებით (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა)

სასამართლომ აღნიშნა, რომ ათი განმცხადებლის მიერ არაადამიანური მოპყრობის შესახებ გაკეთებული განცხადებები დასტურდებოდა აპლიკანტების მიერ წარმოდგენილი სამედიცინო ცნობებითა და ვიდეოფირზე ასახული თავდასხმის კადრებით. ამას გარდა, თხუთმეტმა მომჩივანმა ზედმინევნით ზუსტად აღწერა მათ მიმართ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტები, რაც არასოდეს გამოუკვლევია საქართველოს მთავ-

რობას. შესაბამისად, სასამართლო ასკვნის, რომ 25 განმცხადებლის მიმართ განხორციელდა არაადამიანური მოპყრობა.

სასამართლო ასევე თვლის, რომ ის ექვესი აპლიკანტი, რომელთა ბავშვებსაც შეტაკებისას სცემეს, იყო არაადამიანური მოპყრობის არაპირდაპირი მსხვერპლი.

ამას გარდა, 14 აპლიკანტის განაცხადში ვერ კონკრეტდებოდა დაზიანების ხარისხი და სიმძიმე, მაგრამ სასამართლომ მიიჩნია, რომ ვიდუოჩანანერი სრულიად საკმარისია იმისათვის, რათა ისინი ჩაითვალოს არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ობიექტებად. საქართველოს ორი სატელევიზიო არხით გადაცემულ სიუჟეტებში ნათლადაა ასახული ის ძალადობრივი ქმედებები, მათ შორის – რელიგიურ ნიადაგზე ადამიანთა დამცირების ფაქტი (როგორცაა თავის გადაპარსვა), რომლებზეც განმცხადებლები უთითებენ თავიანთ საჩივარში.

შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ 45 აპლიკანტის მიმართ დაირღვა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი.

მიუხედავად ამისა, სასამართლომ დაადგინა, რომ იმ 16 აპლიკანტის მიმართ, რომლებიც მიუთითებდნენ, რომ მათ მოახერხეს გაქცევა თავდასხმის დროს, არ დარღვეულა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი. 37 აპლიკანტის მიმართ სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ არც მათ მიმართ დარღვეულა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი, რადგან მათ საჩივრით არ მიმართეს შესაბამის ორგანოებს თავიანთი უფლებების შელახვის გამო.

სასამართლოს შეფასება ხელისუფლების რეაქციაზე 42 აპლიკანტის საჩივართან დაკავშირებით

სასამართლო აღნიშნავს, რომ განაცხადში არ არის ნაჩვენები, იყო თუ არა ცნობილი სამართალდამცავი ორგანოებისათვის მამა ბასილის მათზე სავარაუდო თავდასხმის შესახებ. მეორე მხრივ, განაცხადში აღნიშნულია, რომ მას შემდეგ, რაც პოლიციის თანამშრომლებს მიენოდათ ინფორმაცია, მათი ქმედებები არასაკმარისი იყო ძალადობის აღსაკვეთად.

ამავე დროს, 31 აპლიკანტმა ვერანაირი პასუხი ვერ მიიღო საჩივრებზე, ხოლო დანარჩენი 11 მომჩივანი ასევე წარუმატებლად ცდილობდა, მიეღო რაიმე განმარტება თავიანთ საჩივრებთან დაკავშირებით. საქმის გამოძიებაზე პასუხისმგებელი გამომძიებელი ძიების დასაწყისშივე ცალსახად აფიქსირებდა თავის მხარდაჭერას თავდამსხმელთა მიმართ.

სასამართლო სინანულით აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობა კვლავ განაგრძობდა მტკიცებას, რომ, თითქოს, შეუძლებელი იყო თავდამსხმელთა ამოცნობა. მთავრობა ამართლებდა რა ამ საშუალებებით ძალოვნების უმოქმედობას, შოკისმომგვრელი იყო ისიც, რომ შეტაკების მომენტში არც ერთი თავდამსხმელი არ დაუპატიმრებიათ. შეტაკების დღეს დაზარალებულებთან ერთად დააკავეს მხოლოდ მამა ბასილი და ბ-ნი ნიკოლოზიშვილი; სატელევიზიო არხები გადმოსცემდნენ ძალადობის ამსახველ ფაქტებს; აღნიშნული ვიდუოფირი სასამართლოზეც იქნა წარდგენილი, სადაც ნათლად იყო ნაჩვენები მამა ბასილი და ბ-ნი ივანიძე, რომლებიც ამოიცნეს დაზარალებულებმა; მომდევნო დღეს აჩვენეს მამა ბასილის ინტერვიუ, ამ დროს ის წვავდა იელოველთა ლიტერატურას და გამოხატავდა დიდ კმაყოფილებას თავისი ქმედებების გამო.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიციის უარი პირდაპირ ჩარეულიყო ინციდენტში, როგორც ეს ასახულია დაზარალებულთა საჩივრებში და ასევე – იმ აპლიკანტთა საჩივრებში, რომელთა ბავშვებსაც სცემეს, არის ძალოვანი ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან ტოტალური მიკერძოების მაგალითის გამოვლენა, რისი უფლებაც მათ არ ჰქონდათ. სასამართლოს აზრით, ძალოვანთა მხრიდან საკითხისადმი ასეთი მიდგომა, რომელთაც ევალებოდათ სისხლისსამართლებრივი დანაშაულის გამოძიება, არის მათი მოვალეობების შეუსრულებლობა.

შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი დაირღვა 42 აპლიკანტის მიმართ.

სასამართლოს შეფასება კონვენციის მე-9 მუხლთან დაკავშირებით

სასამართლომ აღნიშნა, რომ ქართველი სამართალდამცველების უმოქმედობის გამო, რომლებმაც სათანადოდ არ შეასრულეს მათზე დაკისრებული მოვალეობები, რათა თავიდან აცილებულიყო კონფლიქტი მამა ბასილის მომხრე, ექსტრემისტ მართლმადიდებელ დაჯგუფებასა და იელოვას მონმეთა შორის, ვერ იქნა უზრუნველყოფილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლით გარანტირებული უფლებები.

შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ 96 აპლიკანტის მიმართ დაირღვა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლით გარანტირებული უფლებები.

სასამართლოს შეფასება კონვენციის მე-14 მუხლთან დაკავშირებით, კონვენციის მე-3 და მე-9 მუხლებთან მიმართებით

სასამართლო თვლის, რომ სახელმწიფო მოხელეთა მიერ გამოთქმული შენიშვნები და მოსაზრებები, რომლებსაც ეცნობათ თავდასხმის შესახებ ან, შესაბამისად, მიიღეს მითითება საქმის გამოძიების თაობაზე, არ შეესაბამება კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის პრინციპებს. არ შეიძლება რაიმე გამართლება მოეძებნოს საქართველოს მთავრობის დისკრიმინაციულ ქმედებებს. ხელისუფალთა ასეთი მიდგომა აქეზებდა მამა ბასილსა და მის მომხრეებს, მედიის საშუალებით მხარი დაეჭირათ სიძულვილის გამოხატვისა და რელიგიურ ნიადაგზე არსებული ძალადობისთვის. აღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ ამ შემთხვევაში სახელმწიფო იყო კრიმინალების თანამონაწილე.

შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლით გარანტირებული უფლებები, მე-3 და მე-9 მუხლებთან მიმართებით.

დანარჩენ მუხლებთან დაკავშირებით სასამართლო შემადგენლობამ ჩათვალა, რომ საჭირო არ იყო, ცალკე განეხილა საჩივარი კონვენციის მე-13, მე-10 და მე-11 მუხლების ქრილში.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, აპლიკანტების სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა საკომპენსაციო თანხის - 700 ევროს, 350 ევროს, 200 ევროსა და 120 ევროს გადახდა.

გორელიშვილი საქართველოს წინააღმდეგ
CASE of GORELISHVILI v. GEORGIA (№12979/04)

2004 წლის 10 მარტს ქალბატონმა გორელიშვილმა განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2007 წლის 5 ივნისს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№12979/04) და ერთხმად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებელი, პროფესიით ჟურნალისტი, საქართველოს მოქალაქეა და ცხოვრობს თბილისში. 2000 წლის ივლისში განმცხადებელმა გამოაქვეყნა სტატია გაზეთ „მერიდიან-44“-ში, რომელშიც გაკრიტიკებული იყო მთავრობის წარმომადგენელი, იმ დროისათვის პარლამენტის წევრი ბ-ნი გივი ლომინაძე. სტატია იწყებოდა გაზეთის პირველ გვერდზე, რომელზეც დაბეჭდილი იყო პარლამენტარის საზაფხულო აგარაკის ფოტო და აღწერილი იყო ბ-ნი ლომინაძის ქონება. პუბლიკაციაში აქცენტი გაკეთებული იყო იმაზე, რომ ლომინაძეს სიძის დახმარებით შექმნილი ჰქონდა ქონება (მისი სიძე იყო სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი).

ბატონმა ლომინაძემ სარჩელი შეიტანა სასამართლოში ჟურნალისტიკისა და გაზეთის რედაქტორის წინააღმდეგ. იგი აცხადებდა, რომ სტატიაში მოყვანილი ფაქტები არ შეესაბამებოდა სიმართლეს, რის შესახებაც წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია (შევსებული ქონებრივი დეკლარაცია) და მოითხოვა მის წინააღმდეგ გამოქვეყნებული ცილისმწამებლური ფაქტების საჯაროდ უარყოფა. ეროვნული სასამართლოს ყველა ინსტანციაში ბატონი ლომინაძის მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

განმცხადებელი თავის სარჩელში აღნიშნავს, რომ დეფამაციის თაობაზე სასამართლო განხილვამ უსამართლოდ შეზღუდა ჟურნალისტიკის თავისუფლება, რაც კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას წარმოადგენს.

მთავრობამ თავის მხრივ უარყო ის ფაქტი, რომ ჩაერია განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლებაში.

სასამართლოს შეფასება

სასამართლოს ამოცანაა, დაადგინოს, იყო თუ არა საჭირო ამგვარი ჩარევა დემოკრატიული საზოგადოების პირობებში. ზოგადი პრინციპის მიხედვით, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საჭიროება სათანადოდ უნდა იყოს განსაზღვრული. როდესაც საქმე ეხება მედიას, დისკრეციის ეროვნული ზღვარი განპირობებულია დემოკრატიული საზოგადოების ინტერესით, უზრუნველყოს და შეინარჩუნოს თავისუფალი პრესა. შეფასებისას ასეთმა ინტერესმა უნდა გადაწონოს, თუ რამდენად პროპორციული იყო შეზღუდვა, როგორც ეს კონვენციის მე-10 მუხლშია განსაზღვრული. რაც შეეხება განმცხადებლის, როგორც ჟურნალისტიკის დამოკიდებულებას, სასამართლო განმეორებით აცხადებს, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში პრესა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. მიუხედავად იმისა, რომ პრესა არ უნდა

გასცდეს გარკვეულ ფარგლებს, მისი ვალია, გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრება საჯარო ინტერესის მქონე საკითხებზე.

სასამართლო აღნიშნავს, რომ 2003 წლის 12 სექტემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი ჩარევის მასშტაბი ვრცელდებოდა არა მთლიან პუბლიკაციაზე, არამედ – მასში მოყვანილ ორ ფრაზაზე: „...სიძე დაეხმარა სიმამრს; სხვაგვარად ეს უკანასკნელი ვერ შეძლებდა საზაფხულო აგარაკის მშენებლობის დასრულებას...“ და „შეიძლება მხოლოდ ვიკითხოთ, ლომინაძე და მისნაირი ადამიანები მხოლოდ ჰაერით ხომ არ იკვებებიან და ამიტომაც ხელფასის დახარჯვა აღარ უნევთ; სხვაგვარად როგორ შეიძლება ამდენის დაზოგვა?!“

აღნიშნული გამონათქვამები უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია ცილისმწამებლურად, ვინაიდან ისინი სიმართლეს არ შეესაბამებოდა. საკითხის შესწავლის გარეშე (წარმოადგენდა თუ არა აღნიშნული ფრაზები სუბიექტურ შეფასებას), უზენაესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ აღნიშნული გამონათქვამები წარმოადგენდა ფაქტის კონსტატაციას. სარჩელის შეტანისას საქართველოს კანონი ცილისწამების შესახებ არ იძლეოდა სრული ანალიზის ჩატარების საშუალებას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი არ გამოყოფს სუბიექტური აზრისა და ფაქტის კონსტატაციის ცნებებს და ადგენს მხოლოდ ერთ ცნებას – „ცნობები“ და ითხოვს ასეთი ცნობების სისწორის დამტკიცებას. მტკიცების ტვირთი მოპასუხეს ეკისრება. სიტყვის შეფასების მსგავსი მიდგომა, სასამართლოს აზრით, შეუთავსებელია აზრის გამოხატვის თავისუფლებასთან, რაც კონვენციის მე-10 მუხლის ფუნდამენტურ ელემენტს წარმოადგენს.¹

სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამონათქვამები, რომლებიც არ მოიწონა უზენაესმა სასამართლომ, წარმოადგენს პროვოკაციული ტონით წარმოთქმულ მოსაზრებას. სასამართლოს მიერ განმცხადებლის სარკასტულად და ცინიკურად მიჩნეული ფრაზები არ ისახავდა მიზნად პირად თავდასხმას პარლამენტარზე, ვინაიდან გამონათქვამები ფაქტობრივ საფუძველს არ იყო მოკლებული. სასამართლო ასკვნის, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ გამოყენებული სტანდარტები შეუთავსებელია კონვენციის მე-10 მუხლის დებულებებთან, რადგან არ შეიცავს სათანადო და საკმარის მიზეზებს, რომლებიც გაამართლებდა გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას.²

სასამართლო ვერ დაარწმუნა იმ არგუმენტმა, რომ განმცხადებელი ვალდებული იყო, გამოერკვია, როდის და როგორ შეიძინა პარლამენტარმა აღნიშნული ქონება. იგი აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში, როგორც მთავრობის მხარემ აღიარა, ლომინაძის ქონების დეკლარაცია არ შეიცავდა მსგავს ინფორმაციას. ამასთან, სასამართლო აცხადებს, რომ განმცხადებლის სტატი-აში ქონების ტიპი და ღირებულება აღწერილია სწორედ ისე, როგორც ეს მოცემულია პარლამენტარის დეკლარაციაში.

ზემოთქმულის საფუძველზე სასამართლო ასკვნის, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოყენებული სტანდარტები შეუთავსებელია კონვენციის მე-10 მუხლის დებულებებთან, რადგანაც არ შეიცავს სათანადო და საკმარის მიზეზებს, რომლებიც გაამართლებდა გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას. ამდენად, სასამართლოს მიაჩნია, რომ ჩარევა არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

¹ *Zakharov v. Russia*; №14881/03, §§29- 30, 05/10/2006; *Karman v. Russia*; №29372/02, №42-43, 14/12/2006

² *Feldek v. Slovakia*; №29032/95, §86, ECHR 2001-VIII

შესაბამისად, სასამართლოს შემადგენლობამ ერთხმად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი. მოპასუხე სახელმწიფოს დაეკისრა 1 500 ევროს გადახდა განმცხადებლის სასარგებლოდ.

გგელაძე საქართველოს წინააღმდეგ
CASE of MGELADZE v. GEORGIA (№74909/01)

2000 წლის 4 მაისს შალვა მგელაძემ განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2007 წლის 3 ივლისს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№74909/01) და ერთსულოვნად დაასკვნა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

ბატონი შალვა მგელაძე ცხოვრობს თბილისში. იგი ამტკიცებს, რომ პირველ მეუღლესთან განქორწინების შემდეგ ცხოვრობდა დედასთან ერთად მშობლების დანატოვარ სახლში. დეიდების დაჟინებული თხოვნით განმცხადებლის დედამ გაყიდა ეს სახლი და საცხოვრებლად გადავიდნენ მათთან (დეიდების ბინაში). მიღებული თანხით განმცხადებელმა დაფარა ერთ-ერთი დეიდის მშენებარე კოოპერაციული ბინის თანხა, ხოლო ხელფასის ნახევარი შეჰქონდა ზემოხსენებული საცხოვრებელი ბინის თავისი წილი შესატანისა თუ სხვა სახის გადასახადების დასაფარად. აღნიშნული ფულადი დახმარების გამო, დეიდამ უარი თქვა თავის წილზე შალვა მგელაძის სასარგებლოდ. მიუხედავად ამისა, ბინის მესაკუთრე დეიდამ პრივატიზების შემდეგ აღნიშნული ბინა ნოტარიუსთან დამონმებული ანდერძით მიაკუთვნა განმცხადებლის დის ქალიშვილს, რომელმაც მოგვიანებით მას არ მისცა ბინით სარგებლობის უფლება.

განმცხადებელი ჩივის, რომ სააპელაციო და უზენაესმა სასამართლოებმა 2000 წლის 15 მარტისა და 1 დეკემბრის გადაწყვეტილებების მიღებისას სრულიად უგულვებელყვეს პრივატიზაციის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის პერიოდში ქვეყანაში არსებული მოქმედი კანონმდებლობა, ისევე, როგორც ის სამი ოფიციალური დოკუმენტი, რომლითაც დასტურდებოდა, რომ სადავო ნოტარიულ აქტში არ იყო გათვალისწინებული მინისტრთა საბჭოს 1992 წლის №107 დადგენილების (სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის მოქალაქეთათვის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე) მოთხოვნები და თვლის, რომ სასამართლო ორგანოებმა საშუალება მისცეს მონინალმდევე მხარეს, ესარგებლა ამ დადგენილების მცდარი ინტერპრეტაციით.

ამას გარდა, განმცხადებელი ამტკიცებს, რომ 2000 წლის 15 მარტს სააპელაციო სასამართლომ დავის ხელახალი განხილვა თვითნებურად წარმართა იმ პუნქტების თაობაზე, რომლებიც არ წარმოადგენდა მისთვის საქმის გადაგზავნის საფუძველს.

სასამართლოს შეფასება

სასამართლო იმთავითვე აღნიშნავს, რომ ბინაში ჩანერის ინსტიტუტი მიღებული პრაქტიკა იყო საბჭოთა მმართველობის დროს, რაც უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მინიჭებას არ განაპირობებდა. ამასთან, ასეთი

უფლება იმ ეპოქაში თითქმის არ არსებობდა. ამას გარდა, ბინაში ჩანერილი მცხოვრებლების თანხმობა აუცილებელი იყო იმისათვის, რომ პირს საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაცია იმავე ბინის მისამართზე მოეხდინა. ფაქტობრივად, ერთ ბინაში ოფიციალურად ჩანერილ პირებს სხვა ბინაში ცხოვრებისას ხელს არაფერი უშლიდა.

სასამართლო მიუთითებს, რომ 90-იანი წლების დასაწყისში ქვეყნის ხელისუფლების ორგანოებს შორის იყო აზრთა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა კოოპერატიული ბინების პრივატიზაციის შემთხვევაში ოჯახის ზრდასრული წევრების მხრიდან თანხმობის აუცილებლობის თაობაზე. სასამართლო იზიარებს, რომ განმცხადებელმა დიდი იმედგაცრუება განიცადა სასამართლოს 1992 წლის №107 დადგენილების მე-10 მუხლის ინტერპრეტაციის გამო, რომელიც რადიკალურად განსხვავდებოდა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ შემოთავაზებული ინტერპრეტაციისაგან.

ამასთანავე, სასამართლოს მიაჩნია, რომ 1992 წლის №107 დადგენილების პრეამბულასა და პირველ მუხლში საკმაოდ ნათლად იყო განსაზღვრული ამ ტექსტის გამოყენების არე, უფრო კონკრეტულად კი – ოჯახის სრულწლოვან წევრთა თანხმობის აუცილებლობა, რაც აღნიშნულია ამავე დადგენილების მე-2 მუხლში. აქ ასევე ერთმნიშვნელოვნად იყო მითითებული, რომ ეს აუცილებლობა ეხებოდა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ფონდებში არსებული ბინების პრივატიზაციას. რაც შეეხება დადგენილების მე-10 მუხლს, რომელიც ხსენებული დაპირისპირების მიზეზი გახდა, ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე საკუთრების უფლებას ანიჭებს საბინაო კოოპერატივების წევრებს, რომელთაც სრულად გადაიხადეს შესატანი. ამ მიზნით ოჯახის წევრების მხრიდან თანხმობის მოპოვების აუცილებლობაზე იქ არაფერია ნათქვამი.

ამ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია მხოლოდ ივარაუდოს, რომ ადმინისტრაციული ორგანოების ინტერპრეტაცია აღნიშნული დადგენილების მე-10 მუხლთან დაკავშირებით გამომდინარეობდა იქიდან, რომ კოოპერატიულ ბინებთან დაკავშირებული ეს დებულება ჩართული იყო იმ დადგენილებაში, რომელიც ეხებოდა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ფონდში არსებულ ბინებსა და მათ მობინადრეებს – სახელმწიფოს დამქირავებლებს. სახელმწიფოს სასამართლო ორგანოებმა ამ ბუნდოვანების განმარტებისას აღნიშნული დადგენილების ტერმინებს ლოგიკური ინტერპრეტაცია მისცეს, რომელიც, სასამართლოს აზრით, წინა მუხლში მითითებული მიზეზების გამო, სრულებით არ არის საფუძველს მოკლებული. ის ფაქტი, რომ ეს ინტერპრეტაცია განსხვავდება იმისაგან, რაც მისაღები იქნებოდა განმცხადებლისათვის, ვერ ჩაითვლება კონვენციის მე-6 მუხლის საწინააღმდეგოდ.

ამ დებულების შესაბამისად, მნიშვნელოვანი იყო, რომ პრივატიზაციის ხელშეკრულების კანონიერების ეჭვქვეშ დაყენების უსაფუძვლობის შესახებ დასკვნის გამოტანამდე, ქვეყნის სასამართლო ორგანოებს განეხილათ განმცხადებლის მიერ შეთავაზებული მტკიცებულებები და არგუმენტები, მათ შორის – ისინი, რომელთა მიხედვითაც აღნიშნული პირი მონაწილეობდა შესატანის გადახდაში და რომ მისი თანხმობა აუცილებელი იყო ბინის პრივატიზებისათვის.

იმდენად, რამდენადაც ეს დასკვნა არც აშკარად მცდარია¹ და არც შეგნებულად დამახინჯებული, სასამართლოს არ შეუძლია იმოქმედოს როგორც მეოთხე ინსტანციის ორგანომ, რათა თავად შეაფასოს ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა საფუძველზეც საკასაციო და უზენაესმა სასამართლო-

¹ იხ., *Donadze c. Georgie*, №74644/01, §32, 07/03/2006

ებმა მიიღეს სწორედ ეს გადაწყვეტილება და არა – განსხვავებული.¹ წინა-აღმდეგ შემთხვევაში, ის დაარღვევდა თავისი კომპეტენციის ფარგლებს.²

რაც შეეხება განმცხადებლის 2000 წლის 15 მარტით დათარიღებულ განცხადებას, რომლის თანახმადაც, სააპელაციო ინსტანციამ უკანონოდ განიხილა საქმე, სასამართლო აღნიშნავს, რომ უზენაესმა სასამართლომ გააუქმა წინა სააპელაციო დადგენილების ის ნაწილი, რომელიც ბინას უკავშირდებოდა. იგი მიუთითებს, რომ არც ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მე-2 პუნქტით, არც ამ კოდექსის არც ერთი დებულებით სააპელაციო წესით საქმის ხელახალი განხილვა არ შემოიფარგლება მხოლოდ უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი შეცდომების უბრალო გასწორებით.

ზემოთ აღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ 2000 წლის 15 მარტსა და 1 დეკემბერს ქვეყნის სასამართლო ორგანოებმა ჯეროვნად განიხილეს განმცხადებლის საქმე და ასკვნის, რომ ამ საფუძველზე მის მიმართ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლი.

კონვენციის მე-13, მე-14, მე-17 მუხლებისა და ასევე მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევა

კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა შემდეგი: რამდენადაც საჩივრის დარჩენილი ნაწილი ეხება ქვეყნის სასამართლო ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს დავის არსებით მხარეზე, სასამართლოს მითითებით, დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, „საცხოვრებლის“ ცნება კონვენციის მე-8 მუხლის მიხედვით, არ შემოიფარგლება მხოლოდ ადგილით, რომელიც კანონიერად არის დაკავებული ან დადგენილი, არამედ საქმე ეხება ავტონომიურ ცნებას, რომელიც არ არის დამოკიდებული შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ინტერპრეტაციაზე. იმ საკითხის გარკვევა, წარმოადგენს თუ არა ცალკეული ბინა მე-8 მუხლის დაცვის სფეროს მიკუთვნებულ „საცხოვრებელს“, დამოკიდებულია ფაქტობრივ გარემოებებზე, კერძოდ, განსაზღვრულ ადგილთან საკმარისი და ხანგრძლივი კავშირის არსებობაზე.³

რაც შეეხება დანარჩენ მუხლებს, შესაბამისი არგუმენტების წარმოდგენის გარეშე განმცხადებელი ამტკიცებს, რომ ქვეყნის სასამართლო ორგანოებმა დაარღვიეს კონვენციის მე-13, მე-14 და მე-17 მუხლებით გარანტირებული მისი უფლებები. ვინაიდან არ არსებობდა განმცხადებლის განმარტებები, სასამართლომ ვერც საქმეში აღმოაჩინა ვერაფერი, რაც დაადასტურებდა, რომ განცხადებაში წამოჭრილი პრობლემები შედის აღნიშნული მუხლების სფეროში. აქედან გამომდინარე, იგი ასკვნის, რომ განმცხადებლის ეს პრეტენზიები აშკარად დაუსაბუთებელია და უარი უნდა ეთქვას, კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო შემადგენლობამ ერთხმად დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლი.

¹ *Rotaru c. Roumanie [GC]*, N28341/95, §53, *CEDH 2000-V*; *Kopp c. Suisse*, 25/03/1998, 1998-II, §59

² *Contal c. France*, №67603/01, 03/09/2000

³ *Buckley c. Royaume-Uni*, 25/09/1996, 1996-IV, p.1287-1288, §§52-54; *Prokopovitch c. Russie*, № 58255/00, §36, *CEDH DH 2004-XI*

**ს/კ „მრეტები“ საქართველოს წინააღმდეგ
CASE of FC MRETEBI v. GEORGIA (№38736/04)**

2004 წლის 25 ოქტომბერს საფეხბურთო კლუბ „მრეტების“ წარმომადგენლებმა განაცხადით მიმართეს სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2007 წლის 31 ივლისს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№38736/04) და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ვერ დაიცვა შესაბამისი ბალანსი, ერთი მხრივ, სახელმწიფოს ინტერესებსა, რომელიც შეეხებოდა სასამართლო ბაჟის გონივრულად განსაზღვრას, ხოლო, მეორე მხრივ, აპლიკანტის ინტერესებს შორის, როდესაც იგი თავის პოზიციებს იცავდა სასამართლო ინსტანციებში. აქედან გამომდინარე, სასამართლომ ოთხი ხმით სამის წინააღმდეგ დაასკვნა, რომ სასამართლომ აპლიკანტს დაუსაბუთებლად უთხრა უარი, რითიც დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

აპლიკანტი – საფეხბურთო კლუბი „მრეტები“ დაარსდა საქართველოში 1988 წელს. 1992 წლის ივლისში აპლიკანტი კლუბი და საფეხბურთო კლუბი „დინამო“ (ორივე კლუბი საქართველოს საფეხბურთო ფედერაციის წევრია) შეთანხმდნენ კლუბ „დინამოში“ ფეხბურთელების ტრანსფერზე. კლუბ „დინამოდან“ ინგლისურ კლუბებში ფეხბურთელების ტრანსფერის შედეგად „დინამოს“ აპლიკანტის წინაშე ვალად დაედო 691 000 ევრო, მაგრამ აღნიშნული თანხა ვერ გადაიხადა.

წლების განმავლობაში FIFA-ში მიმდინარეობდა „დინამოს“ წინააღმდეგ საქმის წარმოება და 2000 წლის მარტში მას აპლიკანტის სასარგებლოდ დაეკისრა 236 000 ევროს გადახდა. იმის გათვალისწინებით, რომ თანხა არასაკმარისი იყო, აპლიკანტმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წინააღმდეგ სარჩელით მიმართა ადგილობრივ სასამართლოს. აპლიკანტმა ვერც ერთ ინსტანციაში ვერ წარმართა საქმის განხილვა, რადგან უზენაესმა სასამართლომ უარი უთხრა ბაჟისაგან განთავისუფლების მოთხოვნაზე.

აპლიკანტის განცხადებით, კლუბ „დინამოსაგან“ შესაბამისი კომპენსაციის მიუღებლობისა და კლუბ „დინამოსა“ და საქართველოს საფეხბურთო ფედერაციის წინააღმდეგ სასამართლო ინსტანციებში წარმოებული საქმეების განხილვისას არსებული მაღალი გადასახადების გამო კლუბი „მრეტები“ აღმოჩნდა ფინანსურ კოლაფსში.

კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილზე დაყრდნობით განმცხადებელი თვლის, რომ მას შეეზღუდა სამართლიანი სასამართლოს უფლება.

სასამართლოს შეფასება

წარმოდგენილ საქმეში სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ აპლიკანტმა სინამდვილეში უარი თქვა საკასაციო საჩივარზე, რადგან ვერ შეძლო უზენაესი სასამართლოს მიერ დაწესებული ბაჟის გადახდა.

მიუხედავად ამისა, სასამართლო შეგვახსენებს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი ყველასთვის უზრუნველყოფს უფლებას, ნებისმიერი საჩივრით მიმართოს სასამართლოს განმცხადებლის სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებთან დაკავშირებით.¹ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ, თავის იურისდიქციაში უზრუნველყონ ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის კონვენციის მე-6 მუხლის ფუნდამენტური გარანტიები სააკუპლაციო სასამართლოებში, ისევე, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოებში.² შესაბამისად, აპლიკანტს კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილით მინიჭებული უფლება – მისი საქმე განეხილა უზენაეს სასამართლოს – 2004 წლის 30 იანვრისა და 15 მარტის გადაწყვეტილებებით შეეზღუდა.

სასამართლო შეგვახსენებს, რომ სამოქალაქო საქმეებზე ბაჟის გადახდის აუცილებლობა საქმის განხილვის დასაწყებად არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა, რაც არ შეესაბამება კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილს.³ მიუხედავად ამისა, ბაჟის გონივრულობა უნდა განიხილებოდეს საქმეში არსებული კონკრეტული გარემოებების – აპლიკანტის გადამხდელუნარიანობისა და განხილვის სტადიის გათვალისწინებით, რა დროსაც ასეთი შეზღუდვა წარმოიშვა.⁴ უფრო მეტიც, სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის გათვალისწინებით, თუკი ეს ისახავს ლეგიტიმურ მიზნებს და არსებობს გონივრული ურთიერთკავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზნებს შორის.⁵

მიმდინარე საქმეზე სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელის ღირებულების გათვალისწინებითა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე და 41-ე მუხლების შესაბამისად, აპლიკანტს მოეთხოვა მაქსიმალური ბაჟი – 5 000 ლარი (2 200 ევრო) ყველა სასამართლო ინსტანციაში. რამდენადაც ამ საჩივარმა გაიარა ორი ინსტანცია, არსებული ფინანსური გართულებები გაორმაგდა. ამგვარად, აპლიკანტმა პირველ ინსტანციაში გადაიხადა 5 000 ლარი, რადგან რეგიონულმა სასამართლომ არ გადაუვადა ბაჟის გადახდა. სააკუპლაციო ინსტანციაში კი აპლიკანტმა ბაჟის გადახდა ვეღარ შეძლო.

სასამართლო აღნიშნავს: მთავრობის არგუმენტები იმის თაობაზე, რომ საქართველოში „ულარიბეს საფეხბურთო კლუბსაც“ კი შეუძლია გაიღოს ასეთი ხარჯები, წარმოადგენს ჰიპოთეზას და მოკლებულია ყოველგვარ ფაქტობრივ გარემოებებსა თუ მტკიცებულებას.⁶

სასამართლო შემდგომში მიიჩნევს, რომ მთავრობის მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის I ნაწილზე მითითება, რომელიც მოსარჩელესა და მოპასუხეს თანაბრად აკისრებს მტკიცების ტვირთს, შეუსაბამოა. წარმოდგენილ საქმეში პრობლემა წარმოიშვება არა მხარეთა ურთიერთობების გარკვევისას, არამედ – მხარესა და მართლმსაჯულებას შორის. სასამართლო მიიჩნევს, რომ ისეთ სიტუაციაში, როდესაც სასამართლოს ხელისუფლების წარმომადგენლები მხარის განცხადებას გაკოტრების თაობაზე განიხილავენ როგორც საეჭვოს ან შეუსაბამოს, მათ უნდა გამოითხოვონ ამ მხარისაგან მეტი ინფორმაცია საჭირო დოკუმენტების ჩამონათ-

¹ *Teltronic-CATV v. Poland*, №48140/99, §§45 and 64, 10/01/2006; *Golder v. the United Kingdom*, judgment of 21/02/1975, Series A № 18, pp. 13-18, §§ 28-36

² *Brualla Gymez de la Torre v. Spain*, 19/12/1997, Reports of Judgments and Decisions 1997, VIII, p.2955, §33; *Tinnelly & Sons Ltd and Others and McElduff and Others v. the United Kingdom*, 10/07/1998, Reports 1998-IV, p. 1660, §72

³ *Weissman and Others v. Romania*, 63945/00, §§34-35, ECHR 2006

⁴ *Kreuz*, cited above, §§58-60

⁵ *Weissman and Others*, cited above, §36

⁶ *Jedamski and Jedamska v. Poland*, .73547/01, §63, 26/07/2005

ვალის შედგენითა და/ან ინფორმაციის დადასტურების უზრუნველყოფის მოთხოვნით.¹

რა სახისაც არ უნდა იყოს მთავრობის მიერ მოყვანილი არგუმენტები და მტკიცებულებები, სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ უზენაესმა სასამართლომ არც ერთხელ არ მიუთითა, რომ მონოდებული ინფორმაცია არასაკამარისი იყო. მას არ უცდია, რომ აპლიკანტისა და კომპეტენტური პირებისაგან მოეპოვებინა რაიმე დამატებითი მტკიცებულება გაკოტრების შესახებ. უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილებები ცალსახად ამტკიცებდა, რომ არ არსებობდა არავითარი საფუძველი სასამართლო ბაჟისაგან განთავისუფლებისათვის. ასეთ ვითარებაში, უზენაესი სასამართლოს ყოვლად დაუსაბუთებელი უარი აპლიკანტისთვის დაკისრებული ბაჟისგან განთავისუფლების თაობაზე, წარმოადგენს ამ უკანასკნელის უფლებების თვითნებურ და უსაფუძვლო შეზღუდვას, რაც კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილითაა გარანტირებული.

სასამართლო აღნიშნავს, რომ აპლიკანტს არ მოუთხოვია სასამართლო ბაჟისგან მთლიანი ან ნაწილობრივი განთავისუფლება. მან გამოთქვა მზაობა, რომ ამ თანხას დაფარავდა ნაწილ-ნაწილ, ან საქმის განხილვის დასრულების შემდეგ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აპლიკანტის მიერ ბაჟისგან განთავისუფლების მოთხოვნა ნამდვილად ისახავდა მიზნად საკასაციო ინსტანციაში საქმის განხილვის უზრუნველყოფას. მიუხედავად ამისა, სასამართლოს აზრით, ყოველგვარი დასაბუთებული მოტივაციის გარეშე აპლიკანტის მიერ ფინანსური შეღავათების თაობაზე სარჩელის უარყოფისას, როგორც ჩანს, უზენაესმა სასამართლომ იხელმძღვანელა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდის ინტერესებიდან გამომდინარე.² მთავრობის არგუმენტების გათვალისწინებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ წარმოდგენილ საქმეში არსებული შეზღუდვები მხოლოდ და მხოლოდ ფინანსურ ხასიათს ატარებდა და არავითარი კავშირი არ ჰქონდა საჩივრის გარემოებებთან ან მოგების პერსპექტივასთან. ასეთი შეზღუდვები, მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროებს უმკაცრესად სკრუპულოზურ გამოკვლევას.³

ამასთან დაკავშირებით, სასამართლო მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ გარდა „მართლმსაჯულების სამართლიანი და ეფექტური მართვის“ მცნების აბსტრაქტული განმარტებისა, მთავრობამ არ წარმოადგინა რაიმე კონკრეტული, გონივრული არგუმენტი ფინანსურ შეზღუდვებზე, რაც სასამართლოში აპლიკანტის უფლებებთან იყო დაკავშირებული. მის ხელთ არსებული მასალების გათვალისწინებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ წარმოდგენილ საქმეზე დადგენილ ბაჟზე არ შეიძლება ითქვას, რომ ის ემსახურებოდა აუნაზღაურებელი სასამართლო ხარჯების დაცვის წინააღმდეგ მეორე მხარის კანონიერი ინტერესების დაცვას ან სასამართლო სისტემის დაცვას დაუსაბუთებელი საჩივრებისაგან, რომელთა განხილვაც, პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, ასაბუთებს სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე შეზღუდვების დაწესებას.⁴ შესაბამისად, წარმოდგენილი საქმის განხილვისას არ პრევალირებს ზოგადი ინტერესი.

ზემოხსენებული განხილვების გათვალისწინებით და მთლიანად, საქმეზე არსებული ფაქტების შეფასებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ვერ დაიცვა შესაბამისი ბალანსი, ერთი

¹ *Jedamski and Jedamska, cited above, §64; Kreuz, cited above, §64*

² *Podbielski and PPU Polpure, 39199/98, §66, 26/07/2005*

³ *Podbielski and PPU Polpure v. Poland, cited above, §65*

⁴ *Tolstoy Miloslavsky v. the United Kingdom, 13/07/1995, Series A, № 316-B, pp.80-81, §§61 et seq.*

მხრივ, სახელმწიფოს ინტერესებსა, რომელიც შეეხებოდა სასამართლო ბაჟის გონივრულად განსაზღვრას, ხოლო, მეორე მხრივ, აპლიკანტის ინტერესებს შორის, როდესაც იგი თავის პოზიციას იცავდა სასამართლო ინსტანციებში.

შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი, რაც გამოიხატა სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე დაუსაბუთებელი უარით.

კონვენციის შესაძლო სხვა დარღვევები

აპლიკანტი ჩივის, რომ კონვენციის პირველი ოქმის I მუხლის გათვალისწინებით, ადგილობრივმა სასამართლოებმა დაარღვიეს მისი უფლებები, როდესაც გააუქმეს 1992 წლის 11 ივლისის შეთანხმება ტრანსფერის თაობაზე და უარი უთხრეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წინააღმდეგ შეტანილ სამოქალაქო სარჩელზე.

თუ გავითვალისწინებთ, რომ პირველი ოქმის I მუხლი მიესადაგება აპლიკანტსა და საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ შორის „ფედერაციული უფლებების მქონე ფეხბურთელის ტრანსფერს“, როგორც ეს ფიფას ფეხბურთელთა სტატუსის კომიტეტის ბიურომ ასახა თავის 1999 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილებაში, სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს როლი შეზღუდული იყო სატრანსფერო შეთანხმების გაუქმების შესახებ ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 1998 წლის 13 ივლისის საბოლოო გადაწყვეტილების ანუღირების თაობაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ კონვენციის პირველ ოქმს საქართველო მიუერთდა 2002 წლის 7 ივნისს, სასამართლო ადგენს, რომ განაცხადის ეს ნაწილი არ შეესაბამება კონვენციის მოთხოვნებს და, 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების შესაბამისად, არ უნდა იქნეს განხილული.

რაც შეეხება საჩივარს იმის თაობაზე, რომ ადგილობრივმა სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს მისი მოთხოვნები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წინააღმდეგ სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის არ დაუკისრებიათ კომპენსაციის გადახდა აპლიკანტის სასარგებლოდ, არც სტატუსისა და არც სავალდებულო ძალის მქონე სასამართლოს გადაწყვეტილების გათვალისწინებით. ვინაიდან, კონვენციის პირველი ოქმის I მუხლი ვერ უზრუნველყოფს საკუთრების დაუფლების უფლებას,¹ განაცხადის ეს ნაწილი, კონვენციის პირველი ოქმის I მუხლის თანახმად, აშკარად დაუსაბუთებელია და, 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების შესაბამისად, არ უნდა იქნეს განხილული.

კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

„თუ სასამართლო დაასკვნის, რომ დაირღვა კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლება, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვერელი მხარის შიდა სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიანად აკმაყოფილებს.“

¹ *Van der Musselle v. Belgium*, 23/11/1983, Series A 70, p.23, §48; *mutatis mutandis, Polacek and Polackova v. Czech Republic*, [GC], 38645/97, 10 /07/2002

A. ზიანი

მატერიალური ზიანის თაობაზე აპლიკანტმა მოითხოვა იგივე თანხა, რაც მან მიუთითა ადგილობრივი სასამართლოების მეორე ინსტანციაში განხილვისას — 9,600,000 აშშ დოლარი და 2,812,500 ინგლისური ფუნტი სტერლინგი (მთლიანად – 11,750,000 ევრო). აპლიკანტის გამოანგარიშებით, 1992 წლის 11 ივლისის სატრანსფერო ხელშეკრულების თანახმად, საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ მის წინაშე ჰქონდა დავალიანებები.

აპლიკანტმა აღნიშნა, რომ მორალური ზიანის თაობაზე მას მოთხოვნა არა აქვს. მთავრობის მოსაზრებით, მატერიალური ზიანის მოთხოვნა გადაჭარბებული და დაუსაბუთებელი იყო.

სასამართლომ ვერ აღმოაჩინა რაიმე მიზეზობრივი კავშირი აღმოჩენილ დარღვევასა და მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას შორის. შეუძლებელია, განისაზღვროს ადგილობრივი განხილვების შედეგები კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილთან შესაბამისობაში.¹ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ უარი თქვა აპლიკანტის ამ მოთხოვნაზე. მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის არარსებობის გამო, სასამართლო ვალდებული არ არის, გააკეთოს რაიმე განსაზღვრება ამის თაობაზე.²

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილება, რომლითაც სასამართლო ადგენს კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევას, მოპასუხე სახელმწიფოს აკისრებს კანონიერ ვალდებულებებს, არა მხოლოდ გადაიხადოს ამასთან დაკავშირებული თანხა, რომელიც დაეკისრა სამართლიანი დაკმაყოფილების გზით, არამედ აირჩიოს მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობის ქვეშ ზოგადი და/ან შესაბამისად ინდივიდუალური ზომები, რომლებიც მიღებულია ადგილობრივი სამართლებრივი სისტემის მიერ, რათა აღმოიფხვრას სასამართლოს მიერ აღმოჩენილი დარღვევები. მოპასუხე სახელმწიფოს ევალება, მიიღოს ყველა შესაძლო რეპარაცია დარღვევით გამოწვეული შედეგების აღსაკვეთად, ისე, რომ აღდგეს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, დარღვევამდე არსებული სიტუაცია.³ შესაბამისად, განსახილველ საქმეში არსებული დასკვნებისა და საკასაციო სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე აპლიკანტის უფლების შელახვის გამოსწორების გათვალისწინებით,⁴ სასამართლო აღნიშნავს, რომ ანაზღაურების ყველაზე მისაღებ ფორმად ჩაითვლებოდა ის, რომ კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის მოთხოვნების შესაბამისად, უზენაეს სასამართლოს განეხილა აპლიკანტის 2004 წლის 5 იანვრის საკასაციო საჩივარი, როგორც ამას ითხოვდა განმცხადებელი.⁵

B. ღირებულება და ხარჯები

აპლიკანტი ასევე ითხოვს სასამართლოს ხარჯების ანაზღაურებას (5000 ლარის – 2200 ევროს), რომელიც მან გადაიხადა თბილისის რაიონულ სასამართლოში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წინააღმდეგ სარჩე-

¹ *Teltronic-CATV*, cited above, §69

² *Amat-G Ltd and Mebaghishvili v. Georgia*, 2507/03, §72, ECHR 2005

³ *Apostol v. Georgia*, 40765/02, §71, ECHR 2006 ; *Assanidze v. Georgia [GC]*, 71503/01, §198, ECHR 2004-II; *Maestri v. Italy [GC]*, 39748/98, §47, ECHR 2004-I

⁴ *Papamichalopoulos and Others v. Greece (Article 50)*, judgment of 31/10/ 1995, Series A 330-B, pp.58-59, §34

⁵ *Mehmet and Suna Yipit v. Turkey*, 52658/99, §47, 17/07/ 2007; *Gensel v. Turkey*, №53431/99, §27, 23/10/ 2003

ლის განხილვისას. სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში საქმის განხილვასთან დაკავშირებით საჩივარი არ შესულა. მთავრობას საპასუხო შენიშვნები არ გაუკეთებია.

სასამართლო შეგვახსენებს, რომ კონვენციის დარღვევის შემთხვევაში, აპლიკანტს შეიძლება აუნაზღაურდეს ეროვნულ სასამართლო ინსტანციებში განეული ხარჯები და გადასახადები. მიუხედავად ამისა, ვინაიდან განსახილველ საქმეში აღმოჩნდა მხოლოდ ერთი დარღვევა საკასაციო სასამართლოს ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, სასამართლო საჭიროდ არ მიიჩნევს, მიუთითოს პირველ ინსტანციაში საქმის განხილვისას განეული ხარჯებისა და გადასახადების ანაზღაურების თაობაზე.¹ შესაბამისად, ამ მოთხოვნას უარი უნდა ეთქვას.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, სასამართლო შემადგენლობამ ერთხმად ცნო საჩივარი დასაშვებად, რომელიც შეეხება უზენაეს სასამართლოში საკასაციო საჩივრის შეტანაზე დაუსაბუთებელი უარის თქმას, ხოლო განაცხადის დანარჩენი ნაწილი ცნობილ იქნა დაუშვებლად.

სასამართლომ ოთხი ხმით სამის წინააღმდეგ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

სასამართლო შემადგენლობამ ერთხმად უარი თქვა აპლიკანტის მოთხოვნაზე სამართლიანი დაკმაყოფილების შესახებ.

¹ *Papon v. France*, 54210/00, §115, ECHR 2002 VII

**მოსამართლეების – ტიურმენის, მულარონისა და პოპოვიჩის
ერთობლივი, ნაწილობრივად განსხვავებული მოსაზრება
საქმეზე ს/კ „მრეტიპი“ საქართველოს წინააღმდეგ¹**

ვწუხვართ, რომ არ შეგვიძლია დავეთანხმეთ უმრავლესობის აზრს, რომლის მიხედვითაც, ამ საქმეში კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი მიჩნეულია დარღვეულად.

ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ შემდეგ გარემოებებზე:

I. სადავო ბაჟის რაოდენობა 2 200 ევროს ეკვივალენტური იყო. ეს არის თანხა, რომელიც არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს არაპროპორციულად აპლიკანტის (დამწყები დონის საფეხბურთო კლუბის) შესაძლებლობასთან და შეფასდეს ზიანის ოდენობად;

II. საქმიდან აშკარად ჩანს, რომ აპლიკანტმა ეროვნულ სასამართლოებში ვერ დაასაბუთა თავისი გაკოტრება. 2003 წლის აპრილში თბილისის სასამართლომ უარი თქვა ბაჟის გადავადებაზე იმ საფუძველით, რომ „აპლიკანტის მოთხოვნა არ იყო საკმარისად დასაბუთებული გაკოტრების მტკიცებულებებით.“ 2004 წლის 5 იანვრის საკასაციო საჩივარში აპლიკანტმა ვერ დაამტკიცა, რომ „მან დროებით შეაჩერა მოღვაწეობა ფინანსური პრობლემების გამო (თითქმის გაკოტრებამდე იყო მისული).“

III. 2001 წლის იანვარში აპლიკანტის კომპანიას საფეხბურთო კლუბმა „დინამომ“ ვალის სახით გადაუხადა 300 000 აშშ დოლარი (236 000 ევრო).

ამ გარემოებების გათვალისწინებით, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეროვნული სასამართლოების უარი აპლიკანტის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რომელიც შეეხებოდა სასამართლო ბაჟისგან ნაწილობრივ ან მთლიან განთავისუფლებას, არ ნიშნავს სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვას.

ჩვენ გვსურს გავაკეთოთ ორი დამატებითი შენიშვნა უმრავლესობის მიერ მოყვანილი არგუმენტების თაობაზე, რომლებიც კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევას შეეხებოდა:

1) მტკიცებულების მთავარი დეტალი, რომელიც აპლიკანტის გაკოტრების შესახებ უმრავლესობის არგუმენტებს ამყარებს, არის 2005 წლის 15 მარტის აუდიტის დასკვნა. ეს დოკუმენტი მომზადდა 2004 წლის იანვრის შემდეგ, საკმაოდ გვიან, როცა უზენაეს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა;

2) ჩვენი სასამართლოს ფუნქცია არ არის, ეროვნულ სასამართლოებს დააკისროს „მხარეებისგან მეტი ინფორმაციის გამოთხოვა,“ ან „შეეცადოს, მოიპოვოს აპლიკანტისგან, ან კომპეტენტური ორგანოებისგან რაიმე დამატებითი მტკიცებულება,“ რათა განიხილოს სამოქალაქო საქმე. ეს წესი დადგენილია მხარეთათვის მტკიცებულებების წარმოსადგენად და არა სასამართლოებისთვის, რომ მათ მოუწოდონ მხარეებს ამისკენ. თუ მხარეები შესაბამისი მტკიცებულებებით საკმარისად არ დაასაბუთებენ თავიანთ მოთხოვნებს, სასამართლოს მიერ გამოტანილი უარყოფითი გადაწყვეტილების შედეგები მხოლოდ მათი ბრალი იქნება.

¹ კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თუ განჩინება მთლიანად, ან ნაწილობრივ არ გამოხატავს მოსამართლეთა ერთმხრივ აზრს, ნებისმიერი მოსამართლე უფლებამოსილია, მას დაურთოს ცალკე აზრი. ევროპული სასამართლოს რეგლამენტის 74-ე წესის მე-2 პუნქტის თანახმად, ნებისმიერი მოსამართლე, რომელმაც მონაწილეობა მიიღო საქმის განხილვაში, უფლებამოსილია, დაურთოს განაჩენს როგორც თავისი განცალკევებული მოსაზრება, რომელიც თანმხვედრი ან განსხვავებულია განაჩენისაგან, ასევე - მხოლოდ განცხადება, რომ იგი არ ეთანხმება განაჩენს.

რიჟამაძე საქართველოს წინააღმდეგ
CASE of RIZHAMADZE v. GEORGIA (№2745/03)

2002 წლის 10 მაისს ავთანდილ რიჟამაძემ განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2007 წლის 31 ივლისს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№2745/03) და ერთხმად დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის 1 ნაწილი..

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებელი ავთანდილ რიჟამაძე მეზაჟედ მუშაობდა ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის რეგიონულ სამსახურში (შემდგომში – „საბაჟო დეპარტამენტის ძველი სამსახური“). 1995 წლის 30 ივნისს ჩატარებული სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად 1995 წლის 5 აგვისტოს სხვა თანამშრომლებთან ერთად იგი გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან. გათავისუფლების თაობაზე ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ გათავისუფლებული თანამშრომლები უნდა გადაეყვანათ სხვა, ახლად შექმნილ რეგიონულ სამსახურში (შემდგომში – „ახალი საბაჟო სამსახური“).

1995 წლის 5 აგვისტოს განმცხადებელმა თხოვნით მიმართა საბაჟო დეპარტამენტს ახალ სამსახურში მუშაობის დაწყების თაობაზე. მას ამ თხოვნაზე პასუხი არ მიუღია. მომდევნო 6 წლის განმავლობაში მან მრავალჯერ მიმართა საჩივრით სხვადასხვა სამთავრობო უწყებას იმის გამო, რომ არ ეძლეოდა მუშაობის გაგრძელების შესაძლებლობა.

2001 წლის 21 მარტის წერილით დეპარტამენტმა განმცხადებელს აცნობა, რომ 1995 წლის 30 ივნისს ჩატარებული რეორგანიზაციის შედეგად მოხდა კადრების მნიშვნელოვანი შემცირება და ვინაიდან ძველ საბაჟო სამსახურში იგი დიდი ხნის განმავლობაში უნებართვოდ აცდენდა სამუშაოს, ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება მისი საბოლოოდ განთავისუფლების თაობაზე. როგორც წერილში იყო მითითებული, მსგავსი გადაწყვეტილების კანონიერ საფუძველს წარმოადგენდა შრომის კანონთა კოდექსის შესაბამისი დებულებები. მითითებული კოდექსი ერთადერთი საკანონმდებლო აქტი იყო იმ დროისთვის, რითიც წესრიგდებოდა საჯარო მოხელეთა შრომითი დავები. განმცხადებელი მიიწვიეს კადრების განყოფილებაში განთავისუფლების თაობაზე ბრძანების ასლისა და საბუთების გადასაცემად. 2001 წლის 23 მაისს მან შეიტანა სარჩელი სასამართლოში დეპარტამენტის წინააღმდეგ უკანონო გათავისუფლების გამო, მოითხოვა სამსახურში აღდგენა და კომპენსაცია ხელფასის დაკარგვის გამო.

ვინაიდან განმცხადებელი ეროვნული სასამართლოს მიერ განხილული საქმის შედეგებს ეჭვქვეშ აყენებს, იგი მიმართავს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს თხოვნით, შეასრულოს „მეოთხე ინსტანციის“ სააპელაციო სასამართლოს როლი. მიუხედავად ამისა, სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეროვნული სასამართლოები წარმოადგენს მტკიცებულების სათანადოობის შეფასებისა და მატერიალური და საპროცესო-სამართლებრივი ნორმების განმარტებისა და გამოყენების საუკეთესო

ინსტანციას.¹ ვინაიდან შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ შეიცავს აშკარა თვითნებურ დასაბუთებას,² სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის სარჩელის ეს ნაწილი, კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, არის აშკარად არასწორად ჩამოყალიბებული და, კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად, უნდა იქნეს უარყოფილი.

სასამართლოს შეფასება

სასამართლო დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ უზენაეს სასამართლოში მიმდინარე საქმის განხილვა (განმცხადებლის მიერ ხანდაზმულობის ვადის დაცვის გათვალისწინებით) არ წარმოადგენს დავას განმცხადებლის სამოქალაქო უფლებების თაობაზე. მიუხედავად ამისა, განმცხადებლის სარჩელში მოყვანილი შრომით უფლებებთან დაკავშირებული ფაქტებისა და შესაბამისი კომპენსაციის მოთხოვნის შესწავლა გახდა სასამართლო განხილვის შედეგი.³

რაც შეეხება მთავრობის პროტესტს სარჩელის შესაბამისობასთან დაკავშირებით, იმ მიზეზით, რომ განმცხადებელი იყო საჯარო მოხელე, სასამართლო აცხადებს, რომ დიდმა პალატამ ცოტა ხნის წინ, პელეგრინის საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე,⁴ შეიტანა შესწორება თავის „ფუნქციონალურ კრიტერიუმში“, რომელსაც იგი ეყრდნობოდა. შესაბამისად, ამჟამად მიჩნეულია, რომ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ვრცელდება საჯარო მოხელეების შრომით დავებზეც. მხოლოდ ის ფაქტი, რომ განმცხადებელი, თავისი საჯარო სამსახურის ნყალობით, მონაწილეობს სახელმწიფოს სუვერენული უფლებამოსილების განხორციელებაში, ვეღარ ჩაითვლება გადამწყვეტ არგუმენტად.

პელეგრინის საქმეზე დადგენილი „ფუნქციონალური კრიტერიუმის“ ნაცვლად მიღებულია და ამჟამად მოქმედებს ორსაფეხურიანი ტესტი. შესაბამისად, იმისათვის, რომ მოპასუხე სახელმწიფოს მიეცეს საშუალება, მოითხოვოს გამონაკლისი კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დაცვის გარანტიებიდან, რაც, როგორც წესი, ვრცელდება ყველა საჯარო მოხელეზე, მოპასუხე სახელმწიფომ უნდა დაამტკიცოს, რომ აღნიშნული შეზღუდვა, სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე კონკრეტულ თანამდებობასთან დაკავშირებით, განმტკიცებულია ეროვნული კანონმდებლობით. კანონიერების მოთხოვნის შესრულებისთანავე მოპასუხე მთავრობამ უნდა მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ არსებობს ობიექტური სახელმწიფო ინტერესი, რომელიც დამოუკიდებელია სახელმწიფოსა და მოხელეს შორის „განსაკუთრებული ნდობისა და ერთგულების ვალდებულებისაგან“, რაც ამართლებს სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შეზღუდვას.⁵

¹ *Vidal v. Belguim*, 22/04/1992, №235-B, pp.32-33, §32; *Gurepka v. Ukraine*, №61496/00, §45, 06/09/2005

² *Donadze v. Georgia*, №74644/01, §32, 07/03/2006

³ *Zander v. Sweden*, 25/11/1993, №279-B, p.38, §22; *Moreira de Azevedo v. Portugal*, 23/10/1990, №189, p.17, §66

⁴ *Vilho Eskelinen and others v. Finland*, №63235/00, §§55-56, 19/04/2007

⁵ *Vilho Eskelinen and others v. Finland*, §§61-62

არსებულ საქმეში მხარეებისათვის საერთო საფუძველს ქმნის ის გარემოება, რომ განმცხადებელს ხელი მიუწვდებოდა ეროვნულ სასამართლოებზე. ეროვნული კანონმდებლობით, მას არ ეკრძალებოდა სარჩელის შეტანა სახელმწიფოს წინააღმდეგ თანამდებობაზე აღდგენის მოთხოვნით. უფრო მეტიც, ეროვნულმა სასამართლოებმა განსაკუთრებულად აღნიშნეს, რომ იმ დროისათვის, როდესაც განმცხადებელი ითხოვდა კომპენსაციას, ისინი იყენებდნენ შრომის კანონთა კოდექსს, რომელიც აწესრიგებდა დასაქმებასთან დაკავშირებულ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებს. სხვაგვარად, სახელმწიფომ განმცხადებლის, როგორც საჯარო მოხელის, მიმართ დაიკავა იგივე პოზიცია, როგორიც კერძო დაქირავებული პირის მიმართ.

ამგვარ გარემოებებში, კონვენციის მექანიზმებით გათვალისწინებული სუბსიდიურობის პრინციპის დაცვით, სასამართლოს არ შეუძლია დაიკავოს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს ადგილი და ივარაუდოს, რომ სახელმწიფოს გააჩნია იმუნიტეტი სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან განმცხადებლის უსამართლო განთავისუფლებისა და დაკარგული ანაზღაურების თაობაზე მის სარჩელთან დაკავშირებით.¹ შესაბამისად, მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროტესტი უარყოფილ იქნა.

ამგვარად, სასამართლო თვლის, რომ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ვრცელდება ამ კონკრეტულ დავაზე. არანაირი სხვა საფუძველი განაცხადის დაუშვებლად ცნობისთვის არ გამოვლინდა. ამდენად, აღნიშნული განაცხადი სასამართლოს მიერ დაშვებულად იქნა ცნობილი.

სასამართლოს, აგრეთვე, მიაჩნია, რომ პირველი და ერთადერთი ინსტანციის სასამართლო განხილვის დროს, ჩვეულებრივ, არსებობს ზეპირი განხილვის უფლება,² თუმცა ზეპირი განხილვის არარსებობა მეორე და მესამე ინსტანციებში შეიძლება განპირობებული იყოს საქმის განხილვასთან დაკავშირებული კონკრეტული თავისებურებებით იმ შემთხვევაში, თუ ზეპირი განხილვა მოხდა პირველი ინსტანციის სასამართლოში.³

სასამართლოს მიაჩნია, რომ საჯარო განხილვის უფლება, რომელიც გარანტირებულია კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით, გულისხმობს ზეპირი განხილვის უფლებას. მიუხედავად ამისა, კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ზეპირი განხილვის ვალდებულება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას. ამგვარად, ზეპირი განხილვის არარსებობა შესაძლოა, შეესაბამებოდეს კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნას, როდესაც განსახილველი საკითხი არ ინვესტს ეჭვს იმ ფაქტებთან ან კანონთან დაკავშირებით, რომელიც საქმეში წარმოდგენილი მასალებისა და მხარეთა წერილობითი დოკუმენტაციის საფუძველზე შეუძლებელია ადეკვატურად იქნეს გადანყვეტილი.⁴

რაც შეეხება საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო ფუნქციას, სასამართლო მიიჩნევს, რომ მისი როლი მდგომარეობდა სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილების კანონიერების შეფასებაში. ეს გამომდინარეობს მთავრობის მიერ წარმოდგენილი არგუმენტებიდან, რომლებიც განმცხადებელს სადავოდ არ გაუხდია და რომლებიც უზრუნველყოფილია ეროვნული კანონმდებლობითა და პრაქტიკით, რაც გულისხმობს შემდეგს: საკასაციო სასამართლო არ იყო ის კომპეტენტური ორგანო, რომელსაც შეეძლო ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებული

¹ *Vilho Eskelinen and others v. Finland*, §§61-62

² *Hakansson and Sturesson v. Sweden*, 03/02/1990, №171, p.20, §.64

³ *Helmess v. Sweden* 29/10/1991, №212, p.16, §36

⁴ *Fredin v. Sweden*, №2, 23/02/1994, №283, §§21-22; *Fischer v. Austria*, 26/04/1995, №312, §44

საკითხების გადაწყვეტა. მას შეეძლო მხოლოდ მატერიალური და პროცესუალური კანონმდებლობით გათვალისწინებული დებულებების განმარტებისა და გამოყენების შეფასება. მიუხედავად ამისა, განმცხადებელს ჰქონდა უფლება, გაესაჩივრებინა დადგენილი ფაქტები დამატებითი და არგუმენტებული საკასაციო პრეტენზიის აღძვრის საფუძველზე, იმ მოთხოვნით, რომ ასეთი ფაქტები ქვემდგომმა ინსტანციებმა დაადგინეს პროცესუალური ნორმების დარღვევით.

სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული სარჩელის გათვალისწინებით, უზენაეს სასამართლოს გააჩნდა ქვემდგომი ინსტანციების მიერ გამოსაყენებელი სამართლის განმარტების შესაძლებლობა მხარეთა მიერ უკვე წარდგენილი არგუმენტებისა და საქმის სხვა მასალების საფუძველზე. სამართლებრივი არგუმენტები, ისევე, როგორც ტექნიკური ფაქტობრივი საკითხები, შესაძლებელია უფრო ეფექტურად იქნეს წარმოდგენილი წერილობითი ფორმით, ვიდრე - ზეპირად.

სასამართლო აღნიშნავს, რომ საკასაციო სარჩელში განმცხადებელი ითხოვდა საქმის ფაქტობრივი გარემოებების გადახედვას. მიუხედავად ამისა, მან არ დააკონკრეტა სააპელაციო სასამართლოს მიერ მისი მდგომარეობის შეფასების პროცედურული ნაკლოვანებები. ასეთ ვითარებაში სასამართლოს მიაჩნია, რომ უზენაესმა სასამართლომ, რომელსაც არ გააჩნია საკმარისი კომპეტენცია, შეისწავლოს სადავო გადაწყვეტილების დასაბუთებულობა ან მოიპოვოს ახალი მტკიცებულება, კანონიერად განაცხადა უარი საქმის გარემოებების განხილვაზე და ნაცვლად ამისა, დაადასტურა სააპელაციო სასამართლოს მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მხოლოდ სამართლებრივი დასაბუთებულობის გადამოწმებით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი პუნქტი) საკასაციო სასამართლომ შრომის კანონთა კოდექსის 204-ე მუხლის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება ხანდაზმულობის ვადის დასაშვებობისა და მისი გამოთვლის თაობაზე.

ვინაიდან სააპელაციო სასამართლოში ხანდაზმულობის ვადის საკითხი უკვე იყო მსჯელობის საგანი ზეპირი განხილვის დროს, განმცხადებლისათვის იმავე საკითხის ხელმეორედ განხილვაზე უარი შესაძლებელია, ნაკლებად მნიშვნელოვნად იქნეს მიჩნეული. შესაბამისად, საკასაციო პროცესის ბუნებიდან გამომდინარე, ეს უფლება შესაძლებელია, უარყოფილ იქნეს სხვა, უფრო მნიშვნელოვანი კანონიერი ინტერესების გამო.² ამ შემთხვევაში სასამართლო იღებს მთავრობის მითითებას სათანადოობისა და ეკონომიურობის თაობაზე.

მის ხელთ არსებული მასალების გათვალისწინებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ დეპარტამენტმა არ წარმოადგინა არანაირი პასუხი განმცხადებლის საკასაციო სარჩელზე. ამდენად, ამ უკანასკნელს არ შეუძლია განაცხადოს, რომ ზეპირი განხილვის არარსებობის გამო საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მას არ მიეცემოდა მეორე მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტების გაცნობის საშუალება.³

¹ *Pursiheimo v. Finland*, №57795/00, 25/11/2003; *Dury v. Sweden* №28394/95, §37, 12/11/2002; *Sutter v. Switzerland*, 22/02/1984, №74, §30; *Coorplan-Jenni GmbH and Hascic v. Austria*, №10523/02, , 27/07/2006; *Salomonsson v. Sweden*, №38978/97, §39, 12/11/2002; *Guz v. Turkey [GC]*, №36590/97, §51, ECHR 2002-V

² *Ekbatani v. Sweden* 26/05/1988, №134, p.14, §31; *Helmerts v. Sweden*, §36

³ *Lobo Machado v. Portugal* 26/02/1996, 1996-1, §31; *Vermeulen v. Belgium*, 20/02/1996, 1996-1, §33; *Frette v. France*, №36515/97, §47, ECHR 2002-I

და ბოლოს, სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ არსებულ საქმეში ზეპირი განხილვის არარსებობა არ არღვევდა განმცხადებლის უფლებას შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებულ სასამართლო განხილვაზე, რაზეც განმცხადებელმა შეცილება არ გააკეთა.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო შემადგენლობამ ერთხმად დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ
CASE of PATSURIA v. GEORGIA (№30779/04)

2004 წლის 2 მაისს გიორგი ფაცურიათ განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2007 წლის 6 ნოემბერს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№30770/04) და დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

გიორგი ფაცურიას საჩივარი ეხებოდა მისთვის წინასწარი პატიმრობის უსაფუძვლოდ შეფარდებას. ევროპის სასამართლომ განმარტა, რომ განმცხადებლის წინასწარი პატიმრობა 9 თვისა და 12 დღის განმავლობაში იყო უსაფუძვლო და გაუმართლებელი.

2001 წლის 18 იანვრის ხელშეკრულებით სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ აიღო ვალდებულება, მოსარჩელისათვის გადაეცა საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის კომპანიის წილის 90%, იმის სანაცვლოდ (სხვა ვალდებულებებთან ერთად), რომ იგი (მოსარჩელე) მიმდინარე თვის ბოლომდე კომპანიის საწყის კაპიტალს გაზრდიდა 480.000 (ოთხას ოთხმოცი ათასი) ლარით.

2001 წლის 14 მარტსა და 7 მაისს სამინისტრომ მოითხოვა შემოწმება, თუ რამდენად წარმატებით სრულდებოდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამის საპასუხოდ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე და ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის (სახელმწიფო ორგანოს) რეკომენდაციით, გენერალურმა პროკურატურამ შეამოწმა მოსარჩელის საფინანსო ოპერაციები, რის შედეგადაც დაადასტურა წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნამდვილობა და უარი თქვა დოკუმენტების გაყალბების ბრალდებით მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე.

2004 წლის 28 აპრილს გენერალურმა პროკურორმა პირადად მოითხოვა მოსარჩელის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა შემდეგი ბრალდებით: სახელმწიფო წილის 90%-ის მითვისება-გაფლანგვა თაღლითობით. 2004 წლის 5 მაისს გ. ფაცურიას ბრალი წაუყენეს და დააკავეს საბანკო დოკუმენტების გაყალბების გამო. 2005 წლის 11 თებერვალს ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ დაიწყო საქმის არსებითად განხილვა. სასამართლომ განმცხადებელი დამნაშავედ ცნო თაღლითობის მცდელობისათვის და 2005 წლის 17 თებერვალს მიუსაჯა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა. სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებმა მოსარჩელის სარჩელები არ დააკმაყოფილეს.

სასამართლოს შეფასება

საქართველოს შიდა სასამართლოების გადანყვეტილებები წინასწარი პატიმრობის შეფარდებისა და შემდგომი გაგრძელების ეტაპზე იყო დაუსაბუთებელი და ეყრდნობოდა მხოლოდ პროკურატურის მიერ გამოთქმულ ეჭვს ბრალდებულის მიმალვის საფრთხისა და მტკიცებულებათა განადგურების საშიშროების თაობაზე. ეს ეჭვი არ იყო გამყარებული რაიმე მტკიცებულებით. საქართველოს სასამართლოების მიერ პირის მიმართ წინასწარი პატიმრობის შეფარდებისას მხოლოდ ფორმალური საფუძვლებით ხელმძღვანელობა ევროპის სასამართლომ მიიჩნია ევროკონვენციის მე-5 მუხლით დაცული თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების დარღვევად და განმცხადებლისათვის მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, საქართველოს სახელმწიფოს მთლიანად 3670 ევროს გადახდა დააკისრა.

სასამართლოს შეფასება კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის სავარაუდო დარღვევაზე

სასამართლო აღნიშნავს, რომ აპლიკანტი დააპატიმრეს 2004 წლის 5 მაისს, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოში გაასამართლეს 2005 წლის 17 თებერვალს. მაშასადამე, მისი დაკავების პერიოდი, კონვენციის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „c“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, არის 9 თვე და 12 დღე.¹

ვინაიდან პატიმრობის ხანგრძლივობა ცალსახად არ იყო მიჩნეული შეუსაბამოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ მისი გონივრულობა არ შეიძლება შეფასდეს ან განისაზღვროს აბსტრაქტულად. აუცილებელია, რომ ეროვნული სასამართლოს მიერ მიღებულ შესაბამის გადანყვეტილებებში გათვალისწინებული იყოს არსებული მიზეზები და აპლიკანტის მიერ მოყვანილი არგუმენტები. ამით სასამართლო სარგებლობს მინიჭებული უფლებით, რათა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებით გადანყვიტოს, იყო თუ არა დასაბუთებული აღკვეთის ღონისძიება.² ეს გადანყვეტილებები უნდა მოიცავდეს შესაბამის და დასაბუთებულ არგუმენტებს, ყურადღება უნდა გამახვილდეს მოცემული საქმის სპეციფიკურ ნიშან-თვისებაზე, რათა დასაბუთდეს თავისუფლების აღკვეთის საჭიროება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წინასწარი დაკავების ნებისმიერი პერიოდი, რა ხანგრძლივობისაც არ უნდა იყოს ის, საჭიროებს კომპეტენტური, ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამის მოტივაციას, რომელიც, მით უმეტეს ვალდებულია, გამოამჟღავნოს „განსაკუთრებული გულმოდგინება“ სასამართლო განხილვის წარმართვისას.³

ეროვნულმა სასამართლოებმა მოცემულ საქმეზე აპლიკანტის წინასწარი დაკავების ბრძანება დააკანონეს და ვადა გააგრძელეს 2004 წლის 8, 13 მაისსა და 6 დეკემბერს. შესაბამისად, იმის დასადგენად, იყო თუ არა წინასწარი დაკავება გონივრული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილთან მიმართებით, სასამართლო სარგებლობს უფლებით, განიხილოს ამ გადანყ-

¹ *Wemhoff v. Allemagne*, 27/06/1968, série A №7, p.23, §9; *Davtian v. Georgia*, №73241/01, 06/09/2005

² *Michta v. Poland*, №13425/02, §§45-46, 04/05/2006; *Labita v. Italy [GC]*, №26772/95, §152, ECHR 2000-IV; *Kudla v. Poland [GC]*, №30210/96, §110, ECHR 2000-XI

³ *Ječius v. Lithuania*, 34578/97, §93, ECHR 2000-IX; *Jablonski v. Poland*, №33492/96, §80, 21/12/2000

ვეტილებებში მოყვანილი მიზეზები, ისევე, როგორც აპლიკანტის მიერ მოყვანილი არგუმენტები.

სასამართლო აღნიშნავს, რომ 2004 წლის 8 მაისის სასამართლო ბრძანება და დაპატიმრების შეფარდება განპირობებული იყო რამდენიმე გარემოებით: ა) საქმეში არსებული მასალები გონივრული ეჭვის საფუძველს იძლეოდა, რომ აპლიკანტმა ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული; ბ) მტკიცებულება შეგროვდა კანონის შესაბამისად; გ) განაჩენის სიმკაცრე მოიცავდა მიმალვის რეალურ რისკს; დ) საქმეში არსებული მასალები რეალურად წარმოაჩინდა აპლიკანტის მიერ გამოძიებისთვის ხელის შეშლის რისკს.

პირველ საფუძველთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს: გონივრული ეჭვის სიმტკიცე იმის თაობაზე, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, წარმოადგენს აუცილებელი პირობის გარემოებას, კონვენციის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „ც“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, არაკანონიერ დაპატიმრებასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, ეს შეიძლება არ იყოს საკმარისი (შესაბამისი) სასამართლო გადაწყვეტილებისათვის, რომლითაც უნდა გაგრძელდეს პატიმრობა. ამ სახის სასამართლო გადაწყვეტილება უფრო მეტად საჭიროებს სოლიდურ საფუძველს, რათა წარმოაჩინოს არა მხოლოდ „გონივრული ეჭვი“, არამედ ისიც, რომ არსებობდა სხვა, სერიოზული საჯარო ინტერესები, რომლებიც, მიუხედავად უდანაშაულობის პრეზუმფციისა, გადანონიდა თავისუფლების უფლებას.¹ მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 ქვეპუნქტის პირდაპირი დანიშნულებაა, მოითხოვოს ბრალდებულის დროებითი განთავისუფლება საქმის განხილვის პერიოდში.

2004 წლის 8 მაისის ბრძანება ეხება აპლიკანტის დაკავების პირველ სამ თვეს, რომელიც მოკლე პერიოდია. მიუხედავად ამისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ დროებით განთავისუფლება, მიუხედავად განსახილველი პატიმრობის ხანგრძლივობისა, გარანტირებულია კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილით. კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი არ უნდა განიხილებოდეს წინასწარი დაკავების განმსაზღვრელად.

სასამართლო აღნიშნავს, რომ სამთვიან პატიმრობაში ავტომატურად დაბრუნების პრაქტიკა, რომელიც დამყარებულია მხოლოდ ბრალდების სიმძიმეზე, გამომდინარეობს გაქცევის, ხელახალი დარღვევის ან ფარული გარიგების ჰიპოთეზური საფრთხიდან. აღნიშნული არ შეესაბამება კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილს.² შესაბამისად, თუ დაუზღუდვით საქმის გარემოებებს, ის არგუმენტი, რომ 2004 წლის 8 მაისის ბრძანება მოიცავს მხოლოდ აპლიკანტის დაკავების პირველ პერიოდს, ეროვნულ ხელისუფლებას არ ათავისუფლებს ვალდებულებებისაგან, დამაჯერებლად დაასაბუთოს ასეთი ღონისძიებები. სასამართლოს ეჭვი არ ეპარება საქმის კონკრეტულ გარემოებებში, რომ 2004 წლის 8 მაისს, აპლიკანტის დაპატიმრებიდან სამი დღის შემდეგ, საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო აპლიკანტის განთავისუფლების სასარგებლოდ.

სასამართლო შემდგომში აღნიშნავს, რომ 2004 წლის 8 მაისის ბრძანებაში შეგროვილი მტკიცებულებების მეორე საფუძველი – უკანონობა – შეუსაბამოა დაპატიმრების გონივრულობის დასაბუთებასთან.

რაც შეეხება მიმალვის რისკს, სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს შეიძლება იყოს დაკავების ლეგიტიმური საფუძველი. მიუხედავად ამისა, ეს არ შეიძლება შეფასდეს მხოლოდ არსებული განაჩენის სიმკაცრეზე დაყრდნო-

¹ *Lavents v. Latvia*, №58442/00, §70, 28/11/2002; *I.A. v. France*, 23/09/1998, *Reports 1998-VII*, p.2979, §102; *Labita*, cited above, §153

² *Nikolov v. Bulgaria*, № 38884/97, §70, 30/01/2003

ბით და უნდა განისაზღვროს გარკვეული, შესაფერისი ფაქტორების გათვალისწინებით.

2004 წლის 8 მაისის დაპატიმრების ორდერში აღნიშნულია, რომ განაჩენის სიმკაცრე თავისთავად განპირობებულია გაქცევის რისკით. აღნიშნული არ განსაზღვრავდა ამ რისკის არსებით მხარეს, რომელიც საპირისპირო იყო აპლიკანტის განთავისუფლების მოთხოვნასთან, რაც გულისხმობდა პროკურატურასთან თანამშრომლობას, დოკუმენტების ნებაყოფლობით წარდგენას, მოთხოვნისთანავე გამოცხადებას დაკითხვაზე, მის სანდოობას, კარგ რეპუტაციას და ა.შ. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ მიმალვის რისკი არ იყო საკმარისად დადასტურებული.

რაც შეეხება სიმართლის დადგენის ხელშემშლელ რისკს, სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს იყო უნიჭოდ დადასტურებული, რაც არ უკავშირდებოდა რომელიმე საქმის სპეციფიკურ გარემოებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს რისკი შეიძლება იყოს შესაფერისი ელემენტი განაჩენის გონივრულობის დასამტკიცებლად თავისუფლების აღკვეთის ნაწილში, შეუძლებელია მისი დადგენა ცალკეული მტკიცებულებებით, რომლებიც მოკლებულია ყოველგვარ არგუმენტს.

რაც შეეხება 2004 წლის 13 მაისის სააპელაციო გადაწყვეტილებას, სასამართლო მიუთითებს, რომ ის მხარს უჭერს დაპატიმრების ღონისძიებას მხოლოდ ბრალდების სიმძიმიდან გამომდინარე და არ თვლის საჭიროდ, განიხილოს რომელიმე სხვა, შესაძლო საფუძვლის არსებობა. ის გადაწყვეტილება, ისევე, როგორც 2004 წლის 8 მაისის დაპატიმრების განკარგულება, საერთოდ არ არის დაკავშირებული აპლიკანტის საქმის ინდივიდუალურ გარემოებებთან. ასეთი მიდგომა განპირობებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, მაგრამ, სასამართლოს აზრით, ეს ვერ საბუთდება კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილით.¹ ეს ასევე შეუსაბამოა უდანაშაულობის პრეზუმფციასთან, რომელსაც პატივის უნდა სცემდნენ ადგილობრივი სასამართლოები, როდესაც ასაბუთებენ დაპატიმრების ბრძანებას კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, რომ დაპატიმრებული პირი მოგვიანებით შეიძლება გათავისუფლდეს ან წარმოდგენილ საქმეში ბრალდებულს შეუმცირდეს სასჯელი.

უფრო მეტიც, შეადარა რა სასამართლომ აპლიკანტისა და გენერალური პროკურატურის არგუმენტები 2004 წლის 13 მაისს თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეზე, აღნიშნა, რომ ის ადრეც ცდილობდა, დაემტკიცებინა ამ უკანასკნელის დაუსაბუთებელი ვარაუდი, რომ არ არსებობდა გაქცევის ან ფარული გარიგების არანაირი ჰიპოთეზური მიზანი. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო კვლავაც იმეორებს, რომ მტკიცების ტვირთის გადატანა დაკავებულ პირზე თავისუფლების აღკვეთის საქმეზე არის კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევის ეკვივალენტური.²

დასასრულს, სასამართლომ, კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის გათვალისწინებით, ხაზგასმით აღნიშნა, რომ, როდესაც ოფიციალური პირები წყვეტენ პატიმრის განთავისუფლების საკითხს, ვალდებული არიან, გაითვალისწინონ ალტერნატიული ღონისძიებები სასამართლოს წინაშე აპლიკანტის წარდგენის უზრუნველსაყოფად. მართალია, ეს დადგენილება მიუთითებს არა მხოლოდ გონივრულ ვადაში საქმის განხილვაზე ან საქმის განხილვის განმავლობაში განთავისუფლების უფლებაზე, არამედ ასევე

¹ *Rokhlina v. Russia*, №54071/00, §66, 07/04/2005; *Panchenko v. Russia*, №45100/98, §102, 08/02/2005

² *Ilijkov v. Bulgaria*, №33977/96, §§84-85, 26/07/2001

ადგენს, რომ ასეთი განთავისუფლება შეიძლება პირობადადებული იყოს სასამართლოში მისი გამოცხადების რაიმე გარანტიით.

მიუხედავად ამისა, წარმოდგენილ საქმეზე სასამართლო ადგენს, რომ არც 2004 წლის 8-13 მაისის გადაწყვეტილებებში, რომლებიც ეხებოდა პირველადი დაკავების პერიოდს და არც 2004 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებაში, რომლითაც გაგრძელდა პატიმრობა, ადგილობრივმა სასამართლოებმა არ მიმართეს შესაძლო არასაპატიმრო პრევენციულ ზომებს, რაც ნათლად იყო წარმოდგენილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 152-ე მუხლის პირველ ნაწილში. ადგილობრივი სასამართლოების მიერ დაშვებული ასეთი შეცდომა არის კიდევ ერთი მინიშნება მათი მიერ კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნების უპატივცემულობაზე.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ აპლიკანტის საქმეზე არსებული განსაკუთრებული ფაქტების უგულებელყოფა ან არასაპატიმრო წინასწარი გამოძიების ალტერნატიული ზომების გაუთვალისწინებლობა, ასევე აქცენტის გამახვილება ბრალეულობის სიმძიმეზე, რის საფუძველზეც ხელისუფლების წარმომადგენლებმა აპლიკანტი დააპატიმრეს, არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც შესაბამისი ან გონივრული. 2004 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილების ტრაფარეტული ფორმა, რომელიც შეიცავდა შაბლონურ და სტანდარტულ არგუმენტებს, წარმოადგენდა აპლიკანტის უფლებების დარღვევას.

შესაბამისად, სასამართლო შემადგენლობამ ერთხმად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი და განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 1 500 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის დასაფარად, ხოლო 2 170 ევროს გადახდა – სხვა დანახარჯების დასაფარად.

**მოსამართლე მულარონის ნაწილობრივ განსხვავებული აზრი,
რომელსაც დაეთანხმა მოსამართლე ზაგრაქელსკი
საქმეზე ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ¹**

ვეთანხმები, რომ აღნიშნულ საქმეში დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი. მართალია, 2004 წლის 6 დეკემბრის დადგენილება დაკავების შესახებ მივიჩნეო სადავოდ, მაგრამ სადავოდ არ მიმაჩნია 2004 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება აპლიკანტის სამთვიანი წინასწარი დაკავების ვადის შესახებ. რაც შეეხება ბოლოს ხსენებულ გადაწყვეტილებას, შევნიშნავ, რომ მთანმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ უარი თქვა განთავისუფლების შესახებ აპლიკანტის მოთხოვნაზე შემდეგ მიზეზთა გამო:

„მოპოვებული მტკიცებულებით ... არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა ინკრიმინირებული დანაშაული მტკიცებულებანი შეგროვდა პროცესუალური ნორმების შესაბამისად იმის გათვალისწინებით, რომ აპლიკანტი ბრალდებულია სერიოზულ დანაშაულში ... საქმის მასალები ამყარებს ეჭვს, რომ მას შეეძლო ხელი შეეშალა სიმართლის დადგენაში ... და მკაცრი სასჯელის მოლოდინში (აპლიკანტს) შეეძლო მიმალვა“

სასამართლოს განჩინების 64-ე პარაგრაფის თანახმად, 2004 წლის 8 მაისის სასამართლო ბრძანება დაპატიმრების შესახებ გამართლებულია შემდეგი მიზეზების გამო:

I. საქმის მასალებიდან გამომდინარე, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული;

II. მტკიცებულებანი მოპოვებულია კანონმდებლობის დაცვით;

III. განაჩენის სიმკაცრე განპირობებული იყო მიმალვის რისკით;

IV. აპლიკანტს მიმალვით შეეძლო, ხელი შეეშალა გამოძიებისათვის; და ასევე, დავამატებდი მეხუთე არგუმენტს - მთანმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ დაკავების განკარგულება დაასაბუთა ასე:

V. აპლიკანტს ბრალი ედებოდა სერიოზულ დანაშაულში.

ვიზიარებ უმრავლესობის აზრს, რომ მოპოვებული მტკიცებულებების კანონიერება, როგორც ასეთი, არის შეუსაბამო დაკავების საფუძვლიანობის დასადგენად. მიუხედავად ამისა, ვთვლი, რომ ის ოთხი სხვა მიზეზი ეჭვგარეშე ამართლებს განკარგულებას დაკავების შესახებ. ჩვენი სასამართლოს განსხვავებული დასკვნა უთანაბრდება მეოთხე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას.

დავამატებდი იმას, რომ განჩინების 66-70 პარაგრაფებში ციტირებული სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის დიდი ნაწილი ეყრდნობა საფუძვლიანი ეჭვის „სიმყარეს“, რაც, ჩემი აზრით, არ შეიძლება მიესადაგოს პირველ გადაწყვეტილებას, რომელიც დაკავშირებულია აპლიკანტის წინასწარ პატიმრობასთან.

უფრო მეტიც, სრულიად არ ვეთანხმები, განჩინების 66-67 პარაგრაფებში გამოთქმულ მოსაზრებებს, რადგან ისინი ეხება 2004 წლის 8 მაისის დაკავების ბრძანებას. კვლავაც აღვნიშნავ, რომ 2004 წლის 8 მაისის

¹ კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თუ განჩინება მთლიანად, ან ნაწილობრივ არ გამოხატავს მოსამართლეთა ერთმხრივ აზრს, ნებისმიერი მოსამართლე უფლებამოსილია, მას დაურთოს ცალკე აზრი. ევროპული სასამართლოს რეგლამენტის 74-ე წესის მე-2 პუნქტის თანახმად, ნებისმიერი მოსამართლე, რომელმაც მონაწილეობა მიიღო საქმის განხილვაში, უფლებამოსილია, დაურთოს განაჩენს როგორც თავისი განცალკევებული მოსაზრება, რომელიც თანმხვედრი ან განსხვავებულია განაჩენისაგან, ასევე - მხოლოდ განცხადება, რომ იგი არ ეთანხმება განაჩენს.

დაკავების ბრძანება იყო ჯეროვნად დასაბუთებული და ის არ გულისხმობდა პატიმრობაში დაბრუნებას ავტომატურად, რომელიც ეყრდნობოდა სერიოზული ბრალდების შესახებ მხოლოდ კანონით დადგენილ ვარაუდს.

სამაგიეროდ, ვეთანხმები უმრავლესობის კრიტიკას 2004 წლის 6 დეკემბრის დაკავების ბრძანების შესახებ, რომელიც გამოთქმულია განჩინების §§74-75 პარაგრაფებში. რაც შეეხება §§76-77 პარაგრაფებში გამოთქმულ მოსაზრებებს, ვეთანხმები მათ მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება 2004 წლის 6 დეკემბრის დაკავების ბრძანებას.

ოგანოვა საქართველოს წინააღმდეგ
CASE of OGANOVA v. GEORGIA (№25717/03)

2003 წლის 18 ივლისს კარინა ოგანოვამ განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2007 წლის 13 ნოემბერს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№25717/03) და ერთხმად დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

კარინა ოგანოვა საქართველოს მოქალაქეა და ცხოვრობს თბილისში. 2002 წლის 8 მაისს განმცხადებელმა წამოიწყო სამოქალაქო წარმოება. იგი ითხოვდა იმ თანხის დაბრუნებას, რომელიც 1998 წლის 14 სექტემბერს ასესხა კერძო პირს ორ თვეში გასტუმრების პირობით. 2002 წლის 22 მაისს მოპასუხე მხარე წერილობით პასუხში ამტკიცებდა, რომ მან დროულად გადაიხადა აღნიშნული თანხა. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 129-ე და 130-ე მუხლების შესაბამისად, განმცხადებელს გაშვებული ჰქონდა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა.

2002 წლის 14 ივნისს ისანი-სამგორის რაიონულმა სასამართლომ განმცხადებლის სარჩელი დაუშვა საქმის ზეპირ მოსმენაზე. სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე მხარის მტკიცება ვალის გადახდასთან დაკავშირებით იყო დაუსაბუთებელი. სასამართლოს პასუხი არ გაუცია მოპასუხის პრეტენზიაზე ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. 2002 წლის 5 აგვისტოს მოპასუხე მხარემ გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილება, იგი ამტკიცებდა, რომ მოსარჩელემ ისევ გაუშვა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა. პასუხად განმცხადებელმა აღნიშნა, რომ 1998-2001 წლებში მოპასუხე განუწყვეტლივ ჰპირდებოდა ვალის დაბრუნებას, რაც არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო მისი უფლებების დარღვევად.

2002 წლის 18 სექტემბერს თბილისის საოლქო სასამართლომ გააუქმა 2002 წლის 14 ივნისის სასამართლო გადაწყვეტილება და გამოიტანა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც დადასტურდა განმცხადებლის მიერ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გაშვება. სააპელაციო სასამართლომ გამოარკვია, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყო 1998 წლის 14 ნოემბერიდან, ანუ 1998 წლის 14 სექტემბერს სესხის დაბრუნების თაობაზე მიცემული პირობის შეუსრულებლობიდან 2 თვის შემდეგ. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალები არ ადასტურებს მოსარჩელის მტკიცებას, რომ მოპასუხე მას განუწყვეტლივ ჰპირდებოდა ვალის დაბრუნებას.

2002 წლის 16 ოქტომბერს განმცხადებელმა წარადგინა საკასაციო საჩივარი. სხვადასხვა გარემოებაზე მითითებით იგი ამტკიცებდა, რომ მოპასუხე მხარის ზეპირმა დაპირებებმა მას ხელი შეუშალა სასამართლოში სარჩელის უფრო ადრე წარდგენაში. შესაბამისად, ის ასაჩივრებდა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 129-ე და 130-ე მუხლები. 2002 წლის 19 ნოემბერს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი დასაშვებად ცნო, თუმცა მიიღო გადაწყვეტილება ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის არსებითად

განხილვის შესახებ. 2002 წლის 22 ნოემბერს ორივე მხარე ინფორმირებული იყო აღნიშნული გადაწყვეტილების თაობაზე. იმავე დღეს საკასაციო საჩივარი გადაეგზავნა მოპასუხე მხარეს კომენტარისთვის, რაზეც პასუხი არ გამოგზავნილა.

2003 წლის 6 თებერვალს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის საკასაციო საჩივარი. საკასაციო სასამართლომ დაადასტურა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები და დაადგინა, რომ სააპელაციო სასამართლომ თავის 2002 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილებაში სამოქალაქო კოდექსის 129-ე და 130-ე სადავო მუხლები სწორად განმარტა და გამოიყენა. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის I და II ნაწილების შესაბამისად, არ არსებობდა მისი გაუქმების საფუძველი.

სასამართლოს შეფასება განაცხადის არსებით მხარესთან დაკავშირებით

სასამართლოს მიაჩნია, რომ საჯარო განხილვის უფლება, რომელიც გარანტირებულია კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით, გულისხმობს საქმის ზეპირი განხილვის უფლებას. მიუხედავად ამისა, კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ზეპირი განხილვის ვალდებულება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას. ამგვარად, ზეპირი განხილვის არარსებობა შესაძლოა, შეესაბამებოდეს კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნას, როდესაც განსახილველი საკითხი არ იწვევს ეჭვს იმ ფაქტებთან ან კანონთან დაკავშირებით, რომელიც საქმეში წარმოდგენილი მასალებისა და მხარეთა წერილობითი დოკუმენტაციის საფუძველზე შეუძლებელია, ადეკვატურად იქნეს გადაწყვეტილი.

სასამართლოს აგრეთვე მიაჩნია, რომ პირველი და ერთადერთი ინსტანციის სასამართლოში ჩვეულებრივ არსებობს ზეპირი განხილვის უფლება,² თუმცა ზეპირი განხილვის არარსებობა მეორე და მესამე ინსტანციებში შეიძლება გამართლებული იყოს საქმის განხილვასთან დაკავშირებული კონკრეტული თავისებურებებით იმ შემთხვევაში, თუ საქმის ზეპირი განხილვა მოხდა პირველი ინსტანციის სასამართლოში.³

რაც შეეხება საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო ფუნქციას, სასამართლო მიიჩნევს, რომ მისი როლი გამოიხატებოდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების შეფასებაში. ეს გამომდინარეობს მთავრობის მიერ წარმოდგენილი არგუმენტებიდან, რომლებიც განმცხადებელს სადავოდ არ გაუხდია და რომლებიც უზრუნველყოფილია ეროვნული კანონმდებლობითა და პრაქტიკით. მიუხედავად ამისა, განმცხადებელს უფლება ჰქონდა, გაესაჩივრებინა დადგენილი ფაქტები „დამატებითი და არგუმენტებული საკასაციო პრეტენზიის აღძვრის საფუძველზე“.

სასამართლო აღნიშნავს, რომ საკასაციო სარჩელში განმცხადებელი ითხოვდა საქმის ფაქტობრივი გარემოებების გადახედვას. მიუხედავად ამისა, მან არ დააკონკრეტა სააპელაციო სასამართლოს მიერ მისი მდგომარეობის შეფასების პროცედურული ნაკლოვანებები. ასეთ ვითარებაში უზენაესმა

¹ *Fredin v. Sweden*, 23/02/1994, №283, pp.10-11, §§21-22; *Fischer v. Austria*, 26/04/1995, №312, §44

² *Hakansson and Stureson v. Sweden*, 31/02/1990, №171, p.20, §64

³ *Helmerts v. Sweden*, 29/10/1991, №212, §36

სასამართლომ, რომელსაც არ გააჩნია საკმარისი კომპეტენცია, შეისწავლოს, თუ რამდენად დასაბუთებული იყო გადაწყვეტილება ან მოიპოვოს ახალი მტკიცებულება, კანონიერად განაცხადა უარი საქმის გარემოებების განხილვაზე და ნაცვლად ამისა, დაადასტურა სააპელაციო სასამართლოს მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მხოლოდ სამართლებრივი დასაბუთებულობის გადამოწმებით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი პუნქტი) საკასაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 130-ე მუხლის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება ხანდაზმულობის ვადის დასაშვებობისა და მისი გამოთვლის თაობაზე.

ვინაიდან სააპელაციო სასამართლოში ზეპირი განხილვის დროს ხანდაზმულობის ვადის საკითხი უკვე იყო მსჯელობის საგანი, საკასაციო პროცესის ბუნებიდან გამომდინარე, განმცხადებლის მოთხოვნა იმავე საკითხის ხელმეორედ განხილვაზე შესაძლებელია უარყოფილ იქნეს სხვა, უფრო მნიშვნელოვანი კანონიერი ინტერესების გამო.¹ ამ შემთხვევაში სასამართლო იღებს მთავრობის მითითებას სათანადოობისა და ეკონომიურობის თაობაზე.

უფრო მეტიც, სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული სარჩელის გათვალისწინებით, საქართველოს უზენაეს სასამართლოს, მხარეთა მიერ უკვე წარდგენილი არგუმენტებისა და საქმის სხვა მასალების საფუძველზე, სრულად გააჩნდა შესაძლებლობა, შეემოწმებინა ქვემდგომი ინსტანციების მიერ გამოყენებული სამართლის ნორმების განმარტების სისწორე. სამართლებრივი არგუმენტები, ისევე, როგორც ტექნიკური ფაქტობრივი საკითხები, შესაძლებელია, უფრო ეფექტურად წერილობითი ფორმით იქნეს წარმოდგენილი, ვიდრე – ზეპირად.²

სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ მითითებულ საქმეში ზეპირი განხილვის არარსებობა არ არღვევდა განმცხადებლის უფლებას შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებულ სასამართლო განხილვაზე, რაზეც განმცხადებელმა არ გააკეთა შეცდომები.³ სასამართლო აღნიშნავს, რომ მოპასუხემ არ წარმოადგინა არანაირი პასუხი განმცხადებლის საკასაციო სარჩელზე. ამდენად, ამ უკანასკნელს არ შეუძლია განაცხადოს, რომ, ზეპირი განხილვის არარსებობის გამო, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მას არ მიეცა მეორე მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტების გაცნობის საშუალება.⁴

და ბოლოს, სასამართლო მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ განმცხადებელს ეცნობა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ ზეპირი განხილვის გადადების თაობაზე და მას გადაეცა სათანადო შეტყობინება საქმის განხილვის დაწყებამდე. საქმეში არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ზეპირი განხილვის სანაცვლოდ შემოთავაზებული წერილობითი პროცედურა არ იყო გამჭვირ-

¹ *Ekbatani v. Sweden* 26/05/1988; №134, p.14, §31; *Helmerts v. Sweden*, §36

² *Pursiheimo v. Finland*, №57795/00, 25/11/2003; *Dery v. Sweden* №28394/95, §37, 12/11/2002; *Sutter v. Switzerland*, 22/02/1984, №74, §30; *Coorplan-Jenni GmbH and Hascic v. Austria*, №10523/02, §63, 27/07/2006; *Salomonsson v. Sweden*, №38978/97, §39, 12/11/2002; *Guz v. Turkey [GC]*, №36590/97, §51, ECHR 2002-V

³ *Larin and Larina v. Russia*; №74286/01, §§40,50, 07/06/2007

⁴ *Lobo Machado v. Portugal*, 26/02/1996, §31; *Vermeulen v. Belgium*, 20/02/1996, §33; *Frette v. France* №36515/97, §47, ECHR 2002-I

ვალე ან შეიცავდა სხვა ნიშნებს, რომლებიც ეჭვქვეშ დააყენებდა მის სამართლიანობას.¹

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ ზეპირი განხილვის არარსებობა საკასაციო სასამართლოს დონეზე არ წარმოადგენს კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევას. შესაბამისად, აღნიშნულ საქმეში არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

¹ *Rizhamadze v. Georgia*, №2745/03, §§41-43, 31/072007

გოგოლაძე საქართველოს წინააღმდეგ
CASE of GOGOLADZE v. GEORGIA (№4683/03)

2007 წლის 17 იანვარს ნუნუ გოგოლაძემ განაცხადით მიმართა სტრას-ბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2007 წლის 11 დეკემბერს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№4683/03) და ერთსულოვნად დაადინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

ნუნუ გოგოლაძე დაიბადა 1954 წელს და ცხოვრობს თბილისში. იგი მუშაობდა საიუველირო კომპანიაში ტექნიკოსის თანამდებობაზე. 2001 წლის აგვისტოში კომპანიის ხელმძღვანელობამ იგი გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან სამსახურებრივი დაუდევრობის გამო. აპლიკანტმა ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა სასამართლოში. 2002 წლის ივნისში აპლიკანტმა საკასაციო საჩივრით მიმართა უზენაეს სასამართლოს. უზენაესმა სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილზე დაყრდნობით, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საჩივარი, რომელიც დაუშვებლად ცნო. განმცხადებლის აზრით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაარღვია კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი, რადგან უარი თქვა მისი სამოქალაქო საქმის ზეპირი მოსმენით განხილვაზე.

სასამართლოს შეფასება

სასამართლო შეგვახსენებს, რომ საქმეზე – **რიყამაძე საქართველოს წინააღმდეგ** – მან უკვე დაადგინა: 408-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე, თავისთავად არ გულისხმობს კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევას.

წარმოდგენილი საქმის გარემოებებთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის განხილვა მიმდინარეობდა სასამართლოს პირველ და მეორე ინსტანციებში. შესაბამისად, სასამართლო ეთანხმება მთავრობის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ საკასაციო ინსტანციაში ზეპირი მოსმენის უფლება განპირობებული უნდა იყოს საქმის გულისხმიერი განხილვითა და ეკონომიურობით. რაც შეეხება აპლიკანტის არგუმენტებს, რომ ზეპირი მოსმენით საქმის განხილვა საკასაციო ინსტანციაში სავალდებულო იყო, რათა ზუსტად განმარტებულიყო ტექნიკური ხასიათის საკითხები და დადგენილიყო, რომ აპლიკანტი ეჭვის ქვეშ აყენებდა მოპასუხე კომპანიის წარმომადგენლის ავტორიტეტს, სასამართლო კვლავ იმეორებს: სამართლებრივი არგუმენტი, ისევე, როგორც საქმის ტექნიკური მხარის საკითხები, შესაძლებელია, უფრო ეფექტურად წარმოდგენილი იყოს წერილობითი სახით, ვიდრე – ზეპირად.

რაც შეეხება აპლიკანტის არგუმენტს იმასთან დაკავშირებით, რომ 408-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურა არ აკმაყოფილებს კანონის უზენაესობის მოთხოვნებებს, სასამართლო პირველ რიგში შეგვახსენებს, რომ კონვენციის სისტემა არ განიხილავს არსებული რთული სამართლებრივი ნორმების მექანიზმებს *in abstracto*, არამედ – მხოლოდ ამგვარი კანონების სპეციფიკური გამოყენებისას აპლიკანტის მდგომარეობას განსაკუთრებულ გარემოებებთან მიმართებით, უფრო მეტიც: საჩივრიდან გამომდინარე, სასამართლო აღნიშნავს, რომ უზენაესმა სასამართლომ არ დაასაბუთა თავის გადაწყვეტილებაში (რომელიც არ შეიძლება გასაჩივრდეს), თუ რატომ განიხილა საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე. აპლიკანტი, თავის მხრივ, გამოყოფს სადავო დაუსწრებლობას სასამართლო განხილვაზე თავისი სამოქალაქო დავის მთლიანი კონტექსტიდან გამომდინარე. მიუხედავად ამისა, საკითხი იმის თაობაზე, იყო თუ არა დაცული მე-6 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული სამართლიანი სასამართლოს უფლება, შეიძლება მთლიანობაში გადაწყდეს მხოლოდ სადავო სასამართლო პროცესის განხილვებით. უფრო მეტიც, დავა იმის შესახებ, განხილულ უნდა იქნეს თუ არა საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე, არ ნიშნავს აპლიკანტის სამოქალაქო უფლებების განხილვას, არც ამის შედეგები შეიძლება მივიჩნიოთ პირდაპირ, გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონედ აპლიკანტის მატერიალური სარჩელის განსახილველად.

სასამართლო ითვალისწინებს, რომ შესაძლოა, საკასაციო ინსტანციაში საქმის განუხილველობა არ არღვევდეს კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილს, მაგრამ პრობლემა კვლავ წამოიჭრება, თუკი აპლიკანტი შეიძლება იმის დამტკიცებას, რომ შედეგად მისი უფლება მხარეთა შორის არსებული დავის გადაწყვეტისას დაირღვა, ისევე, როგორც – ძალთა თანაფარდობა. ამ კუთხით, წარმოდგენილ საქმეზე ერთადერთი საჩივარი არის ის, რომ უზენაესმა სასამართლომ აპლიკანტს არ გაუგზავნა მოპასუხე მხარის პასუხი.

მართლაც, ვიდრე მოპასუხე კომპანია აპლიკანტის საჩივარზე პასუხს წარმოადგენდა, რაც მოგვიანებით მოხდა კიდევ, აპლიკანტს უფლება ჰქონდა, ეს საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე სცოდნოდა. მიუხედავად ამისა, აპლიკანტმა ვერ შეძლო წარმოეჩინა, თუ რა იქნებოდა ამის საბოლოო შედეგი. სასამართლო განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ სამოქალაქო პროცესის ასეთი ნორმები მხარეებს არ ავალდებულებს, წარმოადგინონ რაიმე დამატებითი კომენტარები მათ მიერ წარმოდგენილ სადავო დოკუმენტებზე.

მიუხედავად ამისა, უფრო მნიშვნელოვანი წარმოდგენილ საქმეში არის ის, რომ უზენაესმა სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო მოპასუხე კომპანიის არანაირი არგუმენტი, როდესაც განიხილავდა აპლიკანტის საკასაციო საჩივარს. შესაბამისად, აპლიკანტი ვერ დაობს არგუმენტებულად, როდესაც მიუთითებს თავისი პოზიციების შესუსტებაზე საკასაციო განხილვისას. საბოლოოდ, ვიდრე აპლიკანტმა არ იცოდა უზენაესი სასამართლოს მიერ ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვის გადაწყვეტილების შესახებ, რაზეც მას დადგენილი წესით ეცნობა, სასამართლო ეთანხმება მთავრობის მიერ წარმოდგენილ პოზიციას, რომ აპლიკანტს შეეძლო, ესარგებლა საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის I ნაწილით მინიჭებული უფლებით. ამგვარად, მას შეეძლო, გასცნობოდა საქმეზე არსებულ ყველა დოკუმენტს, მოპასუხე კომპანიის ნებისმიერი არგუმენტის ჩათვლით, საქმის საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო თვლის, რომ, სასურველია, საკასაციო სასამართლომ უზრუნველყოს მხარეთა არგუმენტების სრულყოფილად წარმოდგენა და მხარეთა შორის მათი გაცვლა

საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე. წარმოდგენილი საქმის კონკრეტული გარემოებების თანახმად, უზენაესი სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომა – აპლიკანტისათვის მოპასუხე კომპანიის არგუმენტების გაუგზავნებლობა – არ ნიშნავს იმას, რომ დაირღვა მხარეთა თანასწორობა.

და ბოლოს, საქმეში არ მოიპოვება არანაირი გონივრული არგუმენტი იმის თაობაზე, რომ უზენაესმა სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვის გამო საქმე განიხილა არაკეთილსინდისიერად.

შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ საკასაციო ინსტანციაში ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვა არ წარმოადგენს კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევას.

მუმლაძე საქართველოს წინააღმდეგ
CASE of MUMLADZE v. GEORGIA (№30097/03)

2003 წლის 16 აგვისტოს ნელი მუმლაძემ განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2008 წლის 8 იანვარს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№30097/03) და ერთხმად გადაწყვიტა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

აპლიკანტი საქართველოს მოქალაქეა და ცხოვრობს ზესტაფონში. 1998 წლის 2 ივლისს ზესტაფონის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით აპლიკანტს დაეკისრა 1000 აშშ დოლარის გადახდა კერძო პირის სასარგებლოდ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1998 წლის 20 აგვისტოს განჩინებით გადაწყვეტილება ძალაში შევიდა. აპლიკანტმა მოითხოვა საქმის საზედამხედველო წესით შესწავლა, მაგრამ 1999 წლის 15 მაისს ამოქმედდა ახალი სამოქალაქო კოდექსი, რის შედეგადაც გაუქმდა საქმის საზედამხედველო წესით შესწავლა. ქალბატონმა მუმლაძემ სასამართლოს მიმართა ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო, მაგრამ უზენაესი სასამართლოს განჩინებით განცხადება მიჩნეულ იქნა დაუსაბუთებლად.

სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხის გადაუხდელობის გამო ზესტაფონში მდებარე აპლიკანტის სახლს დაედო ყადაღა და გადაწყდა მისი აუქციონის წესით გაყიდვა. სახლი გადაეცა კრედიტორს. მიუხედავად ამისა, იგი კვლავ აგრძელებდა იქ ცხოვრებას. კრედიტორმა სასამართლოს მიმართა აპლიკანტის გამოსახლების მოთხოვნით, რაზედაც წარმოადგინა საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. საკითხი კვლავ სასამართლოს განხილვის საგანი გახდა. უზენაესმა სასამართლომ აპლიკანტის საკასაციო განცხადება დასაშვებად ცნო და აცნობა, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საქმე განიხილებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე. უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ არ დააკმაყოფილა ნელი მუმლაძის მოთხოვნა.

კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აპლიკანტმა საჩივარი აღძრა იმის თაობაზე, რომ უზენაესმა სასამართლომ უარი განაცხადა, გაეუქმებინა 1998 წლის 2 ივლისის განჩინება და ხელახლა განეხილა მისი სამოქალაქო საქმე. აპლიკანტი მიიჩნევდა, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და მე-13 მუხლი. კერძოდ, უზენაესმა სასამართლომ არ განიხილა მისი საკასაციო საჩივარი, რადგან იგი მიიჩნია დაუსაბუთებლად.

აპლიკანტმა ეჭვი შეიტანა ქონების ჩამორთმევის პროცესის შედეგში. ის მიუთითებდა, რომ შიდა სამართლის საფუძველზე მას უარი ეთქვა თავისი არგუმენტების დადასტურებაზე, განსაკუთრებით – საზოგადოებრივი აუქციონის არაკანონიერების მტკიცებაზე. მან ასევე უკმაყოფილება გამოთქვა, რომ უზენაესმა სასამართლომ უარი განაცხადა, კასაციის წესით ზეპირი მოსმენით განეხილა მისი საქმე.

ამის პარალელურად, აპლიკანტმა სარჩელით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობა.

სასამართლოს მოსაზრება საკონსტიტუციო წარმოებასთან დაკავშირებით

სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში **აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ** (§§42-47), საქართველოს საკონსტიტუციო წარმოება მიჩნეულ იქნა ძალადაკარგულ საშუალებად კონვენციის 35-ე მუხლის პირველი პარაგრაფის მიზნებისათვის. ზემოაღნიშნული გამოიწვია იმან, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, დროებით გადაედო სახელმწიფო ორგანოების ინდივიდუალური გადაწყვეტილებები, ან სხვა სასამართლოებს მიეღოთ მსგავსი გადაწყვეტილება, რომლებიც პირდაპირ ზეგავლენას ახდენენ მომჩივნის უფლებებზე; ასევე, დეკლარაციას ან სხვა ნორმატიულ აქტს არ შეეძლო გავლენა მოეხდინა სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმებაზე, რის შემდეგაც, ზემოხსენებულიდან გამომდინარე, კანონმდებლობა უკვე კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა.

სასამართლო განმარტავს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი არ შეეფერება იმ პროცესს, რომელიც განსაზღვრავს კანონის სადავო საკითხებს და რომელსაც არ შეუძლია გადაამოწმოს ქვედა ინსტანციების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერება, რაც პირდაპირ ეხება ადამიანის უფლებებს.

მიმდინარე საქმეში აპლიკანტის საკონსტიტუციო საჩივრის ერთადერთ მიზანს წარმოადგენდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის აცილება, რომლის საფუძველზეც საკასაციო სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილება გამოიტანოს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შედეგად. საკონსტიტუციო სასამართლოს აპლიკანტის საჩივარი რომც მიეღო წარმოებაში, ის აუცილებლად მიიღებდა აბსტრაქტული დეკლარაციის სახეს, რომელიც არაკონსტიტუციური იქნებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად და ეფექტური არ იქნებოდა უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებისათვის.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნულ საქმეში საკონსტიტუციო საქმის წარმოება იყო სრულიად განცალკევებული და არასაბოლოო აპლიკანტის ინტერესებისათვის, რაც მოგვიანებით განისაზღვრა მისი ქონების ჩამორთმევის საქმის წარმოების კუთხით. აქედან გამომდინარე, კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის გამოყენება შეუსაბამოა.

მაშასადამე, აპლიკანტის საჩივარი, საკონსტიტუციო წარმოების შესახებ საქმის მასალებზე დაყრდნობით, შეუსაბამოა კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილთან მისი მნიშვნელობის ფარგლებში და აპლიკანტს უარი უნდა ეთქვას კონვენციის 35-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად.

სასამართლოს შეფასება

სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არის ნაჩვენები, ჩაჰბარდა თუ არა აპლიკანტს 2002 წლის 9 დეკემბრის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეში მოცემული თარიღის მიხედვით ექვესთვიანი ვადის დაცვით, როგორც ეს კონვენციის 35-ე მუხლის პირველი ნაწილით არის გათვალისწინებული. როგორც აპლიკანტი მიუთითებს, მთავრობამ არ წარმოადგინა ჩაბარების დამამტკიცებელი საბუთი. ზესტაფონის საფოსტო ოფისის უფროსის განცხადება გაკეთდა ოთხი წლის შემდეგ, ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე.

სასამართლო ვერ გაიზიარებს მთავრობის არგუმენტს, რომ საპროცესო კანონი არ ავალდებულებს ადგილობრივ სასამართლოს, მოიპოვოს ჩაბარების ჩანაწერი საფოსტო ოფისიდან. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე და 397-ე მუხლების თანახმად, ზემოხსენებული ყველა ინსტანციის სასამართლო მოეთხოვება. სასამართლო ვერ ხედავს მიზეზს, რატომ არ შეიძლებოდა იგივე წესი შესრულებულიყო საბოლოო საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარებისას. ამას გარდა, იგივე საკასაციო საქმეთა წარმოებაში უზენაესმა სასამართლომ მოიპოვა საფოსტო სამსახურიდან ჩაბარების დამამტკიცებელი საბუთი ადრე განხილულ სასამართლო საქმეზე, რის საფუძველზეც საქმე წარმოებაში მიიღეს. საბოლოოდ, სასამართლო დარწმუნებულია, რომ თუ აპლიკანტი მიიღებდა უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებას 2003 წლის 13 იანვარს, სავარაუდოდ აპლიკანტი მოითხოვდა, არ შეენწყვიტათ საქმის წარმოება 2003 წლის 20 იანვარს.

ზემოხსენებული განხილვიდან გამომდინარე, სასამართლო იზიარებს აპლიკანტის საჩივარს, რომ მას უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 18 თებერვლის წერილთან ერთად მიღებული ჰქონდა მხოლოდ საკასაციო სასამართლოს 2002 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება, როგორც თანდართული დოკუმენტი. რადგანაც განცხადება შეტანილ იქნა სასამართლოში 2003 წლის 16 აგვისტოს, მთავრობის პროტესტი ექვს თვეში ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ, ბათილია.

სასამართლო აღნიშნავს, რომ საჩივარი ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის ჩანიშვნის შესახებ ნებისმიერ სხვა შემთხვევაში არ არის დაუშვებელი. ის უნდა გამოცხადდეს დასაშვებად. სასამართლო აღნიშნავს, რომ აპლიკანტის მოსაზრებით, უზენაესი სასამართლო ვალდებული იყო, აეხსნა ის გარემოებები, თუ რატომ გამოიტანა გადაწყვეტილება ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვის თაობაზე. იგი თავისი საჩივრის კონტექსტიდან აცალკევებს საკასაციო ინსტანციაში საქმის განხილვის სადავო არარსებობას და ამის ნაცვლად ახდენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული პროცედურების, როგორც ასეთის, სავარაუდოდ ნაკლოვანებების დენონსირებას. მიუხედავად ამისა, უნდა გავიხსენოთ, რომ კონვენციის სისტემა არ ითვალისწინებს ისეთ მექანიზმებს, რომელთა სამართლებრივი ნორმები განიხილება არა ზოგადად, არამედ – მხოლოდ კონკრეტული საქმის გარემოებებთან მიმართებით არსებული კანონის გამოყენებისას. მიუხედავად ამისა, სასამართლო ვალდებულია, აპლიკანტის საქმიდან გამომდინარე განიხილოს, რამდენად შეესაბამება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილი კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილს.

უპირველესად, სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული, უზენაესი სასამართლოსათვის მინიჭებული უფლება ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის

განხილვის თაობაზე თავისთავად არ გულისხმობს კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევას.

შესაბამისად, რამდენადაც საქმის მოსმენა მიმდინარეობდა ორივე ქვედა ინსტანციის სასამართლოში, სასამართლო ეთანხმება სახელმწიფოს მოსაზრებას, რომ საკასაციო ინსტანციაში ზეპირი მოსმენით საქმის განხილვის უფლება უნდა გადაიწონოს გულმოდგინებისა და ეკონომიურობის მოთხოვნებით.

რაც შეეხება აპლიკანტის არგუმენტებს, რომ მისი ზეპირი გამოსვლები აუცილებელი იყო ფაქტების ახსნასთან დაკავშირებით, სასამართლო კვლავაც აღნიშნავს: სამართლებრივი არგუმენტები, ისევე, როგორც ფაქტობრივი გარემოებები, უფრო ეფექტურად წარმოჩნდებოდა წერილობითი ფორმით, ვიდრე - ზეპირად. უფრო მეტიც, სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო ფუნქციაა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების შეფასება.

და ბოლოს, სასამართლო იზიარებს მთავრობის მხარის არგუმენტებს იმასთან დაკავშირებით, რომ აპელანტს ან მის ადვოკატს შეეძლო ესარგებლა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის I ნაწილით, მანამ, სანამ მისთვის ცნობილი არ გახდებოდა (ან - შეიტყობდა), რომ მისი საქმე განიხილებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე. ამგვარად, აპლიკანტს შეეძლო გასცნობოდა საქმეზე არსებულ ყველა მასალას საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვისას არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

ქიძინიძე საქართველოს წინააღმდეგ
CASE of KIDZINIDZE v. GEORGIA (№69852/01)

2000 წლის 3 ნოემბერს ლევან ქიძინიძემ განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2008 წლის 29 იანვარს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№69852/01) და ერთხმად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1 ნაწილი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

მოსარჩელე დაიბადა 1955 წელს საქართველოში. ამჟამად ცხოვრობს გერმანიაში. ის ცხოვრობდა და მუშაობდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. 1995–1999 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი.

ბატონი ქიძინიძე იყო შპს „მარსი-91-ის“ თანადამფუძნებელი 1991–1995 წლებში და 1999 წელს მცირე ხნით – მისი გენერალური დირექტორი. 1993 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ასლან აბაშიძის დავალებით მოსარჩელეს რეგიონში უნდა შეეტანა 4 500 ტონა ფქვილი შიმშილისა და „სოციალური კრიზისის“ თავიდან ასაცილებლად. იმპორტის კონტრაქტს ხელი მოეწერა 1993 წლის 25 ივნისს შპს „მარსი-91-ის“ წარმომადგენელისა და სსიპ „აჭარის პურისა და მარცვლეულის პროდუქციის“ მიერ. იმ დროისათვის ერთი ტონა ფქვილის ფასი შეადგენდა 360 აშშ დოლარს. „მარსი-91-მა“ მაშინვე შეიტანა აჭარაში 3 671 ტონა ფქვილი.

მოსარჩელის განცხადებით, ფქვილის შეტანისთანავე აბაშიძემ მოახდინა აღნიშნული საქონლის კონფისკაცია და იგი გადაეცა „პურ-ფუნთუშეულის სახელმწიფო საცხოვს.“

მოსარჩელის დიდი ძალისხმევით „მარსი-91-მა“ შეძლო შემოტანილი ფქვილის რაღაც ნაწილის რეალიზება. მაშინ ასლან აბაშიძემ აიძულა მოსარჩელე, თანხის გარკვეული ნაწილი შეეტანა მის პოლიტიკურ პარტია „აღორძინებაში.“

1995 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ აღიარა საქონლის იმპორტთან დაკავშირებული ვალის არსებობა და „მარსი-91-ს“ დააკისრა 240 000 აშშ დოლარის გადახდა. შედეგად, პირველადმა ვალმა და ვადის გადაცილებით გამონვეულმა ზიანმა ერთობლივად შეადგინა 495 049 აშშ დოლარი. 1994 წლის 21 ოქტომბერს ასლან აბაშიძემ „მარსი-91-ს“ დააკისრა 30 000 აშშ დოლარის გადახდა, რომელიც მოსარჩელეს უნდა შეეტანა პოლიტიკური პარტია „აღორძინების“ საბანკო ანგარიშზე. 1995 წლის იანვრიდან თებერვლამდე აბაშიძემ მოსარჩელეს მოსთხოვა პარტიის მაღალჩინოსანთათვის მანქანების შეძენა. მოსარჩელე იძულებული გახდა, აღნიშნული მოთხოვნა შეესრულებინა.

1999 წლის 16 დეკემბერს აჭარის შესაბამისმა ორგანოებმა მოსარჩელეს ბრალი დასდეს ფინანსურ მაქინაციაებში. მათი მტკიცებით, მოსარჩელემ 845 000 აშშ დოლარი გამოსძალა ბათუმის „თუთუნის“ გადამამუშავებელ საამქ-

როს,“ რათა დაეფარა ფქვილის იმპორტის შედეგად დაგროვილი გადაუხდე-
ლი ვალი. საბოლოოდ, მოსარჩელემ დატოვა ქვეყანა და თავი შეაფარა
გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას.

საკუთარი ინტერესების დასაცავად მოსარჩელემ სხვადასხვა სარჩელით
მიმართა როგორც ბათუმის საქალაქო სასამართლოს, ასევე აჭარის ავტო-
ნომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს, მაგრამ – უშედეგოდ. მისი
სარჩელები ან არ განიხილეს, ანდა მათი განხილვა განუსაზღვრელი ვადით
შეჩერდა.

სასამართლოს შეფასება კონვენციის მე-6 მუხლის 1 პუნქტის სავარაუდო დარღვევის თაობაზე

სასამართლო მიიჩნევს, რომ 2000 წლის 26 თებერვალს განმცხადებლის
სახელით აღძრული სარჩელი, ასევე ბათუმის საქალაქო სასამართლოში აღძ-
რული სარჩელის განუხილველად დატოვების საკითხი განხილულ უნდა
იქნეს კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

ა) 2000 წლის 26 თებერვლის სარჩელი

სასამართლო აღნიშნავს, რომ 2000 წლის 26 თებერვლის სარჩელში
განმცხადებელი, სხვა მოთხოვნების პარალელურად, ითხოვდა ადგილობ-
რივი ხელისუფლების მაღალჩინოსნების მიერ მისთვის გამოძალული თან-
ხების ანაზღაურებას. მას მოყვანილი ჰქონდა სხვადასხვა მტკიცებულება,
რომ პირადად იყო ხელისუფლების უკანონო მოქმედებების მსხვერპლი.

აჭარის ა/რ-ის უმაღლეს სასამართლოს აღნიშნულ არგუმენტებზე საერ-
თოდ არ უმსჯელია, რაც მხედველობაში მიიღო საქართველოს უზენაესმა
სასამართლომ, რომელმაც საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა. აჭა-
რის ა/რ-ის უმაღლესმა სასამართლომ კი 2002 წლის 15 ნოემბერს მიიღო გა-
დანწყვეტილება საქმის წარმოების შეჩერების შესახებ იმ საფუძველით, რომ
სარჩელში მითითებულ ფაქტებთან დაკავშირებით მიმდინარეობდა გამო-
ძიება.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 1999 წლიდან 2002 წლამდე
განმცხადებლის მიმართ, მართლაც, მრავალი საფუძველით იყო აღძრული
სისხლის სამართლის საქმე, თუმცა აღნიშნული დადგენილებები ცნობილ იქ-
ნა უკანონოდ. თუნდაც ჩაითვალოს, რომ უკანონოდ აღძრული სისხლის სა-
მართლის საქმეები აფერხებდა სარჩელის განხილვას, აჭარის ა/რ-ის უმაღ-
ლეს სასამართლოს საქმის წარმოება უნდა განეახლებინა 2004 წლის 3 მაისი-
დან არაუგვიანეს 2005 წლის 8 ოქტომბრამდე. იმ ინფორმაციის მიხედვით,
რომელიც სასამართლოს გააჩნია, ამ სარჩელთან დაკავშირებით დღემდე არ
არის მიღებული არანაირი, თუნდაც პროცედურული ხასიათის დადგენილება
ან გადანწყვეტილება. საქართველოს მთავრობას არ წარმოუდგენია არანაირი
მტკიცებულება ზემოაღნიშნულის გასაბათილებლად.

საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ
სახის უმოქმედობა, უპირველეს ყოვლისა, წარმოშობს საქმის განხილვის
ვადის პრობლემას, რითაც განმცხადებელს ეზღუდება სასამართლოსადმი
თავისუფლად მიმართვის უფლება. სასამართლო საჩივრის ამ ნაწილს განი-
ხილავს საქმის „გონივრულ ვადაში“ განხილვის აუცილებლობის თვალ-
საზრისით. აღნიშნული მოთხოვნა დადგენილია კონვენციის მე-6 მუხლის
პირველი პუნქტით.

საქმის განხილვის ვადის გახანგრძლივებისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს რამდენიმე ობიექტური კრიტერიუმი, პირველ რიგში - საქმის სირთულე. სასამართლოს არ მიაჩნია, რომ აღნიშნული საქმე განსაკუთრებულად რთული იყო, ან გერმანიაში მცხოვრებ განმცხადებელს არ შეეძლო, დაემტკიცებინა თავისი მოთხოვნა. ამდენად, სასამართლო თვლის, რომ არ არსებობდა საქმის განხილვის შეჩერების საფუძველი. შესაბამისად, დარღვეულია კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

ბ) ბათუმის საქალაქო სასამართლოში აღძრული სარჩელი

სასამართლო ეყრდნობა არსებულ პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც, სამოქალაქო სასამართლოსადმი შეუფერხებლად მიმართვის შესაძლებლობა კონვენციის მე-6 მუხლის I პუნქტის - „სამართლიანი სასამართლოს უფლების“ ერთ-ერთი ასპექტია. სასამართლოსადმი თავისუფლად მიმართვის უფლება გულისხმობს პირის კონკრეტულ და შეუზღუდავ შესაძლებლობას, გაასაჩივროს ნებისმიერი აქტი, რომელიც ხელყოფს მის უფლებებს.

განმცხადებელმა 2000 წლის ოქტომბერში ბათუმის საქალაქო სასამართლოში აღძრა სარჩელი ა. აბაშიძის მიერ მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. მოთხოვნის დასასაბუთებლად სარჩელს თან ერთვოდა სხვადასხვა სახის მტკიცებულება.

2001 წლის 7 მარტს ბათუმის საქალაქო სასამართლომ სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო სარჩელი განსახილველად არ მიიღო და განმცხადებელს მისცა ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად ისე, რომ მისთვის არ უცნობებია აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ. 2001 წლის 6 მაისს განმცხადებელმა გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი და მოითხოვა საქმის წარმოების განახლება. მოთხოვნას რეაგირება არ მოჰყოლია.

საქართველოს ხელისუფლებას არ წარმოუდგენია არანაირი მტკიცებულება ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოქმედების გასამართლებლად ან ასახსნელად. მას ასევე ეჭვქვეშ არ დაუყენებია განმცხადებლის მიერ წარდგენილი გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ნამდვილობა.

საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლომ თავისი არაპირდაპირი უარით, განეხილა სარჩელი, განმცხადებელს უარი უთხრა მართლმსაჯულების განხორციელებაზე. მართლმსაჯულების განხორციელება ასევე „სამართლიანი სასამართლოს“ უფლების შემადგენელი ნაწილია. შესაბამისად, დარღვეულია კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები.

კონვენციის მე-13 და მე-14 მუხლების სავარაუდო დარღვევა

განმცხადებელი მიიჩნევს: მისი სარჩელის განხილვაზე სისტემატური უარი ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ქვეყნის შიგნით არ არსებობდა ეფექტური საშუალება მისი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევას. ვინაიდან აღნიშნული საკითხები განხილულ იქნა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევის დადგენისას, სასამართლო არ მიიჩნევს აუცილებლად მათი მართებულობის ხელმეორედ განხილვას მე-13 მუხლთან მიმართებით.

რაც შეეხება კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას, ვინაიდან განმცხადებელს არ წარმოუდგენია დისკრიმინაციის დამადასტურებელი არანაირი

მტკიცებულება, სასამართლო აღნიშნულ მუხლს ვერ მიიჩნევს დარღვეულად.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლოს მიაჩნია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ საქმის განხილვაზე უარის თქმა წარმოადგენდა „მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმას,“ რომელიც პირდაპირ არღვევს პირის „სასამართლოში საქმის განხილვის მოთხოვნის უფლებას,“ რაც გარანტირებულია ევროკონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილით.

შესაბამისად, სასამართლო შემადგენლობამ ერთხმად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი აჭარის უმაღლესი სასამართლოს მიერ საქმის გაჭიანურებით განხილვის გამო; დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ მოსარჩელის 2000 წლის ოქტომბრის სარჩელის განუხილველად დატოვების გამო; სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა 4 400 ევროს გადახდა მორალური ზიანისათვის და 500 ევროს გადახდა - დამატებითი ხარჯების ასანაზღაურებლად.

გიგოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ
CASE of GIGOLASHVILI v. GEORGIA (№18145/05)

2005 წლის 27 აპრილს კობა გიგოლაშვილმა განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2008 წლის 8 ივლისს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№18145/05) და ერთსულოვნად დაადგინა, რომ დარღვეულია კონვენციის მე-5 მუხლის 1 ნაწილის „c“ ქვეპუნქტი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

აპლიკანტი კობა გიგოლაშვილი საქართველოს მოქალაქეა და ცხოვრობს რუსთავეში. 2003 წლის 6 დეკემბერს ის დააკავეს და ბრალად წაუყენეს ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონოდ ფლობა. 2003 წლის 8 დეკემბერს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა და აპლიკანტს შეუფარდა სამთვიანი წინასწარი პატიმრობა. პროკურორის განცხადებით, წარსულში ჩადენილი დანაშაულისათვის იგი უკვე იხდიდა სასჯელს და გათავისუფლებული იყო გამოსაცდელი ვადით. შესაბამისად, სხვა სახის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას, პროკურორის აზრით, არსებობდა დასაბუთებული ეჭვი, რომ იგი მიემალეობდა გამოძიებას.

2004 წლის 19 თებერვალს პროკურატურამ კ.გიგოლაშვილს დამატებით კიდევ წაუყენა რამდენიმე ბრალდება, კერძოდ: იარაღის უკანონოდ ტარება, ყაჩაღობა და მკვლელობა. 2004 წლის 4 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლომ აპლიკანტს წინასწარი პატიმრობის ვადა გაუგრძელა 2004 წლის 5 მაისამდე. 2004 წლის 29 აპრილს საქმის გამომძიებელმა განმცხადებელ გიგოლაშვილსა და ამავე საქმეზე ბრალდებულ კიდევ ორ პირს აცნობა, რომ გამოძიება დასრულდა და მათ უკვე შეეძლოთ საქმის მასალების გაცნობა. აპლიკანტმა გააპროტესტა ძიების დასრულება და მოითხოვა კიდევ რამდენიმე მონმის დაკითხვა, რაც გამომძიებელმა არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ ეს ემსახურებოდა მხოლოდ საქმის გაჭიანურებას, ხოლო ბრალდებულს შეეძლო, აღნიშნული მოთხოვნა დაეყენებინა ძიების ადრეულ სტადიაზე.

2004 წლის 5 მაისს წინასწარი პატიმრობის ვადა ამოიწურა. სასამართლოს არ მიუღია გადაწყვეტილება ვადის გაგრძელების შესახებ. 2004 წლის 13 მაისს აპლიკანტმა საჩივრით მიმართა პროკურატურის შესაბამის ინსტანციას, რადგან ის უკვე 2004 წლის 5 მაისიდან იმყოფებოდა უკანონო პატიმრობაში. მან ასევე გააპროტესტა გამოძიების ნაჩქარევად დასრულება. 2004 წლის 16 მაისს ვაკე-საბურთალოს რაიონულმა პროკურორმა არ დააკმაყოფილა აპლიკანტის საჩივარი იმ მოტივით, რომ ის არ იყო ჯეროვნად დასაბუთებული, ხოლო რაც შეეხება 2004 წლის 5 მაისის შემდეგ უკანონო პატიმრობაში მის ყოფნას, პროკურორმა განაცხადა, რომ ის პერიოდი, როდესაც ბრალდებული სწავლობდა საქმის მასალებს, შესაბამისი საპროცესო კოდექსის თანახმად, არ ჩაითვლება პატიმრობის ვადაში. ვინაიდან აპლიკანტმა და მისმა წარმომადგენლებმა საქმის მასალების გაცნობა

დაიწეს 2004 წლის 30 აპრილს, აპლიკანტის პატიმრობა არ შეიძლება ჩაითვალოს უკანონოდ.

2004 წლის 8 ივლისს ვაკე-საბურთალოს რაიონულმა პროკურორმა საქმე საბრალდებო დასკვნასთან ერთად განსახილველად გადაუგზავნა უზენაეს სასამართლოს. დასკვნის თანახმად, სამივე ბრალდებული და მათი ადვოკატები საქმეს გაეცნენ 2004 წლის 30 აპრილიდან 7 ივლისამდე პერიოდში.

2004 წლის 26 ოქტომბერს აპლიკანტმა იმავე საჩივრით მიმართა უზენაეს სასამართლოს, სადაც *inter alia* მიუთითებდა, რომ 2004 წლის 5 მაისიდან (როდესაც ამოიწურა მისი პატიმრობის ვადა) არ არსებობდა სასამართლოს ბრძანება პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ. პროკურორის მტკიცებასთან დაკავშირებით, რომ საქმის გაცნობის პერიოდი არ მოიცავდა პატიმრობის პერიოდს, აპლიკანტმა, უამრავ ფაქტობრივ დეტალზე დაყრდნობით, უპირველესად აღნიშნა, რომ მისმა ადვოკატმა მთლიანად შეისწავლა საქმე 2004 წლის 30 აპრილსა და 1 მაისს. ამას გარდა, რომც ვენდოთ გამომძიებლის ოფიციალურ მოხსენებებს, საქმის დასრულების ოფიციალურ თარიღად უნდა მივიჩნიოთ 2004 წლის 28 ივნისი. აპლიკანტის მტკიცებით, ეს ნიშნავს, რომ ის 10 დღის განმავლობაში იმყოფებოდა უკანონო პატიმრობაში. შესაბამისად, ამ არგუმენტების გათვალისწინებით, ის ითხოვდა დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.

2004 წლის 27 ოქტომბერს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განიხილა რა საქმის დასაშვებობის საკითხი, გადაწყვიტა, რომ აპლიკანტისა და მასთან ერთად ორი ბრალდებულის საქმე განსახილველად გადაეცათ თბილისის საქალაქო სასამართლოსათვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 417-ე, 425-ე და 428-ე მუხლების საფუძველზე. უზენაესმა სასამართლომ არ უპასუხა აპლიკანტის საჩივარს მისი წინასწარი უკანონო პატიმრობის შესახებ და ძალაში დატოვა აღკვეთის ღონისძიება „ბრალდების ხასიათიდან“ გამომდინარე, რადგან აპლიკანტს არ წარმოუდგენია კომპლექსური სამართლებრივი მტკიცებულება განთავისუფლების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლომ არ განიხილა აპლიკანტის საჩივარი უკანონო პატიმრობის შესახებ, რადგან მიიჩნია დაუსაბუთებლად. საქმის ირგვლივ არსებული ყველა გარემოების საფუძველიანი შესწავლის შემდეგ სასამართლომ დაადგინა, რომ განსასჯელებმა და მათმა წარმომადგენლებმა საქმის მასალების გაცნობა დაიწეს 2004 წლის 30 აპრილს – მაშინვე, როგორც კი დასრულდა საქმის გამოძიება 2004 წლის 29 აპრილს. ეს პროცესი გაგრძელდა 2004 წლის 7 ივლისამდე, ერთი დღით ადრე, ვიდრე პროკურორი საქმეს განსახილველად გადასცემდა სასამართლოს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 406-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საქმის მასალების გაცნობა არ გულისხმობს დადგენილი პატიმრობის პერიოდს. შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ დაასკვნა, რომ აპლიკანტის პატიმრობის პერიოდი 2004 წლის 30 აპრილიდან 7 ივლისამდე არ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ 2006 წლის 5 ივლისის ბრძანებაში აღნიშნა, რომ აპლიკანტის სისხლის სამართლის საქმის მასალები სასამართლოს განსახილველად გადაეცა 2004 წლის 8 ივლისს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 680-ე მუხლის მე-4 ნაწილის მე-9 პუნქტის თანახმად, 24-თვიანი ვადა, ამავე კოდექსის მიხედვით, იწურებოდა 2006 წლის 8 ივლისს. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ, გამოიყენა რა ამავე კოდექსის ამავე მუხლით მინიჭებული პრეროგატივა, განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით, კიდევ გაუგრძელა აპლიკანტს პატიმრობის ვადა 2006 წლის 8 ნოემბრამდე.

2006 წლის 22 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ გაასამართლა აპლიკანტი ზემოთ ხსენებული ბრალდებებით და მიუსაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენის თანახმად, პატიმრობის ვადის ათვლა დაიწყო 2003 წლის 6 დეკემბრიდან.

სასამართლოს შეფასება

სასამართლომ აღნიშნა, რომ აპლიკანტის წინასწარი დაკავების შესახებ 2004 წლის 4 მარტს გაცემული ბოლო განკარგულება, რომელიც ამოიწურა 2004 წლის 5 მაისს, სასამართლოს აღარ გაუგრძელებია. ამ მდგომარეობამ გასტანა 2004 წლის 27 ოქტომბრამდე, ვიდრე უზენაესმა სასამართლომ არ გადაწყვიტა პატიმრობის ვადის საკითხი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის „c“ ქვეპუნქტის დარღვევა აღმოჩნდა ბევრ სხვა საქმეშიც, რომლებიც შეეხებოდა დაკავებულთა პატიმრობაში ყოფნის პერიოდის გაგრძელებას მხოლოდ იმ მოტივით, რომ ისინი სწავლობდნენ საქმის მასალებს და/ან საბრალდებო დასკვნა იურისდიქციის გადასაწყვეტად გადაეცემოდა სასამართლოს. დასაცავ პირთა დაკავება, კონკრეტული იურიდიული საფუძვლის გარეშე, ან მათი მდგომარეობის მონესრიგებისათვის არარსებული ცალსახა ნესები – იმ შედეგით, რომ მათ შეიძლება, შეეზღუდოთ თავისუფლება განუსაზღვრელი დროით ყოველგვარი სამართლებრივი აქტის გარეშე – შეუთავსებელია კონვენციასა და კანონის უზენაესობასთან, რაც აღიარებულია სამართლებრივი მრწამსით.¹

2004 წლის 5 მაისიდან 7 ივლისამდე პერიოდს შორის აპლიკანტი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 406-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, დაკავებული იყო მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ის და მისი ადვოკატი ეცნობოდნენ საქმეს. ეს სრულიად შეუთავსებელია კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის მოთხოვნებთან. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს სახალხო დამცველმა 2003 წლის 16 დეკემბერს განიხილა განაცხადი „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სადაც დაადგინა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 406-ე მუხლის მე-4 ნაწილი არის არა მხოლოდ არაკონსტიტუციური, არამედ, ასევე - შეუთავსებელიც კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის მოთხოვნებთან.

აპლიკანტის პატიმრობაში ყოფნა 2004 წლის 8 ივლისიდან 27 ოქტომბრამდე დასაბუთებული იყო იმით, რომ საქმე განსახილველად გადაიგზავნა სასამართლოში. ამასთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის I და მე-2 ნაწილების მიხედვით, ვინაიდან პროკურატურამ დაასრულა საქმის ძიება და საქმე იურისდიქციის მიხედვით გადაუგზავნა სასამართლოს, ამ უკანასკნელმა განიხილა ჩანიშნა დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად, რა დროსაც დაადგინა, გაესამართლებინა თუ არა განსასჯელი და აუცილებელი იყო თუ არა, განესაზღვრა თავისუფლების შეზღუდვის ზომები.

მიუხედავად ამისა, პრობლემა წარმოიშვა სწორედ ამ საკითხის განხილვის პერიოდში. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის

¹ *Ječius v. Lithuania*, №34578/97, §§57-64, ECHR 2000-IX; *Stasaitis v. Lithuania*, №47679/99, §§56-61, 21/03/2002; *Grauslys v. Lithuania*, №36743/97, §§ 39-41, 10/10/2000; *Baranowski v. Poland*, №28358/95, §§53- 58, ECHR 2000-III; *Khudoyorov v. Russia*, №6847/02, §§146, ECHR 2005

თანახმად, დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად არსებული 14-დღიანი ვადა, საქმის სირთულიდან გამომდინარე, შეიძლება გაგრძელდეს ერთ თვემდეც. ვადის ათვლა დაიწყება მის (მოსამართლის) წარმოებაში არსებულ ბოლო საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან. ამავე დროს, საპროცესო კოდექსის მიხედვით, არ არის საჭირო აღკვეთის ღონისძიებაზე, ან მის გაგრძელებაზე რაიმე სამართლებრივი აქტის მიღება (იგულისხმება სასამართლოს ბრძანება). კანონში არსებული ასეთი ვაკუუმი შედეგად გვაძლევს იმას, რომ ყოველგვარი სამართლებრივი გადაწყვეტილების გარეშე, თვეების განმავლობაში პირები იმყოფებიან პატიმრობაში, რაც ამ საქმიდანაც კარგად ჩანს.¹

აღნიშნულიდან გამომდინარეობს ის, რომ 2004 წლის 5 მაისიდან 27 ოქტომბრამდე, თითქმის ხუთი თვისა და 22 დღის განმავლობაში, არ არსებობდა რაიმე გადაწყვეტილება, რომელიც განსაზღვრავდა აპლიკანტის პატიმრობაში ყოფნას. ის ფაქტი, რომ საბრალდებო დასკვნის თანახმად, აპლიკანტი და მისი ადვოკატი სწავლობდნენ ქვემდებარეობის მიხედვით გადაგზავნილი საქმის მასალებს, არ გულისხმობს აპლიკანტის პატიმრობაში ყოფნის კანონიერ საფუძველს, კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის მოთხოვნებიდან გამომდინარე.²

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო შემადგენლობამ ერთხმად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის „c“ ქვეპუნქტი.

იმის გამო, რომ აპლიკანტმა არ შემოიტანა საჩივარი სამართლიანი დაკმაყოფილების მოთხოვნით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი მოთხოვნა არ არსებობს. შესაბამისად, ამ საკითხზე არ უმსჯელია.

¹ *Absandze v. Georgia*, №57861/00, 20/07/2004; *Ramishvili and Kokhreidze v. Georgia*, №1704/06, 26/06/2007

² *Grauslys, cited above*, § 39; *Nakhmanovich v. Russia*, №55669/00, §68, 02/03/2006

გალუაშვილი საქართველოს წინააღმდეგ
CASE of GALUASHVILI v. GEORGIA (№40008/04)

2004 წლის 27 ოქტომბერს თამაზ გალუაშვილმა განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2008 წლის 17 ივლისს სასამართლოს მეორე პალატამ განიხილა განაცხადი (№40008/04) და დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

2004 წლის 26 ივნისს, 15³⁵სთ-ზე, თბილისის ცენტრალური პოლიციის დეპარტამენტში განხორციელდა ანონიმური სატელეფონო ზარი. შეტყობინების თანახმად, ავტომანქანას მართავდა შეიარაღებული მამაკაცი. პოლიციამ სასწრაფოდ დაგეგმა მისი დაკავების ოპერაცია. საქმის მასალები შეიცავს ზარის ჩანაწერს. განმცხადებელი დააკავეს იმავე დღეს, 16⁰⁰ სთ-ზე. დაკავებულს ადგილზევე ჩაუტარდა ჩხრეკა, რის შედეგადაც ამოღებულ იქნა ცეცხლსასროლი იარაღი მისი შარვლის საქამრიდან. შედგა შესაბამისი ოქმი, რომელსაც ხელი მოაწერა ორმა მოწმემ და დაკავებული გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში.

განმცხადებლის ვერსიის თანახმად, იგი საერთოდ არ გაუჩხრეკავთ და არც მისი დაპატიმრების მიზეზი აუხსნიათ. ჩხრეკის ოქმი შედგა მომხდარი ფაქტის შემდეგ, რომელიც წარუდგინეს მხოლოდ პოლიციის ცენტრალურ დეპარტამენტში. პოლიციის ცენტრალურ დეპარტამენტში დაკითხვისას განმცხადებელი არ დაეთანხმა მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას და განაცხადა, რომ ამ ბრალდების შესახებ პირველად შეიტყო პოლიციაში ტელევიზიის საშუალებით, რომელიც იუწყებოდა, რომ „ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შენახვისა და ტარებისათვის დააკავეს ცნობილი კრიმინალი და რეციდივისტი, ზედმეტსახელად „წყნეთელი სპილო.“ 2004 წლის 26 ივნისს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და იგი ცნეს ეჭვმიტანილად. იმავე დღეს, განმცხადებლის შეუტყობინებლად, პოლიციამ ჩაატარა მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკა ოჯახის წევრებისა და მოწმეთა თანდასწრებით. ჩხრეკის ოქმის მიხედვით, ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი, ტყვია-წამალი, ასევე დაუდგენელი თარიღითა და სხვადასხვა სერიული ნომრით განმცხადებლის სახელზე გაცემული საქართველოს რამდენიმე პასპორტი. განმცხადებლის მეუღლემ უარი განაცხადა ჩხრეკის ოქმზე ხელის მოწერაზე და განაცხადა, რომ პოლიციამ თავად შეიტანა ცეცხლსასროლი იარაღი მათ სახლში. 2004 წლის 27 ივნისს ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ დაადასტურა ზემოაღნიშნული ჩხრეკის შედეგები.

2004 წლის 28 ივნისს განმცხადებელი გაასამართლეს ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შენახვისათვის. მან განაცხადა, რომ თავს დამნაშავედ არ ცნობდა, თუმცა გამოძიებასთან თანამშრომლობას დათანხმდა. იმავე დროულად, პროკურატურამ სასამართლოსთან იშუამდგომლა, რომ განსასჯელი დარჩენილიყო პატიმრობაში.

2004 წლის 29 ივნისს განმცხადებელმა კიდევ ერთხელ დაადასტურა მზადყოფნა თანამშრომლობაზე და განაცხადა, რომ იგი იყო დიაბეტიით დაავადებული. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ

მიუსაჯა სამთვიანი წინასწარი პატიმრობა, რადგან არსებობდა დასაბუთებული ეჭვი, რომ ბრალდებულის განთავისუფლების შემთხვევაში და მომავალი პატიმრობის მოლოდინში იგი დაემალეობდა გამოძიებას და ხელს შეუშლიდა სიმართლის დადგენას.

2004 წლის 1 ივლისს საოლქო სასამართლომ უცვლელად დატოვა 2004 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება და მიიჩნია, რომ ბრალდებული უნდა დარჩენილიყო პატიმრობაში იმ მტკიცებულებების გათვალისწინებით, რაც კარგად იყო დასაბუთებული პროკურატურის მიერ, კერძოდ, სასამართლოს ჰქონდა საკმაო ვარაუდი, რომ განმცხადებელი მიემალეობდა გამოძიებას და ხელს შეუშლიდა სიმართლის დადგენას. განმცხადებლის ადვოკატის მოთხოვნის მიუხედავად, გამომძიებელმა ასევე არ დანიშნა სამედიცინო ექსპერტიზა. ალტერნატიულმა სამედიცინო ექსპერტის დასკვნამ, რომელიც გაიცა 2004 წლის 3 სექტემბერს, დაადასტურა, რომ განსასჯელს ჰქონდა პროგრესირებადი დიაბეტი და საჭიროებდა ინსულინით ინტენსიურ მკურნალობას. ექსპერტიზამ დაამტკიცა, რომ არსებობდა ჰიპოგლიკემიის მაღალი რისკი და სასწრაფო სამედიცინო ჩაურევლობის შემთხვევაში შეიძლება ბრალდებული გარდაცვლილიყო. მომდევნო კვირას, მისი მოთხოვნის შესაბამისად, იგი გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოში, სადაც დარჩა განთავისუფლებამდე.

2004 წლის 28 ივლისს განმცხადებლის ადვოკატმა თხოვნით მიმართა პროკურატურას, რომ სისხლის სამართლის საქმეში ჩაემატებინათ 13 ადამიანის წერილობითი განაცხადი, რომლებიც თავად დაკითხა. ზოგი მათგანი იყო ამ საქმის თვითმხილველი. ისინი აცხადებდნენ, რომ განსასჯელის ჩხრეკა არ მოხდა ადგილზე, სხვები კი ადასტურებდნენ, რომ პოლიციამ თავად ჩადო ცეცხლსასროლი იარაღი სახლში. ადვოკატი მოითხოვდა, რომ პროკურატურას დაეკითხა აღნიშნული მოწმეები. საქმის გამომძიებელმა უარი განაცხადა ამ მოწმეთა ჩვენებების საქმეში მტკიცებულებად ჩაკერებაზე და ასევე - მათ დაკითხვაზე იმ მოტივით, რომ მათი ჩვენებები იყო ზედაპირული და უსაფუძვლო. ასევე, ადგილზე ჩატარებული ჩხრეკა დამონმებული იყო სხვა მოწმეთა ხელმოწერებით, ხოლო რაც შეეხება სახლის ჩხრეკაზე დამსწრე მოწმეებს, ისინი იყვნენ მეზობლები და, შესაბამისად, ვერ იქნებოდნენ მიუკერძოებელი.

2004 წლის 25 სექტემბერს საგამომძიებო საქმე დასრულდა და საქმე გადაეცა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს. 2004 წლის 22 ნოემბერს ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს განაჩენით ბრალდებულს მსჯავრი დასდეს ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ ტარებასა და გადატანაში. სასამართლოს გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში ნათქვამი იყო, რომ განსასჯელი იყო უმუშევარი; სასამართლომ არ მიიღო პროკურატურის მოწმეების შეცვლილი ჩვენებები, ჩათვალა რა, რომ მათზე მოხდა განსასჯელის, როგორც კრიმინალური ავტორიტეტის მხრიდან ზეწოლა. მოსმენის თანდართული ჩანაწერის თანახმად, რაც მოგვიანებით დაამტკიცა სასამართლომ, პროკურორმა აღნიშნა, რომ განსასჯელმა ჩუქების სახით სასჯელაღსრულებითი ორგანოების განვითარების ფონდს გადასცა 100.000 ლარი და ეს უნდა განხილულიყო, როგორც შემამსუბუქებელი ფაქტორი. ის, რომ განმცხადებელი არ იყო ნასამართლვე და ჰქონდა დიაბეტი, ითვლებოდა შემამსუბუქებელ გარემოებად. ამას გარდა, განმცხადებელი ციხეში იმყოფებოდა 1 წლით. სასამართლოს გადაწყვეტილებით იგი გაათავისუფლეს სასამართლო დარბაზიდან.

2004 წლის 3 დეკემბერს განმცხადებელმა განაჩენი გაასაჩივრა თბილისის საოლქო სასამართლოში და მოითხოვა უდანაშაულოდ ცნობა. 22 დეკემბერს მან აცნობა სასამართლოს, რომ აღარ აინტერესებდა ეს საკითხი და უკან

გაითხოვა სააპელაციო საჩივარი. მისი თქმით, ეს გააკეთა უსაფრთხოების გამო, რადგან ხელისუფლება მას კვლავ ემუქრებოდა დაპატიმრებით.

სასამართლოს შეფასება

განმცხადებელი ამტკიცებს, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი, კერძოდ, რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება წინასწარი პატიმრობის შეფარდებისას იყო დაუსაბუთებელი, ვინაიდან არ გაითვალისწინა მის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები და მტკიცებულებები.

სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, ვერ შეფასდება *in abstracto*, არის თუ არა დაკავების პერიოდი დასაბუთებული. ეს საკითხი უნდა შეფასდეს თითოეულ საქმეში კონკრეტული გარემოებების მიხედვით.¹ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ მოცემულ საქმეზე განსაზღვრული პატიმრობის ხანგრძლივობა არ აღემატებოდა გონივრულ ვადას. უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, სასამართლოებმა უნდა გამოიკვლიონ ყველა ფაქტი, რომელიც ინვესს საჯარო ინტერესს და ასახონ თავიანთ გადაწყვეტილებებში. მოცემულ გარემოებებზე დაყრდნობით ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და აპლიკანტის მიერ საფუძვლიანად დასაბუთებულ ფაქტებზე დაყრდნობით დადგინდეს, დაირღვა თუ არა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი.²

სასამართლო აღნიშნავს, რომ 2004 წლის 29 ივნისსა და 1 ივლისს ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებულ სადავო გადაწყვეტილებებში უნდა ასახულიყო აპლიკანტის წინააღმდეგ არსებული გონივრული ეჭვი, რათა არ შეშლოდა ხელი სასამართლოში საქმის განხილვას. ეროვნულმა სასამართლოებმა გაითვალისწინეს ბრალეულობის სიმძიმე, რაც არსებობდა აპლიკანტის მიმართ. სასამართლო იზიარებს იმას, რომ, ვინაიდან დადასტურებული იყო აპლიკანტის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის შენახვა და ტარება, არსებობდა დასაბუთებული ეჭვი, რომ მას ბრალად ედებოდა სერიოზული დანაშაულის ჩადენა, რის გამოც იგი იყო დაკავებული.³ ამას გარდა, შესაძლებელი იყო, რომ განმცხადებელი მიმალვოდა გამოძიებას, რითიც სერიოზულად დააზარალებდა საქმის განხილვას.⁴ უფრო მეტიც, ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ 2004 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ საჭირო იყო ეჭვმიტანილის იარაღზე ექსპერტიზის დანიშვნა, რათა დადგენილიყო, ხომ არ იყო ეს იარაღი დანაშაულებშიც გამოყენებული. სასამართლოს შეფასებით, ეს იყო კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტი, რომელიც ასაბუთებდა აპლიკანტის პატიმრობის საფუძვლიანობას.

და ბოლოს, სასამართლო აღნიშნავს, რომ აპლიკანტის საქმის განხილვა დასრულდა ხუთ თვეში. შესაბამისად, ადგილობრივმა სასამართლოებმა ჯეროვნად შეისწავლეს საქმე გონივრულ ვადაში. ეს ფაქტორი არის ძალიან

¹ *Kudla v. Poland [GC]*, №30210/96, §§110-111, ECHR 2000-XI; *Pihlak v. Estonia*, №73270/01, §41, 21/06/2005

² *Labita v. Italy [GC]*, №26772/95, §152, ECHR 2000-IV; *Kudla*, cited above, §110

³ *Kusy v. Poland*, №7347/02, §§36-37, 24/10/2006

⁴ *Ilijkov v. Bulgaria*, №33977/96, §80, 26/07/2001

მნიშვნელოვანი, რათა შეფასდეს, დაირღვა თუ არა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილით გარანტირებული უფლება.¹

ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, სასამართლო ასკვნის, რომ, სასურველია, ეროვნულმა სასამართლოებმა უფრო მეტად დაასაბუთონ პირის წინასწარი პატიმრობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება. თუმცა, ამ შემთხვევაში ეს გარემოება ვერ ჩაითვლება კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევად.²

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი.

¹ *Kusyk, cited above, §39; Klamecki v. Poland, №25415/94, §§74 and 76, 28/03/2002*

² *Sardinas Albo, cited above, §89; Van der Tang v. Spain, 13/07/1995, Series A №321, p.19, §60*

ღარიბაშვილი საქართველოს წინააღმდეგ

CASE of GHARIBASHVILI v. GEORGIA (№11830/03)

2003 წლის 17 მარტს რობერტ ღარიბაშვილმა განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2008 წლის 29 ივლისს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლომ განიხილა განაცხადი (№11830/03) და ერთხმად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი (წამების აკრძალვა).

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

2001 წლის 23 მაისს განმცხადებელი დააკავეს ეჭვმიტანილის სტატუსით 14 წლის გოგონას გაუპატიურებისთვის. მისი მტკიცებით, 2001 წლის 23-25 მაისს იგი დააკავა რუსთავის პოლიციამ და აღიარებითი ჩვენების მიღების მიზნით, პოლიციის რამდენიმე ოფიცერი მას სასტიკად ეპყრობოდა. განმცხადებლის თქმით, პოლიციელებმა დაადეს ხელბორკილები, სახეზე გაუკეთეს აირწინალი, რათა არავის გაეგო მისი ხმა და სასტიკად სცემეს - გაუტეხეს ყბა და მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი. ცემას ესწრებოდა რუსთავის პოლიციის უფროსი ოფიცერი, ბ-ნი გ., ასევე - რუსთავის რაიონული პროკურატურის ორი გამომძიებელი, ბ-ნი მ. და ბ-ნი ა.

ექსპერტიზის დასკვნითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ განმცხადებელს სქესობრივი კავშირი ჰქონდა დაზარალებულთან. 2001 წლის 25 მაისს იგი ბრალდებულად ცნეს არასრულწლოვნის გაუპატიურებისთვის.

საქმეში არსებული მასალებიდან ირკვევა, რომ 2001 წლის 26 მაისს განმცხადებელს დაენიშნა დამცველი - ბ-ნი ს. იმავე დღეს რუსთავის რაიონულმა სასამართლომ განიხილა რობერტ ღარიბაშვილის პატიმრობის საკითხი, რის შემდეგაც იგი გადაიყვანეს თბილისის №5 საპყრობილეში, სადაც მას ჩაუტარდა სამედიცინო შემოწმება. განმცხადებლის მტკიცებით, ექიმმა მისი გასინჯვის შემდეგ უარი განაცხადა, სამედიცინო ჟურნალში შეეტანა მის სხეულზე აღმოჩენილი სასტიკი მოპყრობის კვალი. 2001 წლის 11 ივლისს განმცხადებელმა შეიტანა საჩივარი გამომძიებლის დროს არსებულ სხვადასხვა პროცედურულ დარღვევაზე და მოითხოვა, რომ გამომძიებელი, ბატონი მ. ჩამოეშორებინათ საქმისგან და დაენიშნათ სხვა გამომძიებელი. მან დაადანაშაულა ბატონი მ. მიკერძოებაში, მაგრამ საჩივარი არ აღუძრავს სასტიკ მოპყრობაზე, ან ზენოლის ფაქტებზე.

ფაქტი, რომ ბრალდებულის მიერ დაზარალებულის მიმართ განხორციელდა სექსუალური ძალადობა, მოგვიანებით დადასტურდა ექსპერტის სრულყოფილი დასკვნით, რომელიც მოიცავდა მონმეთა ჩვენებებსა და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებს. ამ მასალებზე დაყრდნობით თბილისის რაიონულმა სასამართლომ 2001 წლის 12 დეკემბერს განმცხადებელი ცნო დამნაშავედ აღნიშნული დანაშაულის ჩადენაში და შეუფარდა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ განმცხადებელს არ გაუსაჩივრებია სასტიკი მოპყრობა სასამართლო პროცესის განმავლობაში.

უზენაესმა სასამართლომ 2002 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა განმცხადებლის საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებლობის გამო. საკასაციო განხილვას, რომელიც გაგრძელდა რამდენიმე დღეს, ესწრებოდა განმცხადებელი. მან არც საკასაციო სასამართლოს მიმართა საჩივრით სასტიკ მოპყრობაზე. შემდგომში იგი სასჯელის მოსახდელად გადაიყვანეს თბილისის №1 საპყრობილეში.

თავისი მტკიცებულებების გასამყარებლად განმცხადებელმა მიუთითა თბილისის №1 საპყრობილის 2003 წლის 16 ივლისით დათარიღებულ, სამედიცინო ჟურნალში არსებულ ექსპერტის დასკვნაზე. დასკვნის თანახმად, ორივე ხელზე საჩვენებელი თითები მოტეხილობების გამო იყო დეფორმირებული. ამ მოტეხილობების გამომწვევი მიზეზის დადგენა ვერ მოხერხდა. არანაირი კვალი ძველი მოტეხილობებისა განმცხადებლის ყბაზე არ აღინიშნებოდა.

სასამართლოს შეფასება

ა) სასტიკ მოპყრობასთან დაკავშირებით

სასამართლო შეგვახსენებს, რომ კონვენციის მე-3 მუხლი სათუთად იცავს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ ღირებულებას, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში კრძალავს წამებას, ან არაადამიანურ, ან ღირსების შემლახველ მოპყრობას, ან დასჯას.¹ სასამართლო მრავალ გარემოებაზე დაყრდნობით ადგენს, რომ ხელისუფლება ვალდებულია, დაიცვას პირის ხელშეუხებლობა პატიმრობისას, „მიუხედავად ამ პირის მიმართ არსებული გონივრული ეჭვისა“, რაც გამყარებულია მტკიცებულებებით.² ეს მტკიცება შეიძლება მომდინარეობდეს საკმარისად ძლიერი, ნათელი და შეთანხმებული დასკვნის ერთობლიობიდან.³

ვუბრუნდებით რა წარმოდგენილი საქმის გარემოებებს, სასამართლო პირველ რიგში აღნიშნავს, რომ ადგილობრივ სასამართლოებს არ აღმოუჩენიათ რაიმე რეალური მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ განმცხადებელს სასტიკად მოეპყრნენ 2001 წლის 23-25 მაისს.⁴ „მიუხედავად გონივრული ეჭვისა,“ რომ განმცხადებლის მიმართ განხორციელდა სასტიკი მოპყრობა, სასამართლოს არ შეუძლია ეს დადასტურებულ ფაქტად გამოაცხადოს. ინფორმაციის ნაკლებობა გამომწვეულია კომპეტენტური ორგანოების მიერ ჩატარებული არასრულყოფილი გამოძიებით.⁵

ასეთ შემთხვევაში, სასამართლო ცალსახად ვერ მიიჩნევს, რომ განმცხადებლის დაკავების დროს დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

¹ *Aksoy v. Turkey*, 18/12/1996, *Reports of Judgments and Decisions 1996-VI*, p. 2278, § 62; *Aydın v. Turkey*, 25/09/1997, *Reports 1997-VI*, §81

² *Farbtuhs v. Latvia*, №4672/02, §54, 02/12/2004

³ *Anguelova v. Bulgaria*, №38361/97, §111, *ECHR 2002-IV*; *Shamayev and Others v. Georgia and Russia*, №36378/02, §338, *ECHR 2005-III*

⁴ *Talat Tepe v. Turkey*, №31247/96, §49, 21/12/2004

⁵ *Davtian v. Georgia*, №73241/01, §38, 27/07/2006; *Danelia v. Georgia*, №68622/01, §§42-43, 17/10/2006

ბ) გამოძიების სავარაუდო არარსებობის შესახებ

(1) საერთო პრინციპები

მაშინ, როდესაც განმცხადებელი საჩივრით მიმართავს შესაბამის ორგანოებს პოლიციის მხრიდან მის მიმართ განხორციელებული არაადამიანური მოპყრობის თაობაზე, სადაც მიუთითებს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას, ეს მუხლი უნდა განიხილებოდეს კონვენციის პირველ მუხლთან მიმართებით, რომლის მიხედვითაც „მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ყველასათვის თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყოფენ ამ კონვენციის I კარში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს“ და მოითხოვს, რომ უნდა არსებობდეს ეფექტური გამოძიება, რომელსაც უნარი უნდა შესწევდეს, დაადგინოს პასუხისმგებელი პირები და დასაჯოს ისინი. ნამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის ზოგადი აკრძალვა, მიუხედავად მისი ფუნდამენტური მნიშვნელობისა, არაეფექტური იქნებოდა პრაქტიკაში და შესაძლებელს გახდიდა, მოხელეებს ძალაუფლება ბოროტად გამოეყენებინათ, რეალური სასჯელის არარსებობის გამო.¹

იქ, სადაც სასამართლოს არ შეუძლია დაასკვნას, დაირღვა თუ არა კონვენციის მე-3 მუხლი, შესაძლოა ამ მუხლის პროცედურული ნაწილის გამოყენება, საიდანაც ნაწილობრივ გამომდინარეობს ხელისუფლების არაეფექტური და გვიანი რეაგირება საჩივრებზე.² გამოძიება ვალდებულია არა გარანტირებულ შედეგზე, არამედ საშუალებებზე.³

იმისათვის, რომ გამოძიება სრულყოფილი იყოს, იგი უნდა განიხილებოდეს როგორც საჭირო და აუცილებელი იმ პირებისათვის, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან გამოძიებაზე.⁴ ეს ნიშნავს არამარტო იერარქიული ან ინსტიტუციონალური კავშირის ნაკლებობას, არამედ - პრაქტიკულ დამოუკიდებლობასაც.⁵

გამოძიება უნდა იყოს ყოველმხრივ სრულყოფილი. ეს ნიშნავს, რომ კომპეტენტურმა ორგანოებმა ყოველთვის მიიღონ სერიოზული ზომები, რათა დაადგინონ, თუ რა მოხდა და არ დაეყრდნონ მოუფიქრებელ და დაუსაბუთებელ დასკვნებს, რათა დახურონ გამოძიება, ან სხვაგვარად დაასაბუთონ მათი გადაწყვეტილებები.⁶ მათ უნდა გადადგან მათთვის ხელმისაწვდომი გონივრული ნაბიჯები, რომ დაიცვან საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულებები, *inter alia*, თვითმხილველთა ჩვენებები და სასამართლო მტკიცებულებები,⁷ აღმოფხვრან ნებისმიერი ხარვეზი გამოძიებაში, რომელიც აბრკოლებს დაზიანებათა გამომწვევი მიზეზების, ან პირის იდენტიფიკაციის დადგენის შესაძლებლობებს.

და ბოლოს, გამოძიება უნდა იყოს სწრაფი. კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, მოახდინეს თუ არა დადგენილ დროში შესაბამისმა შიდასახელმწიფოებრივმა ორგანოებმა სწრაფი რეაგირება საჩივრებზე.

¹ *Assenov and Others v. Bulgaria*, 28/10/1998, 1998-VIII, p.3290, §102; *Labita v. Italy [GC]*, № 26772/95, §131, *ECHR* 2000-IV

² *Khashiyev and Akayeva v. Russia*, №57942/00 and №57945/00, § 178, 24/02/2005

³ *Paul and Audrey Edwards v. the United Kingdom*, №46477/99, §71, *ECHR* 2002-II

⁴ *Barbu Anghelescu v. Romania*, №46430/99, § 66, 05/10/2004

⁵ *Ergi v. Turkey*, 28/07/1998, *Reports* 1998-IV, §§ 83-84

⁶ *Assenov and Others*, cited above, §§ 103 et seq.

⁷ *Tanrikulu v. Turkey [GC]*, №23763/94, *ECHR* 1999-IV, §104; *Gül v. Turkey*, №22676/93, §89, 14/12/2000

(2) ზემოხსენებული პრინციპების გამოყენება აღნიშნულ საქმეზე

სასამართლოს მიაჩნია, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე წარმოდგენილი განმცხადებლის მტკიცებანი შეიცავდა საკმაო სპეციფიკურ ინფორმაციას – თარიღს, ადგილს და სასტიკად მოპყრობის ხასიათს, სავარაუდო სამართალდამრღვევების ვინაობას, მიზეზობრივ კავშირს ცემასა და ჯანმრთელობის დაზიანებას შორის და ა. შ., - რომ წარმოშობილიყო სადავო მოთხოვნები იმ კომპეტენტური ორგანოების მიმართ, რომელთაც ჰქონდათ ვალდებულება, ჩაეტარებინათ ეფექტური გამოძიება.¹

შემდეგი სადავო საკითხი არის ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც კომპეტენტური ორგანოები ვალდებულნი იყვნენ, განეხილათ განმცხადებლის მოთხოვნები. ეს პერიოდი იწყება 2004 წლის მაისიდან, როდესაც განმცხადებელმა, საქმის მასალების მიხედვით, პირველად აღძრა სარჩელი სასტიკად მოპყრობაზე და დასრულდა 2007 წლის 6 სექტემბერს, როდესაც შიდასახელმწიფოებრივმა სასამართლოებმა საბოლოოდ დაამტკიცეს საგამოძიებო პროცესის შეწყვეტა.

სასამართლოს მისაღებად მიაჩნია, იმსჯელოს ამ პერიოდზე, რომელიც გაგრძელდა დაახლოებით 3 წლისა და 4 თვის განმავლობაში, იმის გათვალისწინებით, რომ გამოიკვლიოს, რა საგამოძიებო ზომები მიიღეს ადგილობრივმა ორგანოებმა 2006 წლის 24 იანვრამდე და მას შემდეგ.

რაც შეეხება 2006 წლის 24 იანვრამდე პერიოდს, განმცხადებელმა აღძრა სარჩელი არაადამიანურ მოპყრობაზე და მოითხოვა გაუპატიურების საქმის განახლება, ხოლო მისი ცალკე მოთხოვნა იყო გამომძიებელ მ-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.

მაშინ, როდესაც საქმის ხელახალი გამოძიება, რომელსაც ხელმძღვანელობდა გამომძიებელი მ., განმცხადებლის მტკიცებით, არ იყო დამოუკიდებელი, გამოძიება დაევალა რუსთავის იმავე რაიონულ პროკურატურას, რომლის თანამშრომელიც იყო სავარაუდო სამართალდამრღვევი ბ-ნი მ. განმცხადებელმა მიუთითა ინტერესთა აშკარა წინააღმდეგობაზე.²

უფრო მეტიც, პროკურატურამ არ ჩაატარა სრულყოფილი გამოძიება, რადგან გამოძიების პერიოდში არ დაუკითხავთ თვითონ განმცხადებელი. ეს ხარვეზი აღნიშნა საქართველოს უზენაესმა სასამართლომაც, მაგრამ იგი არ აღმოფხვრილა.³

რაც შეეხება განმცხადებლის მიერ გამომძიებელი მ-ს წინააღმდეგ შეტანილ ცალკე საჩივარს - ადგილობრივი სასამართლოების განხილვების შედეგად დადგინდა, რომ გენერალურმა პროკურატურამ რატომღაც უყურადღებოდ დატოვა ეს საკითხი. განცხადების იმ ნაწილის შემონმებისას, რომელიც ეხება ექსპერტის დასკვნის გაყალბებას და გამოძალვას, აღმოჩნდა, რომ ამ საკითხზე გამოძიება არ ჩატარებულა და პასუხიც არ გაცემულა. არც თბილისის რაიონულ და სააპელაციო სასამართლოებს აუხსნიათ ეს გაუგებარი უყურადღებობა საჩივრის ამ ნაწილის მიმართ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ კომპეტენტური ორგანოების მიერ საქმის წარმოებისას სასტიკ მოპყრობაზე ჩატარებული მოკვლევა არ იყო დამოუკიდებელი და საფუძვლიანი. ეს მდგომარეობა, რომელიც გაგრძელდა 2004 წლის მაისიდან 2006 წლის იანვრამდე,

¹ *Davtian*, judgement cited above, §42; *Petropoulou-Tsakiris v. Greece*, №44803/04, §47, 06/12/2007

² *Toteva v. Bulgaria*, №42027/98, §63, 19/05/2004; *Oğur v. Turkey* [GC], №21594/93, §§91-92, *ECHR* 1999-III

³ *Petropoulou-Tsakiris*, cited above, §§50-53; *Bati and Others v. Turkey*, №33097/96 and 57834/00, §134, *ECHR*; 2004-IV

საკმარისია სასამართლოსთვის, რათა მიიჩნიოს, რომ შიდასახელმწიფოებრივი ორგანოები გულგრილად მოეკიდნენ თავიანთ მოვალეობას, ეფექტურად გამოეკვლიათ განმცხადებლის საჩივარი.

სასამართლო პირველ რიგში აღნიშნავს, რომ გენერალურმა პროკურატურამ საქმეს ჩამოაშორა რაიონული პროკურატურა, რომლის თანამშრომელიც იმ დროისათვის იყო გამოძიებელი მ. და საქმე გადააწერა თბილისის საქალაქო პროკურატურას, რომელიც არ იყო უფლებამოსილი. მეორე: სასამართლო არ ეთანხმება განმცხადებლის არგუმენტს, რომ ის არ დაკითხა თბილისის საქალაქო პროკურატურამ, რადგან მან საპირისპირო დაადასტურა 2006 წლის 20 აგვისტოს წერილში. სასამართლო მიიჩნევს, რომ ეფექტური გამოძიების პრინციპებს ეწინააღმდეგება თბილისის საქალაქო პროკურატურა, რომელმაც განმცხადებლის მიერ დასახელებული მოწმეებისგან ცნობები არ მოიძია ან არ დააპირისპირა განმცხადებელი გამოძიებელ მ-სთან, ბ-ნ ა-სთან, და ბ-ნ გ-სთან, რომელთაც განმცხადებელი ადანაშაულებდა. სასამართლო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ თბილისის საქალაქო პროკურატურამ საჭიროდ არ ჩათვალა, დაეკითხა თბილისის №5 საპყრობილის ექიმი, რომელმაც გასინჯა განმცხადებელი და უარი განაცხადა, რომ აღენიშნა სასტიკი მოპყრობის ნიშნები მის სხეულზე. და ბოლოს, ნაცვლად იმისა, რომ ჩაეტარებინათ დამოუკიდებელი და სრულყოფილი სამედიცინო ექსპერტიზა განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესამოწმებლად, პროკურატურა შემოიფარგლა ციხის სამედიცინო ჟურნალის გამოკვლევით.¹

სასამართლო სამწუხაროდ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ზემოხსენებული გამოძიება ადგილობრივმა სასამართლოებმა ისე შეწყვიტეს, რომ საკანში მყოფი განმცხადებელი ზეპირ მოსმენებს არ დასწრებია. ზემოხსენებული ხარვეზიანი გამოძიებიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ ის იყო არაეფექტური. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილი.

სასამართლო აღნიშნავს, რომ პროცესის არც ერთ სტადიაზე განმცხადებელს არ მოუთხოვია სამართლიანი დაკმაყოფილება (ზიანის ანაზღაურება). შესაბამისად, სასამართლო ამ სახის გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო შემადგენლობამ ერთხმად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

¹ *Belevitskiy v. Russia*, №72967/01, §61, 01/03/2007

ალიევი საქართველოს წინააღმდეგ

CASE of ALIEV v. GEORGIA (№522/04)

2003 წლის 31 ოქტომბერს აბდულაჰმედ ალიევმა განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2009 წლის 13 იანვარს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მეორე პალატამ განიხილა ალიევის განაცხადი (№522/04) და ერთხმად დაადგინა, რომ დარღვეულია კონვენციის მე-3 მუხლი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

საქმეს საფუძვლად დაედო საქართველოში მცხოვრები ჩეჩენი წარმოშობის ლტოლვილისა და რუსეთის მოქალაქის – აბდულაჰმედ ალიევის მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიმართული განაცხადი. განმცხადებელი ასაჩივრებდა თბილისის მე-5 საპყრობილეში მისი პატიმრობის პირობებს და იმავე საპყრობილეში 2002 წლის 3-დან 4 ოქტომბრის ღამეს მის მიმართ გამოვლენილ არასათანადო მოპყრობას.

განმცხადებელს ეძებდა ინტერპოლი. საქართველოს ხელისუფლების შესაბამისმა ორგანოებმა იგი დააკავეს 2002 წლის 3 მაისს, რუსეთის ხელისუფლების მიერ 1998 წლის 6 იანვარს გაცემული დაპატიმრების ბრძანების საფუძველზე. რუსეთის ფედერაციაში მას ბრალი ედებოდა ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობის დარღვევაში. 2002 წლის 7 მაისსა და 13 ივნისს საქართველოს გენერალურმა პროკურორმა რუსეთის ხელისუფლების ორგანოებს მოსთხოვა რუსეთში განმცხადებლის წინააღმდეგ აღძრული საქმისა და ექსტრადიციასთან დაკავშირებული მასალების გამოგზავნა. აღნიშნულის პასუხად 2002 წლის 21 ივნისს რუსეთის გენერალურმა პროკურორმა წარმოადგინა დოკუმენტები და ექსტრადიციის თხოვნა. 2002 წლის 31 ივლისს საქართველოს გენერალურმა პროკურორმა დააკმაყოფილა მოთხოვნა და გამოიტანა დადგენილება განმცხადებლის რუსეთში ექსტრადიციის შესახებ. აღნიშნული დადგენილება განმცხადებელმა გაასაჩივრა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

2002 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლზე დაყრდნობით განმარტა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, პირს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია ექსტრადიციის გადაწყვეტილება, უფლება ეძლევა თავისი უფლებები დაიცვას სასამართლოს გზით. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ განსაზღვრავს ამგვარი საჩივრის განხილვის პროცედურას, ასეთ საკანონმდებლო ხარვეზს არ შეუძლია, ხელი შეუშალოს პირს კონსტიტუციითა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მინიჭებული უფლების განხორციელებაში. უზენაესი სასამართლო მიიჩნევს, რომ ბ-ნი ალიევის საჩივარი განხილულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლის ანალოგიით, რომლის თანახმადაც, მომკვლევის, გამომძიებლის, ან პროკურორის მოქმედება ან გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, თუ დაინტერესებული პირი მას დაუსაბუთებლად ან უკანონოდ მიიჩნევს. რამდენადაც ბ-ნი ალიევის

ექსტრადიციის გადანყვეტილება მიღებული აქვს გენერალურ პროკურატურას, საჩივარი, ტერიტორიული განსჯადობის პრინციპის მიხედვით, თბილისის კრწანისი-მთაწმინდის პირველი ინსტანციის რაიონულმა სასამართლომ უნდა განიხილოს.

2002 წლის 19 ნოემბერს თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის საჩივარი. ალიევი ხაზს უსვამდა, რომ დაკავების შემდეგ იგი დაუყოვნებლივ არ გადაეცა მოსამართლეს, რომელიც იმსჯელებდა მისი დაპატიმრების დასაბუთებულობასა და კანონიერებაზე.

2003 წლის 17 იანვარს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა 2002 წლის 19 ნოემბრის გადანყვეტილება და საქართველოს გენერალური პროკურორის დადგენილება განმცხადებლის რუსეთში ექსტრადიციის შესახებ. მან გადანყვეტილება დაასაბუთა იმით, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურა არ ფლობდა ექსტრადიციის მოთხოვნისათვის აუცილებელ ყველა დოკუმენტს, რომ 1998 წლის 6 იანვრის რუსული სამთვიანი დაპატიმრების ბრძანების ვადა ამოიწურა 2002 წლის 3 აგვისტოს და საქართველოს ხელისუფლების ორგანოების არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, რუსეთის ხელისუფლების ორგანოებმა არ წარმოადგინეს განმცხადებლის პატიმრობის ვადის გამაგრძელებელი გადანყვეტილება, როგორც ამას მოითხოვდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-3 ნაწილი. მიიჩნია რა განმცხადებლის დაპატიმრება უკანონოდ 2002 წლის 3 აგვისტოდან, უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობდა განმცხადებლის ექსტრადიციაზე დაყრდნობით დაპატიმრების საფუძველი.

მიუხედავად აღნიშნულისა, განმცხადებელი არ გაათავისუფლეს, ვინაიდან 2003 წლის 10 იანვარს საქართველოს ხელისუფლებამ მას ბრალი დასდო 2002 წლის 3 და 4 ოქტომბერს წინასწარ განზრახულ და დაგეგმილ წინააღმდეგობის განწევაში, სახელმწიფო მოხელეთა ბრძანების დაუმორჩილებასა და მათ მიმართ ჩადენილ ძალადობაში.

კერძოდ, 2002 წლის 23 აგვისტოს განმცხადებელი მოათავსეს თბილისის მე-5 საპყრობილის საკანში სხვა ჩეჩენ პატიმრებთან ერთად. შემდგომში ამ თერთმეტი პირის მიმართ დაიწყო ექსტრადიციის პროცედურა ისე, რომ მათთვის ეს არავის შეუტყობინებია. საქართველოს გენერალური პროკურორის 2002 წლის 2 ოქტომბრის დადგენილების აღსასრულებლად 2002 წლის 3-დან 4 ოქტომბრის ღამეს დაიგეგმა ოთხი პირის ექსტრადიცია. პატიმრებს არ ეცნობათ ეს დადგენილება. მათ მხოლოდ საინფორმაციო საშუალებებით მოისმინეს, რომ „არსებობდა მნიშვნელოვანი რისკი 3 და 5 აგვისტოს საქართველო-რუსეთის საზღვარზე დაკავებული ჩეჩენების რუსეთის ფედერაციისათვის გადასაცემად“. აღნიშნული ინფორმაციის მოსმენის შემდეგ მათ ფიზიკური წინააღმდეგობა გაუწიეს ციხის თანამშრომლებს, რომლებიც მათ საკნის დატოვებას უბრძანებდნენ. ციხის თანამშრომლებმა პატიმრებს მიუთითეს სხვადასხვა ფიქტიურ მოტივზე, როგორც ჩანს, იმ მიზნით, რომ ეს ოთხი პირი უპრობლემოდ განეცალკეებინათ დანარჩენებისგან ექსტრადიციის მიზნით.

ამ მოვლენების პარალელურად 2002 წლის 4 ოქტომბერს საკანში მყოფი ზოგიერთი ჩეჩენი პატიმრის ადვოკატებმა მიმართეს სასამართლოს, რომელმაც იმავე დღის 17 საათზე რეგლამენტის 39-ე მუხლის გამოყენებით გადანყვიტა, მიუთითებინა საქართველოს მთავრობისათვის, რათა არ განეხორციელებინა 2002 წლის 2 ოქტომბრის დადგენილებაში მითითებული პირების ექსტრადიცია, სასამართლოში საქმის სათანადო განხილვის ინტერესებიდან გამომდინარე. მიუხედავად აღნიშნულისა, საკანში მყოფი ოთხი

პატიმარი რუსეთის ხელისუფლებას გადაეცა 2002 წლის 4 ოქტომბერს, 19¹⁰ საათზე.¹

2002 წლის 4 ოქტომბერს სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელობამ მოინვია სამედიცინო ექსპერტი ციხის თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის კონფლიქტის დროს განმცხადებლისათვის მიყენებული დაზიანებების სიმძიმის ხარისხის დასადგენად. სამედიცინო ექსპერტიზამ დაადგინა, რომ მიყენებული დაზიანებები იყო მსუბუქი ხარისხის და განმცხადებლის ჯანმრთელობას ზიანს არ აყენებდა (2002 წლის 4 ოქტომბრის სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა).

პროკურატურის 2002 წლის 29 ოქტომბრის დადგენილებით, სხვა სამედიცინო ექსპერტმა 2002 წლის 8-11 ნოემბერს ასევე შეამოწმა განმცხადებელი და თავის დასკვნაში (2002 წლის ნოემბრის ექსპერტიზის დასკვნა) დაადასტურა წინა სამედიცინო ექსპერტის დასკვნა.

მომხდარი მოვლენების გათვალისწინებით, განმცხადებელი სხვა არაექსტრადირებულ პატიმრებთან ერთად ბრალდებულად ცნეს 2002 წლის 3-დან 4 ოქტომბრის ღამეს იმ ციხის თანამშრომლების წინააღმდეგ მოწყობილ შეტაკებაში, რომლებიც ცდილობდნენ ოთხი საექსტრადიცო პირის იზოლაციას.²

2004 წლის 14 აპრილს თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ განმცხადებელი დამნაშავედ ცნო წაყენებულ ბრალდებაში და შეუფარდა ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა. საოლქო სასამართლოს 2004 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილებით ზემოაღნიშნული განაჩენი დარჩა უცვლელად. საკასაციო წესით განხილვისას უზენაესმა სასამართლომ დაადასტურა განმცხადებლის დამნაშავედ ცნობა, მაგრამ სასჯელად მიუსაჯა ორი წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სასამართლოს შეფასება პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით

2003 წლის 31 ოქტომბერს სასამართლოსათვის მიმართვისას განმცხადებელი ჩიოდა, რომ თბილისის მე-5 საპყრობილეში მისი პატიმრობის პირობები ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-3 მუხლს. ის მოთავსებული იყო სხვა 35 პატიმართან ერთად საკანში, რომელიც 24 პირისათვის იყო გათვალისწინებული. ამ გადაჭედვის გამო პატიმრები იძულებულნი იყვნენ, დაეძინათ რიგრიგობით, საკანი კი ჯანმრთელობისათვის საშიში – ნესტიანი და უჰაერო იყო.

სასამართლოს არგუმენტები

სასამართლო შეახსენებს, რომ კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, თითოეული თავისუფლებაადკვეთილი პირი უზრუნველყოს ისეთი პირობებით, რაც არ ლახავს მის ადამიანურ ღირსებას და შეფარდებული ღონისძიების აღსრულების მეთოდები მას არ უქვემდებარებს ისეთ ტანჯვას, რომელიც სცილდება სასჯელისათვის დამახასიათებელი, აუცილებელი ტანჯვის დონეს. ამასთან, პატიმრის ჯანმრთელობის გარდა, მისი კეთილდღეობა უნდა იქნეს უზრუნველყოფილი თავისუფლების აღკვეთის პრაქტიკული მოთხოვნების გათვალისწინებით. სახელმწიფო ვალდებულია, ტექნიკური და ფინანსური პრობლემების მიუ-

¹ Chamaiev et autres, précité, §§ 5-12, 453-455 et 479

² Chamaiev et autres, précité, §§ 96 et 97

ხედავად, იმგვარად მოაწყოს მისი სასჯელაღსრულების სისტემა, რომ არ შელახოს პატიმრის ადამიანური ღირსება.

სასამართლო აღნიშნავს: იმისათვის, რომ მოპყრობა მოექცეს მე-3 მუხლის მოქმედების სფეროში, არასათანადო მოპყრობამ უნდა მიაღწიოს „სიმძიმის მინიმუმს“. ამ მინიმუმის შეფასება შედარებითია და დამოკიდებულია საქმის მთელ რიგ გარემოებებსა და ასევე მოპყრობის ხანგრძლივობაზე, ფიზიკურ და სულიერ შედეგებზე, ხოლო სათანადო შემთხვევებში – მსხვერპლის სქესზე, ასაკსა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. მტკიცებულებათა შესაფასებლად სასამართლო იყენებს „ყოველგვარ ეჭვს მიღმა“ მტკიცების კრიტერიუმს.

ნამების საწინააღმდეგო კომიტეტის სხვა დასკვნების მხედველობაში მიღებით, სასამართლოს არ მიაჩნია, რომ საერთო სინესტით, ჩამონგრეული კედლებითა და ჯანმრთელობისათვის საშიში სხვა პირობებით, განმცხადებლის საკანი წარმოადგენდა ერთადერთ გამონაკლისს თბილისის მე-5 საპყრობილეში. მთავრობამ არ წარმოადგინა ფოტოსურათები, ან ტექნიკური მონაცემები საწინააღმდეგოს დასამტკიცებლად. მომხდარი მოვლენების დროს მე-5 საპყრობილეში სურათების გადაღება ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო. ეს დაწესებულება დაინგრა 2008 წლის მარტში ჩამონგრევის საფრთხისა და სავალალო მდგომარეობის გამო.¹

სასამართლო მიიჩნევს, რომ მის ხელთ არსებული მტკიცებულებები შესაძლებლობას იძლევა „ყოველგვარ ეჭვს მიღმა“ მიიჩნიოს, რომ განმცხადებელი იმყოფებოდა პატიმრობის იმ პირობებში, რომელსაც ასაჩივრებს განაცხადით. მაშინ, როდესაც განმცხადებელი იტანჯებოდა გულის დაავადებებით და ასთმური სინდრომით, იგი ერთი წლისა და ოთხი თვის განმავლობაში იმყოფებოდა საკუთარი ლოგინის გარეშე, მუდმივ უჰაერობასა და ჯანმრთელობისათვის საშიშ მდგომარეობაში. სასამართლოს მიაჩნია, რომ პატიმრობის ასეთმა პირობებმა განმცხადებელს მიაყენა იმგვარი ტანჯვა, რაც სცილდება თავისუფლებააღმკვეთი სასჯელისათვის დამახასიათებელი აუცილებელი ტანჯვის დონეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

რაც შეეხება 2002 წლის 3-დან 4 ოქტომბრის ღამეს მომხდარ მოვლენებს, სასამართლო აღნიშნავს, რომ მე-3 მუხლი მიჩნეულ უნდა იქნეს კონვენციის ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან დებულებად, რომელიც წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების უმნიშვნელოვანეს, ფუნდამენტურ ღირებულებას. კონვენციის სხვა დებულებებისაგან განსხვავებით, მე-3 მუხლი არ ითვალისწინებს რაიმე გამონაკლისს, ან გადახვევის უფლებას კონვენციის მე-15 მუხლის თანახმად. სასამართლო იმეორებს, რომ სახელმწიფო პასუხისმგებელია თითოეულ დაპატიმრებულ პირზე, ვინაიდან ისინი იმყოფებიან მოხელეთა ხელში, არიან დაქვემდებარებულ სიტუაციაში და სახელმწიფოს წარმომადგენლები ვალდებული არიან, დაიცვან ისინი.

თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენება, რომელიც არ არის მკაცრად აუცილებელი პატიმართა საქციელიდან გამომდინარე, ამცირებს ადამიანურ ღირსებას და თავისთავად წარმოადგენს მე-3 მუხლის დარღვევას.

ამასთან, მე-3 მუხლი ასევე მოიცავს გამოძიების ჩატარების პოზიტიურ ვალდებულებას. შესაბამისად, ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან, დაიწყონ გამოძიება მაშინვე, როგორც კი წარედგინებათ საჩივარი.

¹ ციხის მდგომარეობის შესახებ იხ. *Chamaiev et autres, précité*, § 150

საქმის გამოძიება უნდა დაიწყოს მაშინაც, როცა საჩივარი ოფიციალური ფორმით არ არის ჩამოყალიბებული, მაგრამ არსებობს საკმარისი მინიშნებები, რომ ადგილი ჰქონდა წამებას, ან სხვა არასათანადო მოპყრობას.

სასამართლო აღნიშნავს, რომ 2002 წლის ოქტომბერში ხელისუფლების კომპეტენტურმა ორგანოებმა ჩაატარეს ორი ექსპერტიზა განმცხადებლის სხეულზე არსებული დაზიანებების სიმძიმის დასადგენად. მიუხედავად იმისა, რომ წმინდა სამედიცინო თვალსაზრისით ეს დაზიანებები მსუბუქია და პირის ჯანმრთელობას ზიანს არ აყენებს, ამკარაა, რომ განმცხადებელი ატარებდა დარტყმის მნიშვნელოვან კვალს თავის ქალასა და ბარდაყზე, ასევე გალურჯებებს ბარდაყზე, რომელთაგანაც ყველაზე დიდი იყო 8x2 სმ-ი. სასამართლოს თვალსაზრისით, ეს დაზიანებები არის საკმარისად მნიშვნელოვანი იმისათვის, რომ მოხვდეს კონვენციის მე-3 მუხლის მოქმედების სფეროში.

ამ პირობებში სახელმწიფო ასკვნის, რომ განმცხადებლის მიმართ გამოყენებული ძალის პროპორციულობის შესახებ გამოძიების ჩაუტარებლობით საქართველოს ხელისუფლების ორგანოებმა არ შეასრულეს კონვენციის მე-3 მუხლით მათზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება. მთავრობის მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ განმცხადებელმა არ შეიტანა ოფიციალური საჩივარი და არ მოითხოვა საქმის აღძვრა, არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო შემადგენლობამ ერთხმად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

მოპასუხე სახელმწიფოს დაეკისრა 10 000 ევროს გადახდა განმცხადებლის სასარგებლოდ.

ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ
CASE of NIKOLAISHVILI v. GEORGIA (№37048/04)

2004 წლის 24 სექტემბერს გიორგი ნიკოლაიშვილმა განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2009 წლის 13 იანვარს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№37048/04) და ერთსულოვნად დაადგინა, რომ დარღვეულია კონვენციის მე-5 მუხლის 1 ნაწილის „c“ ქვეპუნქტი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებლის მიმართ 2003 წლის 20 ივნისს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე მკვლელობის ფაქტზე. 2003 წლის 3 ივლისს მის ძმასა და კიდევ ერთ პირს წაეყენათ ბრალი მკვლელობისათვის, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შექმნის, შენახვისა და ტარებისათვის. მას შემდეგ, რაც ორივე ბრალდებული მიიმალა, 2003 წლის 4 ივლისს ისინი ოფიციალურად გამოცხადდნენ ძებნილებად.

2003 წლის ივლისში განმცხადებლისა და მისი ძმის, მკვლელობაში ბრალდებული პირის ფოტოსურათები გამოიკრა ვაკე-საბურთალოს, ამბროლაურის რაიონული პოლიციის განყოფილებებში და საქართველოსომხეთის საზღვარზე არსებულ ძებნილთა დაფაზე.

2003 წლის 4 ნოემბერს განმცხადებლის ადვოკატებმა სარჩელი შეიტანეს ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში, ფოტოსურათების უკანონოდ გამოყენების აღკვეთის მოთხოვნით. პოლიციამ განაცხადა, რომ ფოტოსურათების გამოყენებაზე ნებართვა მიღებული იყო განმცხადებლის ძმისაგან.

2003 წლის 15 დეკემბერს განმცხადებლის ადვოკატებმა თხოვნით მიმართეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, მოეხსნათ განმცხადებლის ფოტოსურათები პოლიციის განყოფილებებიდან და დაესაჯათ ის პირები, ვინც უკანონოდ გამოაქვეყნა ისინი. შინაგან საქმეთა მინისტრის 2003 წლის 30 დეკემბრის პასუხში მითითებული იყო იგივე, რომ თანხმობა მიიღეს განმცხადებლის ძმისაგან და მხოლოდ მას ჰქონდა სურათების ჩამოხსნის მოთხოვნის უფლება.

2004 წლის 28 იანვარს განმცხადებლის წარმომადგენლებმა მოითხოვეს, ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს სისხლის სამართლის წესით განეხილა ფოტოსურათების უკანონოდ გამოქვეყნება პოლიციის განყოფილებებში. საქმის განხილვისას სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ საჭირო იყო განმცხადებლის გამოძახება სასამართლოში და მისი განმარტების მოსმენა. სასამართლო უწყება არ მისულა განმცხადებლის საცხოვრებელ ადგილზე, მისმა მშობლებმა კი განაცხადეს, რომ მისი ადგილსამყოფელი უცნობი იყო უკანასკნელი რვა თვის განმავლობაში.

2004 წლის 4 თებერვლის განჩინებით ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა საჩივარი ცილისწამების შესახებ და დაადგინა, რომ საქმე არ შეიცავდა ცილისწამების ელემენტებს და დააბრუნა იგი წინასწარი გამოძიების სტადიაზე. განჩინება არ გასაჩივრებულა. 2004

წლის 9 თებერვალს გამოქვეყნდა სტატია ამ საქმის შესახებ და მცირე ხანში ჩამოხსნეს ფოტოები.

2004 წლის აპრილის ბოლოს განმცხადებელმა მიმართა გენერალურ პროკურატურას ხელახალი საჩივრით, რათა გამოეკვლია ფოტოსურათების უკანონოდ გამოქვეყნების შემთხვევა. გენერალურმა პროკურატურამ საქმე რეაგირებისათვის გადასცა თბილისის საქალაქო პროკურატურას. იქიდან საქმე დაბრუნდა ვაკე-საბურთალოს რაიონულ პროკურატურაში, რომელმაც მოახდინა რეაგირება მხოლოდ მეორე საჩივარზე.

2004 წლის 30 მარტს განმცხადებელი მოწმის სახით დაიბარეს ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში, სადაც იგი დააპატიმრეს ეჭვმიტანილის სტატუსით ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნისა და ტარებისათვის. დაპატიმრების საფუძველი იყო სამი მოწმის ჩვენება, 2003 წლის მკვლელობის საქმისას ჩატარებული წინასწარი გამოძიების შედეგები და სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები.

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 2 აპრილის განჩინებით განმცხადებელს შეეფარდა სამთვიანი წინასწარი პატიმრობა.

თბილისის საოლქო სასამართლომ ძალაში დატოვა ზემოთ აღნიშნული განჩინება. 2004 წლის 30 ივნისს გავიდა წინასწარი პატიმრობის ვადა. საქმე არ გადაუციათ სასამართლო განხილვისათვის. არც პროკურატურას წარუდგენია სასამართლოში შუამდგომლობა წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების მოთხოვნით. მხოლოდ 2004 წლის 7 ივლისს გადაიგზავნა საქმე საბრალდებო დასკვნით ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში.

საქართველოს სსსკ-ის 417-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, 2005 წლის 24 იანვრის განაჩენით სასამართლომ განმცხადებელი დამნაშავედ ცნო.

სასამართლოს შეფასება

ა) კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით

სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ უსაფრთხოების დაცვა პირდაპირ უკავშირდება ინდივიდის პიროვნული თავისუფლების დაცვას და იცავს სახელმწიფოს მხრიდან ამ უფლებაში უკანონო ჩარევისაგან.¹ უსაფრთხოების ცნება აიძულებს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს, დაიცვან კანონის უზენაესობის პრინციპი, როცა ინდივიდი თავისუფლების აღკვეთის საფრთხის წინაშე დგას.²

სასამართლო იზიარებს იმ აზრს, რომ „პიროვნების დაცვის უფლება“ სახელმწიფო ორგანოებს ავალდებულებს უფრო მეტს, ვიდრე ეს უბრალოდ პიროვნების ფიზიკური თავისუფლების დაცვაა. კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის თანახმად, შესაბამისი საფუძვლების არარსებობისას, საფრთხის ქვეშ დგება როგორც ინდივიდის ფიზიკური თავისუფლება, ასევე - მისი პირადი უსაფრთხოება. „უსაფრთხოების“ ცნებაზე დაყრდნობით, სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილობრივ კომპეტენტურ ორგანოებს, რომელთაც შეუძლიათ, პირს აღუკვეთონ თავისუფლება, მოეთხოვებათ კე-

¹ *Kemal Guven v. Gurkey (dec.)*, №31847/96, 30/05/2000

² *Kurt v. Turkey, judgment of 25/05/1998*, 1998- III, §§ 122-123

თილსინდისიერად მოექცნენ ამ უკანასკნელს.¹ თუმცა, დაკავების განზრახვა, ან სხვაგვარად ზემოქმედება ინდივიდის ფიზიკურ თავისუფლებაზე ჩვეულებრივ სიტუაციაში არ უნდა დაფაროს ხელისუფლებამ. ინდივიდს ხელი უნდა მიუწვდებოდეს, თუ ამის საჭიროებაა, ხელმისაწვდომ და ლეგიტიმურ საშუალებებზე, რომლის მიზანია, წინააღმდეგობა გაუწიოს ხელისუფლების მოქმედებებს და უზრუნველყოს თავისი თავისუფლება.² როდესაც პირის თავისუფლება საფრთხის წინაშეა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ დაკმაყოფილდეს ზოგადი სამართლებრივი პრინციპები. მნიშვნელოვანია, რომ სისხლის სამართალი, ისევე როგორც ხელისუფლების ოფიციალური გადაწყვეტილებები და ქმედებები, იყოს ხელმისაწვდომი და არაორაზროვანი იმ გაგებით, რომ პირს შეეძლოს - თუ ამის საჭიროებაა - განსაზღვროს იმ შედეგების ხარისხი, რომელსაც გამოიწვევს მოცემული ქმედებები.³ სასამართლოს აზრით, დაპატიმრება, რომელიც საფრთხეს უქმნის სამართლებრივი მდგრადობის პრინციპებს, ძირითადად იწვევს ადამიანის უსაფრთხოების უფლების დარღვევას.⁴

სასამართლო არ მიიჩნევს ლეგიტიმურად სახელმწიფო ორგანოთა მიერ განხორციელებულ ქმედებებს იმ მოტივით, რომ ეს გამომდინარეობდა გამოძიების ინტერესებიდან, რადგან ეს უგულებელყოფს სამართლებრივ პრინციპებს. მოცემულ საქმეში სასამართლოს მიაჩნია, რომ დაპატიმრება გამოყენებულ იქნა მორალური ზემოქმედების ფორმად, რაც აბსოლუტურად შორს დგას კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის მოთხოვნებისგან, რომლის მიზანია, დაიცვას ინდივიდი უკანონობისა და თვითნებობისაგან.

ზემოთ ხსენებული გარემოებების გამო სასამართლოს მიაჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილი.

ბ) კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით

სასამართლო აღნიშნავს, რომ 2004 წლის 2 და 8 აპრილის გადაწყვეტილებები იყო დაუსაბუთებელი და განმცხადებლის პატიმრობის პერიოდიც - შეუსაბამო კონვენციის მიზნებთან. საქმეზე *Michta v. Poland* სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი ინდივიდს ანიჭებს უფლებას, იყოს თავისუფალი წინასწარი გამოძიების პერიოდში, მიუხედავად მოსალოდნელი პატიმრობის ვადის ხანგრძლივობისა. მოცემული მუხლი არ რთავს უკანონო დაპატიმრების ნებას გამოძიების ინტერესებისთვის, თუნდაც ეს ვადა იყოს მცირე.⁵ განმცხადებლის დაპატიმრების თაობაზე პირველი გადაწყვეტილების მიღებიდან (2004 წლის 2 აპრილი) სამი დღის შემდეგ სახელმწიფო ორგანოები ვალდებულნი იყვნენ, გამოექვეყნებინათ ამ დაკავების კანონიერების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი.

¹ *Čonka v. Belgium*, №51564/99, §§ 41 and 42, ECHR 2002-I; *Bozano v. France*, 18/12/1986, Series A; №111, §55

² *Bozano*, §§ 59-60; *Shamayev and Others v. Georgia and Russia*, №36378/02, §380, ECHR 2005-III

³ *Gusinskiy v. Russia*, №70276/01, §§ 62 and 68, ECHR 2004-IV; *Ladent v. Poland*, №11036/03, §§ 53 and 56, ECHR 2008; *Kawka v. Poland*, №25874/94, §49, 0 9/01/2001; *Lukanov v. Bulgaria*, 20/03/1997, Report 1997

⁴ *Öcalan v. Turkey [GC]*, №46221/99, §85, ECHR 2005-IV

⁵ საქმე „*Belchev v. Bulgaria*.”

სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის პატიმრობაში დატოვება მოხდა 2004 წლის 2 და 8 აპრილის, ასევე 2005 წლის 24 იანვრის სასამართლოს გადაწყვეტილებებით. საქართველოს სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება გამოტანილი იყო გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე. ასეთი მსჯელობა არ არის უადგილო, რადგან განმცხადებლის პატიმრობის გონივრული შეფასების მიზანი, კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაჯაბნა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის მიზანმა. სააპელაციო სასამართლოს მითითება განმცხადებლის „არაგულწრფელობაზე“ არ არის დამაჯერებელი. სასამართლო მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები მოკლებულია კანონიერ საფუძვლებს, რადგან დარღვეულია ვადები და არ გააჩნია დასაბუთებული მოტივაცია. ასევე სასამართლო მიუთითებს იმასაც, რომ განმცხადებლის წინასწარი პატიმრობა გაგრძელდა 10 თვემდე, რაც აშკარად არღვევს კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილს. სასამართლო მიიჩნევს, რომ ხელისუფლების ორგანოებმა გამოიყენეს სტანდარტული ფორმულა, რომელიც გაამყარეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და არ იმსჯელებს განსახილველი საქმის თავისებურებებზე. სასამართლომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი დარღვეულად ცნო.

გ) კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით

განმცხადებელი მიუთითებს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებები (2004 წლის 2 და 8 აპრილისა და 2005 წლის 24 იანვრის) მისი ხელმეორედ დაპატიმრების თაობაზე არღვევს კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნებს. იგი აღნიშნავს, რომ სასამართლოს არაფერი მოუმოქმედებია იმისათვის, რათა გადაესინჯა მისი დაკავების კანონიერების საკითხი.

სასამართლოს 2005 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება

კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, კომპეტენტური სასამართლო ვალდებული იყო, შეემონმებინა არა მხოლოდ დაკავების შესაბამისობა პროცედურულ წესებთან, არამედ გამოერკვია ეჭვის საფუძვლიანობა, რომელიც გახდა პირის დაკავების საფუძველი, აგრეთვე შეემონმებინა დაკავების მიზნის კანონიერება. სასამართლომ აღნიშნა, რომ 2005 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება პატიმრობის ვადის გაგრძელების თაობაზე გამოტანილ იქნა სსსკ-ს ნორმების დარღვევით, რადგან ვადის გაგრძელება მოხდა მხოლოდ პროკურატურის მიერ სასამართლოსათვის საბრალდებო დასკვნის გადაგზავნის შემდეგ ისე, რომ არ ჩატარებულა ზეპირი მოსმენა და არც დაკავებულის წერილობითი ახსნა-განმარტებები ყოფილა წარმოდგენილი.

ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის მიხედვით, პროკურატურას ჰქონდა პრივილეგია, მიემართა სასამართლოსთვის საქმის წარმოების ადრეულ ეტაპზე დაპატიმრების თაობაზე შესაბამისი არგუმენტებით, ხოლო მხარეს არ ჰქონდა შესაძლებლობა, დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია წერილობითი ან ზეპირი ფორმით. შესაბამისად, დაირღვა შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი.

სასამართლო მიიჩნევს, რომ დაირღვა გადაწყვეტილების მიღების ფორმაც, რაც მიაწინებს იმაზე, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება არ

არის მიღებული შესაბამისი წესების დაცვით. სასამართლომ დაადგინა, რომ 2005 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება მიღებულია კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის წესების დარღვევით.

დ) კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით

სასამართლო აღნიშნავს, რომ პირადი ცხოვრების უფლების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია პირის უფლება საკუთარ ფოტოზე. აგრეთვე ის, რომ პირის ფოტოს გამოქვეყნება, მისი თანხმობის გარეშე, თუნდაც ის არ ისახავდეს რაიმე კონკრეტულ მიზანს, წარმოადგენს კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევას.

წარმოდგენილ საქმეში განმცხადებლის ფოტოები არ ყოფილა გამოქვეყნებული გაზეთში, ან - გავრცელებული მედიის სხვა საშუალებებით. არ შეიძლება აგრეთვე იმის უარყოფა, რომ ამ ფოტოების პოლიციის განყოფილებაში გამოქვეყნებით სახელმწიფომ მიზანმიმართულად ხელმისაწვდომი გახადა იგი საზოგადოების ფართო მასებისათვის. სასამართლოსთვის საინტერესოა ის ფაქტი, თუ რა გარემოებებში მოხდა ამ ფოტოების გამოქვეყნება. მოცემული ფოტოების ძებნილ პირთათვის განკუთვნილ დაფაზე გამოკვრით, იმაზე მითითებით, რომ ეს პირი იძებნება მკვლელობისათვის, მაშინ, როდესაც მის მიმართ არც კი ყოფილა აღძრული სისხლის სამართლის საქმე, შეილახა განმცხადებლის რეპუტაცია საზოგადოების თვალში.

მოცემული საქმე განსხვავდება სასამართლოს მიერ ადრე განხილულ საქმეთაგან, სადაც ძირითადად განიხილებოდა საჯარო პირთა ფოტოების გამოქვეყნების საკითხი. განმცხადებელი ბრალდებულიც კი არ ყოფილა მკვლელობის საქმეზე. მისი სტატუსი - ჩვეულებრივი მოქალაქე - გამორიცხავდა მასზე თმენის ვალდებულების გავრცელებას და საკუთარი პირადი ცხოვრების შეზღუდვას რაიმე ლეგიტიმური მიზნისათვის.

განმცხადებლის პირად ცხოვრებაში ჩარევის დასადგენად უნდა შემოწმდეს სახელმწიფო ორგანოს ქმედების შესაბამისობა კონვენციის მე-8 მუხლის შემდეგ მოთხოვნებთან: ა) შესაბამისობა სამართლიანობის პრინციპთან; ბ) შესაბამისობა ლეგიტიმურ მიზანთან; გ) იყო თუ არა საჭირო მსგავსი ქმედების განხორციელება დემოკრატიული საზოგადოების მართებული განვითარებისათვის.

როგორც მთავრობა აცხადებს, განმცხადებლის ფოტოების გამოქვეყნება მოხდა გამოძიების ინტერესებისათვის, რათა უზრუნველყოფილიყო განმცხადებლის გამოცხადება მოწმის სახით მკვლელობის საქმეზე. საქართველოს სსსკ-ს 393-ე მუხლის თანახმად, ძებნილად შეიძლება მხოლოდ იმ პირის გამოცხადება, რომელიც ეჭვმიტანილია, ან - ბრალდებული და ემალება გამოძიებას, ან სასამართლოს. მოცემულ საქმეში განმცხადებელი არც ეჭვმიტანილი ყოფილა, არც ბრალდებული და, შესაბამისად, არ უნდა მომხდარიყო მისი „ძებნილად“ გამოცხადება. საქმის მასალებში არ აღმოჩნდა სასამართლოს გადაწყვეტილება მოწმის იძულებით მოყვანასთან დაკავშირებით. მოპასუხე მთავრობა არ მიუთითებდა არც ერთ ეროვნულ კანონზე, რომელიც შეიძლება, ყოფილიყო განმცხადებლის ფოტოების გამოქვეყნების სამართლებრივი საფუძველი. ასეთ გარემოებაში არ შეიძლება ითქვას, რომ დაცულ სფეროში ჩარევა განხორციელდა კანონის თანახმად, როგორც ამას მოითხოვს კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი.

სასამართლო აღნიშნავს, რომ თუკი აშკარაა, რომ ჩარევა არ მომხდარა კანონიერად, სახეზეა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა და არ არის

სავალდებულო, შემონმდეს ლეგიტიმური მიზნისა და საზოგადოებრივი საჭიროების კომპონენტები. მიუხედავად იმისა, რომ ადგილი ჰქონდა პირადი ცხოვრების უფლებაში უკანონო ჩარევას, სახელმწიფოს არ მოუხდენია არანაირი რეაგირება შეცდომების გამოსასწორებლად. ზემოთ ხსენებული მოსაზრებების გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

სასამართლო შემადგენლობამ ერთხმად დაადგინა, რომ:

- ა) დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილი;
- ბ) დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი განმცხადებლის ხელმეორედ დაპატიმრებისას;
- გ) დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილი 2005 წლის 24 იანვრის სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისას, პროცედურული წესების დარღვევის გამო;
- დ) დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

მოპასუხე სახელმწიფოს დაეკისრა 8 000 ევროს გადახდა განმცხადებლის სასარგებლოდ.

რამიშვილი და კოხრეიძე საქართველოს წინააღმდეგ

CASE of RAMISHVILI And KOKHREIDZE v. GEORGIA (№1704/06)

2006 წლის 9 იანვარს შალვა რამიშვილმა და ლევან კოხრეიძემ განაცხადით მიმართეს სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2009 წლის 27 იანვარს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მეორე პალატამ განიხილა მათი განაცხადი (№1704/06) და დაადგინა, რომ დარღვეულია კონვენციის მე-3 მუხლი.

საქმის ძირითადი გარემოებები

აპლიკანტები – შალვა რამიშვილი და დავით კოხრეიძე არიან საქართველოს მოქალაქენი და ცხოვრობენ თბილისში. ისინი იყვნენ თანადამფუძნებლები და მენილეები კერძო სამაუწყებლო კომპანიისა („მედია კომპანია“), რომელიც ეკუთვნოდა ტელე-სამაუწყებლო არხ „TV 202-ს.“ 2005 წლის აპრილში მედია კომპანიამ ეთერში გაუშვა ნეგატიური შინაარსის დოკუმენტური ფილმი, რომელიც ასახავდა საქართველოს პარლამენტის წევრისა და ამავე დროს პრეზიდენტის პოლიტიკური პარტიის წევრის საქმიანობას.

ხსენებული პარლამენტარი გამუდმებით ურეკავდა ბ-ნ რამიშვილს და სთხოვდა, რომ დაებლოკა ფილმის ეთერში გაშვება. საბოლოოდ ისინი შეთანხმდნენ დაახლოებით 100,000 ამერიკულ დოლარზე (80,000 ევროს ეკვივალენტი), რის სანაცვლოდაც ბ-ნი რამიშვილი არ გაუშვებდა აღნიშნულ ფილმს ეთერში. შეხვედრის შემდეგ პარლამენტის წევრმა საჩივრით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ბ-ნი რამიშვილი მას აშანტაჟებდა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღძრა სისხლის სამართლის საქმე გამოძალვის ფაქტზე.

2005 წლის 27 აგვისტოს, მხარეთა შეხვედრისას, მოხდა თანხის გადაცემა, რასაც მოჰყვა ორივე აპლიკანტის დაპატიმრება და გაჩხრეკა. პარლამენტის წევრმა, გენერალური პროკურატურის ნებართვით, საუბარი და თანხის (30,000 დოლარის, დაახლოებით 23,000 ევროს) გადაცემა ფარულად ვიდეო-ფირზე ჩაიწერა. თანხა გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებმა დანიშნეს სპეციალური ქიმიური საშუალებებითა და მარკერებით, ხოლო მანქანას, საიდანაც თანხა ამოიღეს, დაედო ყადაღა. ორივე განმცხადებელი მიეცა პასუხისგებაში გამოძალვაში თანამონაწილეობისათვის.

2005 წლის 29 აგვისტოს აპლიკანტები სასამართლო ბრძანების საფუძველზე 3 თვით დააკავეს, მაგრამ უფლებამოსილი სასამართლოს მიერ შესაბამისი ბრძანების გარეშე ისინი კვლავ დიდი ხნით დარჩნენ პატიმრობაში.

2006 წლის 11 იანვარს რამიშვილი ჩვეულებრივი საკნიდან გადაიყვანეს კარცერში. ეს იყო დისციპლინური სასჯელის ღონისძიება მობილური ტელეფონის გამოყენებისათვის. კარცერი, ფართობით 5,65 მ², სადაც ის იმყოფებოდა სხვა პირთან ერთად, გათვალისწინებული იყო ერთი პირისათვის. რამიშვილმა თავის საჩივარში ადმინისტრაციას განუცხადა კარცერში არსებულ პირობებზე. მან განმარტა, რომ საკანი საკვს იყო მწერებითა და მღრღნელებით, კარცერს არ ჰქონდა ფანჯარა და ვენტილაცია, რის გამოც იგი იყო ნესტიანი. ონკანიდან 24 საათის განმავლობაში უწყვეტად მოედინებოდა წყალი, რაც ინვევდა ხმაურს. კარცერის კუთხეში მოთავსებული ვინრო მილსადენი,

რომელსაც საპირფარეოს დანიშნულება ჰქონდა, არ იყო გამოყოფილი და იდგა საშინელი სუნი. კარცერში იყო პარაზიტებით ინფიცირებული ერთადერთი სანოლი, რომელიც თავისი ზომებით არ იყო გათვალისწინებული ორი ადამიანისათვის. 2006 წლის 3 ივლისს გენერალურმა პროკურატურამ აცნობა აპლიკანტს, რომ 2006 წლის 18 მაისს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე მის საჩივართან დაკავშირებით, მაგრამ, დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, საქმე დაიხურა 2006 წლის 26 ივნისს.

2006 წლის 19 იანვარს ბ-ნი კობრეიძე მოათავსეს 12 -სანოლიან საკანში, სადაც იმყოფებოდა სხვადასხვა ბრალდებით დაკავებული 29-დან 35-მდე პატიმარი. ამდენად, პატიმრები იძულებულნი იყვნენ, დაენესებინათ მორიგეობა, რათა მისცემოდათ ძილის საშუალება.

2005 წლის 6 სექტემბერს საქმეში გამოყენებულ იქნა ვიდეორჩანანერი, როგორც მტკიცებულება, აპლიკანტების წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე. თუმცა, ზემოაღნიშნული ვიდეორჩანანერის ნახვის შესაძლებლობა მათ პირველად მიეცათ მხოლოდ 2005 წლის 14 და 16 ნოემბერს.

აპლიკანტებმა გაასაჩივრეს თავიანთი წინასწარი პატიმრობა, რომლის განხილვაც თბილისის საოლქო სასამართლოში გაიმართა 2005 წლის 2 სექტემბერს. სასამართლო სხდომის დარბაზი ხალხით იყო გადატვირთული. აპლიკანტები მოათავსეს დარბაზის ბოლოში არსებულ რკინის გისოსებიან გალიაში. დარბაზში ხმაურის ინტენსივობა ართულებდა მხარეთა პოზიციების აღქმას. ადვოკატებს სიტყვით გამოსვლისას თვალს სჭრიდა ჟურნალისტების მიერ გამოყენებული ფოტო და ვიდეოკამერების განათება და ჰალოგენური გაშუქება. ადვოკატებს სიტყვას ხშირად აწყვეტინებდნენ მოსამართლე და დამსწრე პირები. გამოსვლებს ასევე ხელს უშლიდა დარბაზის კარის გაუთავებელი გაღება-დახურვა, მახლობლად არსებული მშენებლობიდან შემოსული ხმაური, დროდადრო – მობილური ტელეფონების ზარი და დარბაზში დამსწრეთა საუბრები. ჟურნალისტები პერიოდულად ერთვებოდნენ დაცვის, ბრალდების მხარეებსა და მოსამართლეს შორის გამართულ საუბრებში. დამსწრეებს გამუდმებით მოუწოდებდნენ, რომ დაეხიათ უკან, ან დამსხდარიყვნენ იატაკზე. სასამართლო სხდომის დარბაზში იყო მაღალი ტემპერატურა, რის გამოც ხალხი იოფლებოდა. შეიმჩნეოდა გადაცმული აგენტებისა და სასამართლოს ზოგიერთი თანამშრომლის სისტემატური შესვლა-გამოსვლა მოსამართლის სათათბირო ოთახში. მოსამართლის მიერ დასმული შეკითხვებისა და საუბრის მოსასმენად აპლიკანტები იძულებულნი იყვნენ, ამძვრალიყვნენ და დაკიდებულიყვნენ გისოსებზე და ეყვირათ. ამას გარდა, პროკურორი და მოსამართლე იმდენად ახლოს ისხდნენ, რომ შესაძლებლობა ჰქონდათ, უპრობლემოდ ესაუბრათ. იმ შემთხვევაში, როდესაც პროკურორს უჭირდა აპლიკანტის კითხვებზე პასუხის გაცემა, მოსამართლე ან თვითონ პასუხობდა, ან ახდენდა კითხვების პერიფრაზს მითითებითი ტონით.

2005 წლის 6 დეკემბერს აპლიკანტებმა შეიტანეს საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოში დაუყოვნებლივი განთავისუფლების მოთხოვნით, რადგან 2005 წლის 27 ნოემბრიდან ვერც ერთი სასამართლო გადაწყვეტილება ვერ ასაბუთებდა მათი დაკავების კანონიერებას. აღნიშნულს არ მოჰყოლია დაუყოვნებელი რეაგირება.

აპლიკანტები მიუთითებენ, რომ წინასწარი პატიმრობის შეფარდებისას სასამართლოში პროცესი მიმდინარეობდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით. ბატონმა რამიშვილმა შემდგომში აღნიშნა, რომ მას შეეზღუდა პირობები კარცერში მოთავსების გამო და ასევე, ბატონი კობრეიძე ჩიოდა,

რომ იგი იმყოფებოდა ისეთ საკანში, სადაც პატიმართა რაოდენობა ბევრად აღემატებოდა კანონით გათვალისწინებულს. კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის „c“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, აპლიკანტები ჩივიან, რომ მათი წინასწარი დაკავების პერიოდი – 2005 წლის 27 ნოემბრიდან 2006 წლის 13 იანვრამდე – იყო უკანონო და ეწინააღმდეგებოდა მართლმსაჯულების სამართლიანობისა და ეფექტური განხილვის მოთხოვნებს (მათი აზრით, სასამართლო განხილვები გაჭიანურებული იყო).

სასამართლოს შეფასება მე-3 მუხლთან დაკავშირებით

ბატონი რამიშვილის მიმართ კარცერში დაწესებული შეზღუდვების შესახებ

სასამართლომ აღნიშნა, რომ ბატონ რამიშვილს უნდა ესარგებლა 120 სმ სიგანის მქონე სანოლით უცნობ ადამიანთან ერთად, უფრო მეტიც, საკანში იყო ღია საპირფარეშო, რომლის გამოყენების დროსაც სხვა პატიმარს შეეძლო, ეყურებინა მისთვის. კარცერში მისი პატიმრობის პერიოდში საერთოდ არ იყო დაცული განცალკევების ელემენტარული პირობები. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ იქ არსებული სანიტარული პირობები ყოვლად მიუღებელი იყო და დაადგინა, რომ აპლიკანტი იმყოფებოდა არაადამიანურ და დამამცირებელ პირობებში, რითიც დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

ბატონი კობრეიძის პატიმრობის პირობების შესახებ

სასამართლომ დაადგინა, რომ ბატონი კობრეიძე იმყოფებოდა პატიმრებით გადატვირთულ საკანში, რაც მთავრობის მხარეს არ გაუპროტესტებია. შესაბამისად, დარღვეულად მიიჩნია კონვენციის მე-3 მუხლი.

აპლიკანტთა მიმართ დამოკიდებულება სასამართლოში

სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად აპლიკანტების სტატუსისა (ისინი იყვნენ საზოგადოებისათვის ცნობილი პირები, არ იყვნენ ნასამართლევენი და სისხლის სამართლის საქმის განხილვისას იქცეოდნენ ჯეროვნად), მთავრობამ ვერ შეძლო, წარმოედგინა რაიმე არგუმენტი იმის თაობაზე, თუ რატომ იმყოფებოდნენ ისინი 2005 წლის 2 სექტემბერს სასამართლოს დარბაზში რკინის გისოსებიან საკანში ან რატომ იქნა გამოყენებული „განსაკუთრებული ზომები“ სასამართლოს შენობაში. საქმის მასალებში არ მოიპოვებოდა არანაირი რისკის საფუძველი, რომ აპლიკანტებს (მათ კარგად იცნობდა საზოგადოება და იყვნენ სრულიად არასაშიშნი) შეეძლოთ მიმალვა, ან მიმართავდნენ რაიმე ფორმის ძალადობას იზოლაციიდან სასამართლომდე გადაყვანისას. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ აპლიკანტებისათვის ასეთი მკაცრი და დამამცირებელი ზომების დაწესება ყოვლად დაუსაბუთებლად იქნა გამოყენებული, რითიც დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის „c“ ქვეპუნქტი

სასამართლომ აღნიშნა, რომ 2005 წლის 27 ნოემბრიდან 2006 წლის 13 იანვრამდე, რაც შეადგენს ერთ თვესა და 17 დღეს, არ არსებობდა სასამართლოს მიერ მიღებული არანაირი გადაწყვეტილება, რომელიც ახსნიდა პატიმართა დაკავების კანონიერებას. აღნიშნულით დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის „c“ ქვეპუნქტი.

კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილი, რომელიც შეეხება აპლიკანტის წინასწარი პატიმრობის საკითხზე პირველადი განხილვების 2005 წლის 27 აგვისტოს ვიდეოჩანაწერის მიუწვდომლობას

ამასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ 2005 წლის 27 აგვისტოს ვიდეოჩანაწერის გარდა, სისხლის სამართლის საქმე შეიცავს უამრავ სხვა, შესაბამის მტკიცებულებებს. ამდენად, სასამართლომ დაასკვნა, რომ მიუხედავად ვიდეომასალების ხელმიუწვდომლობისა, ადგილობრივ სასამართლოებს შეეძლოთ, განეხილათ აპლიკანტთა წინასწარი დაკავების კანონიერება. შესაბამისად, არ დარღვეულა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილი აღნიშნულ მოთხოვნასთან დაკავშირებით.

2006 წლის 2 სექტემბრის სასამართლო განხილვასთან დაკავშირებით

პირველ რიგში, სასამართლო გულისტკივილით აღნიშნავს იმას, თუ რა ფორმით განიხილა საქმე სასამართლომ 2005 წლის 2 სექტემბერს. სასამართლომ აღნიშნა, რომ ზეპირი განხილვა ასეთ ქაოსურ პირობებში ვერ უზრუნველყოფდა საქმის ჯეროვნად შესწავლას. სასამართლოს არ შეუძლია აღკვეთოს, მაგრამ მას შეუძლია შენიშნოს, რომ მოსამართლე ცალსახად ასრულებდა პროკურორის მითითებებს სასამართლო პროცესის დროს. რაც შეეხება „დამოუკიდებლობის“ აუცილებლობას, ეს ცნება უდავოდ დაირღვა იმით, რომ სასამართლო სხდომებს ესწრებოდნენ „სპეცდანიშნულების შენაერთების“ წარმომადგენლები და სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული აგენტები. სასამართლომ დაასკვნა, რომ 2005 წლის 2 სექტემბერს გამართული სასამართლო განხილვა მოკლებული იყო საქმის სამართლიანი განხილვის ფუნდამენტურ პრინციპებს, რითიც დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილი.

2006 წლის დეკემბრის პატიმრობასთან დაკავშირებული საჩივრის განხილვის გაჭიანურების თაობაზე

სასამართლომ აღნიშნა, რომ შესაბამის ადგილობრივ სასამართლოს პასუხი უნდა გაეცა აპლიკანტის მიერ თავისი პატიმრობის გასაჩივრებიდან 38 დღის განმავლობაში, ვინაიდან მთავრობის წარმომადგენელმა ვერ ახსნა გადადების მოტივი და ვერ წარმოადგინა აპლიკანტების გამამტყუნებელი რაიმე არგუმენტი, სასამართლომ დაასკვნა, რომ 2006 წლის 13 იანვრის სასამართლო განხილვა არ შეიძლება ჩაითვალოს დროულ პასუხად 2005 წლის 6 დეკემბერს შეტანილ საჩივარზე. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილი.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა:

- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი (წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა) აპლიკანტის მიმართ არაჰუმანური და დამამცირებელი მოპყრობის გამო თბილისის №5 საპყრობილეში, სადაც აპლიკანტი თავდაპირველად მოათავსეს;

- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი (წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა) მეორე აპლიკანტის მიმართ, რადგან იგი მოათავსეს თბილისის №5 საპყრობილის საკანში, სადაც პატიმართა რაოდენობა დაშვებულს ბევრად აღემატებოდა;

- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი (წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა), რადგან სასამართლო მოსმენის დროს აპლიკანტი მოათავსეს რკინის გისოსებიან გალიაში;

- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის 1 ნაწილის „c“ ქვეპუნქტი (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება), რადგან 2005 წლის 27 ნოემბრიდან 2006 წლის 13 იანვრამდე პერიოდში არ არსებობდა უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მიღებული გადანყვებილება, რომელიც დაასაბუთებდა აპლიკანტის დაკავების კანონიერებას;

- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილი (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება), რადგან 2005 წლის 2 სექტემბრის სასამართლო განხილვა წარიმართა დარღვევებით. ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ აპლიკანტის 2005 წლის 6 დეკემბრის საჩივარს დროულად არ გაეცა პასუხი.

სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ:

- არ დარღვეულა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილი (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) იმასთან მიმართებით, რომ აპლიკანტს დროულად არ მიუწვდებოდა ხელი ვიდუოჩანანერებზე, რომლებიც გამოყენებულ იქნა, როგორც მტკიცებულება მის წინააღმდეგ;

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ თითოეულ აპლიკანტს მიაკუთვნა 6000 ევრო მიყენებული არამატერიალური ზიანისათვის და ერთობლივად – 14 694 ევრო, განუული ხარჯებისათვის.

ხარიტონაშვილი საქართველოს წინააღმდეგ
CASE of KHARITONASHVILI v. Georgia (№41957/04)

2004 წლის 10 ნოემბერს ლალი ხარიტონაშვილმა განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2009 წლის 10 თებერვალს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მეორე პალატამ განიხილა განაცხადი (№41957/04) და ერთსულოვნად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1 ნაწილი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლომ 1999 წლის 29 ნოემბრის განჩინებით განმცხადებლის დედა ცნო მისი ოჯახის კუთვნილი სახლის ნაწილის მესაკუთრედ. ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც დაიდო 2000 წლის 26 იანვარს, განმცხადებლის დედამ თავისი ქონება აჩუქა თავის სამ შვილს, მათ შორის – განმცხადებელს. ხელშეკრულება დაამონმა ნოტარიუსმა და დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში.

განმცხადებლის თქმით, მისი კუთვნილი წილი სახლში დაიკავა ოჯახის ერთ-ერთმა მემკვიდრემ, ბატონმა ე-მ. აღნიშნული ქონება არენდით გადაეცა ოჯახს 1923 წლიდან. განმცხადებლისა და ბატონი ე-ს წინაპრებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა ეფუძნებოდა არაოფიციალურ ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც ისინი არენდით ფლობდნენ საკუთრებას სახლის მფლობელის ნებართვით, მაგრამ ვადები არ იყო განსაზღვრული.

გამოსახლების სამართალწარმოება

2000 წლის 17 თებერვალს განმცხადებელმა აღძრა საქმე ბატონი ე-ს, მისი მეუღლისა და დედის წინააღმდეგ გამოსახლების მოთხოვნით ქირის გადაუხდელობის გამო. სარჩელი იმავე დღეს დარეგისტრირდა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში. 2000 წლის 29 თებერვლიდან 20 ივლისამდე განმცხადებლის მოთხოვნით ოთხჯერ გადაიდო საქმის განხილვა. რაიონულმა სასამართლომ მოითხოვა, შესაბამისი სახელმწიფო სააგენტოებისგან მიეღოთ ინფორმაცია მესაკუთრეთა მიერ ქონების არენდით ფლობის თაობაზე.

რაიონულმა სასამართლომ 2000 წლის 25 ივლისსა და 21 სექტემბერს მოსმენები გადადო მოპასუხის გამოუცხადებლობისა და სადავო სახლზე ტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნის გამო. ამასთან, არ იყო დადგენილი, თუ რა ვადაში უნდა გაეცა ექსპერტს პასუხი.

2000 წლის 25 ოქტომბერს ექსპერტმა აცნობა რაიონულ სასამართლოს, რომ ვინაიდან არ არსებობდა მიწის შესაბამისი სარეგისტრაციო ჩანაწერები, შეუძლებელი იყო მთავარი საკითხის გამორკვევა: დაკავებული ჰქონდა თუ არა რესპონდენტს განმცხადებლის ქონება. 2001 წლის 5 თებერვლიდან 2 ივლისამდე განმცხადებლის მოთხოვნით მეხუთედ გადაიდო საქმის მოსმენა

მისი ავადმყოფობის გამო. ის დაბრუნდა საქართველოში 2001 წლის აგვისტოში, რის შესახებაც რაიონულ სასამართლოს ეცნობა სათანადო ვადაში.

2001 წლის 6 ნოემბერს განმცხადებელმა სასამართლოში შეიტანა დაზუსტებული სარჩელი დამატებით დოკუმენტებთან ერთად. დაგეგმილი მოსმენები 2001 წლის 26 დეკემბერს და 2002 წლის თებერვალში გადაიდო მოსამართლეების ავადმყოფობისა და მოპასუხეთა ადვოკატის არყოფნის გამო.

2002 წლის 10 აპრილიდან 27 მაისამდე სამჯერ გადაიდო საქმის მოსმენა მოპასუხეთა ადვოკატის თხოვნით, იმ მოტივით, რომ მას დრო სჭირდებოდა დამატებითი მასალების გასაცნობად და რაიონულ სასამართლოს თხოვნით მიმართა, სხვადასხვა სახელმწიფო სააგენტოდან დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვნაზე.

2003 წლის 1 სექტემბერს რაიონულმა სასამართლომ შეასრულა აპლიკანტის მოთხოვნა და გასცა ბრძანება, კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს მიეღოთ დამატებითი ინფორმაცია მოპასუხეთა წინაპრებზე.

2003 წლის 2 ოქტომბრიდან 2004 წლის 23 იანვრამდე ხუთჯერ გადაიდო საქმის განხილვა ორივე მხარის მოთხოვნით. ხან მოპასუხეებს სჭირდებოდათ დრო ახალი ადვოკატის დასაქირავებლად და ბრალდებაზე პასუხის გასაცემად და - პირიქით. მეორე მიზეზი ვადის გაგრძელებისა იყო ის, რომ ბატონ ე-ს გარდაეცვალა დეიდა.

ამასობაში განხორციელდა საქართველოს სასამართლო სისტემის რეორგანიზაცია - დაარსდა თბილისის საქალაქო სასამართლო.

2005 წლის 20 და 26 ივლისს განმცხადებელმა შეიტანა მოთხოვნა გამოსახლების პროცედურის განახლებაზე, რომლის საფუძველი იყო 2005 წლის 25 ივნისის ცვლილებები მობინადრეთა ჩანერის აქტსა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსში. ვინაიდან განმცხადებელმა ვერ მიიღო პასუხი თავის მოთხოვნაზე, მან განმეორებით დააყენა თავისი მოთხოვნა, რაც საქალაქო სასამართლომ განსახილველად მიიღო კანონით დადგენილი წესის საფუძველზე 2005 წლის 20 ივლისს.

2005 წლის ივლისიდან სექტემბრამდე განმცხადებელმა მიმართა საქალაქო სასამართლოს საქმის მასალების ასლების გადაღების თხოვნით. მიუხედავად ყველაფრისა, აღმოჩნდა, რომ მასალები არქივში არ მოიძებნა.

2006 წლის 27 მარტს განმცხადებელმა თხოვნით მიმართა საქალაქო სასამართლოს, გაეუქმებინა რაიონული სასამართლოს 2002 წლის 12 მარტის დადგენილება. 2006 წლის 5 მაისისთვის დაგეგმილი საქმის მოსმენა გადაიდო მოპასუხეთა ადვოკატის მოთხოვნით. ეს უკანასკნელი ჩიოდა, რომ მას არ გადაეცა 2006 წლის 27 მარტს განმცხადებელთა მიერ შეტანილი საჩივრის ასლი. აღნიშნული შეიცავდა საქალაქო სასამართლოში შეტანილ მტკიცებულებებში მოპასუხეთა წინაპრებსა და მობინადრეთა უფლებებზე არსებულ ინფორმაციას. აპლიკანტმა ეს გააპროტესტა და შენიშვნების სახით დააზუსტა, რომ საქმე უკვე შეიცავდა ამგვარ ინფორმაციას.

2007 წლის 1 აგვისტოს საქალაქო სასამართლოში რესპონდენტმა შეიტანა მოთხოვნა, რომ აუცილებელი იყო სადავო სახლის ნაწილზე ტექნიკური ექსპერტიზის დაწესება. სასამართლომ დანიშნა ექსპერტი იუსტიციის სამინისტროდან. ექსპერტიზის ჩატარების დროს გამოსახლების პროცედურა შეჩერდა.

საქმის მასალებიდან გამომდინარე, საქმის განხილვა კვლავაც მიმდინარეობს და დღეის მონაცემებით განხილვა გაგრძელდა რვა წელი და თერთმეტი თვე.

სასამართლოს შეფასება

სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი საქმის ხანგრძლივად განხილვის გონივრული ვადა დამოკიდებულია საქმის გარემოებებზე, შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით, ესენია: საქმის სირთულე, განმცხადებლისა და ხელისუფლების შესაბამისი წარმომადგენლების მოქმედება და რა იყო მთავარი საშიშროება აპლიკანტისათვის საქმის განხილვისას.¹

იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებლის დავა მფლობელობასთან დაკავშირებით საფუძველს იღებდა საბჭოთა დროიდან და წარმოადგენდა იჯარის გარკვეულ ფორმას, რომელიც წესრიგდებოდა საბჭოთა საბინაო სამართლით („ატსტუპნოი“), გამოსახლების პროცედურა, სასამართლოს შეფასებით, წარმოადგენდა რთულ საკითხს. ეს განხილვები აპლიკანტისათვის იყო ცალსახად მნიშვნელოვანი, რადგან ანდერძით გადაცემული საკუთრებით სარგებლობის მისი უფლება დადგა საფრთხის ქვეშ.

სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის გადადება ნაკლებად ხდებოდა განმცხადებლის მოთხოვნით და რომ ის იყო უფრო სიტყვაუხვი თავის გამოსვლებში, რაც გარკვეულწილად გახდა საქმის განხილვის ტემპის შენელების ფაქტორი. ამიტომ სასამართლოს არ შეუძლია დაასკვნას, რომ აპლიკანტის ასეთი ქმედება იყო საქმის გაჭიანურების მთავარი მიზეზი. უფრო მეტიც: აპლიკანტთა მოთხოვნების უმეტესობა საქმის გადადების შესახებ, განსაკუთრებით საქმის წინასწარი მოსმენების სტადიაზე, სავსებით ნორმალურია და ასეთი პროცედურული უფლებებით სარგებლობა მიზნად ისახავს დამატებითი საჭირო მტკიცებულებების შეგროვებას, რის გარეშეც ვერ მოხერხდება საქმის არსებითი განხილვა.

რაც შეეხება ხელისუფლების წარმომადგენლების მოქმედებას, სასამართლო იზიარებს მთავრობის არგუმენტს, რომ ყველა მოსმენა დაგეგმილი იყო მისაღები ინტერვალით. შემდგომში სასამართლო აღნიშნავს, რომ რაიონული სასამართლოს 2004 წლის 4 მარტის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც დროებით შეწყდა გამოსახლების პროცედურა, იყო დასაბუთებული. მოპასუხე სახელმწიფოს ჰქონდა უფლება, წარმოედგინა დამატებითი დირექტივები, გამოსახლების პროცედურის დროებით შეჩერების სისტემის ჩათვლით, რათა გამოენახა საბინაო სექტორში არსებული ამ პრობლემის მოწესრიგების გზები. პრინციპში, ასე ხანგრძლივად საქმის შეჩერება უაღესად აუცილებელია, რათა მიღწეულიყო დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილება საზოგადოებრივი პრობლემების სამართლიანად დადანიყვეტისას განსაკუთრებულ შემთხვევებში.²

მიუხედავად ამისა, სახელმწიფომ ვერ წარმოადგინა დასაბუთებული ახსნა, თუ რატომ იყო საქმე განუხილველად შვიდი თვის განმავლობაში (იგულისხმება 2005 წლის 20 ივლისიდან 2006 წლის 13 მარტამდე პერიოდი). რაც შეეხება საქმეთა რაოდენობის ზრდასა და სასამართლო სისტემის რეორგანიზებაზე მთავრობის მითითებას, სასამართლო კვლავ იმეორებს: პირველი – მუდმივად დაგროვილი საქმეების რაოდენობა არ წარმოადგენს მისაღებ არგუმენტს საქმის განხილვის ხანგრძლივად გადადებისათვის და მეორე – სასამართლო შეახსენებს ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებას იმის თაობაზე, რომ ის ვალდებულია, იმგვარად მოაწყოს ქვეყნის სასამართლო სისტემა, რომ თითოეულის უფლება იყოს

¹ *Mikulić v. Croatia*, №53176/99, §38, ECHR 2002-I

² *Immobiliare Saffi v. Italy [GC]*, №22774/93, §§54, 69, 70 and 73, ECHR 1999-V; *Kutić v. Croatia*, №48778/99, §§ 27-31, ECHR 2002-II

გარანტირებული და მათი სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები გადაწყდეს „გონივრულ ვადაში.“¹

სასამართლო აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი საქმის მთავარი პრობლემაა შიდა სასამართლოების მიერ არაეფექტური ნაბიჯების გადადგმა. საჭირო იყო ქმედითი ზომების მიღება და საქმის განხილვის ორგანიზებულად წარმართვა. მაგალითისათვის: ადგილობრივ სასამართლოებს დროულად რომ მოეგვარებინათ მხარეთა მიერ დამატებითი მასალების ერთმანეთისათვის გადაცემა, აღარ გახდებოდა საჭირო საქმის რამდენჯერმე გადადება მხოლოდ ამ მიზეზით. ასევე, არანაირად არ იქნა გათვალისწინებული ის შესაძლებლობა, რომ აუცილებელი იყო, დაენესებინათ შეზღუდვები მხარეთა მიერ წამოყენებულ გაუთავებელ მოთხოვნებზე. ადგილობრივ სასამართლოებს ასევე შეეძლოთ, დაენესებინათ განსაზღვრული დრო ხელისუფლების წარმომადგენლებისა და ექსპერტებისათვის მოხსენებისა და დასკვნების წარმოსადგენად.²

წარმოდგენილ საქმეზე ყველა გარემოების გათვალისწინებითა და განსაკუთრებით იმ ფაქტის მხედველობაში მიღებით, რომ 8 წლისა და 11 თვის განმავლობაში არ მოხდა არსებითი განხილვა პირველ ინსტანციაში,³ სასამართლომ გამოიტანა დასკვნა, რომ განმცხადებლის საქმე არ იქნა განხილული „გონივრულ ვადაში“.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

კონვენციის პირველი ოქმის I მუხლის სავარაუდო დარღვევა

აპლიკანტი შემდგომში ჩიოდა, რომ საქმის განხილვის გაჭიანურების გამო ის ვერ ახერხებდა თავისი საკუთრებით სარგებლობას, რის გამოც მიაჩნია, რომ მის მიმართ ასევე დაირღვა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი.

სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს მოთხოვნა დაკავშირებულია ზემოხსენებულ მოთხოვნასთან და, შესაბამისად, უნდა გამოცხადდეს დასაშვებად.

მიუხედავად ამისა, კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილთან დაკავშირებით მიღებული დასკვნიდან გამომდინარე, სასამართლო აღნიშნავს, რომ არ არის აუცილებელი განიხილოს საკითხი – დაირღვა თუ არა კონვენციის პირველი ოქმის I მუხლი.⁴

ზემოაღნიშნულის საფუძველზე სასამართლო შემადგენლობამ ერთსულოვნად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი. მოპასუხე მხარეს დაეკისრა 3200 ევროს გადახდა განმცხადებლის სასარგებლოდ.

¹ *Probstmeier v. Germany*, 01/07/1997, §64, *Reports of Judgments and Decisions 1997-IV*; *Pavlyulynets v. Ukraine*, №70767/01, § 51, 06/09/2005; *G.H. v. Austria*, №31266/96, §20, 03/10/2000

² *Rachevi v. Bulgaria*, №47877/99, § 90, 23/09/2004; *Peryt v. Poland*, №42042/98, § 57, 02/12/2003; *Sobierajska-Nierzwicka v. Poland*, №49349/99, § 112, 27/05/2003

³ *Csanádi v. Hungary*, №55220/00, §§ 35 and 16, 09/03/2004; *Sobierajska-Nierzwicka*, §113;

⁴ *Zanghi v. Italy*, 19/02.1991, § 23, *Series A* №194-C

ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ
CASE of JGARKAVA v. GEORGIA (№7932/03)

2003 წლის 19 თებერვალს ნოდარ ჯღარკავამ განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2009 წლის 24 თებერვალს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№7932/03) და ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებელი ნოდარ ჯღარკავა ცხოვრობს საქართველოში, სოფელ ლეხანდრაოში. იგი თავის რეგიონში არსებული სკოლის დირექტორი და ადგილობრივი გამგეობის წევრი იყო. 1995 წლის 29 ოქტომბერს ის დაიბარეს თბილისში, გენერალურ პროკურატურაში, სადაც ყოველგვარი დაკითხვისა და ახსნა-განმარტების გარეშე დააკავეს და წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს. შემდგომში გაირკვა, რომ ის ეჭვმიტანილი იყო თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და სახელმწიფო მოხელის მიერ განეული სამსახურის სანაცვლოდ ქრთამის აღებაში.

დაპატიმრებისთანავე განმცხადებელს სასტიკად სცემეს და ჩამოართვეს საფულეში არსებული თანხა. 1995 წლის 30 ივნისს განმცხადებლის მიმართ დაიწყო გამოძიება და პროკურატურამ გადაწყვიტა მისი დაპატიმრება. მან წინასწარ პატიმრობაში 7 თვე და 8 დღე გაატარა. ამ პერიოდში განმცხადებელს ამყოფებდნენ 25 მ² ფართობის საკანში 30 სხვა პირთან ერთად, რომელთა დიდი ნაწილი ტუბერკულოზით იყო დაავადებული. საკანში სუფევდა სრული ანტისანიტარია. საპრობილეს არ შეეძლო პატიმრების კვება და განმცხადებელი ოჯახის მიერ გამოგზავნილ ამანათებზე იყო დამოკიდებული.

განმცხადებელი ამტკიცებს, რომ გენერალური პროკურატურის წარმომადგენლები მასზე ახდენდნენ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლას. იგი ამტკიცებს, რომ მისი დაპატიმრების შემდეგ ციხის ზედამხედველებმა ის რამდენჯერმე გაიყვანეს მინისტრებმა დერეფანში, სადაც უხსნიდნენ, რომ ოჯახისთვის რეგულარულად უნდა მოეთხოვა ფულის გამოგზავნა. დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ისინი მას მოკვლით ემუქრებოდნენ. განმცხადებლის წერილებს მის ოჯახს ციხის თანამშრომელი პირადად აწვდიდა ფულის გამოძალვის მიზნით. ამგვარად, განმცხადებლის ოჯახი იძულებული გახდა, გაეყიდა ორი სახლი და ძვირფასი ნივთები, რათა მისთვის აეცილებინა სიკვდილის მუქარა და ციხეში დისკრედიტაცია.

პატიმრობის მძიმე პირობების გამო, განმცხადებლის ჯანმრთელობა მნიშვნელოვნად შეირყა და განსაკუთრებით ცუდად გახდა 1996 წლის თებერვალში. სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით მას აწუხებდა გულის იშემიური დაავადება, არტერიული ჰიპერტენზია, ათეროსკლეროზი და გულის უკმარისობა.

ჯანმრთელობის აღნიშნული პრობლემების გათვალისწინებით, თბილისის კრწანისი-მთანმინდის რაიონულმა სასამართლომ 1996 წლის 8 თებერვალს გადაწყვიტა განმცხადებლის გირაოთი გათავისუფლება.

1998 წლის 20 ივლისს თბილისის საოლქო სასამართლომ, ხოლო მოგვიანებით საკასაციო სასამართლომ სრულად გააუქმა 1998 წლის 7 მაისის განა-

ჩენი და „ბრალეულობის მტკიცებულებების არარსებობის გამო“ საქმე შეწყვიტა. სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ თბილისის საოლქო სასამართლოს 1998 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილების შემდეგ განმცხადებელი აღადგინეს ლიცეუმში.

2000 წლის 13 ივნისს განმცხადებელმა მთანმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში გენერალური პროკურატურისა და მის მიმართ აღძრული საქმის გამომძიებლის წინააღმდეგ შეიტანა სამოქალაქო სარჩელი. კერძოდ, განაცხადა, რომ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ 1998 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება მის გათავისუფლებას უტოლდებოდა და მოითხოვა კომპენსაციის გადახდა ყველა ბრალდებასთან დაკავშირებით.

გენერალურ პროკურორს საქმის განხილვაში მონაწილეობა არ მიუღია. რაც შეეხება გამომძიებელს, ის ირწმუნებოდა, რომ, ვინაიდან სასამართლოს გადაწყვეტილებით განმცხადებელი არ იქნა რეაბილიტირებული, მას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის არანაირი უფლება არ ჰქონდა. მისი აზრით, არ არსებობდა იმის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, რომ განმცხადებელს საგამომძიებო ორგანოთა მიერ განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩადენილი რაიმე მოქმედების შედეგად მიაღდა ის ზიანი, რომლის გამოც მან სარჩელი შეიტანა. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ არსებობდა ზიანი, ის უნდა აენაზღაურებინა სახელმწიფოს, მაშასადამე, ფინანასთა სამინისტროს და არა – პირადად პროკურორს ან გამომძიებელს.

2001 წლის 9 იანვრის დადგენილებით სასამართლოში მოპასუხე მხარედ გამოიძახეს ფინანსთა სამინისტრო, რომელიც ამტკიცებდა, რომ განმცხადებლის სარჩელი სრულიად „საეჭვო და დაუსაბუთებელი“ იყო.

2001 წლის 12 იანვარს სასამართლომ განმცხადებლის მოთხოვნათა დიდი ნაწილი არ დააკმაყოფილა.

რაიონულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ განმცხადებელი არ გამართლდა და მის მიმართ მხოლოდ შეწყდა სისხლის სამართლის საქმის წარმოება; რომ მას სასამართლოსათვის რეაბილიტაციის მოთხოვნით არასოდეს მიუმართავს. ვინაიდან არ არსებობს რეაბილიტირებული პირის სასამართლოს მიერ დადგენილი სტატუსი და განმცხადებლის მხრიდან სარჩელის წარდგენის შედეგად წარმოებული საქმის ფარგლებში შეუძლებელია გენერალური პროკურატურის ან გამომძიებლის მიერ განხორციელებულ ქმედებებში დანაშაულის ნიშნების არსებობის დადგენა, სასამართლომ დაასკვნა, რომ არ შეიძლება დადგეს მათი სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

სამაგიეროდ, შრომის კოდექსის 214-ე და 214-1 მუხლებზე დაყრდნობით, სასამართლომ სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ დააკისრა 4.335 ლარის გადახდა იმ ხელფასის სახით, რომელიც მას უნდა მიეღო, დაპატიმრებული რომ არ ყოფილიყო.

2002 წლის 15 აპრილს თბილისის სააპელაციო სასამართლომ მთლიანად გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და გამოიტანა ახალი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ პირველ რიგში დაადგინა, რომ 1995 წლის 29 ივნისიდან 1998 წლის 20 ივლისამდე განმცხადებლის მიმართ უსაფუძვლოდ წარმოებდა სისხლისსამართლებრივი დევნა. მორალურ ზიანთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მისი დაპატიმრებისა და პატიმრობაში დატოვების ფაქტიდან გამომდინარე, რომლისგანაც ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გათავისუფლდა, ნამდვილად მიაღდა ზიანი, რაც მას უნდა ანაზღაურებოდა გონივრული თანხით.

ამრიგად, დაეყრდნო რა სამოქალაქო სამართლის კოდექსს, საოლქო სასამართლომ განმცხადებელს მიაკუთვნა 10.000 ლარი მორალური ზიანის ანაზღაურების სახით.

2002 წლის 25 სექტემბერს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ დაასკვნა, რომ პირველი ინსტანციით გამოტანილი განაჩენის ნაწილი, რომელიც ეხებოდა მიუღებელი ხელფასის – 4.335 ლარის გადახდას, სააპელაციო წესით არც ერთ მხარეს არ გაუსაჩივრებია და, შესაბამისად, ძალაში შევიდა. უზენაესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების აღნიშნული ნაწილი სრულად აკმაყოფილებდა განმცხადებლის მოთხოვნას, რომელიც გამომდინარეობდა ახალი სსსკ-ის 228-ე მუხლიდან.

სარჩელის დანარჩენ ნაწილში უზენაესმა სასამართლომ უარყო სააპელაციო გადაწყვეტილება და რაიონულ სასამართლოს უსაყვედურა ახალი სსსკ-ის 227-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოუყენებლობა, რომელიც მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენდა გამოსაყენებელ დებულებას. ამრიგად, უზენაესმა სასამართლომ ახალი სსსკ-ის 227-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე უარყო განმცხადებლის მიერ კომპენსაციის მოთხოვნა და განაცხადა შემდეგი:

„ (...) მხოლოდ რეაბილიტირებულ პირს აქვს კომპენსაციის მოთხოვნის უფლება და ისიც მისი გამამართლებელი ან რეაბილიტირებულად აღიარების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანიდან 6 თვის ვადაში. მაგრამ საქმის მასალებში არ მოიპოვება მტკიცებულება იმის შესახებ, რომ განმცხადებელი რეაბილიტირებულ იქნა.“

სასამართლოს შეფასება

სასამართლო შეახსენებს: იმისათვის, რათა დადგინდეს, შიდა სამართლი სათანადოდ ახდენს თუ არა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული „უფლების“ აღიარებას, მან მხედველობაში უნდა მიიღოს შესაბამისი დებულებების ფორმულირება და ეროვნული სასამართლო ორგანოების მიერ მათი ინტერპრეტაციის მეთოდი.¹

შიდა სამართლის შესაბამისი ნორმების ფორმულირების, განმცხადებლის საქმის განმხილველი ეროვნული სასამართლოებისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის მიერ აღნიშნული დებულებების ინტერპრეტაციის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ შიდა სამართლის შესაბამისად, განმცხადებლის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აღიარებული იყო იმგვარად, რომ კანონი მისი დაცვის შესაძლებლობას ქმნიდა.

ევროსასამართლოს აზრით, წინამდებარე განაცხადში წამოყენებული პრობლემის სათავეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ განმცხადებლის დავის განხილვა ძველი და ახალი კოდექსების მოქმედების პერიოდებს მოიცავდა. ძველი სსსკ, რომელიც საბჭოთა პერიოდით თარიღდებოდა და განმცხადებლის მიმართ აღძრული სისხლისსამართლებრივი დევნის მთელი პროცესის განმავლობაში მოქმედებდა, არ ითვალისწინებდა ისეთ უფლებებს, რომლებიც მას უსაფუძვლო დაკავების, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტისა და გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შედეგად უნდა ჰქონოდა.

1999 წლის 15 მაისს, განმცხადებლის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ მიღებული დადგენილებიდან რამდე-

¹ *Masson et Van Zon c. Pays-Bas*, 28/09/1995, série A, №327-A, §§48-49;
Rolf Gustafson c. Suède, 01/07/1997, Recueil des arrêts et décisions 1997-IV, §38.

ნიმე თვის შემდეგ, ძალაში შევიდა ახალი სსსკ. ამ კოდექსის შესაბამისად, დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დარღვეული უფლებების აღდგენისა და, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რეაბილიტაციის საფუძველს წარმოადგენს. დადგენილება სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ უნდა შეიცავდეს მითითებას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების შესახებ. აღნიშნული დადგენილების გაცნობის დროს პირი ინფორმირებული უნდა იყოს იმის შესახებ, რომ ყველა სახის ზიანი უნდა ანაზღაურდეს ასეთი დადგენილების მიღებიდან 6 თვის ვადაში.

თუმცა, ახალ სსსკ-სა და მის გარდამავალ დებულებებში არაფერია ნათქვამი იმ პროცედურის შესახებ, რის საფუძველზეც უნდა ემოქმედა სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ 1999 წლის 15 მაისამდე მიღებული დადგენილებით მოსარგებლე პირებს, იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი დადგენილების გაცნობის მომენტში ინფორმაცია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, მათ ვერ მიენოდებოდა.

სასამართლოს აზრით, აღნიშნული საკანონმდებლო სიზუსტეების არარსებობამ გარკვეულწილად განაპირობა უზენაესი სასამართლოს მიერ ისეთი დასკვნების გამოტანა, რომელიც შემდეგ განმცხადებელმა გაასაჩივრა. მიუხედავად ამისა, ევროპულმა სასამართლომ, რომელიც არ აპირებს აბსტრაქტულად მოახდინოს სადავო კანონმდებლობის კონტროლი, გადაწყვიტა გამოიკვლიოს, უზენაესი სასამართლოს მიერ მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული საკანონმდებლო ნორმების გამოყენების მეთოდი ეწინააღმდეგება თუ არა ევროპულ კონვენციას.¹

ევროპული სასამართლოს აზრით, უზენაესმა სასამართლომ, იმსჯელა რა ახალი სსსკ-ის 227-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, განმცხადებლის მიმართ გამოთქვა პრეტენზიები, ერთი მხრივ იმის შესახებ, რომ მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა მისი რეაბილიტირებულად ცნობა, ხოლო მეორე მხრივ, მას 6 თვის ვადაში არ დაუყენებია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

თუმცა, უზენაესმა სასამართლომ არ განმარტა ის მიზეზები, რომელთა გამოც განმცხადებელი არ იქნა რეაბილიტირებულად ცნობილი, მაშინ, როდესაც მის მიმართ წარმოებული სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა და რომ ახალი სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად, აღნიშნული დადგენილება საკმარისი იყო მისთვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად. პრაქტიკულად, თავად დადგენილება სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ იმთავითვე წარმოადგენს „რეაბილიტაციის“, სხვაგვარად რომ ვთქვათ, „უფლებების აღდგენის საფუძველს“ და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენამდე პირის რეაბილიტირებულად ცნობის შესახებ ცალკე სამართლებრივი პროცედურის წარმოება არ არის აუცილებელი. უზენაესმა სასამართლომ არ ახსნა ის მიზეზები, რომელთა გამოც მან მხოლოდ წინამდებარე საქმის ფარგლებში გადაწყვიტა, განეცალკევებინა „რეაბილიტირებულად ცნობა“ და „უფლებების აღდგენა“, რომლებიც იდენტურ ცნებებს წარმოადგენს, არამარტო კანონმდებლობის გაცნობის შედეგად, არამედ თავად კანონმდებლის ხედვის თვალსაზრისითაც. იმ პირობებში, როდესაც განმცხადებელი სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ დადგენილების საფუძველზე მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ანუ მის რეაბილიტაციას მოითხოვდა, საკასაციო სასამართლომ რაიმე ახსნა-განმარტების გარეშე ზიანის ანაზღაურების წინაპირობად რეაბილიტირებულად ცნობის აუცილებლობა დაასახელა. ამასთან, მან არც ის

¹ *Hauschildt c. Danemark*, 24/05/1989, §45, série A, №154;
Håkansson et Sturesson c. Suède, 21/02/1990, série A, №171-A, §46.

დააზუსტა, თუ რა მტკიცებულებები უნდა წარედგინა განმცხადებელს მისი რეაბილიტაციის ფაქტის დასადასტურებლად. ნებისმიერ შემთხვევაში, ახალი სსსკ, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების გარდა, სხვა რაიმე განსაკუთრებული მტკიცებულების წარდგენას არ ითხოვდა, იმ მიზნით, რომ საქმის განმხილველ სასამართლოს მიყენებული ზიანის ოდენობა და სახე განესაზღვრა. უფრო მეტიც, ამ კოდექსის 221-ე მუხლის I ნაწილის მიხედვით, დაუსაბუთებელი დაკავების ფაქტი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად საკმარის საფუძველს წარმოადგენდა რეაბილიტაციის შესახებ რაიმე დადგენილების არარსებობის პირობებშიც კი.

იმ გარემოების დაშვებითაც, რომ უზენაესმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში 1998 წლის 20 ივლისის დადგენილების ახალ სსსკ-თან „შესაბამისობაში მოყვანის“ მოთხოვნით განმცხადებელის მიერ შიდა ინსტანციებისათვის მიმართვის არარსებობა იგულისხმა, მაშინ საკასაციო სასამართლოს აღნიშნული ნათლად უნდა წარმოეჩინა და ის სამართლებრივი ნორმა უნდა მიეთითებინა, რომელიც განმცხადებელს ამგვარი პროცედურის წარმოების დაწყებას ავალდებულებდა.

ასევე ბუნდოვანია უზენაესი სასამართლოს მსჯელობა იმ ექვსთვიან ვადასთან დაკავშირებით, რასაც ახალი კოდექსის 227-ე მუხლის მე-4 ნაწილი ითვალისწინებს. მთავრობის მტკიცებით, აღნიშნული ვადა გამამართლებელი ან რეაბილიტირებულად ცნობის შესახებ სხვა გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან აითვლება, მაგრამ საკასაციო ინსტანცია არ აზუსტებს, მისი შეფასებით, როგორი სამართლებრივი აქტი ითვლებოდა ან შეიძლება ჩათვლილიყო რეაბილიტაციის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებად, რის გამოც შეუძლებელია, დადგინდეს, თუ რომელი გადაწყვეტილების მიღებიდან უნდა დაწყებულიყო ზემოაღნიშნული ვადის ათვლა.

ამასთან, უზენაესმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მიუღებელი ხელფასის ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეთა მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება „ახალი კოდექსის 228-ე მუხლიდან გამომდინარე, განმცხადებლის მოთხოვნას სრულად აკმაყოფილებდა“. თუმცა, მას მხედველობიდან გამორჩა ის ფაქტი, რომ აღნიშნული მუხლი რეაბილიტირებულად ცნობილ პირს ეხება და იმავე გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ განმცხადებელს მისი რეაბილიტაციის ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ წარმოუდგენია.

ევროპული სასამართლო თავისი პრეცედენტული სამართლის მიხედვით შეახსენებს, რომ სამართალწარმოების ფეროვნად განხორციელების მიზნით, შიდა სასამართლო ინსტანციებმა საკმარისი სიზუსტით უნდა განსაზღვრონ ის მოტივები, რომლებსაც ისინი თავიანთ გადაწყვეტილებებში ეყრდნობიან. აღნიშნული ვალდებულების ფარგლები, გადაწყვეტილების ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლოა, შეიცვალოს და შეფასდეს თითოეული საქმის ფაქტობრივ გარემოებათა მიხედვით¹. თუკი ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი სასამართლოებს ავალდებულებს, დაასაბუთონ თავიანთი გადაწყვეტილება, ეს არ შეიძლება გაგებულ იქნეს თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემის მოთხოვნად.²

მოცემულ შემთხვევაში, გამომდინარე იქიდან, რომ უზენაესი სასამართლო იძულებული იყო, გადაწყვეტილება მოქმედ კანონმდებლობაში აუცილებელი დაზუსტებების არარსებობის პირობებში მიეღო, მან ბუნდოვანი და

¹ *García Ruiz c. Espagne [GC]*, №30544/96, §26, *CEDH 1999-I*;

Ruiz Torija c. Espagne, 09/12/1994, *série A*, №303-A, §29;

Higgins et autres c. France, 19/02/1998, §42, *Recueil 1998-I*;

² *Van de Hurk c. Pays-Bas*, 19/04/1994, §61, *série A*, №288.

არასაკმარისად დასაბუთებული დასკვნები გამოიტანა. ევროპული სასამართლოს შეფასებით, აღნიშნულმა ინსტანციამ ვერ დააკმაყოფილა დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნა.

ასეთ პირობებში ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ უზენაესმა სასამართლომ ფინანსთა სამინისტროს სასარგებლოდ გადაწყვიტა, არ დაეკმაყოფილებინა განმცხადებლის მოთხოვნა, ხოლო, თავის მხრივ, ხსენებულმა სამინისტრომ, საკასაციო საჩივრის ფარგლებში, სასამართლოს ღიად შეახსენა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში რამდენიმე ათეული რეაბილიტირებული პირის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მხოლოდ 24.304 ევრო იყო გამოყოფილი.

მოცემულ შემთხვევაში არც საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად მოეფინა ნათელი მთავრობის ურთიერთგამომრიცხავ განმარტებებს. განმარტავს რა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება სრულად შეესაბამებოდა ახალ სსსკ-ს, მთავრობა მიიჩნევს, რომ ამ კოდექსის 227-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, განმცხადებელს ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა 1999 წლის 15 მაისიდან, ანუ ახალი კოდექსის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში უნდა წარედგინა. ამრიგად, აუცილებელია დავასკვნათ, რომ უზენაესმა სასამართლომ ზემოხსენებული დებულების ამგვარი ინტერპრეტაცია არ მოახდინა. ამას გარდა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მთავრობის მიერ წარმოდგენილი არგუმენტი სარწმუნო რომ ყოფილიყო, ახალი სსსკ-ის გარდამავალ დებულებებში უნდა აღნიშნულიყო, რომ იმ პირებს, რომელთა მიმართაც სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ დადგენილებები ძველი სსსკ-ის შესაბამისად იყო მიღებული, ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული მოთხოვნის წარდგენა ახალი კოდექსის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში შეეძლოთ. თუმცა, ახალი სსსკ ამგვარ პირობას არ ითვალისწინებს.

ევროპულ სასამართლოს სურს, ხაზი გაუსვას შემდეგ გარემოებას: კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით გამოთქმული პრეტენზიების განხილვისას ის ვერ დაეყრდნობა მთავრობის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ცდილობს, დაამტკიცოს შიდასასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისობა ევროპული კონვენციის სტანდარტებთან და ევროპულ სასამართლოს განმცხადებლის მიერ ეროვნულ ინსტანციებში წარმოებული დავის გადაწყვეტის საკუთარ ხედვას სთავაზობს, რაც განსხვავდება შიდა სასამართლო ორგანოთა მიერ გამოტანილი დასკვნისაგან. ევროპულ სასამართლოს სურს, შეამოწმოს ის გარემოება, თუ რამდენად აკმაყოფილებს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 25 სექტემბერის სადავო გადაწყვეტილება კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპული სასამართლო ასკვნის, რომ ასეთი შესაბამისობა მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს.

ამრიგად, უნდა აღინიშნოს, რომ დაირღვა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო:

- 1. ექვსი ხმით ერთი წინააღმდეგ, ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი;**
- 2. ერთხმად ადგენს, რომ არ არსებობს სამართლიანი დაკმაყოფილების სახით თანხის მინიჭების საფუძველი.**

მოსამართლე კოკოვიჩის განსხვავებული აზრი საქმეზე ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ¹

ჩემი დიდი სინანულის მიუხედავად, წინამდებარე საქმეში ვერ დავეთანხმები ჩემი კოლეგების უმრავლესობას, იმის გათვალისწინებით, რომ მე ვეთანხმები მთავრობის არგუმენტს, რომლის თანახმად, განმცხადებელს თავისი სარჩელი ზიანის ანაზღაურების თაობაზე ეროვნული სასამართლოს დონეზე უნდა შეეტანა 1999 წლის 15 მაისიდან – ექვსი თვის ვადაში.

¹ კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თუ განჩინება მთლიანად, ან ნაწილობრივ არ გამოხატავს მოსამართლეთა ერთმხრივ აზრს, ნებისმიერი მოსამართლე უფლებამოსილია, მას დაურთოს ცალკე აზრი. ევროპული სასამართლოს რეგლამენტის 74-ე წესის მე-2 პუნქტის თანახმად, ნებისმიერი მოსამართლე, რომელმაც მონაწილეობა მიიღო საქმის განხილვაში, უფლებამოსილია, დაურთოს განაჩენს როგორც თავისი განცალკევებული მოსაზრება, რომელიც თანმხვედრი ან განსხვავებულია განაჩენისაგან, ასევე – მხოლოდ განცხადება, რომ იგი არ ეთანხმება განაჩენს.

პოლოსიანი საქართველოს წინააღმდეგ
CASE of POGHOSYAN v. GEORGIA (№9870/07)

2007 წლის 18 იანვარს ხვიჩა პოლოსიანმა განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2009 წლის 24 თებერვალს სტრასბურგის სასამართლოს მეორე პალატამ განიხილა განაცხადი (№9870/07) და ერთხმად დაადგინა, რომ დარღვეულია კონვენციის მე-3 მუხლი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებელი ხვიჩა პოლოსიანი საქართველოს მოქალაქეა, დაიბადა 1972 წელს და ცხოვრობს ბოდბისხევში. ქურდობისათვის საპატიმრო სასჯელის მოხდის პერიოდში, 2006 წლის ოქტომბერში, მომჩივანს ციხის საავადმყოფოში ჩაუტარდა ქირურგიული ოპერაცია. 2006 წლის 11 ნოემბერს ის გადაიყვანეს რუსთავის სასჯელაღსრულების მე-6 დანესებულებაში. განმცხადებელი ჩიოდა, რომ ნაიარევი არ იყო სრულად შეხორცებული, რის შედეგადაც იგი დაინფიცირდა.

იმავე თვეში აპლიკანტის ადვოკატმა წერილობით მიმართა იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დირექტორს და აცნობა, რომ მისი მარწმუნებლის სისხლის ანალიზი უჩვენებდა ორგანიზმში ვირუსული „C“ ჰეპატიტის არსებობას. ის ითხოვდა მომჩივნის გადაყვანას ციხის საავადმყოფოში, მისთვის საჭირო გამოკვლევებისა და ეფექტიანი სამედიცინო მკურნალობის მიზნით. ადვოკატმა რამდენჯერმე წამოაყენა აღნიშნული მოთხოვნა, მათ შორის მიმართა ციხის დირექტორსაც, თუმცა - უშედეგოდ.

ციხის დირექტორმა 2006 წლის დეკემბერში პასუხად ადვოკატს აცნობა, რომ მომჩივანი გამოიკვლია ჰეპატოლოგმა, რომელმაც, მართალია, დაადგინა ქრონიკული ვირუსული „C“ ჰეპატიტის არსებობა, მაგრამ მიიჩნია, რომ დაავადება არ იყო იმდენად მწვავე, რომ საჭირო ყოფილიყო მომჩივნის გადაყვანა ციხის საავადმყოფოში. ადვოკატმა თავის საპასუხო წერილში აღნიშნა, რომ მის მიერ მანამდე წარმოდგენილი სამედიცინო საბუთები ადასტურებდა, რომ მომჩივანი დაავადებული იყო მწვავე ვირუსული „C“ ჰეპატიტით. შესაბამისად, მან ეჭვქვეშ დააყენა იმ სპეციალისტის კომპეტენტურობა, რომელმაც გასინჯა მომჩივანი. ადვოკატი ჩიოდა, რომ მას არ მიაწოდეს ჰეპატოლოგის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგები და მის მიერ შერჩეული დანიშნულება. მან განმეორებით სთხოვა ციხის დირექტორს, მიეღო კანონით დადგენილი აუცილებელი ზომები, რათა მომჩივანს მისცემოდა ადეკვატური და ეფექტიანი სამედიცინო მკურნალობის ჩატარების საშუალება. მის მოთხოვნას პასუხი არ მოჰყოლია. 2008 წლის დეკემბერში მომჩივანი გაათავისუფლეს სასჯელის საპატიმრო ნაწილის მოხდის შედეგად.

კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე (წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა) აპლიკანტი ჩიოდა, რომ

ციხის საავადმყოფოდან იგი ნაადრევად განწერეს და პატიმრობის პერიოდში მისთვის სათანადო სამედიცინო მკურნალობა არ გაუწევიათ.

სასამართლოს შეფასება კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით

სასამართლომ აღნიშნა, რომ ციხის საავადმყოფოდან განწერის შემდეგ მომჩივანი ციხის სამედიცინო პერსონალის მეთვალყურეობის ქვეშ იყო და, რადგან ნაიარევი მსუბუქად იყო ინფიცირებული, შესაძლებელი გახდა მისთვის შედეგიანი მკურნალობის განევა. მომჩივანმა თვითონ დაადასტურა, რომ ოპერაციის შემდგომმა პერიოდმა გართულებების გარეშე ჩაიარა. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ციხის საავადმყოფოსა და რუსთავის სასჯელაღსრულების მე-6 დაწესებულებაში მომჩივნისათვის ოპერაციის შემდგომ განეულ მკურნალობასთან დაკავშირებით არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი.

რაც შეეხება პატიმრობისას განეულ მკურნალობას „C“ ჰეპატიტთან დაკავშირებით, სასამართლომ, პირველ ყოვლისა, აღნიშნა, რომ რამდენიმე ანალიზის მიუხედავად, რომლებმაც დაადასტურა მომჩივნის დაავადება ამ ვირუსით, საქმის მასალებიდან არ გამომდინარეობდა, რომ შესაბამისმა ორგანოებმა „თავი შეინუხეს“ შემდგომი აუცილებელი ანალიზების, მაგალითად, ინფექციის ოდენობის, ვირუსის გენოტიპის განსაზღვრის ან ბიოფსიის ჩატარებისათვის. ასეთი ანალიზების საჭიროება მით უფრო ნათელი გახდა მას შემდეგ, რაც 2006 წლის დეკემბერში ჰეპატოლოგმა დაასკვნა, რომ დაავადება იყო ქრონიკული და ვირუსი აგრძელებდა გამრავლებას.

გარდა ამისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობამ არ წარმოადგინა არავითარი მტკიცებულება, რომ მომჩივანს ჰქონდა სათანადო კვება და რომ მის ანორექსიასა და გადაღლილობას მიექცა საჭირო სამედიცინო ყურადღება. სასამართლო ასევე ვერ დაარწმუნა მთავრობის პასუხმა, რომ ორი ექოსკოპია საკმარისი იყო იმის დასადგენად, რომ მომჩივნის ღვიძლთან დაკავშირებული ჩივილი არ საჭიროებდა არავითარ სამედიცინო ჩარევას. სამედიცინო თვალსაზრისით ცნობილია, რომ „gamma GT-ის“ მაღალი ტიტრი შეიძლება მიუთითებდეს საკმაოდ მწვავე „C“ ჰეპატიტზე და რომ ექოსკოპია არ არის სარწმუნო საშუალება ღვიძლის ქსოვილის დაზიანების ხარისხის განსაზღვრავად.

სასამართლომ დაადგინა, რომ პატიმრის ჯანმრთელობის დასაცავად საკმარისი არ არის მისი გამოკვლევა და დიაგნოზის დასმა. აუცილებელია დიაგნოზის შესაბამისი სამედიცინო მკურნალობის უზრუნველყოფა, ისევე, როგორც სათანადო სამედიცინო მეთვალყურეობა. შესაბამისად, სასამართლომ მიუღებლად მიიჩნია, რომ მომჩივნის არაერთგზის მოთხოვნა მისთვის მკურნალობის განევასთან დაკავშირებით დარჩა უპასუხოდ ან უყურადღებოდ.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მის წარმოებაში ამჟამად 40-მდე საჩივარი იყო ქართულ ციხეებში არსებული სამედიცინო დახმარების შესახებ და მიიჩნია, რომ არსებობდა სისტემური პრობლემა ავადმყოფი, მათ შორის – ვირუსული „C“ ჰეპატიტით დაავადებული პატიმრების არასათანადო მკურნალობის თვალსაზრისით. მან მიიჩნია, რომ ეს ამძიმებდა საქართველოს პასუხისმგებლობას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით ნაკისრი

ვალდებულებების შესრულების კუთხით და, ამასთანავე, წარმოადგენდა საფრთხეს თვით კონვენციის სისტემის ეფექტიანობისათვის. აქედან გამომდინარე, 46-ე მუხლის თანახმად (განჩინების სავალდებულო ძალა და აღსრულება), სასამართლომ მოუწოდა საქართველოს, დაუყოვნებლივ მიიღოს საჭირო საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ზომები, რათა თავიდან იქნეს აცილებული ვირუსული „C“ ჰეპატიტის გავრცელება ციხეებში, დაწერგოს იქ ამ დაავადების ადრეულ ეტაპზე გამოვლენის მექანიზმები და უზრუნველყოს ამ ვირუსით დაავადებული პაციენტების დროული და ეფექტიანი მკურნალობა.

ყოველივეს გათვალისწინებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ ვირუსული „C“ ჰეპატიტით დაავადებულ მომჩივანს პაციენტობის პერიოდში ვერ გაუწიეს სათანადო მკურნალობა, რაც კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევაა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ:

ა) დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი (წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა) ვირუსული „C“ ჰეპატიტით დაავადებული პაციენტის მომჩივნისათვის, სათანადო სამედიცინო მკურნალობის გაუწევლობის გამო;

ბ) არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი ოპერაციის შემდგომ მკურნალობასთან დაკავშირებით, რაც მომჩივანს გაენია ციხის საავადმყოფოსა და რუსთავის სასჯელაღსრულების მე-6 დაწესებულებაში.

იმის გამო, რომ მომჩივანმა განსაზღვრულ დროში არ წარადგინა მოთხოვნა სამართლიანი დაკმაყოფილების შესახებ, სასამართლომ დაადგინა, რომ საჭირო არ იყო მისთვის ანაზღაურების მიკუთვნება კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად.

ღავთიაძე საქართველოს წინააღმდეგ

CASE of GHAVTADZE v. GEORGIA (№23204/07)

2007 წლის 26 აპრილს ირაკლი ღავთიაძემ განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2009 წლის 3 მარტს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№23204/07) და ერთხმად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებელი ირაკლი ღავთიაძე საქართველოს მოქალაქეა. იგი დააკავეს 2006 წლის 19 ოქტომბერს და 21 ოქტომბერს მოათავსეს თბილისის №5 საპყრობილეში. 2007 წლის 4 აპრილს განმცხადებელს მიესაჯა 11 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა იარაღის უკანონოდ ტარებისა და ყაჩაღობისათვის. 2007 წლის 4 ივლისს განაჩენი სააპელაციო წესით გასაჩივრდა და სასჯელის ხანგრძლივობა 8 წლამდე და 6 თვემდე შემცირდა. განმცხადებელმა აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა, თუმცა საქმის შემდგომი მსვლელობა უცნობია.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, განმცხადებელი იყენებდა ნარკოტიკულ საშუალებებს ვენაში შეყვანის გზით. იგი ამტკიცებს, რომ დაპატიმრებამდე ჯანმრთელი იყო და №5 საპყრობილეში მოთავსების შემდეგ მძიმედ დაავადდა.

განმცხადებელი სამჯერ იყო ჰოსპიტალიზებული ციხის საავადმყოფოში ჯანმრთელობის გაუარესების გამო. პირველი ჰოსპიტალიზაცია მოხდა 2007 წლის 22 იანვრიდან 10 თებერვლამდე. 2007 წლის 22 იანვარს განმცხადებელი მე-5 საპყრობილის ექიმის მოთხოვნით მოათავსეს სასჯელალსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დანესებულებაში. მას ჰქონდა C ჰეპატიტის მწვავე ვირუსი, მაგრამ, ამის მიუხედავად, 2007 წლის 10 თებერვალს განმცხადებელი №5 საპყრობილეში დააბრუნეს. სამედიცინო მასალებით ირკვევა, რომ განმცხადებლის ციხის საავადმყოფოდან გადაყვანა არ იყო ექიმის მიერ ნებადართული.

2007 წლის 15 თებერვალს, ჰოსპიტალიზაციის შეწყვეტიდან ხუთი დღის შემდეგ, განმცხადებელი ციხეში მოინახულეს წამებისა და ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრის წარმომადგენლებმა. განმცხადებელი ჩიოდა, რომ მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, მას არ ჰქონია ექიმთან კონსულტაციის შესაძლებლობა. როგორც აღნიშნული ვიზიტის შემდეგ გაკეთებული მოხსენებიდან ირკვევა, განმცხადებელი, რომელიც განთავსებული იყო ჩვეულებრივ საკანში, ექიმების მოთხოვნით, გადაიყვანეს ციხის სამედიცინო ბლოკში გამოკვლევების ჩასატარებლად. მათ დაასკვნეს, რომ აუცილებელი იყო, ყოველგვარი ვადების გარეშე, განმცხადებლის მოთავსება შესაბამის კლინიკაში გამოკვლევების, ანალიზებისა და მკურნალობის ჩატარების მიზნით. მომდევნო დღეებში, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემდეგ, 2007 წლის 20 თებერვალს, ციხის ექიმმა მოითხოვა განმცხადებლის ციხის სამკურნალო დანესებულებაში გადაყვანა, რაც იმავე დღეს მოხდა. მეორე ჰოსპიტალიზაცია განხორციელდა 2007 წლის 20 თებერვლიდან 31 მარტამდე პერიოდში.

2007 წლის 31 მარტს განმცხადებელი განერეს ციხის სამკურნალო დაწესებულებიდან და დააბრუნეს №5 საპყრობილეში. დაუზუსტებელია, იყო თუ არა ამის თაობაზე ექიმების ნებართვა და გაუგრძელდა თუ არა განმცხადებელს ციხეში საავადმყოფოში დანიშნული მკურნალობის კურსი.

მესამედ, 2007 წლის 23 აპრილს, ციხის ექიმმა დაადგინა, რომ განმცხადებელს აწუხებდა ტუბერკულოზური პლევრიტი, საერთო გადაღლილობა და სუნთქვის უკმარისობა, ასევე – მაღალი ტემპერატურა. ექიმმა მოითხოვა განმცხადებლის სასწრაფო ჰოსპიტალიზაცია, რაც იმავე დღეს შესრულდა.

მხართა არგუმენტები

განმცხადებელი ჩივის, რომ ციხეში იგი რამდენიმე სნეულებით დაავადდა და საჭირო მკურნალობის ჩაუტარებლობამ და პატიმრობის პირობებმა მის ჯანმრთელობაზე სერიოზული გავლენა იქონია. განმცხადებელი ეყრდნობა კონვენციის მე-3 მუხლს, რომლის თანახმადაც: „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.“

მთავრობა ამტკიცებს, რომ განმცხადებელი ციხეში არ დაავადებულა. ის მიიჩნევს, რომ როგორც ტოქსიკომანს, განმცხადებელს დაქვეითებული ჰქონდა იმუნიტეტი და, სავარაუდოდ, ის დაპატიმრებამდე, 2006 წლის 19 ოქტომბრამდე, იყო სხვადასხვა ინფექციის მატარებელი.

ყოველ შემთხვევაში, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელს არ დაუმტკიცებია ის, რომ იგი ციხეში დაავადდა და ასკვნის, რომ მთავრობას ამ კუთხით არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

დასკვნის სახით, მთავრობა ამტკიცებს, რომ განმცხადებლის მიმართ მოპყრობა არ გასცილებია პატიმრობის თანმხლები ტანჯვის მინიმალურ ზღვარს და განმცხადებლის პრეტენზიები არასათანადო მკურნალობასთან დაკავშირებით სრულიად მოკლებულია საფუძველს.

სასამართლოს შეფასება

სასამართლო შეახსენებს, რომ კონვენციის მე-3 მუხლი მიჩნეულ უნდა იქნეს კონვენციის ერთ-ერთ უმთავრეს დებულებად და დემოკრატიული ღირებულებების ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტად, რომლებიც ევროპის საბჭოს განუყოფელ ნაწილებს წარმოადგენს.¹ კონვენციის სხვა დებულებებისგან განსხვავებით, მე-3 მუხლი აბსოლუტური მნიშვნელობისაა და არ ითვალისწინებს არავითარ გამონაკლისს ან პირობას, ხოლო კონვენციის მე-15 მუხლის თანახმად, ის არ ექვემდებარება არავითარ გადახვევას.² განმცხადებლის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და სიმძიმის არგუმენტი საფუძველს მოკლებულია განაცხადის მე-3 მუხლის თვალსაზრისით განხილვის დროს.³

მე-3 მუხლის მფარველობის ქვეშ მოსახვედრად მოპყრობამ უნდა მიაღწიოს „ტანჯვის მინიმალურ ზღვარს.“ ამ მინიმუმის შეფასება დამოკიდე-

¹ *Pretty c. Royaume-Uni*, №2346/02, §49, CEDH 2002-III;

² *Chahal c. Royaume-Uni*, 15/11/1996, *Recueil des arrêts et décisions 1996-V*, p.1855, §79;

³ *V. c. Royaume-Uni* [GC], №24888/94, §69, CEDH 1999-IX;

ბულია კონკრეტული საქმის გარემოებებზე, მოპყრობის კონტექსტსა და ხასიათზე, ასევე მის ხანგრძლივობაზე, მის მიერ გამოწვეულ ფიზიკურ და მენტალურ შედეგებზე და ზოგიერთ შემთხვევაში – მსხვერპლის სქესზე, ასაკსა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.¹ იმისათვის, რათა სასჯელი ან მოპყრობა შეფასდეს, როგორც „არაადამიანური“ ან „დამამცირებელი“, ტანჯვა უნდა სცდებოდეს იმ ზღვარს, რომელიც ახლავს კანონიერ სასჯელს.

რაც შეეხება თავისუფლებააღკვეთილ პირებს, კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, რათა უზრუნველყოს, რომ თითოეული პატიმარი იმყოფებოდეს მისი ადამიანური ღირსების პატივისცემის პირობებში, რომ სასჯელის აღსრულებამ არ გამოიწვიოს განსაცდელი ან ტანჯვა, რომლის ინტენსივობაც გადააჭარბებს პატიმრობის თანმდევ, გარდაუვალ ტანჯვას და რომ პატიმრობის პირობებში ადეკვატურად იქნეს უზრუნველყოფილი პატიმრის ჯანმრთელობა, კერძოდ, შესაბამისი მედიკამენტების მიწოდებით.² ამრიგად, არასაკმარისი მედიკამენტოზური მკურნალობა და, ზოგადად, ავადმყოფის ყოფნა არაადეკვატურ საპატიმრო პირობებში, წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.³ პატიმრის ჯანმრთელობის გარდა, ასევე ადეკვატურად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი მისი კეთილდღეობა.⁴ ლოგისტიკური და ფინანსური პრობლემების მიუხედავად, სახელმწიფო ვალდებულია, ისე მოაწიოს თავისი პენიტენციალური სისტემა, რომ უზრუნველყოს პატიმრების ადამიანური ღირსების პატივისცემა.⁵

ავადმყოფი პირის პატიმრობის პირობები უნდა უზრუნველყოფდეს მისი ჯანმრთელობის დაცვას, პატიმრობის რეჟიმის თანმდევი და გონივრული მოთხოვნების გათვალისწინებით, თუკი აქედან გამომდინარეობს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პატიმრის გათავისუფლების ან სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანის საყოველთაო ვალდებულება. მაშინაც კი, თუ ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მძიმე დაავადებით იტანჯება, ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი წევრ სახელმწიფოებს ნებისმიერ შემთხვევაში აკისრებს ვალდებულებას, დაიცვან თავისუფლებააღკვეთილი პირის ფიზიკური ხელშეუხებლობა. განსაკუთრებით მძიმე დაავადების შემთხვევაში, სასამართლო არ გამორიცხავს ისეთი ვითარების არსებობას, რომელიც, სისხლის სამართალწარმოების ინტერესებიდან გამომდინარე, მოითხოვს ჰუმანიტარული ხასიათის ზომების მიღებას გართულებების თავიდან აცილების მიზნით.⁶

სასამართლო კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ჰოსპიტალიზაციის შემდეგ, 2007 წლის 22 იანვარსა და 20 თებერვალს, განმცხადებელს ციხის სამკურნალო დაწესებულების სამედიცინო პერსონალმა მოკლე ვადებში ჩაუტარა შესაბამისი გამოკვლევები და მას დაუნიშნა ჰეპატოპროტექტორები, ანტიოქსიდანტები და ვიტამინები, ასევე ჩაუტარდა მკურნალობა იმუნური სისტემის გასაძლიერებლად. განმცხადებელს გაუკეთდა სისხლის რამდენიმე ანალიზი, რომლებმაც დაადასტურა მწვავე C ვირუსული ჰეპატიტის დიაგნოზი. თუმცა, ამ მომენტიდან ჰეპატოპროტექტორებით მკურნალობა, რომელიც იცავს ღვიძლის ქსოვილს ვირუსის მოსპობის გარეშე, ვერ ჩაითვლება საკმარისად.

¹ *Dybeku c. Albanie*, №41153/06, §36, 18/12/2007; *Mikadzé c. Russie*, №52697/99, §108, 07/06/2007;

² *Mouisel c. France*, №67263/01, §40, CEDH 2002-IX;

³ *İlhan c. Turquie*, №22277/93, §87; *Gennadiy Naumenko c. Ukraine*, №42023/98, §112, 10/02/2004;

⁴ *Kudla c. Pologne* [GC], №30210/96, §94, CEDH 2000-XI;

⁵ *Soukhovoy c. Russie*, №63955/00, §31, 27/03/2008; *Benediktov c. Russie*, №106/02, §37, 10/05/2007.

⁶ *Matencio c. France*, №58749/00, §76, 15/01/2004; *Sakkopoulos c. Grèce*, №61828/00, §38.

განმცხადებლის საავადმყოფოდან ორჯერ განერის საკითხთან დაკავშირებით სასამართლო მიიჩნევს, რომ ციხის სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსებული ავადმყოფი პატიმრის მხოლოდ ციხეში გადაყვანის ფაქტი თავისთავად არ წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას. აქ საქმე ეხება იმის დადგენას, ჩაუტარდა თუ არა ციხეში გადაყვანამდე განმცხადებელს აუცილებელი და ადეკვატური მკურნალობა; იყო თუ არა ეს გადაყვანა გამართლებული მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით და გაუგრძელდა თუ არა მას სამედიცინო მეთვალყურეობა ციხეში გადაყვანის შემდეგ.

მის ხელთ არსებული არგუმენტების განხილვის შემდეგ სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის ორჯერ მოკლე ვადით მოთავსება ციხის სამკურნალო დაწესებულებაში არ იყო საკმარისი მისი ჯანმრთელობის პრობლემების გადასაწყვეტად და რომ ჰოსპიტალიზაციისა და, მაშასადამე, მკურნალობის ორჯერ შეწყვეტა არ ყოფილა დასაბუთებული.

კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ არ იყო დადგენილი მაღალი სიცხიანობის გამომწვევი მიზეზები და განმცხადებელს ანუხებდა მწვავე ვირუსული ჰეპატიტი და სხვა დაავადებები, 2007 წლის 10 თებერვალს ის გადაიყვანეს თბილისის №5 საპრობილემში და მოათავსეს ჩვეულებრივ საკანში. გადაყვანამდე რამდენიმე დღით ადრე ექიმებმა განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეაფასეს, როგორც მძიმე. მთავრობის მტკიცების საწინააღმდეგოდ, მათ არ მიუციათ განმცხადებლის ციხეში გადაყვანის ნებართვა. სასამართლოს აზრით, ციხეში გადაყვანა მით უფრო გაუმართლებელი იყო, რომ იმ დროისათვის თბილისის მე-5 საპრობილემში, რომელიც მედპერსონალის ნაკლებობას განიცდიდა, არ არსებობდა მსგავსი დაავადებით დაავადმყოფებული პატიმრების მოთავსების არავითარი პირობა. მთავრობა არათუ იძლევა ახსნა-განმარტებას იმის თაობაზე, თუ რატომ არ იყო ეს გადაყვანა საზიანო განმცხადებლის ჯანმრთელობისთვის, პირიქით, აღნიშნავს, რომ განმცხადებლის გადაყვანა წარმოადგენდა მისი „ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის აუცილებელ პირობას.“ თუმცა, 2007 წლის 10 თებერვალს ჰოსპიტალიზაციის შეწყვეტამ უფრო დაამძიმა განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა და 10 დღის შემდეგ კვლავ აუცილებელი გახდა მისი გადაყვანა ციხის სამკურნალო დაწესებულებაში.

კერძოდ, თბილისის №5 საპრობილემში ჰიგიენური პირობების მხრივ არსებული მდგომარეობისა და კანზე ქავილით გამოწვეული დაზიანებების გათვალისწინებით, განმცხადებელს მუნი შეეყარა. სასამართლო არ იზიარებს მთავრობის არგუმენტს, რომელიც, აღიარებს რა ამ ფაქტს, განმცხადებლის პიოდერმიით დაავადების მიზეზად მის მიერ ციხეში არსებული ჰიგიენის წესების დაუცველობას ასახელებს. თუ პატიმარი ვალდებულია, დაიცვას აღნიშნული წესები, მაშინ მას შესაბამისი საშუალებებიც უნდა ჰქონდეს და უნდა იმყოფებოდეს ადეკვატურ ჰიგიენურ პირობებში. მაგრამ, როგორც წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მოხსენებიდან ირკვევა, რომელიც ამ მიმართებით სარწმუნო წყაროს წარმოადგენს,¹ საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის პერიოდში თბილისის №5 საპრობილემში ერთ ადგილზე ოთხი პატიმარი მოდიოდა, ხოლო საკნები ბინძური და ნესტიანი იყო. გარდა ამისა, საკნების დაზიანების დონე „აღწერას“ არ ექვემდებარებოდა. აქედან გამომდინარე, სასამართლო არ მიიჩნევს, რომ საყოველთაო სიბინძურის, ნესტიანობისა და დაზიანებების პირობებში განმცხადებლის საკანი, სადაც არ უნდა ყოფილიყო ის, მთელ საპრობილემში გამონაკლისს წარმოად-

¹ *Dougoz v. Greece*, №40907/98, §46, ECHR 2001-II; *Kehayov c. Bulgarie*, №41035/98, §66, 18/01/2005; *Ostrovar, précité*, §80.

გენდა და დანარჩენი დაწესებულებისგან განსხვავებით, ის შესაბამისად მოვლილი და განიავებული იყო. ყოველ შემთხვევაში, მთავრობას აღნიშნულის საპირისპიროდ არავითარი მტკიცებულება არ წარმოუდგენია. ამიტომ არსებობს იმის დიდი ალბათობა, რომ განმცხადებელი მაშინ, როდესაც ის მძიმედ იყო ავად, დაპატიმრებული, იმყოფებოდა ბინძურ გარემოში და მოთავსებული იყო იმდენ პატიმართან ერთად, რაც დიდად აჭარბებდა საკნის დასაშვებ ზღვარს. რაც შეეხება განმცხადებლის მეორედ განწერას საავადმყოფოდან 2007 წლის 31 მარტს, სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელს ამ დროისათვის კვლავ აწუხებდა მწვავე ვირუსული ჰეპატიტი, უჩიოდა ტკივილებს ნეკნების არეში და მაღალ სიცხიანობას. სამედიცინო მასალებიდან არ ირკვევა, რომ ასეთ მდგომარეობაში ექიმებმა განმცხადებლის ციხეში გადაყვანის ნებართვა მისცეს. 2007 წლის აპრილში №5 საპყრობილეში მეორედ გადაყვანამ გამოიწვია განმცხადებლის დაავადება ტუბერკულოზით და გამოწერიდან სამი კვირის შემდეგ ის კვლავ ციხის სამკურნალო დაწესებულებაში დააბრუნეს. მთავრობის მიერ მოყვანილი არგუმენტი იმუნოდეფიციტის შესახებ, რომელმაც აღნიშნული დაავადება გამოიწვია, სასამართლოს აზრით, უნდა ყოფილიყო დამატებითი მიზეზი, რომ სასჯელაღსრულების ადმინისტრაციას ექიმებთან კოორდინირებულად ემოქმედა და გაეთვალისწინებინა მათი მოსაზრება განმცხადებლის იმ ციხეში გადაყვანამდე, რომელიც პატიმრობის ყოველმხრივ აუტანელი პირობებით იყო ცნობილი.

იმ ფაქტის გარდა, რომ თბილისის მეხუთე საპყრობილეში შეუძლებელი იყო განმცხადებლის ჯანმრთელობისათვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა, წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მოხსენებიდან ირკვევა, რომ აღნიშნული საპყრობილის სამედიცინო ბლოკს ჰეპატოლოგი არ ჰყავდა. მთავრობა ვერ ამტკიცებს, რომ 2007 წლის 10 თებერვალსა და 31 მარტს, განმცხადებლის მეხუთე საპყრობილეში ხელახლა გადაყვანის შემდეგ, მას ამ კუთხით რაიმე სახის მკურნალობა ჩაუტარდა. განმცხადებლის მოთხოვნის შემდეგაც აღნიშნული დაწესებულების ადმინისტრაცია უუნარო აღმოჩნდა, წარმოედგინა მტკიცებულებები აღნიშნულთან დაკავშირებით.

სასამართლოს აზრით, კონვენციის მე-3 მუხლთან შეუსაბამოა ის ფაქტი, რომ განმცხადებლის ციხის სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანა მხოლოდ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზული გართულების შემდეგ მოხდა და რომ ის განკურნებამდე გადაიყვანეს ციხეში, სადაც არ ჩაუტარდა მკურნალობა. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის გამოწერა ციხის სამკურნალო დაწესებულებიდან 2007 წლის 10 თებერვალსა და 31 მარტს, წარმოადგენს მე-3 მუხლის საწინააღმდეგო ქმედებას.

ზემოხსენებული მოსაზრებების გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ საქართველოს შესაბამისმა კომპეტენტურმა ორგანოებმა არ შეასრულეს განმცხადებლის ჯანმრთელობის დაცვის, ასევე მისთვის სამარისი და ადეკვატური მკურნალობის ჩატარების პოზიტიური ვალდებულება, C ჰეპატიტისა და ტუბერკულოზის მკურნალობის თვალსაზრისით.

შედეგად, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი;

მოპასუხე სახელმწიფომ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან სამი თვის განმავლობაში განმცხადებელს უნდა გადაუხადოს 9.000 (ცხრა ათასი) ევრო - მორალური ზიანის ანაზღაურების სახით

კობელიანი საქართველოს წინააღმდეგ
CASE of KOBELIANI v. GEORGIA (№40022/05)

2005 წლის 29 სექტემბერს ლიოვა კობელიანმა განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2009 წლის 16 ივლისს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№40022/05) და ერთხმად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებელი ლიოვა კობელიანი დაიბადა 1960 წელს და ცხოვრობს ნინოწმინდაში (საქართველო).

2000 წლის 20 ივლისს მის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკური დანაშაულის ბრალდებით. ის იმყოფებოდა პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ.

2001 წლის 30 ივნისს პროკურატურამ დაამთავრა გამოძიება და საქმე განსახილველად გადაეცა ნინოწმინდის რაიონულ სასამართლოს. სასამართლოში საქმე დარეგისტრირდა 2001 წლის 12 ივლისს (შესვლის თარიღი).

2005 წლის 18 იანვარს ასპინძის რაიონულმა სასამართლომ, რომელმაც დაიქვემდებარა საქმის განხილვა, აღმოაჩინა ხარვეზები პროკურატურის მიერ წარდგენილ საბრალდებო დასკვნაში, რადგან ფინანსური აუდიტი ჩატარებული იყო დარღვევებით. ამ საფუძველით ასპინძის რაიონულმა სასამართლომ საქმე დააბრუნა დამატებით გამოძიებაში. მიუხედავად ამისა, 2005 წლის 17 მარტს თბილისის სააპელაციო სასამართლომ, გააუქმა რა 2005 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება, რაიონულ სასამართლოს მიუთითა, გაეგრძელებინა საქმის არსებითად განხილვა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება 2005 წლის 14 ივლისს უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა.

2006 წლის 11 აგვისტოს განაჩენის თანახმად, აპლიკანტი ბრალდების ერთ ნაწილში დამნაშავედ ცნეს, ხოლო დანარჩენ ნაწილში გაამართლეს. ხანდაზმულობის გამო მას სასჯელი არ შეეფარდა.

2006 წლის 11 აგვისტოს განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2006 წლის 23 ოქტომბერს დატოვა ძალაში, ხოლო უზენაესმა სასამართლომ – 2007 წლის 15 მაისს.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, აპლიკანტი ეროვნებით სომეხია და ვერ ფლობს ქართულ ენას. შესაბამისად, მას ჰყავდა ქართული ენის მცოდნე ადვოკატი და საქმის განხილვისას თარჯიმანი უწევდა დახმარებას.

სასამართლოს შეფასება

კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის სავარაუდო დარღვევა

აპლიკანტი ჩივის, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი, რადგან მის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის განხილვა გაჭიანურდა. აღნიშნული მუხლის თანახმად:

„ყოველი ადამიანი ... მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლებით ... სასამართლოს მიერ.“

მთავრობამ აღიარა რა, რომ უფლებამოსილი ორგანოების უმოქმედობით 2001 წლის 12 ივლისიდან 2005 წლის 18 იანვრამდე პერიოდში შესაძლოა, დაირღვა კონვენციის ზემოხსენებული ნორმა, განაცხადა, რომ განმცხადებელმა საჩივარი სასამართლოში შემოიტანა ექვსთვიანი ვადის დარღვევით. შესაბამისად, კონვენციის 35-ე მუხლის I ნაწილის მიხედვით, სასამართლომ არ უნდა განიხილოს აღნიშნული განაცხადი.

განმცხადებელმა მხარი დაუჭირა თავის განაცხადს.

დასაშვებობა

1. რაც შეეხება საქმის განხილვის შედეგს

აპლიკანტი სასამართლოს სთხოვს, რომ იმოქმედოს, როგორც „მე-4 ინსტანციის სასამართლომ.“ მიუხედავად ამისა, სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ ადგილობრივი სასამართლოები საქმეს არსებითად უკეთესად იხილავენ, მტკიცებულებებს უკეთ სწავლობენ, რა დროსაც იყენებენ მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას.¹ რამდენადაც შესაბამისი ადგილობრივი გადაწყვეტილებები არ მოიცავს შემთხვევით დასაბუთებულ მსჯელობას (ახსნას), სასამართლო მიიჩნევს², რომ განაცხადის ეს ნაწილი დაუსაბუთებელია და კონვენციის 35-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი.

2. რაც შეეხება საქმის განხილვის გაჭიანურებას

სასამართლო კვლავ აღნიშნავს, რომ დრო, რომელიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქმის „გონივრულ ვადაში“ განხილვის პერიოდის განსაზღვრისას, არ არის შეზღუდული უმოქმედობის კონკრეტული ვადით, მაგრამ შეესაბამება ამ განხილვების მთლიან ხანგრძლივობას, საქმის დაწყებიდან განაჩენის გამოტანის ჩათვლით³. წარმოდგენილი განაცხადი, რომელიც სასამართლოში შემოვიდა 2005 წლის 29 სექტემბერს, აკმაყოფილებს კონვენციის 35-ე მუხლის I ნაწილის მოთხოვნებს ექვსთვიან ვადასთან დაკავშირებით და ცნობილ უნდა იქნეს დასაშვებად.

სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, განაცხადი ამ ნაწილში არ არის აშკარად უსაფუძვლო და, შესაბამისად, იგი დასაშვებად ცნო.

¹ *Rizhamadze v. Georgia*, №2745/03, §21, 31/07/2007;

Gurepka v. Ukraine, №61406/00, §45, 6/09/2005;

² *Donadze v. Georgia*, №74644/01, §32, 7/03/2006;

³ *წარმოდგენილ საქმეში ეს პერიოდი დაიწყო 2000 წლის 20 ივლისიდან და დასრულდა 2007 წლის 15 მაისს.*

არსებითი მხარე

წარმოდგენილი მასალების მიხედვით, სისხლის სამართლის საქმის განხილვა სამივე ინსტანციაში გაგრძელდა 6 წელს, 9 თვესა და 25 დღეს. ამ პერიოდის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის გარემოებებისა და შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: საქმის სირთულე, აპლიკანტისა და უფლებამოსილი პირების ქმედება.

სასამართლო ხშირად აღმოაჩენს ხოლმე კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევას მსგავსი ტიპის საქმეებში¹.

სასამართლომ, შეისწავლა რა საქმესთან დაკავშირებით არსებული ყველა მასალა, მიიჩნია, რომ მთავრობის მხარემ ვერ წარმოადგინა რაიმე ფაქტი თუ არგუმენტი, რაც დაარწმუნებდა მას, განსხვავებული დასკვნა გამოეტანა ამ საქმეზე. განსაკუთრებით, მთავრობის მხარემ ვერ ახსნა და, შესაბამისად, ვერც დაასაბუთა, თუ რატომ მიმდინარეობდა საქმის განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში 2001 წლის 12 ივლისიდან 2005 წლის 18 იანვრამდე². პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნულ საქმეში დარღვეულია „გონივრული ვადის“ მოთხოვნები.

შესაბამისად, დარღვეულია კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლომ ერთსულოვნად დაადგინა, რომ:

- 1. დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი;**
- 2. სახელმწიფოს აპლიკანტის სასარგებლოდ დაეკისრა 1000 ევროს გადახდა.**

¹ *Pélissier and Sassi v. France*, №25444/94;

² *Klyakhin v. Russia*, №46082/99, §94, 30/11/2004

კვიციანი საქართველოს წინააღმდეგ
CASE of KVITSIANI v. GEORGIA (№16277/07)

2007 წლის 4 აპრილს ამირან კვიციანმა განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2009 წლის 21 ივლისს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№16277/07) და ერთხმად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი და პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

ამირან კვიციანი დაიბადა 1946 წელს და ამჟამად ცხოვრობს თბილისში. 1997 წლის 15 სექტემბერს, პოლიციის მიერ ჩატარებული ოპერაციის დროს, მესტიის რაიონის სოფელ ბეჩოში მომიჯნავე ფერმებთან ერთად დაიწვა განმცხადებლის საცხოვრებელი სახლი, რომელიც მდებარეობდა შემთხვევის ადგილთან ახლოს.

1999 წლის 15 ივლისს განმცხადებელმა მიმართა შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროს ზიანის ანაზღაურებისთვის. 2000 წლის 27 დეკემბერს თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ მოპასუხე ხელისუფლებას განმცხადებლის სასარგებლოდ დააკისრა 60 000 ლარის გადახდა მისი საკუთრების დაზიანების საკომპენსაციოდ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მითითებული იყო, რომ ამ თანხის გადახდა უნდა მომხდარიყო სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2001 წლისთვის.

2000 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება თბილისის საოლქო სასამართლომ ძალაში დატოვა 2002 წლის 21 მარტს, ხოლო უზენაესმა სასამართლომ – 2002 წლის 2 ოქტომბერს.

2002 წლის 19 ნოემბერს კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ გასცა სააღსრულებო ფურცელი, რომელშიც ხელახლა იყო მითითებული, რომ ვალის დაფარვა მომხდარიყო 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ხელისუფლებას რაიმე რეაგირება არც ამჯერად მოუხდენია.

2003 წლის 8 იანვარს აპლიკანტის განცხადების საფუძველზე იუსტიციის სამინისტროს აღსრულების დეპარტამენტმა შესაბამის ორგანოებს მოსთხოვა, აღნიშნული თანხა მომდევნო სამი თვის განმავლობაში ნებაყოფლობით გადაეხადა, წინააღმდეგ შემთხვევაში თანხის ამოღება მოხდებოდა იძულების წესით. მითითებული ვადა გავიდა ისე, რომ თანხა არ გადახდილა და არც შესაბამისი უწყებიდან მოჰყოლია რაიმე რეაგირება.

2005 წლის 11 ოქტომბერს აღსრულების დეპარტამენტმა ეროვნულ ბანკს გაუგზავნა ბრძანება სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალის გადახდის თაობაზე, მაგრამ დეპარტამენტმა არასწორად მიუთითა თანხის ოდენობა, რის გამოც ეროვნულმა ბანკმა აღნიშნული ბრძანებულება 2005 წლის 25 ნოემბერს აღუსრულებელი უკან დაუბრუნა.

2006 წლის 1 დეკემბერს განმცხადებელმა თხოვნით მიმართა ფინანსთა სამინისტროს, ეცნობებინა მისთვის, თუ როგორ მიმდინარეობდა აღსრულების პროცესი.

2006 წლის 13 დეკემბერს ფინანსთა სამინისტრომ განმცხადებელს აცნობა, რომ შეუძლებელი იყო ვალის გადახდა, რადგან შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამის თაობაზე უარი განაცხადა.

აპლიკანტის მოთხოვნით, 2006 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებაში თბილისის საქალაქო სასამართლომ 2000 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებიდან ამოიღო მითითება – როგორც ობიექტურად აღსრულებელი პირობა – იმის თაობაზე, რომ თანხა უნდა გადახდილიყო 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ეს გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2007 წლის 28 მაისს, ხოლო 2007 წლის 4 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოსცა ბრძანება მისი აღსრულების შესახებ.

2002 წლის 19 დეკემბრის აღსრულების ბრძანების საფუძველზე, აღსრულების დეპარტამენტმა 2008 წლის 2 აპრილს ეროვნულ ბანკს მოსთხოვა განაჩენით დაკისრებული ვალის გადახდა. 2004 წლის 4 აპრილს ხელისუფლებამ შეასრულა ვალდებულება და სამი დღის შემდეგ განმცხადებელს ვალი მთლიანად აუნაზღაურდა.

სასამართლოს შეფასება

კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილისა და პირველი დამატებითი ოქმის I მუხლის სავარაუდო დარღვევა

განმცხადებელმა გაასაჩივრა, რომ გაჭიანურდა სასამართლოს 2000 წლის 27 დეკემბრის სავალდებულო გადაწყვეტილების აღსრულება, ამით კი მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I პუნქტითა და პირველი დამატებითი ოქმის I მუხლით გათვალისწინებული უფლებები.

მთავრობის მტკიცებით, მას შემდეგ, რაც სადავო გადაწყვეტილება ძალაში შევიდა, განმცხადებელი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სადავო დარღვევების მსხვერპლად, კონვენციის 34-მუხლიდან გამომდინარე.

მთავრობა შემდგომში ამტკიცებდა, რომ განმცხადებელმა არ ამონურა შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები, რადგან მას არ აღუძრავს სამოქალაქო სარჩელი და არც სისხლისსამართლებრივი და/ან ადმინისტრაციული პროცედურები, რითიც სადავოდ გახდიდა სასამართლო აღმასრულებლების უმოქმედობას და მოითხოვდა კომპენსაციას შესაბამისი ზიანისთვის.

არსებითად, საქმის შესაბამის გარემოებებზე დაყრდნობით, მთავრობამ განაცხადა, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებას აღსრულების საკითხის მიმართ უნდა გამოეჩინა ჯეროვანი ყურადღება და ის, რომ სასამართლოს მიერ დაკისრებული ვალის გადახდა დროულად ვერ მოხერხდა, უფრო მეტად გამონვეული იყო სახელმწიფო ბიუჯეტში შესაბამისი სახსრების უქონლობით და ასევე, 2000 წლის 27 დეკემბრის სავალდებულო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის არასწორი ინტერპრეტაციის გამო. აღნიშნული სამართლებრივი ზომებისა და სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით, მთავრობამ განაცხადა, რომ, ზოგადად, მოპასუხე სახელმწიფომ გამოასწორა ვითარება სასამართლოს მიერ დაკისრებული დავალიანების გადახდის კუთხით.

აპლიკანტი აღნიშნულ პოზიციას არ დაეთანხმა და განაცხადა, რომ 2000 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილების დაგვიანებული აღსრულება თავის მხრივ არ შეიძლებოდა ყოფილიყო აღსრულების წარმოების დაუსაბუთებელი გაჭიანურების მიზეზი. აღსრულების გაჭიანურება განსაკუთრებით მნიშვნელოვან ზიანს აყენებდა მას ამ სიტუაციაში, რადგან დროულად გა-

დახდელი ფულადი კომპენსაცია მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო. მან განაცხადა, რომ რეალური მიზეზი, რამაც განაპირობა საბოლოო აღსრულება, იყო არა ხელისუფლების წარმომადგენელთა კეთილი ნება, როგორც ეს მთავრობის მხარემ განაცხადა, არამედ – ამ საქმეში სტრასბურგის სასამართლოს მონაწილეობა. სტრასბურგის სასამართლოს შესაბამის პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით, აპლიკანტი შემდგომში დაობს მთავრობის მიერ მოხსენიებულ ადგილობრივი ღონისძიებების რელევანტურობასა და ეფექტურობაზე.

დასაშვებობა

1. რაც შეეხება აპლიკანტის, როგორც მსხვერპლის, სტატუსს

სასამართლო ეთანხმება მთავრობის პოზიციას, რომ აპლიკანტის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება აბათილებს არაღსრულების საკითხს. მიუხედავად ამისა, ასეთი დაგვიანებული აღსრულება ვერანაირად ვერ ასაბუთებს აღსრულების პროცედურების გაჭიანურებას. შესაბამისად, აპლიკანტს კვლავ შეუძლია მოითხოვოს მსხვერპლის სტატუსის მინიჭება კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილისა და პირველი დამატებითი ოქმის I მუხლის საფუძველზე, იმ პერიოდის გათვალისწინებით, რა დროისთვისაც 2000 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება აღსრულებელი რჩებოდა.¹

შესაბამისად, სასამართლომ უარყო მთავრობის მხარის პირველადი პრეტენზია აპლიკანტის, როგორც მსხვერპლის, სტატუსთან დაკავშირებით.

2. რაც შეეხება ადგილობრივი ღონისძიებების ამოწურვას

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებულ, საფუძვლიანად დადგენილ პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით, სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ მთავრობის მიერ შეთავაზებული არც ერთი ღონისძიება არ შეიძლება ჩაითვალოს ეფექტურ ღონისძიებად აპლიკანტის საჩივართან მიმართებით, რომელიც უჩიოდა ხელისუფლებას გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურების გამო. სასამართლოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაკისრებული თანხის გადახდა შესაბამის ვადაში, უფრო მეტად დამოკიდებულია საკანონმდებლო-საბიუჯეტო ზომებზე, როგორც ეს გაცხადებული იყო მთავრობის მიერ წარმოდგენილ საქმეზე, ვიდრე – აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ქმედებებზე.²

შესაბამისად, მთავრობის მიერ წარმოდგენილი პირველადი პრეტენზია უნდა იქნეს უარყოფილი.

რაც შეეხება საქმის არსებითი მხარეს

სასამართლო კვლავ აღნიშნავს, რომ პირი, რომელიც სასამართლოში საქმეს მოუგებს სახელმწიფოს, არ არის ვალდებული, ცალკე აწარმოოს აღსრულების პროცედურა.³ ეს პრინციპი, რომელიც გამოიყენება წარმოდგე-

¹ *Voytenko v. Ukraine*, №18966/02, §32-35, 29/06/2004; *Romashov v. Ukraine*, №67534/01, §§23-27, 27/07/2004; *Skubenko v. Ukraine*, №41152/98, 6/04/2004;

² *Magomedov v. Russia*, №20111/03, §21, 04/12/2008; *Amat-G Ltd and Mebaghishvili*, §§ 37-40; *IZA Ltd and Makrakhidze v. Georgia*, №28537/02, §§31-37, 27/09/2005; *Voytenko*, cited above, §§28-32; *Romashov*, §§28-33.

³ *Metaxas v. Greece*, №8415/02, §19, 27/05/2004;

ნილი საქმის გარემოებების განხილვისას, გულისხმობს იმას, რომ მოპასუხე სახელმწიფო მას შემდეგ გახდა პასუხისმგებელი 2000 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილების აღსრულებაზე, როცა ის ძალაში შევიდა, ანუ – 2002 წლის 2 ოქტომბრიდან.¹ ეს გადაწყვეტილება კი აღუსრულებელი იყო 5 წლისა და 6 თვის განმავლობაში.

სასამართლო მიიჩნევს ამ პერიოდს – როგორც არაგონივრულად ხანგრძლივს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აფასებს აღსრულების გამარტივებული ნარმოების რისკს და მხარეთა ქმედებებს, ასევე აპლიკანტისათვის სასამართლოს მიერ მიკუთვნებული თანხის დროულად გადახდას.² მთავრობას არ გაუკეთებია რაიმე შენიშვნა, რაც ახსნიდა აღნიშნულ გადადებას. ფინანსების არქონა სახელმწიფო ბიუჯეტში არ არის გამამართლებელი არგუმენტი ამ საკითხთან დაკავშირებით.³ არც შესაძლო პროცედურული სირთულეები მეტყველებს რაიმეს აპლიკანტის საწინააღმდეგოდ.

ზემოხსენებული მოსაზრებები საკმარისია სასამართლოსათვის შემდეგი დასკვნის გასაკეთებლად: ადგილობრივმა ხელისუფლებამ 5 წლისა და 6 თვის განმავლობაში აპლიკანტის სასარგებლოდ გამოტანილი, ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებლობით დაარღვია კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილით გარანტირებული უფლება და ხელი შეუშალა მას თავისი საკუთრებით შეუფერხებლად სარგებლობაში.⁴

შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი.

კონვენციის მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევა

ანალოგიურად დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი, როდესაც მთავრობამ თავისი ვალდებულება დროულად არ შეასრულა.

თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილისა და პირველი დამატებითი ოქმის I მუხლის დარღვევა, აღარ თვლის საჭიროდ, იგივე გარემოებები განიხილოს კონვენციის მე-13 მუხლის კონტექსტში.⁵

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო შემადგენლობამ ერთხმად დაადგინა, რომ:

1. დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი;

2. არ არის საჭირო, განიხილოს აღნიშნული მოთხოვნები კონვენციის მე-13 მუხლთან დაკავშირებით;

3. კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე მოპასუხე სახელმწიფომ განმცხადებელს 3 000 ევრო უნდა გადაუხადოს საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანიდან 3 თვის განმავლობაში.

¹ *Magomedov*, §21, and *Semochkin v. Russia*, №3885/04, §17, 4/12/2008;

² *Raylyan v. Russia*, №22000/03, §31, 15/02/2007;

³ *Amat-G and Mebaghishvili*, §48;

⁴ *Voytenko*, §§43 and 55; *Vodopyanovy v. Ukraine*, №22214/02, §§31-36, 17/01/2006;

⁵ *Paslen v. Ukraine*, №44327/05, §14, 11/12/2008;

Derkach and Palek v. Ukraine, №34297/02 and 39574/02, §42, 21/12/2004

გორგილაძე საქართველოს წინააღმდეგ
CASE of GOURGILADZE v. GEORGIA (№4313/04)

2004 წლის 22 იანვარს დავით გორგილაძემ განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2009 წლის 20 ოქტომბერს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№4313/04) და ერთხმად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი და მე-6 მუხლის პირველი ნაწილი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებელი დავით გორგილაძე დაიბადა 1981 წელს და ცხოვრობს ლანჩხუთში. 2002 წლის 29 ივნისს ლანჩხუთის რაიონულმა პროკურატურამ განმცხადებელის მიმართ დაიწყო გამოძიება მამა-შვილის მკვლელობის ფაქტზე. იმავე დღეს დავით გორგილაძე გამოცხადდა პოლიციის განყოფილებაში და განაცხადა, რომ მან ლამის 2 საათზე, ჩხუბის დროს, დაჭრა მამა-შვილი. 12-საათიანი დაკავების შემდეგ განმცხადებელს დაენიშნა სახაზინო ადვოკატი.

2002 წლის 30 ივნისის დადგენილებით, განმცხადებელს გამოძიებელმა მკვლელობისთვის წაუყენა ბრალი და იგი დაიკითხა, როგორც მკვლელობაში ეჭვმიტანილი. მან გამოიყენა დუმის უფლება და მხოლოდ საკუთარი უდანაშაულობის მტკიცებით შემოიფარგლა. 2002 წლის ნოემბერში წინასწარი გამოძიება დასრულდა, რაც ეცნობა განმცხადებელსა და მის ადვოკატს. ამის შემდეგ ისინი გაეცნენ საქმის მასალებს. 2002 წლის 29 დეკემბერს საბრალდებო დასკვნა და განმცხადებლის საქმე პროკურატურიდან გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს განაჩენის გამოსატანად. 2003 წლის 17 იანვარს განმცხადებელი მოათავსეს თბილისის №5 საპყრობილეში.

2003 წლის 21 მაისს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ, რომელიც ერთი მოსამართლისა და ორი მსაჯულისგან შედგებოდა, განმცხადებელი დამნაშავედ ცნო მის მიმართ წაყენებულ ბრალდებაში და 18 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. განმცხადებელმა განაჩენი გაასაჩივრა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო კოლეგიაში. საჩივარი განიხილა უზენაესი სასამართლოს სამი პროფესიონალი მოსამართლისგან შემდგარმა სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ, რომელმაც მისი მოთხოვნები არ დააკმაყოფილა.

2003 წლის 16 აგვისტოს განმცხადებელი მოათავსეს თბილისის №5 საპყრობილის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა და პატიმართა №40 საკანში, ხოლო 2004 წლის 14 დეკემბერს გადაიყვანეს ქსნის №7 დანესებულებაში.

მხარეთა არგუმენტები კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით

ევროსასამართლოსთვის მიმართვის მომენტში განმცხადებელი ასაჩივრებდა იმ ფაქტს, რომ ის მოათავსეს თბილისის №5 საპყრობილეში, 24 პატიმარზე გათვლილ ბინძურ საკანში, 35 სხვა პატიმართან ერთად, რაც პატიმ-

რებს აიძულებდა, მორიგეობით დაეძინათ. საკანი იმდენად ნესტიანი იყო, რომ მასში ჯანმრთელი პაციმრებიც კი ავად ხდებოდნენ, ირგვლივ სუფევდა საშინელი ანტისანიტარია. ამას გარდა, ციხის ადმინისტრაციის მიერ მიწოდებული საკვები იყო უკიდურესად მწირი.

მთავრობას მიაჩნია, რომ განმცხადებელს არ ამოუნურავს მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებები, ვინაიდან მას არ გამოუყენებია „პაციმრობის შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის I ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 33-ე მუხლით გარანტირებული უფლება.

სასამართლოს შეფასება

კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით

სასამართლო შეახსენებს, რომ მან უკვე განიხილა მიმართვის იმ საშუალებების საკითხი, რომლის გამოყენებაც მთავრობის თანახმად, პაციმარს შეუძლია „პაციმრობის შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, თუ მას მიაჩნია, რომ იმავე კანონის 33-ე მუხლის მოთხოვნები მის მიმართ უგულებელყოფილ იქნა. კერძოდ, საქმეში – ***ალიევი საქართველოს წინააღმდეგ*** – სასამართლომ დაასკვნა: როდესაც საქმე ეხებოდა პაციმრობის პირობებს, დამტკიცებული არ იყო, რომ აღნიშნული მიმართვის საშუალება პრაქტიკაში არსებობდა და რომ ის შეიძლებოდა, მიჩნეულიყო, როგორც „ეფექტური.“

იმის გათვალისწინებით, რომ „პაციმრობის შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის I ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და 33-ე მუხლის ერთი და იგივე რედაქცია ძალაში იყო განმცხადებლისა და ბატონი ***ალიევის*** პაციმრობის პერიოდში და რომ ამ ორი პირის პაციმრობის პერიოდები საკმარისად ემთხვევა ერთმანეთს, სასამართლო მიიჩნევს, რომ ***ალიევის*** საქმესთან დაკავშირებული მსჯელობა ვრცელდება წინამდებარე განაცხადზეც და რომ მოცემულ საქმეში არ არსებობს მისგან გადახვევის აუცილებლობა.

სასამართლო შეახსენებს, რომ კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოს ავალდებულებს, უზრუნველყოს, რომ თითოეული პაციმარი იმყოფებოდეს მისი ადამიანური ღირსების პატივისცემის პირობებში, რომ სასჯელის აღსრულებამ არ გამოიწვიოს განსაცდელი ან ტანჯვა, რომლის ინტენსივობაც გადააჭარბებს პაციმრობის თანმდევ, გარდაუვალ ტანჯვას.¹ ამასთანავე, პაციმრის ჯანმრთელობის გარდა, ასევე ადეკვატურად და პაციმრობის გონივრული მოთხოვნილებების გათვალისწინებით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი მისი კეთილდღეობა.² ლოგისტიკური და ფინანსური პრობლემების მიუხედავად, სახელმწიფო ვალდებულია, ისე მოაწყოს თავისი პენიტენციური სისტემა, რომ უზრუნველყოს პაციმრების ადამიანური ღირსების პატივისცემა.³

სასამართლო ასევე შეახსენებს, რომ კონვენციის მე-3 მუხლის მფარველობის ქვეშ მოსახვედრად მოპყრობამ უნდა მიაღწიოს „ტანჯვის მინიმალურ ზღვარს.“ ამ მინიმუმის შეფასება დამოკიდებულია კონკრეტული საქმის გარემოებებზე,⁴ კერძოდ, მოპყრობის კონტექსტსა და ხასიათზე, ასევე მის

¹ *Ostrovar c. Moldova*, №35207/03, §79, 13/09/2005; *Kafkaris c. Chypre*, №21906/04, §96;

² *Sakkopoulos c. Grèce*, №61828/00, §38, 15/01/2004; *Kudla c. Pologne (GC)*, №30210/96, §94;

³ *Soukhovoy c. Russie*, №63955/00, §31, 27/03/2008; *Benediktov c. Russie*, №106/02, §37, 10/05/2007;

⁴ *Labita c. Italie*, 06/04/2000, *Recueil 2000-IV*, §120.

ხანგრძლივობაზე, მის მიერ გამოწვეულ ფიზიკურ და მენტალურ შედეგებზე, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში - მსხვერპლის სქესზე, ასაკსა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.¹ აღნიშნული მტკიცებულებების შეფასების მიზნით, სასამართლო იღებს ისეთ კრიტერიუმს, რომელიც „ყოველგვარ გონივრულ ეჭვს სცილდება.“²

სასამართლო აღნიშნავს, რომ თბილისის №5 საპრობილემო არსებულ პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით მხარეების მიერ წამოყენებული არგუმენტები ერთმანეთისგან დიამეტრალურად განსხვავდება. მთავრობა ამტკიცებს, რომ საკანში არსებული ერთადერთი პრობლემა დაკავშირებული იყო სანოლების რაოდენობასთან, რომელიც მცირედ განსხვავდებოდა პატიმართა რაოდენობისაგან. თავის მხრივ, განმცხადებელი ამტკიცებს, რომ მას არ ჰქონდა პირადი სანოლი, იძულებული იყო, ეცხოვრა „საზარელ“ ჰიგიენურ პირობებში და არ ჰქონდა არც დღის სინათლე და არც სუფთა ჰაერი. ამასთანავე, საკვებიც ძალიან ცუდი ხარისხის იყო.

სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობის არგუმენტს ეწინააღმდეგება მის მიერვე სამთავრობო მიმოხილვის გასამყარებლად წარმოდგენილი ერთ-ერთი დოკუმენტური მტკიცებულება. კერძოდ, თბილისის №5 საპრობილის დირექტორის მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტიდან ირკვევა, რომ 2003 წლის იანვარსა და აგვისტოს შორის პერიოდში აღნიშნული დაწესებულების საკნებში საერთოდ არ იყო ვენტილაცია, ხოლო ტუალეტები საკნების დანარჩენი სივრცისგან იზოლირებული არ იყო.

წამების საწინააღმდეგო კომიტეტის დასკვნებიდან, რომლებიც მოცემულია 2002 წლის 25 ივნისსა და 2005 წლის 30 ივნისს გამოქვეყნებულ მოხსენებებში, ირკვევა, რომ ჯერ კიდევ 2001 წელს თბილისის №5 საპრობილემო მნიშვნელოვნად იყო გადატვირთული და რომ მისი საკნები, როგორც სარდაფში, ასევე სართულებზე, ბინძური, ნესტიანი და დაზიანებული იყო. შესაბამისად, სადაც არ უნდა ყოფილიყო განმცხადებლის საკანი, იქ არსებული სივრცე არ იქნებოდა საკმარისი და არსებობს დიდი ალბათობა, რომ განმცხადებელს არ ჰქონოდა პირადი სანოლი, რათა ნორმალურად დაძინების საშუალება ჰქონოდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავრობის არგუმენტი არც სათანადოდ მოტივირებულია და არც დოკუმენტურად დადასტურებული. ის არც სასამართლოს ხელთ არსებული მტკიცებულებებით არის გამყარებული. პირიქით, „ყოველგვარ გონივრულ ეჭვს მიღმა,“ ის იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ განმცხადებელზე მის მიერ გასაჩივრებულმა პატიმრობის პირობებმა მართლაც მოახდინა ზეგავლენა, კერძოდ: მას მოუწია პირადი სანოლის უქონლობის, სუფთა ჰაერისა და დღის სინათლის მუდმივი ნაკლებობის,³ ასევე სიბინძურის ატანა თბილისის №5 საპრობილემო ყოფნის პერიოდში, რაც შვიდ თვეს გაგრძელდა.⁴

მთავრობას არ დაუმტკიცებია, რომ განმცხადებელი ეწეოდა ორგანიზებულ საქმიანობას, რაც მას შესაძლებლობას აძლევდა, დაეტოვებინა საკანი დღის გარკვეული დროის განმავლობაში, ან რომ ის სარგებლობდა რეგულარული სეირნობის უფლებით, ისე, რომ მის საკანში არსებული ჰაერის უკმარისობა მცირე მოცულობით მაინც ყოფილიყო კომპენსირებული.⁵

¹ *Price c. Royaume-Uni*, №33394/96, §24; *Mikadze c. Russie*, №52697/99, §108, 07/06/2007;

² *Chamaïev et autres c. Géorgie et Russie*, №36378/02, §338, CEDH 2005-III.

³ *Peers c. Grèce*, №28524/95, §§70-72, CEDH 2001-III;

⁴ *Mayzit c. Russie*, №63378/00, §42, 20/01/2005 ;

⁵ *Valašinas, précité*, §107 in fine; *Trepachkine c. Russie*, №36898/03, §94, 19/07/2007.

სასამართლოს მიაჩნია, რომ პატიმრობის ასეთმა პირობებმა განმცხადებელს უდავოდ მიაყენა ისეთი ტანჯვა, რომელიც სცილდებოდა პატიმრობის თანმხლებ აუცილებელ ტანჯვას. აქედან გამომდინარე, განმცხადებლის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

მხარეთა არგუმენტები კონვენციის მე-6 მუხლის 1 ნაწილის დარღვევასთან დაკავშირებით

განმცხადებელი მიიჩნევს, რომ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია, რომელმაც ის პირველი ინსტანციით გაასამართლა, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს, როგორც „კანონის საფუძველზე შექმნილი“, იმ თვალსაზრისით, რომ კოლეგია შედგებოდა ორი არაპროფესიონალი მსაჯულისგან, რომლებსაც არ ჰქონდათ მოსამართლის ფუნქციების განხორციელების იურიდიული კომპეტენცია.

მთავრობა მიიჩნევს, რომ განმცხადებელმა არ ამოწურა მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებები. კერძოდ, მას არ გამოუყენებია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 108-ე მუხლით გარანტირებული მსაჯულების აცილების მოთხოვნის უფლება.

განმცხადებელს მიაჩნია, რომ წინამდებარე საქმის სპეციფიკური გარემოებების გათვალისწინებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული მსაჯულის აცილების მოთხოვნა არ წარმოადგენდა მიმართვის ეფექტურ საშუალებას, რომელიც მას უნდა გამოეყენებინა.

სასამართლოს შეფასება

სასამართლო შეახსენებს, რომ „საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების“ მიხედვით, ზოგიერთი განსაკუთრებული გარემოება ათავისუფლებს განმცხადებელს მის ხელთ არსებული მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებების ამოწურვის ვალდებულებისაგან. აღნიშნული წესი ასევე არ გამოიყენება ადმინისტრაციული პრაქტიკის არსებობის შემთხვევაში, რაც მდგომარეობს კონვენციით აკრძალული აქტების განმეორებასა და სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული აქტების შემწყნარებლობაში, ისე, რომ ყოველგვარი პროცედურა არაეფექტური და აზრს მოკლებულია.¹ სხვა სიტყვებით, მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებების ამოწურვის წესი ავტომატურად არ გამოიყენება და აბსოლუტურ ხასიათს არ ატარებს; მისი შესრულების კონტროლთან ერთად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქმის გარემოებები.²

გარდა ამისა, კონვენცია ავალდებულებს მხოლოდ მიმართვის იმ შიდასამართლებრივი საშუალებების ამოწურვას, რომლებიც არსებობს სარწმუნოების საკმარის დონეზე როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკაში, რის გარეშეც მათ აკლია სასურველი ეფექტურობა და ხელმისაწვდომობა.³

რაც შეეხება წინამდებარე საქმეს, სასამართლო აღნიშნავს: რეალურად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 108-ე მუხლის გამოყენებით, განმცხადებელს შეეძლო, მოეთხოვა თავისი საქმის განმხილველი მსაჯულე-

¹ *Aksoy c. Turquie*, 18/12/1996, §52, *Recueil 1996-VI*;

² *Akdivar et autres c. Turquie*, 16/09/1996, §§65-69, *Recueil 1996-IV*;

³ *Dalia c. France*, 19/02/1998, §38, *Recueil 1998-I*.

ბის აცილება. თუმცა, აღნიშნული მოთხოვნის ფორმულირება მხოლოდ იმავე კოდექსის 105-ე მუხლის I ნაწილში მოცემული მოტივების არსებობის შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი. მთავრობა არ იძლევა ახსნა-განმარტებას იმის შესახებ, თუ აღნიშნული მოტივებიდან რომელს უნდა დაყრდნობოდა განმცხადებელი მსაჯულთათვის აცილების მიცემის მოთხოვნის კანონის შესაბამისად დასაბუთების მიზნით. სასამართლოს შეუძლია, მხოლოდ ივარაუდოს, რომ იმ საკითხის გათვალისწინებით, რომელიც განმცხადებელს ანუხებდა, მას შეეძლო, დაყრდნობოდა 105-ე მუხლის I ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში მოცემულ მოტივს იმის სამტკიცებლად, რომ მსაჯულები არ იყვნენ „დანიშნულნი ან არჩეულნი თანამდებობაზე კანონით დადგენილი წესების შესაბამისად“.

ამას გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ ორ მსაჯულს არ განუცხადებია თვით-აცილება 105-ე მუხლის I ნაწილის იმავე დებულების საფუძველზე, მაშინ, როდესაც, სსსკ-ის 108-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, მათ ჰქონდათ თვით-აცილების „ვალდებულება“.

თავის მხრივ, მთავრობას არ განუმარტავს, თუ რა სახით შეიძლებოდა გამოსწორებულყო სიტუაცია იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი ზემოაღნიშნული მიმართვის საშუალებას გამოიყენებდა, ვინაიდან სახეზე იყო იმ სამართლებრივი ჩარჩოების არარსებობის პრობლემა, რომლებსაც უნდა მოეწინააღმდეგებინა ქვეყნის სასამართლო სისტემის ერთი ნაწილი.¹ იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღნიშნული მიმართვის საშუალება შედეგად გამოიღებდა ხსენებული ორი მსაჯულის აცილებას, იმისათვის, რომ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას გამოეტანა განაჩენი საქმეზე,² აღნიშნულ პირებს შეცვლიდნენ სხვა მსაჯულებით, რომელთა მიმართაც განმცხადებელს ანალოგიური პრეტენზიები ექნებოდა. საქმე იმაშია, რომ განმცხადებლის პრეტენზიები მიმართული იყო არა ორი კონკრეტული მსაჯულის, არამედ, მთლიანად, მსაჯულთა ინსტიტუტის წინააღმდეგ, რომელსაც ისინი წარმოადგენდნენ და რომელიც, განმცხადებლის მტკიცებით, მოკლებული იყო კანონიერ საფუძველს. შესაბამისად, მთავრობის მიერ ხსენებული აცილების მოთხოვნა ნამდვილად ვერ გამოასწორებდა არსებულ ხარვეზს, ვინაიდან იგი ძირშივე, თავიდანვე აშკარად იყო განწირული მარცხისთვის.³ აღნიშნული მოთხოვნა არ წარმოადგენდა მიმართვის „ეფექტურ“ საშუალებას. მთავრობამ ასევე ვერ მიუთითა ანალოგიურ სიტუაციაში რომელიმე ბრალდებულის მიერ აცილების მოთხოვნის გაკეთების მაგალითზე და ვერც აღნიშნული მოთხოვნის საფუძველზე სავარაუდოდ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება წარმოადგინა.

განმცხადებელი ეჭვქვეშ აყენებს უზენაესი სასამართლოს მსაჯულთა კომპეტენტურობას, რომლებსაც, ასრულებდნენ რა მოსამართლის მოვალეობის იდენტურ მოვალეობას, არ ჰქონდათ არც შესაბამისი განათლება და არც გამოცდილება. მონაწილეობდნენ რა ბრალდებულთა განსჯაში იმ მნიშვნელოვან საქმეებში, რომლებიც უზენაესი სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციით განიხილებოდა, მსაჯულებზე, მოსამართლისგან განსხვავებით, არ ვრცელდებოდა პროფესიონალიზმისა და თანამდებობაზე კონკურსის წესით დანიშვნის მოთხოვნა.⁴ შესაბამისად, განმცხადებელი ასკვნის, რომ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია, რომელიც შედგებოდა ერთი მოსამართლისა და ორი მსაჯულისაგან, არ იყო

¹ *Sejdovic c. Italie [GC]*, №56581/00, §46, CEDH 2006-II;

² იხ., „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი;

³ *Brusco c. Italie (déc.)*, №69789/01, CEDH 2001-IX;

⁴ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 46-ე მუხლის I ნაწილი.

სამართლებრივად კომპეტენტური მის წინააღმდეგ მიმართული ბრალდების დასაბუთებულობის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

მთავრობა ეწინააღმდეგება აღნიშნულ არგუმენტს. მისი მტკიცებით, სადავო სასამართლო კოლეგიაში ორი მსაჯულის მონაწილეობა სრულიად კანონიერი იყო, ვინაიდან აღნიშნული გათვალისწინებული იყო „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილით. ამასთანავე, სსსკ-ის 44-ე მუხლის მე-2 ნაწილი შეიცავდა „მსაჯულის“ განსაზღვრებას. მსაჯულები, რომლებიც საქართველოში სადავო საქმის განხილვის პერიოდში ახორციელებდნენ მართლმსაჯულებას, კანონმდებლებმა აირჩიეს 1991 წელს და მათი უფლებამოსილების ვადა რამდენჯერმე გახანგრძლივდა შესაბამისი კანონების საფუძველზე. და ბოლოს, მთავრობა განმარტავს, რომ არ არსებობდა იურიდიული ტექსტი, რომელიც განსაზღვრავდა ამა თუ იმ სისხლის სამართლის საქმის განხილვაში მსაჯულთა მონაწილეობის წესებს.

ზემოაღნიშნულის საპასუხოდ, განმცხადებელი ამტკიცებს, რომ მსაჯულის ფუნქციის განხორციელების სხვადასხვა წესი (არჩევის წესები, უფლებები და მოვალეობები, საქმეების განხილვაში მონაწილეობა), რომლებიც გათვალისწინებულია 1997 წლის 13 ივნისის კანონის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილით, არასოდეს ყოფილა დამტკიცებული. ფაქტობრივად, მსაჯულებთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდებოდა 1990 წლის 28 დეკემბრის კანონიდან¹ გამომდინარე პრაქტიკის შესაბამისად.

სასამართლო შეახსენებს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1 ნაწილის შესაბამისად, „სასამართლო“ ყოველთვის „კანონის საფუძველზე შექმნილი“ უნდა იყოს. აღნიშნული ტერმინი ევროპული კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების სისტემის განუყოფელ, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს გამოხატავს. ორგანო, რომელიც არ არის შექმნილი კანონმდებლის ნების შესაბამისად, უდავოდ მოკლებულია დემოკრატიული საზოგადოებისთვის აუცილებელ ლეგიტიმურობას, განიხილოს კერძო პირთა დავები.²

კონვენციის მე-6 მუხლის 1 ნაწილით გათვალისწინებული „კანონი“ გულისხმობს არამხოლოდ სასამართლო ორგანოების შექმნისა და კომპეტენციის შესახებ კანონმდებლობას, არამედ – შიდა სამართლის ყველა სხვა დებულებას, რომლისგან გადახვევაც კანონიერ საფუძველს აცლის საქმის განხილვაში ერთი ან რამდენიმე მოსამართლის მონაწილეობას. უფრო კონკრეტულად, საქმე ეხება მსაჯულთა უფლებამოსილებას, თანამდებობრივ შეუთავსებლობასა და აცილებას.³ გარდა ამისა, ტერმინი „კანონის საფუძველზე შექმნილი,“ ეხება არამხოლოდ თვით „სასამართლოს“ არსებობის სამართლებრივ საფუძველს, არამედ, ასევე – მის შემადგენლობას თითოეული საქმის განხილვისას.⁴

სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, კონვენციის მე-6 მუხლში ტერმინის – „კანონის საფუძველზე შექმნილი“ – ჩანერა მიზნად ისახავს იმის თავიდან აცილებას, რომ მართლმსაჯულების სისტემის ორგანიზაცია აღმასრულებელი ხელისუფლების დისკრეციაზე არ იყოს დამოკიდებული და რომ აღნიშნული საკითხი წესრიგდებოდეს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე. კოდიფიცირებული სამართლის მქონე ქვეყნებში მართლმსაჯულების სისტემის ორგანიზაცია არც მხოლოდ სასამართლო უწყებების დისკრეციაზე უნდა იყოს დამოკიდებული, რაც, ამის მიუხედავად, არ გამო-

¹ აღნიშნული კანონი გაუქმდა 1997 წლის 13 ივნისს;

² *Lavents c. Lettonie*, №58442/00, §114, 28/11/2002;

³ *Gurov c. Moldova*, №36455/02, §36, 11/07/2006

⁴ *Buscarini c. Saint-Marin (déc.)*, №31657/96, 04/05/2000; *Posokhov c. Russie*, №63486/00, §39 ;

რიცხავს მათთვის აღნიშნულ სფეროში არსებული ეროვნული კანონმდებლობის ინტერპრეტაციის გარკვეული უფლების აღიარებას.¹ აღნიშნულის მიუხედავად „კანონის საფუძველზე შექმნილად“ ვერ იქნება მიჩნეული სასამართლო, რომელიც აჭარბებს კანონით მისთვის ნათლად განსაზღვრულ სასამართლო კომპეტენციას.²

უბრუნდება რა წინამდებარე საქმის გარემოებებს, სასამართლო შეახსენებს, რომ 2005 წლის 25 მარტს მსაჯულთა ინსტიტუტის გაუქმებამდე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მსაჯულები იყვნენ კერძო პირები, რომლებსაც ჰქონდათ სხვა პროფესია და აღნიშნული სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეების პირველი ინსტანციით განხილვაში პროფესიონალ მოსამართლესთან ერთად მონაწილეობდნენ. მსაჯულთა ინსტიტუტი საბჭოთა მართლმსაჯულების სისტემის გადმონაშთია. მსაჯულები ხალხის წარმომადგენლები იყვნენ და უზრუნველყოფდნენ მართლმსაჯულების განხორციელებაში ხალხის მონაწილეობას. ისინი მსაჯულის ფუნქციებს თავიანთი მოქალაქეობრივი მოვალეობის კონტექსტში ასრულებდნენ.

სასამართლო იზიარებს მთავრობის არგუმენტს, რომლის თანახმად, განმცხადებლის საქმის განხილვაში ორი მსაჯულის მონაწილეობა ეფუძნებოდა „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილს. ის ასევე ემყარებოდა სსსკ-ის 434-ე მუხლის I ნაწილს. აღნიშნული დებულებების გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განმცხადებლის საქმის განმხილველი სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის არსებობა მოქმედი კანონით იყო გათვალისწინებული.

აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლო ორგანოს მხოლოდ ლეგალური არსებობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ის მიჩნეულ იქნეს „კანონის საფუძველზე შექმნილ“ სასამართლოდ. საქმე იმაშია, რომ წინამდებარე განაცხადში იმის კითხვა იმის შესახებ, **ჰქონდა თუ არა ეროვნულ სამართალში საკმარისი იურიდიული საფუძველი მსაჯულების მიერ მოსამართლის ფუნქციის განხორციელებას.** მართლაც, უნდა დავასკვნათ შემდეგი: ამ თვალსაზრისით, 1999 წლის 5 მარტსა და 28 მაისს შორის არსებული მოკლე პერიოდის გარდა, აღნიშნული საკითხის მომწესრიგებელი არავითარი კანონი არ არსებობდა. თუ სსსკ-ის 44-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის თანახმად, მსაჯული იყო საქართველოს მოქალაქე, რომელიც, „კანონით“ დადგენილი წესის შესაბამისად, უფლებამოსილი იყო, მონაწილეობა მიეღო საქმის სასამართლო განხილვაში, აღნიშნული კანონი არ არსებობდა ამ ფაქტების არსებობის მომენტში. ყოველ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ ჩატარებულ კვლევას არ გამოუვლენია ასეთის არსებობა და საგანგებოდ დაესვა რა შეკითხვები აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობას არავითარი არგუმენტით არ უპასუხია. რეალურად, ორივე ტექსტი აწესრიგებდა მსაჯულთა ფუნქციების განხორციელებას — კანონი მოსამართლის სტატუსის შესახებ და 1999 წლის 5 მარტის კანონი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ — ფაქტების არსებობის მომენტში უკვე გაუქმებული იყო ისე, რომ შემდეგ, მათი შემცვლელი არავითარი კანონი არ ყოფილა მიღებული.

რაც შეეხება მთავრობის არგუმენტს, რომელიც ემყარებოდა 1991 წლის დადგენილებასა და მსაჯულთა უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ კანონებს, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის საქმის განხილვაში მონაწილე ორი მსაჯული მაშინდელმა საკანონმდებლო ორგანომ

¹ *Coëme et autres c. Belgique*, №32492/96, 32547/96, 32548/96, 33209/96 et 33210/96;

Savino et autres c. Italie, №17214/05, 20329/05 et 42113/04, §94, 28/09/2009;

² *Sokourenko et Strygoun c. Ukraine*, №29458/04 et 29465/04, §§23-28, 20/07/2006.

აირჩია 1991 წლის 14 ივნისს. ამასთანავე, თვით 1991 წლის დადგენილება წარმოადგენს მსაჯულის თანამდებობაზე არჩეულ პირთა სიას და არ შეიცავს არავითარ დაზუსტებას კანდიდატების შერჩევის, აღნიშნულ თანამდებობაზე მათი ურთიერთმონაცვლეობის, მათი უფლებებისა და მოვალეობის და ა.შ. შესახებ. ასეთივე შენიშვნა შეიძლება გამოითქვას ცვლილებებისა და დამატებების შესახებ შემდგომ მიღებულ კანონებთან მიმართებით, რომლებითაც, 1997 წლის 27 ივნისსა და 2005 წლის 31 დეკემბერს შორის პერიოდში, ყოველგვარი დაზუსტების გარეშე ხდებოდა მსაჯულთა უფლებამოსილების ავტომატური გაგრძელება. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 1996 წლის 7 მარტის დადგენილებისგან განსხვავებით, რომელიც მიუთითებდა იმ იურიდიულ საფუძველზე, რომელსაც კანონმდებელი ეყრდნობოდა მსაჯულთა უფლებამოსილების ვადის გაგრძელების მიზნით, აღნიშნული კანონები მსგავსი ტიპის არავითარ დებულებას არ შეიცავდა, იმის გათვალისწინებით, რომ სამართლებრივი საფუძველი, რომელიც აწესრიგებდა მსაჯულთა მიერ მოსამართლის ფუნქციების განხორციელებას, არ ან აღარ არსებობდა.

სასამართლო ასკენის: განმცხადებლის საქმის განხილვაში მონაწილე ორმა მსაჯულმა მოსამართლის თანაბარი უფლებამოსილებით განახორციელა მართლმსაჯულება და მათი რიცხვის გათვალისწინებით, ჰქონდათ აუცილებელი ხმათა უმრავლესობა გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. ვინაიდან, მათ მიერ მოსამართლის ფუნქციის განხორციელება ეფუძნებოდა სასამართლო პრაქტიკას, რომელსაც ეროვნულ სამართალში იურიდიული საფუძველი არ გააჩნდა, კოლეგია, რომელშიც ისინი მონაწილეობდნენ, არ წარმოადგენდა „კანონის საფუძველზე შექმნილს“.

ხელმძღვანელობს რა სამართლიანობის პრინციპით, სასამართლო განმცხადებელს მიაკუთვნებს 5.000 ევროს მორალური ზიანის ანაზღაურების სახით. ასევე, საჭიროა, აღინიშნოს, რომ როდესაც განმცხადებელს პირველი ინსტანციით საქმის განხილვისას მსჯავრი დასდო იმ სასამართლომ, რომელიც კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, არ იყო კანონის საფუძველზე შექმნილი და ამის შემდეგ საქმე ხელახლა არსებითად არ განხილულა, ახალი პროცესი ან საქმის ხელახალი არსებითი განხილვა, განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე, პრინციპში, წარმოადგენს დადგენილი დარღვევის აღმოფხვრის სათანადო საშუალებას.¹

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად ადგენს, რომ:

1. დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი;
2. დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი;
3. მოპასუხე სახელმწიფომ, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გადანყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან სამი თვის განმავლობაში განმცხადებელს უნდა გადაუხადოს 5.000 (ხუთი ათასი) ევრო მორალური ზიანისათვის.

¹ *Öcalan c. Turquie [GC], №46221/99, §210, CEDH 2005-IV.*

ფანჯიკიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ

CASE of PANJIKIDZE and Others v. GEORGIA (№30323/02)

2002 წლის 24 ივლისს არჩილ ფანჯიკიძემ და სხვებმა განაცხადით მიმართეს სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2009 წლის 27 ოქტომბერს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№30323/02) და ერთხმად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი და მე-6 მუხლის პირველი ნაწილი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

1999 წლის 24 აპრილს, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს კონტრაზვერვის სამსახურის ინფორმაციის საფუძველზე, უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსმა გარკვეულ პირთა ჯგუფის მიმართ აღძრა სისხლის სამართლის საქმე საქართველოს ხელისუფლების დამხობისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით შეთქმულების მომზადების ბრალდებით. აღნიშნულ დაჯგუფებას ხელმძღვანელობდა რუსეთში მცხოვრები საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრი, რომლის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, უშიშროების, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრების ფიზიკური ლიკვიდაცია.

2001 წლის 8 ნოემბერს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ, მოსამართლისა და ორი მსაჯულის (არაპროფესიონალი მოსამართლის) შემადგენლობით, გამოიტანა ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი. *ფანჯიკიძე, ყურაშვილი, ქანთარია* და *გიორგაძე* დამნაშავეებად ცნეს შეთქმულების გზით სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით სამშობლოს ღალატში; *ქანთარია* ასევე დამნაშავედ იქნა ცნობილი იარაღის უკანონოდ შექმნასა და შენახვაში; *ფანჯიკიძე* ასევე ბრალეულად იქნა ცნობილი, მთავარი მონაწილის – რ.-ს და კ.-ს ჩვენებების გათვალისწინებით, რომლებმაც მოსამართლესა და დაცვის მხარეს აღუწერეს თავიანთი შეხვედრები განმცხადებელთან, რომელიც მათ აცნობდა სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრის მიერ ინიცირებულ შეთქმულების გეგმას და ცდილობდა მათ ჩართვას აღნიშნული გეგმის განხორციელებაში. ბრალდების დანარჩენ ნაწილებში ისინი გამართლდნენ.

ფანჯიკიძეს, ყურაშვილსა და ქანთარიას – თითოეულს, სასჯელის სახით სამი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა, ხოლო *გიორგაძეს* – ორი წლითა და სამი თვით თავისუფლების აღკვეთა. ეს უკანასკნელი სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა, ვინაიდან წინასწარი პატიმრობის დრო ჩაეთვალა სასჯელის მოხდის ვადაში.

აღნიშნულ განაჩენში არც უშიშროებისა და არც შინაგან საქმეთა მინისტრები არ ფიგურირებენ, როგორც დაზარალებული მხარეები. გარდა ამისა, არც საქმის სხვა მასალებიდან ირკვევა, რომ ზემოაღნიშნული ორი პიროვნება ასეთი სტატუსით ყოფილიყო დაკითხული.

განაჩენი *გიორგაძეს* საკასაციო წესით არ გაუსაჩივრებია. დანარჩენმა სამმა განმცხადებელმა თავიანთი მსჯავრდების საფუძვლიანობა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო პალატაში გაასაჩივრა და საკასაციო საჩივარში გააპროტესტა ის, რომ მათი საქმის წინასწარ

გამოძიებას უშიშროების სამინისტრო აწარმოებდა, მაშინ, როდესაც თავად უშიშროების მინისტრი ამავე საქმეში სასამართლომ დაზარალებულად ცნო.

2002 წლის 25 იანვარს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, სამი პროფესიონალი მოსამართლის შემადგენლობით, უცვლელად დატოვა 2001 წლის 8 ნოემბრის განაჩენი, მოისმინა რა მხარეთა არგუმენტები, „შეისწავლა საქმეში არსებული მტკიცებულებები, შეამოწმა განაჩენის კანონიერება და საჩივრების დასაბუთებულობა“. კერძოდ, პალატამ მიიჩნია: იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებლები მსჯავრდებულნი იქნენ მხოლოდ ბრალდების უტყუარი მტკიცებულებებით გამყარებულ ნაწილებში, ბრალდების დანარჩენ ნაწილებთან მიმართებით არსებული ეჭვები და ვარაუდები მათ სასარგებლოდ იქნა გამოყენებული.

შესაბამისი შიდა სამართალი მსაჯულებთან დაკავშირებით

აღნიშნული კანონმდებლობა ადგენდა იმ მოთხოვნებს, რასაც მოსამართლეები და მსაჯულები უნდა აკმაყოფილებდნენ. კანონმდებლობით ასევე დადგენილი იყო მათი დამოუკიდებლობის პრინციპები და ხელშეუხებლობისა და მოსამართლედ (მსაჯულად) არჩევის წესები. საქმეების განხილვის დროს მსაჯულები სარგებლობდნენ მოსამართლეების თანაბარი უფლებებით. მოსამართლეებისაგან განსხვავებით, რომელთა უფლებამოსილების ვადა განისაზღვრებოდა 10 წლით, მსაჯულები ირჩეოდნენ 5 წლით. მსაჯულები ვალდებული იყვნენ მომზადებულიყვნენ თითოეული საქმის განხილვისთვის და დაეცვათ სასამართლო განხილვის საიდუმლოება. მოსამართლეებს მსაჯულებისთვის წინასწარ უნდა აეხსნათ განსახილველი საქმეები, ისევე – როგორც შესაბამისი, გამოსაყენებელი სამართლის ნორმები და არსებული პრაქტიკა.

1999 წლის 5 მარტს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც ადგენდა მსაჯულთა დამოუკიდებლობისა და ხელშეუხებლობის პრინციპებს, მოქალაქეობის, ასაკის, საცხოვრებელი ადგილისა და განათლების დონის კრიტერიუმებს, რაც მსაჯულად ასარჩევ პირს უნდა დაეკმაყოფილებინა, განსაზღვრავდა მსაჯულთა უფლებამოსილების ვადებსა და მათი არჩევის წესებს, საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად მსაჯულის დანიშვნის კრიტერიუმებსა და მსაჯულის ჩამოცილების შემთხვევაში მათი შეცვლის საკითხებს, ადგენდა მათი სოციალური დაცვის, პროფესიული სწავლებისა და ა.შ. პრინციპებს.

სასამართლოს შეფასება

კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის სავარაუდო დარღვევა

ფანჯიკიძე, ყურაშვილი და ქანთარია მიიჩნევენ, რომ მათ მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილით გარანტირებული უფლებები.

სამივე განმცხადებელი მიიჩნევს, რომ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია, რომელმაც ისინი პირველი ინსტანციით გაასამართლა, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს, როგორც „კანონის საფუძველზე შექმნილი“, ვინაიდან კოლეგია შედგებოდა ორი არაპროფესიონალი მოსამართლის – მსაჯულისგან, რომლებსაც არ ჰქონდათ მოსამართლის ფუნქციის განხორციელების იურიდიული კომპეტენცია. განმცხა-

დებლების აზრით, წინამდებარე საქმის სპეციფიკური გარემოებების მხედველობაში მიღებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული მსაჯულის აცილების მოთხოვნა არ წარმოადგენდა მიმართვის ეფექტურ საშუალებას, რომელიც მათ უნდა გამოეყენებინათ.

მთავრობა მიიჩნევს, რომ განმცხადებლებს არ ამოუწურავთ მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებები. კერძოდ, მათ არ გამოუყენებიათ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 108-ე მუხლით გარანტირებული მსაჯულების აცილების მოთხოვნის უფლება და ეს, იმის მიუხედავად, რომ მათ ინტერესებს პროფესიონალი იურისტები იცავდნენ.

სასამართლო შეახსენებს, რომ კონვენციის 35-ე მუხლის I ნაწილი არ აკისრებს მიმართვის ისეთი საშუალებების გამოყენების ვალდებულებას, რომლებიც არც ადეკვატურია და არც – ეფექტური, ან სხვა სიტყვებით რომ ითქვას, რომლებსაც არ შეუძლიათ გაკრიტიკებული სიტუაციის გამოსწორება. ამასთანავე, „საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების“ მიხედვით, ზოგიერთი განსაკუთრებული გარემოება ათავისუფლებს განმცხადებელს მის ხელთ არსებული მიმართვის შიდა სამართლებრივი საშუალებების ამონურვის ვალდებულებისაგან. აღნიშნული წესი ასევე არ გამოიყენება ადმინისტრაციული პრაქტიკის არსებობის შემთხვევაში, რაც მდგომარეობს კონვენციით აკრძალული აქტების განმეორებასა და სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული აქტების შემწყნარებლობაში, ისე, რომ ყოველგვარი პროცედურა არაეფექტური და აზრს მოკლებულია.¹ სხვა სიტყვებით, მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებების ამონურვის წესი ავტომატურად არ გამოიყენება და აბსოლუტურ ხასიათს არ ატარებს. მისი შესრულების კონტროლთან ერთად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქმის გარემოებები.² გარდა ამისა, კონვენცია ავალდებულებს მხოლოდ მიმართვის იმ შიდასამართლებრივი საშუალებების ამონურვას, რომლებიც არსებობს სარწმუნოობის საკმარის დონეზე, როგორც თეორიულად, ასევე – პრაქტიკულად, რის გარეშეც მათ აკლია სასურველი ეფექტურობა და ხელმისაწვდომობა.³

რაც შეეხება წინამდებარე საქმეს, სასამართლო აღნიშნავს, რომ რეალურად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 108-ე მუხლის გამოყენებით, განმცხადებლებს შეეძლოთ, მოეთხოვათ მსაჯულების აცილება, რომლებიც მათ საქმეს იხილავდნენ. თუმცა, აღნიშნული მოთხოვნის ფორმულირება მხოლოდ იმავე კოდექსის 105-ე მუხლის I ნაწილში მოცემული მოტივების არსებობის შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი. მთავრობა არ განმარტავს, თუ აღნიშნული მოტივებიდან რომელს უნდა დაყრდნობოდნენ განმცხადებლები, მსაჯულთა აცილების მოთხოვნის კანონის შესაბამისად დასაბუთების მიზნით. სასამართლოს შეუძლია, მხოლოდ ივარაუდოს, რომ იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც განმცხადებლებს ანუხებდა, მათ შეეძლოთ, დაყრდნობოდნენ 105-ე მუხლის I ნაწილში მოცემულ მოტივს იმის სამტკიცებლად, რომ მსაჯულები არ იყვნენ „დანიშნულნი ან არჩეულნი თანამდებობაზე კანონით დადგენილი წესების შესაბამისად“.

მაშასადამე, ვინაიდან მსაჯულთა ინსტიტუტს გააჩნდა იურიდიული ხარვეზები და არ იყო განსაზღვრული „კანონი“, რომელიც ანესრიგებდა მათ მდგომარეობას და ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ რომელიმე საქმის სპეციფიკური გარემოებების არსებობის შემთხვევაში, სისხლის სამართლის

¹ *Aksoy c. Turquie*, 18/12/1996, §5; *Recueil 1996-VI*;

² *Akdivar et autres c. Turquie*, 16/09/1996, §§ 65-69; *Recueil 1996-IV*;

³ *Dalia c. France*, 19/02/1998, § 38, *Recueil 1998-I*.

საპროცესო კოდექსის 108-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი შეიცავდა შეფერხებების სერიოზულ რისკს, ნათლად არ იკვეთება, რომ განმცხადებლები შეძლებდნენ, ეფექტურად გამოეყენებინათ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის I ნაწილით მინიჭებული მსაჯულის აცილების მოთხოვნის „უფლება“.

ამას გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ ორ მსაჯულს არ განუცხადებია თვითაცილება 105-ე მუხლის I პარაგრაფის იმავე დებულების საფუძველზე, მაშინ, როდესაც, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 108-ე მუხლის I პარაგრაფის შესაბამისად, მათ ჰქონდათ თვითაცილების „ვალდებულება“.

თავის მხრივ, მთავრობას არ აუხსნია, თუ როგორ შეიძლებოდა გამოსწორებულიყო სიტუაცია იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლები ზემოაღნიშნული მიმართვის საშუალებას გამოიყენებდნენ, ვინაიდან სახეზე იყო იმ სამართლებრივი ჩარჩოების არარსებობის პრობლემა, რომლებსაც უნდა მოენესრიგებინა ქვეყნის სასამართლო სისტემის ერთი ნაწილი.¹ იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღნიშნული მიმართვის საშუალება შედეგად გამოიღებდა ხსენებული ორი მსაჯულის აცილებას, იმისათვის, რათა მითითებულ საქმეზე სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას გამოეტანა განაჩენი, აღნიშნულ პირებს შეცვლიდნენ სხვა მსაჯულებით, რომელთა მიმართაც განმცხადებლებს ანალოგიური პრეტენზიები ექნებოდათ. საქმე იმაშია, რომ განმცხადებლების პრეტენზიები მიმართული იყო არა ორი კონკრეტული მსაჯულის, არამედ, მთლიანად, მსაჯულთა ინსტიტუტის წინააღმდეგ, რომელსაც ისინი წარმოადგენდნენ და რომელიც, განმცხადებელთა მტკიცებით, მოკლებული იყო კანონიერ საფუძველს. შესაბამისად, მთავრობის მიერ ხსენებული აცილების მოთხოვნა ნამდვილად ვერ გამოასწორებდა არსებულ ხარვეზს, ვინაიდან იგი თავიდანვე აშკარად განწირული იყო მარცხისთვის.² აღნიშნული მოთხოვნა არ წარმოადგენდა მიმართვის „ეფექტურ“ საშუალებას.

ამ თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელობას მოკლებული არ არის ის მოტივი, რომ მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებების არამონურვაზე დაყრდნობით, მთავრობას არც ერთ მომენტში არ მიუთითებია ანალოგიურ სიტუაციაში რომელიმე ბრალდებულის მიერ აცილების მოთხოვნის გაკეთების მაგალითზე და არც ამ მოთხოვნის საფუძველზე სავარაუდოდ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება წარმოუდგენია.

ზემოაღნიშნული მოტივების გამო, მთავრობის მიერ მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებების არამონურვის შესახებ წარმოდგენილი არგუმენტი უარყოფილ უნდა იქნეს. იმის გათვალისწინებით, რომ დაუშვებლობის არავითარი სხვა მოტივი არ არსებობს, განაცხადის აღნიშნული ნაწილი დასაშვებად უნდა გამოცხადდეს.

განმცხადებლები ეჭვქვეშ აყენებენ უზენაესი სასამართლოს მსაჯულთა კომპეტენტურობას, რომლებსაც, ასრულებდნენ რა მოსამართლის მოვალეობის იდენტურ მოვალეობას, არ ჰქონდათ არც შესაბამისი განათლება და არც გამოცდილება. ისინი მონაწილეობდნენ ბრალდებულთა განსჯაში იმ მნიშვნელოვან საქმეებში, რომლებიც უზენაესი სასამართლოს პირველი ინსტანციით განიხილებოდა და მათზე, მოსამართლისგან განსხვავებით, არ ვრცელდებოდა პროფესიონალიზმისა და თანამდებობაზე კონკურსის წესით დანიშვნის მოთხოვნა. შესაბამისად, განმცხადებლები ასკვნიან, რომ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია, რომელიც შედგებოდა ერთი მოსამართლისა და ორი მსაჯულისაგან, არ იყო სამართლებრივად კომპე-

¹ *Sejdovic c. Italie [GC]*, № 56581/00, §46, CEDH 2006-II;

² *Brusco c. Italie (déc.)*, №69789/01, CEDH 2001-IX.

ტენტური მათი ბრალდების დასაბუთებულობის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

მთავრობა მტკიცედ ენინააღმდეგება აღნიშნულ არგუმენტს. მისი მტკიცებით, სადავო სასამართლო კოლეგიაში ორი მსაჯულის მონაწილეობა სრულიად კანონიერი იყო, ვინაიდან ეს გათვალისწინებული იყო „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილით და მათი უფლებამოსილების ვადა, რომელიც რამდენჯერმე გახანგრძლივდა, არ იყო ამონურული მითითებული საქმის განხილვის დროისათვის.

ზემოაღნიშნულის საპასუხოდ, განმცხადებლები ამტკიცებენ, რომ მსაჯულის ფუნქციის განხორციელების სხვადასხვა წესი (არჩევის წესი, უფლებები და მოვალეობები, საქმეების განხილვაში მონაწილეობა), რომლებიც გათვალისწინებულია 1997 წლის 13 ივნისის კანონის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილით *in fine*, არასოდეს ყოფილა დამტკიცებული. ფაქტობრივად, მსაჯულებთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდებოდა 1990 წლის 28 დეკემბრის კანონიდან¹ გამომდინარე პრაქტიკის შესაბამისად.

სასამართლო შეახსენებს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის შესაბამისად, სასამართლო ყოველთვის „კანონის საფუძველზე შექმნილი“ უნდა იყოს. აღნიშნული ტერმინი ევროპული კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების სისტემის განუყოფელ, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს გამოხატავს. ორგანო, რომელიც არ არის შექმნილი კანონმდებლის ნების შესაბამისად, უდავოდ მოკლებულია დემოკრატიული საზოგადოებისთვის აუცილებელ ლეგიტიმურობას, განხილოს კერძო პირთა დავები.²

კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული „კანონი“ გულისხმობს არამხოლოდ სასამართლო ორგანოების შექმნისა და კომპეტენციის შესახებ კანონმდებლობას, არამედ – შიდა სამართლის ყველა სხვა დებულებას, რომლისგან გადახვევაც კანონიერ საფუძველს აცლის საქმის განხილვაში ერთი ან რამდენიმე მოსამართლის მონაწილეობას. უფრო კონკრეტულად, საქმე ეხება მსაჯულთა უფლებამოსილებას, თანამდებობრივ შეუთავსებლობასა და აცილებას.³ გარდა ამისა, ტერმინი – „კანონის საფუძველზე შექმნილი“ – ეხება არამხოლოდ თვით „სასამართლოს“ არსებობის სამართლებრივ საფუძველს, არამედ, ასევე – მის შემადგენლობას თითოეული საქმის განხილვისას.⁴

სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, კონვენციის მე-6 მუხლში ტერმინის – „კანონის საფუძველზე შექმნილი“ – ჩანერა მიზნად ისახავს იმის თავიდან აცილებას, რომ მართლმსაჯულების სისტემის ორგანიზაცია აღმასრულებელი ხელისუფლების დისკრეციაზე არ იყოს დამოკიდებული და ეს საკითხი წესრიგდებოდეს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე. კოდირებული სამართლის მქონე ქვეყნებში მართლმსაჯულების სისტემის ორგანიზაცია მხოლოდ სასამართლო უწყებების დისკრეციაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, რაც, ამის მიუხედავად, არ გამორიცხავს მათთვის აღნიშნულ სფეროში არსებული ეროვნული კანონმდებლობის ინტერპრეტაციის გარკვეული უფლების აღიარებას. აღნიშნულის მიუხედავად „კანონის საფუძველზე შექმნილად“ ვერ იქნება მიჩნეული სასამართლო, რომე-

¹ აღნიშნული კანონი 1997 წლის 13 ივნისს გაუქმდა;

² *Lavents c. Lettonie*, № 58442/00, §114, 28/11/2002.

³ *Gurov c. Moldova*, №36455/02, §36, 11/07/2006;

⁴ *Buscarini c. Saint-Marin*, №31657/96, 04/05/2000; *Posokhov c. Russie*, №63486/00, §39;

ლიც აქარბებს კანონით მისთვის ნათლად განსაზღვრულ სასამართლო კომპეტენციას.¹

მითითებული საქმის გარემოებების განხილვისას სასამართლო შეახსენებს, რომ 2005 წლის 25 მარტს მსაჯულთა ინსტიტუტის გაუქმებამდე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მსაჯულები იყვნენ კერძო პირები, რომლებსაც ჰქონდათ სხვა პროფესია და აღნიშნული სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეების პირველი ინსტანციით განხილვაში პროფესიონალ მოსამართლესთან ერთად მონაწილეობდნენ. მსაჯულთა ინსტიტუტი საბჭოთა მართლმსაჯულების სისტემის გადმონაშთია, რომელშიც მსაჯულები ხალხის წარმომადგენლები იყვნენ და უზრუნველყოფდნენ მართლმსაჯულების განხორციელებაში ხალხის მონაწილეობას. ისინი მსაჯულის ფუნქციას თავიანთი მოქალაქეობრივი მოვალეობის კონტექსტში ასრულებდნენ.

სასამართლო იზიარებს მთავრობის არგუმენტს, რომლის თანახმად, განმცხადებლების საქმის განხილვაში ორი მსაჯულის მონაწილეობა ეფუძნებოდა „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილს. ის ასევე ემყარებოდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 434-ე მუხლის 1 პარაგრაფს. აღნიშნული დებულებების გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განმცხადებლების საქმის განმხილველი სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის არსებობა მოქმედი კანონით იყო გათვალისწინებული.

აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლო ორგანოს მხოლოდ ლეგალური არსებობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ის მიჩნეულ იქნეს „კანონის საფუძველზე შექმნილ“ სასამართლოდ. საქმე იმაშია, რომ წინამდებარე განაცხადში ისმის კითხვა: ***ჰქონდა თუ არა ეროვნულ სამართალში საკმარისი იურიდიული საფუძველი მსაჯულების მიერ მოსამართლის ფუნქციის განხორციელებას.*** მართლაც, უნდა დავასკვნათ, რომ ამ თვალსაზრისით, 1999 წლის 5 მარტსა და 28 მაისს შორის არსებული მოკლე პერიოდის გარდა, აღნიშნული საკითხის მომწესრიგებელი არავითარი კანონი არ არსებობდა. თუ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მსაჯული იყო საქართველოს მოქალაქე, რომელიც, „კანონით“ დადგენილი წესის შესაბამისად, უფლებამოსილი იყო, მონაწილეობა მიეღო საქმის სასამართლო განხილვაში, აღნიშნული კანონი არ არსებობდა ამ ფაქტების არსებობის მომენტში. ყოველ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ ჩატარებულ კვლევას არ გამოუვლენია ასეთის არსებობა და მიუხედავად იმისა, რომ ამის თაობაზე საგანგებოდ დაისვა შეკითხვები, საქართველოს მთავრობას არავითარი არგუმენტით არ უპასუხია. რეალურად, ორივე ტექსტი აწესრიგებდა მსაჯულთა ფუნქციების განხორციელებას – კანონი მოსამართლის სტატუსის შესახებ და 1999 წლის 5 მარტის კანონი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ – ფაქტების არსებობის მომენტში უკვე გაუქმებული იყო ისე, რომ შემდეგ მათი შემცვლელი არავითარი კანონი არ ყოფილა მიღებული.

რაც შეეხება მთავრობის არგუმენტს, რომელიც ემყარებოდა 1991 წლის დადგენილებასა და მსაჯულთა უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ კანონებს, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლების საქმის განხილვაში მონაწილე ორი მსაჯული მაშინდელმა საკანონმდებლო ორგანომ აირჩია 1991 წლის 14 ივნისს. ამასთანავე, თვით 1991 წლის დადგენილება წარმოადგენს მსაჯულის თანამდებობაზე არჩეულ პირთა სიას და არ შეი-

¹ *Sokourenko et Strygoun c. Ukraine, №29458/04 et 29465/04, §§23-28, 20/07/2006*

ცავს არავითარ დაზუსტებას კანდიდატების შერჩევის, აღნიშნულ თანამდებობაზე მათი ურთიერთმონაცვლეობის, მათი უფლებებისა და მოვალეობის და ა.შ. შესახებ. ასეთივე შენიშვნა შეიძლება გამოითქვას ცვლილებებისა და დამატებების შესახებ შემდგომ მიღებულ კანონებთან მიმართებით, რომლებითაც, 1997 წლის 27 ივნისსა და 2005 წლის 31 დეკემბერს შორის პერიოდში, ყოველგვარი დაზუსტების გარეშე ხდებოდა მსაჯულთა უფლებამოსილების ავტომატური გაგრძელება. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 1996 წლის 7 მარტის დადგენილებისგან განსხვავებით, რომელიც მიუთითებდა იმ იურიდიულ საფუძველზე, რომელსაც კანონმდებელი ეყრდნობოდა მსაჯულთა უფლებამოსილების ვადის გაგრძელების მიზნით, აღნიშნული კანონები მსგავსი ტიპის არავითარ დებულებას არ შეიცავდა, იმის გათვალისწინებით, რომ სამართლებრივი საფუძველი, რომელიც აწესრიგებდა მსაჯულთა მიერ მოსამართლის ფუნქციის განხორციელებას, არ ან აღარ არსებობდა.

სასამართლო ასკვნის: განმცხადებლების საქმის განხილვაში მონაწილე ორმა მსაჯულმა მოსამართლის თანაბარი უფლებამოსილებით განხორციელდა მართლმსაჯულება და მათი რიცხვის გათვალისწინებით, ჰქონდათ აუცილებელი ხმათა უმრავლესობა გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. იმის მხედველობაში მიღებით, რომ მათ მიერ მოსამართლის ფუნქციის განხორციელება ეფუძნებოდა სასამართლო პრაქტიკას, რომელსაც ეროვნულ სამართალში იურიდიული საფუძველი არ გააჩნდა, კოლეგია, რომელშიც ისინი მონაწილეობდნენ, არ წარმოადგენდა „კანონის საფუძველზე შექმნილს“.

შესაბამისად, ამ მიმართებით დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

ხელმძღვანელობს რა სამართლიანობის პრინციპით, სასამართლო ყურაშვილს, ფანჯიკიძესა და ქანთარიას, თითოეულ მათგანს, მიაკუთვნებს 2.000 ევროს მორალური ზიანის ანაზღაურების სახით. ***ამასთანავე, საჭიროა, აღინიშნოს, რომ როდესაც განმცხადებლებს პირველი ინსტანციით საქმის განხილვისას მსჯავრი დასდო იმ სასამართლომ, რომელიც, კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, არ იყო კანონის საფუძველზე შექმნილი და ამის შემდეგ საქმე ხელახლა არსებითად არ განხილულა, ახალი პროცესი ან საქმის ხელახალი არსებითი განხილვა, განმცხადებლების მოთხოვნის საფუძველზე, პრინციპში, წარმოადგენს დადგენილი დარღვევის აღმოფხვრის სათანადო საშუალებას.¹***

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად :

1. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი, ვინაიდან ფანჯიკიძე, ყურაშვილი და ქანთარია არ გაუსამართლებია „კანონის საფუძველზე შექმნილ“ სასამართლოს;

2. ადგენს, რომ მოპასუხე სახელმწიფომ, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან სამი თვის განმავლობაში ფანჯიკიძეს, ყურაშვილსა და ქანთარიას უნდა გადაუხადოს 2.000 (ორი ათასი) ევრო თითოეულს – მორალური ზიანისათვის, რომელსაც დაემატება ნებისმიერი საშემოსავლო გადასახადი, რაც შეიძლება გადასახდელი გახდეს.

¹ *Ocalan c. Turquie [GC], №46221/99, §210, in fine, CEDH 2005-IV.*